აკაკი მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრეფიკინგის მსხვერპლი

STOP TRAFFIKING!

აკაკი მახარაძე

ტრეფიკინგის მსხვერპლი

ბათუმი
2014

წიგნი მოგვითხრობს ქართველ ქალბატონზე, რომელიც სარფიანი სამუშაოს შეპირებით, მოტყუებით გაიყვანეს თურქეთში, სადაც ბოროტი ადამიანების ხელში ჩავარდა. აიძულებდნენ პროსტიტუციას, მაგრამ მრავალ განსაცდელს გაუძლო და არ უღალატა ოჯახს, ქალობას, სინდის-ნამუსს, პატიოსნებას...

რომანიდან იმასაც შეიტყობთ, თუ რა ბედი ეწია "დამსაქმებელს," რომელმაც ბევრი ქალბატონი უცხოელთა მონად აქცია.

ვფიქრობთ, აქ მოთხრობილი ამბები ბევრ ჩვენს თანამემამულეს დააფიქრებს და სწორი ნაბიჯის გადადგმაში დაეხმარება.

რედაქტორები:
ოთარ ფუტკარაძე
ოთარ ცინარიძე

წინათქმა

ჩემო ძვირფასო მკითხველო!

ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა ყველას ვალია, თუ იგი ხელეწიფება. ვარ ოფიცერი. როგორც სულმნათი ილია „მგზავრის წერილებში“ იყენებს ხოლმე ტერმინს - „მართალი“ ოფიცერი, განა „სტაცკისა“.

სასაზღვრო ჯარებში ოცდახუთ წელიწადს სხვადასხვა ოპერატიულ თანამდებობაზე ვმსახურობდი. მათ შორის 1992-1998 წლებში საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის საპასუხისმგებლო და რთულ უბანზე - სარფის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე. ჩემი სამსახურებრივი და თანამდებობრივი მოვალეობიდან გამომდინარე, ხშირად მქონდა კონტაქტები როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნების მოქალაქეებთან. ისინი იყვნენ სხვადასხვა სტატუსის, პროფესიის, ხელობისა თუ ზნეობისანი.

განსაკუთრებით გულს მითუთქავდა უპოვართა ფენის წარმომადგენელთა სიდუხჭირე, გაუსაძლისი და გამოუვალი მდგომარეობა. მინახავს პატიოსანი მშრომელიც და ზნედაცემულიც, თავგადადებულიც, ავანტიურისტიც და ვიგინდარაც, აფერისტიც და „გადამგდებიც“... გაყიდულიც და გამყიდველიც... ერთი სიტყვით, მთელი გამა მაშინდელი საზოგადოებისა.

ინფორმაცია დამიგროვდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პერსონაჟების თუ საზოგადოების ცალკეულ ფენებზე, მაგრამ თევზს უთქვამს: - „სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო.“ მეც ყველაზე და ყველაფერზე ვერ ვიტყვი, თუგინდ მარტივი, ჭეშმარიტი მიზეზის გამო.

საზოგადოების გარკვეულ ფენებში დაგროვილია ისეთი ბალასტი და სიმახინჯე, რომელზეც დუმილი ღალატის ტოლფასია... ღალატისა ერისა და მომავალი თაობების წინაშე. მე შემეძლო გაჩუმება, მით უმეტეს, რომ ახლავე ვგრძნობ, ბევრი გამკიცხავს, ეს ყველაფერი საჯარო სამსჯავროზე რა გამოსატანი იყოო... შეიძლება ასეცაა, მაგრამ რა ვუშველო ხალხურ სიბრძნეს - „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს - პირის უკანაო.“ ესეც არ იყოს, დრო მიდის, მაგრამ ძველი მანკიერებანი რჩება, უფრო საშიშ და დახვეწილ ფორმებს იღებს. ოცდამეერთე საუკუნის საწყისი წლებია. ქვეყანაში რიგი რეფორმები გატარდა, რიგ დარგებში ძვრებია, მაგრამ ქართული

მორალი და ზნეობა ისევ მოისუსტებს, უფრო მეტიც, უარესდება. ბევრმა ვერ გაიგო ევროპულობის ჭეშმარიტი არსი... ვთვლი - ყველა პატრიოტმა ქართველმა და მამულიშვილმა, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული, განგაშის ზარები უნდა დაარისხოს. ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანი ერი ვართ, ჩვენთვის წმინდათა-წმინდა უნდა იყოს ქრისტიანულ-ეროვნული ზნეობა და მორალი, მისი იდეოლოგიის ქვაკუთხედი - ათი მცნება.

მეც ქართველი ვარ, ერთი ქართველთაგანი, მართლმადიდებელი ქრისტიანი.

სამხედრო რიგებში სამსახურისას არაერთი თაობის აღზრდაში მიმიღია მონაწილეობა. ვიყავი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის უფროსი მასწავლებელი, ვასწავლიდი სამართალმცოდნეობას ბათუმის დამოუკიდებელ და „გორგასლის“ უნივერსიტეტებში. ვიმუშავე ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე. ვარ მეუღლე, მამა და ბაბუა. ამიტომ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, მეც მინდა ჩამოვკრა საერთო განგაშის ჩემი პატარა ზარიც... თუ ერთი ქართველი მაინც გაიგებს მის ჟღერადობას, გამიხარდება. ჩავთვლი, რომ ერის მორალური და ზნეობრივი იდეალის შენახვა-შენარჩუნების ზღუდის ბალავარში მეც ჩავდე პატარა აგური.

უფალო, გევედრები, შემაძლებინე ეს!

თქვენს სამსჯავროზე გამოტანილ რომანში შევეცადე, მომეთხრო კონკრეტულ პიროვნებებზე კი არა, არამედ მსგავსი ბედისა და ზნეობის მატარებელთა შესახებ. ერთგვარი სინთეზი გავაკეთე. თუ ვინმე თავის ბედს ამოიკითხავს, ან შეიცნობს თავის თავს, გულწრფელად გეუბნებით და გარწმუნებთ, ეს, უბრალოდ, დამთხვევა იქნება და მეტი არაფერი... თუ ვინმეს ტკივილი მივაყენე და უნებლიეთ პირი გავუხსენი შეხორცებულ თუ შეხორცებად ჭრილობას, გთხოვთ, მომიტევოთ... მე თქვენი გულის ტკენა არ მინდა. სულის აფორიაქება ან წარსულის გახსენებაც არ განმიზრახავს... უბრალოდ, არ მსურს ეს სენი ჩემს ერს სჭირდეს, არ მინდა ჩემი ერის ერთი შვილიც კი ასე იტანჯებოდეს... ჩემი მიზანი მხოლოდ ერთია: განვარიდო ჩემი თანამემამულე და ერისშვილი მსგავს განსაცდელს და უბედურებას.

მიკანკალებს ხელი და სული მიბორგავს. გული საგულეს აღარ ეტევა, მაგრამ მაინც ვწერ. ვიცი, ამ თემაზე ბევრი ხმამაღლა არ ლაპარაკობს ან დელიკატურად უვლის გვერდს... მე კი არ შემიძლია...

უფალო, გევედრები, შემაძლებინე...

ღვთისმშობელო, გთხოვ შემწეობას - ივერია ხომ შენი წილხვედრი ქვეყანაა, ივერიონები კი შენი სულიერი შვილები...

ერთი იმათგანი მეც ვარ.

...მე ჩემი ხალხის სიკეთე მინდა. მინდა, ზოგიერთებს მიეცეთ შესაძლებლობა, მოინანიონ ცოდვები. დროზე შეჩერდნენ და არ გადავიდნენ უჩინარ ზღვარს, რომელიც გადის სიკეთესა და ბოროტებას შორის. მინდა, გზააცდენილებმა შეძლონ სულიერი და ზნეობრივი განწმენდა. მინდა, ახალგაზრდობამ გაიაზროს და გააკეთოს სწორი არჩევანი, არ გადასცდნენ, არ დაუშვან საბედისწერო შეცდომები...

უფალო, შემაძლებინე განზრახულის სისრულეში მოყვანა!

პატივსცემით,

აკაკი მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I

„ამით ჩირქი მთელს ქვეყანას
გაურჩევლად არ ედება!
მხოლოდ ხალხს კი ჭირისუფალს,
გულში ცეცხლად ეკიდება!..“

აკაკი წერეთელი

გათენდა... თავი მიბრუის. ალბათ, ნერვიულობის და აუტანელი მგზავრობის ბრალია... არ მინდა ლოგინიდან ადგომა... არც ფიქრის თავი მაქვს. ალბათ, სჯობს, შევეგუო უცხო გარემოს. გააზრებაც ვერ მოვასწარი, ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა, დილა მშვიდობისა მისურვა და ისე, რომ ჩემს პასუხს არ დალოდებია, მითხრა, რეცეფციონში ზეინაბი გელოდებაო.

ავდექი, ჩავიცვი და სასტუმროს პირველ სართულზე ჩავედი.

რეგისტრატურის გვერდით დივანზე რამდენიმე ქალიშვილი იჯდა. ისინი სიგარეტს ქაჩავდნენ და რაღაცაზე ლაზღანდარობდნენ. მოვიდა ზეინაბიც. ეს ის ქალია, ქუთაისში ჩემმა დაქალმა მარინამ რომ გამაცნო და მითხრა, თურქეთში ეს იქნება შენი პატრონიო. მაშინ, სიმართლე გითხრათ, ამ სიტყვებისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა კი ვფიქრობ, რას უნდა ნიშნავდეს, შენი პატრონი იქნებაო... რა მჭირს მისი საპატრონებელი?!

სასტუმროს ზეინაბმა პირველი სართულის მარჯვენა ფლიგელის ბარში შეგვიპატიჟა. კუთხის მაგიდასთან მიგვითითეს, სადაც ერთი მამაკაცი იჯდა. რადგან ჩვენ ბევრნი ვიყავით, მაგიდასთან მიდგმული სკამების რაოდენობაზე მამაკაცმა იზრუნა, მეორე მაგიდა მიუდგა და სკამები შემოუწყო. ზეინაბი მაგიდის თავში დაჯდა, მას გვერდით მამაკაცი მიუჯდა. მიმტანმა ყავა და თეფშზე დატეხილი შეკოლადის ფილა მოიტანა. ყავა დალეული არ გვქონდა, რომ ზეინაბმა საზეიმოდ გამოაცხადა, დროა საქმეზე გადავიდეთ. პირველ რიგში, გაგვაცნო დამხვდური მამაკაცი, გვითხრა, რომ ის ამ სასტუმროს მეპტრონის ძმაა, ქენანი ჰქვია და ცალყბად იხუმრა, ქალების მუსუსიაო.

ჩვენ ოთხნი ვიყავით: ნანა, ლამზირა, მანანა და მე. ზეინაბმა თქვა, ჯერჯერობით ეს ინფორმაცია საკმარისიაო. შემდეგ თითქმის ბრძანების კილოთი მოგვმართა, ჩაგვებარებინა პასპორტები.

არ მომეწონა... შევეცადე, გამეპროტესტებინა, მაგრამ აგვიხსნა, რეგისტრატურაში უნდა ჩავაბარო, რათა რეგისტრაციაში გატარდეთო... დავყაბულდი.

ზეინაბი, რომელიც ქუთაისში თავაზიანობის, ზრდილობის და სათნოების სიმბოლო მეგონა, აქ სრულად სხვა ადამიანად მოგვევლინა. მბრძანებლური კილოთი საუბრობდა, ისე იქცეოდა, ვითომ ჩვენი უფროსი და ზედამხედველი ყოფილიყო. ეს არ მომეწონა და მივანიშნე, რომ შესაბამისად მოგვპყრობოდა. ამაზე აიმრიზა და მოგვახალა, აქ ასეა და გააკეთებთ იმას, რაც საჭირო იქნება და რასაც მე გეტყვითო... ამან გოგოებიც გააოგნა... მე შევახსენე, რომ მას დასაქმებაზე უნდა ეზრუნა, რაზედაც მიიღებდა შეთანხმებულ თანხას. საუბარში ჩაერია ქენანი. სხვათა შორის მან ქართული იცოდა, მართალია, საკმაოდ ამახინჯებდა, მაგრამ სრულად შეეძლო აზრის გადმოცემა, ეს კი ჩვენთვის საკმარისი იყო. მან თავს მხვრივ დასძინა, რომ ყველაფერი მოფიქრებულია და იმედოვნებს, საერთო ჯამში დაზარალებული და ნაწყენი არავინ დარჩება.

შემდეგ ზეინაბმა გაგვაფრთხილა - მის გარეშე სასტუმროდან არ გავსულიყავით. აგვიხსნა, რომ როგორც უცხოელები, შეიძლება პოლიციის დაინტერესების ობიექტი გახდეთო. მით უმეტეს, რომ თურქული არ იცით და პრობლემებიც შეიძლება შეგექმნათო. შემოგვთავაზა ოთახებში დაბრუნება, დასვენება და დღის სამი საათისთვის მზადყოფნა. მას ჩვენთვის სამუშაო ადგილი და პირობები უნდა გაეცნო.

ჩემი ოთახი მეორე სართულზეა, დერეფნის ბოლოში. გუშინ გვიან ღამით ჩამოვედით, ამიტომ არაფერზე არ მიმიქცევია ყურადღება, დაღლილს მალევე ჩამეძინა. დღეს კი გულდასმით შევისწავლე გარემო - ესეც, ეტყობა, ბედის ირონიაა: ჩემი ოთახის ნომერი 13-ია. გულმა რეჩხი მიყო. კარი შევაღე. სასტუმროს ნომერი უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით იყო გაწყობილი. ოთახის ფართობი ასე 18 კვადრატული მეტრი იქნებოდა. ორსაწოლიანი საძინებელი, კომოდი, ტრიუმო და ორი სავარძელი. ფანჯარასთან იდგა პატარა მაგიდა, რომელზეც იდო ვაზა ხელოვნური ყვავილებით, სურა და ერთი ჭიქა. იქვე იდგა საშუალო ზომის მაცივარი. ხელმარცხვნივ კარი გადიოდა აბაზანაში. გამიხარდა, რომ ნომერს აივანი ჰქონდა, შესანიშნავი ხედით ზღვაზე.

მარინასთან შეხვედრისას ზეინაბმა თქვა, რომ მივდივართ ტრაპიზონში. იქ მას დიდი ნაცნობობა ჰყავს. სამუშაოს შესახებაც

ზოგადი წარმოდგენა მქონდა. უნდა მემუშავა რესტორანში მიმტანად, ან გარსონად **/გარსონი იგივე ბარმენია/**. მართალია, ადრე მიმტანად არ მიმუშავია, მაგრამ მჯეროდა, რომ შევძლებდი, ამიტომ ბევრი არ მიფიქრია.

თავი II

საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი გადავკვეთ-ეთ. სექტემბერი იყო. საზღვარგარეთ გასასვლელ დოკუმენტებსა და თურქულ ვიზაზე ზეინაბმა იზრუნა. მარინამ მას ამ ყველაფრის-თვის 500 ამერიკული დოლარი გადაუხადა - ნასესხები ფული. ვალი სამი თვის თავზე მარინას უნდა გავუგზავნო საქართველოში, ის კი მევალეს გადასცემს.

ჩანთა გავხსენი. ნივთები ამოვალაგე. ჩანთაში ჩემი ნორჩი ზა-ზას საყვარელი სათამაშო დავინახე - პატარა ბეკეკა, თეთრი და თვალებცქრიალა. გული შემეკუმშა...

ვაიმე, შვილო, გავუძლებ კი უშენობას, ჩემო გვრიტო!

ფანჯარასთან მივედი, ფარდა გავწიე და ჩემს წინ მოლივლივე ლურჯი ზღვა გადაიშალა - თავისი უკიდეგანო სივრცით.

ეეჰ, ზღვაო. ზღვაო, რა მშვიდი და მოლივლივე ხარ, მშურს შენი... ვერ მოვასწარი ამის გააზრება, ოთახის კარზე კაკუნი შემომესმა. კარი გავაღე. ჩემს წინ სართულის დამლაგებელი იდგა. ხელში თეთრეული და პირსახოცები ეჭირა. შემოვიპატიჟე. მანაც თავი დამიკრა და თურქულად მომესალმა. მეც თავი დავუკარი. მართალია, თურქული არ ვიცოდი, მაგრამ მისალმებას კი მივხვდი. ქალბატონი შემოვიდა, გაჩერდა ოთახის შუაგულში. რატომღაც გაკვირვებული და ცოტა დაბნეული მეჩვენა. ერთ ხანს მიყურა. შემდეგ ჩემთვის მოულოდნელად გამართული ქართულით მკითხა:

- სადაური ხარ, შვილო ?
- ქუთაისელი. თქვენ ასეთი წმინდა ქართული საიდან იცით? - გაკვირებულმა პასუხის მოლოდინში ჩავხედე თვალებში. ქალბა-ტონმა, ცოტა დაბნეულმა, თავი გადააქნია და თქვა:
- მეც, შვილო, საქართველოდან ვარ. ბათუმელი, ნელი დეიდა დამიძახე. უკვე ნახევარი წელია აქ ვმუშაობ დამლაგებლად. თუ რა-მეში დაგჭირდე, არ მოგერიდოს, რასაც შევძლებ, შენს გვერდით მი-გულე, შვილო. რა გქვია, რამდენი წლის ხარ?
- მარიკა მქვია, 23 წლის ვარ.
- შვილო, აქ ყველა გაჭირვებამ ჩამოგვიყვანა, თორემ ჩემს ქვეყანაში მერჩივნა, მაგრამ რა ვქნა, რძალ-შვილი მყავს სარჩენი და დასაპურებელი, თორემ... შენ რა ბედმა გადმოგაგდო, შვილო, ამ სი-ლამაზის გოგო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მჩვევია წუწუნი, ან უცნობი ადამიანისთვის გულის გადახსნა, მაგრამ ნელი დეიდას სათნოებამ და დედა-შვილურმა სითბომ გული ამიჩუყა და რატომღაც მომინდა მისი გულში ჩაკვრა, მაგრამ მომერიდა და ვუპასუხე:

-ზეინაბი ჩემი დაქალის ნაცნობია, თურმე ჩემს დაქალს უსაუბრია მასთან ჩემი გაჭირვების შესახებ. მანაც შემომთავაზა თურქეთში სამუშაო, საკმაოდ კარგი ანაზღაურებით.

ნელი დეიდა გაჩუმდა, ჩამხედა თვალებში, სახე შეეცვალა. მის მზერაში უკმაყოფილება და სევდა ამოვიკითხე, ცოტა გამიკვირდა მისი ასეთი რეაქცია, ვერ ჩავწვდი მიზეზს. მე ხომ რესტორანში უნდა მემუშავა, აქ გასაკვირი, ნეტაა, რაა... სხვა ხომ არაფერია? - გავივლე გულში.

ნელი დეიდას მეტი არაფერი უთქვამს. წყნარად და დინჯად გაშალა თეთრეული, მოაწესრიგა საწოლი და უხმოდ გავიდა.

ნელი დეიდას რეაქციაზე დავფიქრდი... ეტყობა, ცოტა ავმჩატდი და ნაადრევი გადაწყვეტილება მივიღე თურქეთში წამოსვლის შესახებ-მეთქი. მე ხომ ზეინაბს სულ ორჯერ შევხვდი, ისიც მარინასთან ერთად და დაწვრილებით არ მიკითხავს არც თურქეთის შესახებ და არც აქ არსებულ ვითარებაზე, ან თუ რა ყოფაში არიან აქ ქართველი ქალები. თავს საკმაოდ გამოცდილ ქალად ვთვლიდი და ეს როგორ მომივიდა-მეთქი, გავბრაზდი ჩემს თავზე. არც მარინასთვის გამომიკითხავს, ვინაა ზეინაბი, სადაურია, აქ რას აკეთებს, ან ასე თამამად რატომ უჭირავს თავი. გულმა რაღაც რეჩხი მიყო, მაგრამ ბევრი აღარ მიფიქრია, დაველოდები მოვლენების განვითარებას...

დღის სამი საათი იქნებოდა. ოთახში ზეინაბი შემოვიდა, შემომხედა... ჩაცმულობა მოეწონა, მაგრამ მაკიაჟი დამიწუნა, მითხრა, პომადა და ფერუმარილი გამომეყენებინა. საერთოდ არ მიყვარს მაკიაჟის გაკეთება. ცოტა გაკვირვებულმა ვკითხე:

- განა, აუცილებელია მიმტანისთვის ასეთი გამომწვევი მაკიაჟი?

მან კი მოკლედ, მაგრამ საკმაოდ მკაცრად მომიჭრა:

- გააკეთე ის, რასაც გეუბნებიან, დანარჩენი მე ვიცი! ხუთ წუთში რეცეფციონში გელოდები! - მომაძახა და გავიდა...

ამასობაში ლამზირამ და ნანამ გამომიარეს და პირველ სართულზე ჩავედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეცეფციონში ყველანი შეკრებილიყვნენ. რესტორანი არ იყო შორს, ქუჩის მეორე მხარეს მდებარეობდა. შევედით შენობაში. კარებში ახლგაზრდა მამაკაცი დაგვხდა და დირექტორის კაბინეტში შეგვიძღვა. დირექტორი, იგივე მეპატრონე, აღმოჩნდა ქენანის ბიძა მამის მხრიდან, სახელად ომერი. იქნებიდა დაახლოებით 50 წლის, შავგვრემანი, შავთვალწარბა, საშუალოზე მაღალი, ჩამრგვალებული, ღიპიანი მამაკაცი. ბოხი ხმა ჰქონდა, კბილები ღოჯებიანი - ჩაშავებული. ეტყობა, ზედმეტი ჩაის სმის გამო. ქართული სრულებით არ იცოდა, ასე, რომ თარჯიმნის ფუნქცია ზეინაბმა შეითავსა. გამოგვკითხა სახელები და ასაკი. მე ჩემი ვუთხარი. ნანა 25 წლისა, ქალაქ გორიდან, ლამზირა 24-ის, ქალაქ რუსთავიდან და მანანა - 21 წლისა, დედაქალაქიდან. ომერმა მოკლედ ჩამოთვალა ჩვენი მოვალეობანი:

- მოვდივართ სამუშაოზე დილის 9 საათზე, მიმტანის მოვალეობას ვუთავსებთ „კონსუმაციის“ ფუნქციებ და, რაც მთავარია, კლიენტის ნებისმიერი სურვილი უნდა შევასრულოთ, ამის მიხედვით იქნება განსაზღვრული, თუ რა ანაზღაურებას მივიღებთ.

მანანა ცოცხალი გოგო ჩანდა, ამიტომ მაშინვე ჰკითხა:

- რას ნიშნავს კონსუმაცია?

ომერის მაგივრად ზეინაბი ალაპარაკდა:

- კონსუმაციის აზრი შემდეგშია: შემოსულ კლიენტს ეპატიჟებით თქვენს თავისუფალ მაგიდასთან, ჯერ იჩენთ მისდამი ცხოველ ყურადღებას, ღიმილით, ერთი სიტყვით უნდა განაწყოთ კლიენტი თქვენდამი ისე, რომ მიგიპატიჟოს მაგიდასთან, რის შემდეგაც კეკლუცობთ და ეფერებით, საჭირო თუ იქნა, მუხლებზეც ჩამოუჯდებით, ეცეკვებით და უკვეთავთ ძვირადღირებულ სპირტიან სასმელებს, კერძებს და სიგარეტებს... ერთი სიტყვით, მაქსიმალურად უნდა დაახარჯიანოთ კლიენტი. ამაზე იქნება დამოკიდებული თქვენი ანაზღაურება, ხოლო სამუშაოს შემდეგ, შეიძლება, კლიენტის სურვილისამებრ, სხვა „მომსახურებაც“ შესთავაზოთ. ასევე დასძინა, რომ სასტუმრო და კვებაც იქნება გაქვითული. დანარჩენს დაგირიცხავთ თქვენს ანგარიშზე, უახლოეს ბანკშიო.

ნანამ გააპროტესტა:

- მე მირჩევნია ხელზე ავიღო კუთვნილი ხელფასი, რათა ჩემთვის მოსახერხებელ დროს ფული გადავუგზავნო სახლში.

ამას ომერის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა:

- აქაური კანონები ასეა!..

მას ჩვენთან დიდხანს აღარ უსაუბრია. მოგვახალა:

- დანარჩენს ზეინაბი აგიხსნით!.. - და გამოგვისტუმრა. კაბინეტიდან გასულებს მოგვაძახა:

- ბევრ პრეტენზიას მოერიდეთ. არ დაგავიწყდეთ, თქვენ ტურისტები ხართ. სამუშაოზე გღებულობთ ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ, ამიტომ პირობებსაც მე გიკარნახებთ!

რესტორნიდან სასტუმროში გაოგნებულები დავბრუნდით. მეორე დღემდე თავისუფლები ვიყავით. თავი უნდა მოგვეწესრიგებინა, პარიკმახერთან უნდა მივსულიყავით და მოდური ვარცხნილობა დაგვეყენებინა. ერთი სიტყვით, შესახედაობა უნაკლო უნდა გვქონოდა.

დათქმულ დროს სამუშაოზე გავდივართ.

წავედი ჩემს ოთახში... წამოვწექი საწოლზე... მომეძალა რეტდამსხმელი ფიქრები... გავედი აივანზე და გავხედე ზღვას... ის უზარმაზარი გველვეშაპივით იწვა და ზანტად ირწეოდა. ძლივს შესამჩნევ ტალღებს მოერეკებოდა ნაპირისკენ. ფიქრი არ მინდოდა, მაგრამ მოგონებები ძალუმად გზას ჩემკენ მოიკვლევდა. მახსოვს, 5 თუ 6 წლის ვიქნებოდი, როცა პირველად მშობლებთან ერთად ვიყავი ზღვაზე. ქობულეთში. ეჰჰჰ... რა ბედნიერი და უზრუნველი დრო იყო. ჩემი ლამაზი და შეუდარებელი დედიკო, მოსიყვარულე და ყურადღებიანი მამიკო, თბილი ზღვა და თაკარა ქართული მზე...

თავი III

დავიბადე წყალტუბოს რაიონში, სოფელ N-ში. მშობლები თავს მევლებოდნენ, ცივ ნიავსაც არ მაკარებდნენ. ოჯახის პირველი შვილი ვარ. ჩემს შემდეგ კარგა ხანს მშობლებს შვილი არ გასჩენიათ. მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ ჩემი ძმა გაჩნდა, პატარა ხუჭუჭთმიანი გოდერძი, ოჯახის ღირსება და სიამაყე. ნებიერა და ამაყი გოგო ვიზრდებოდი. განსაკუთრებულად მანებივრებდა და ჩემს ყველა სურვილს მისრულებდა მამიდა, ჩემი საყვარელი მამიდა. მას საკუთარი ოჯახი არასდროს ჰქონია, არ ვიცი, რატომ... ადრე ამის შესახებ არაფერი გამეგებოდა, შემდეგ კი მერიდებოდა, მეკითხა ამის მიზეზი. მე კი საკუთარ თავზე მეტად ვუყვარდი. მახსოვს, რამდენჯერ ყოფილა მამაჩემი ჩემი ონავარობის გამო გაბრაზებული, მამიდა კი კალთას გადამაფარებდა და ძმას ემუდარებოდა, დედას აფიცებდა, ღვთისმშობელს ავედრებდა, რომ არ დავესაჯე.

ასე გაგრძელდა ჩემი უზრუნველი ბავშვობა, სანამ საშუალო სკოლა არ დავამთავრე და ერთ მშვენერ დღეს არ გავხდი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიიის ფაკულტეტის სტუდენტი.

მამამ ბინა მიქირავა, ერთოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა. მახსოვს პირველი სექტემბერი, პირველი სტუდენტური შეკრება, პირველი ლექცია, პირველი აუდიტორია, პირველი ლექტორი, თანაჯგუფელები. მაშინვე მივაქციე ყურადრება ჩემს გვერდში მჯდომ სანდომიან, შავთვალა, მრგვალსახიან გოგოს. მასაც მოვუედი თვალში, გავეცანით ერთმანეთს. მარინა ქუთაისელი გოგოა, კარგი ოჯახის შვილი, საინტერესო მოსაუბრე და ძალიან მხიარული. მაშინვე დავუახლოვდით ერთმანეთს. ბევრი საერთო თვისებები, საერთო ინტერესები და მისწრაფებები აღმოგვაჩნდა. ეტყობა, ამანაც განაპირობა, რომ საუკეთესო დაქალები გავხდით. მე სკოლა წარჩინებით მქონდა დამთავრებული, ამიტომ არ მიჭირდა მასალის ათვისება. მარინაც ჭკვიანი და ნიჭიერი გოგო იყო. ასე, რომ ლექციების შემდეგ თავისუფალი დრო საკმაოდ გვრჩებოდა. ვცდილობდით, ნაყოფიერად გამოგვეყენებინა. ძალიან მიყვარდა წიგნები, ახალი ფილმები, ამიტომ ბიბლიოთეკა და კინოთეატრები ხშირად იყო ჩვენი ყოფნის ადგილი. პერიოდულად, გამოსასვლელ

და უქმე დღეებში, სოფელში ჩავდიოდი. ხშირად მარინაც მიმყავდა. ჩემებმაც მალე შეიყვარეს ჩემი დაქალი. ასე, რომ სოფლის მოსაკითხავში მასაც ედო გარკვეული წილი. ასე გრძელდებოდა გაზაფხულამდე.

მაისის დასაწყისი იყო. დეკანის წინადადებით, ერთ მშვენიერ დღეს, სათაფლიაში გავმართეთ ექსკურსია. წინაპართა ნაკვალევზე გასვლამ საკმაოდ ემოციური გამოძახილი ჰპოვა ჩვენში. საღამოს თანაჯგუფელებმა გადავწყვიტეთ ბარში წასვლა. იქ კარგად მოვილხინეთ, შამპანურსაც გავუსინჯეთ გემო, შემდეგ კი დისკოთეკაზე წავედით. თავიდანვე ერთი ბიჭი, მეზობელი მაგიდიდან, დაჟინებით მიცქერდა, ეტყობოდა, მოვეწონე ან რაიმეთი დაინტერესდა ჩემით. ერთი სიტყვით, გამიწვია საცეკვაოდ. ტარიელი ქუთაისელი იყო, ჩემზე 3 წლით უფროსი. დამამთავრებელ კურსზე სწავლობდა პედაგოგიურში. სანდომიანი, ჭკვიანი და ყურადღებიანი ახალგაზრდა ჩანდა.

გაცნობიდან ერთი კვირის შემდეგ ინსტიტუტის ეზოში შევხვდი ტარიელს. მოვიკითხეთ ერთმანეთი, საღამოს შევთანხმდით კინოთეატრში საინტერესო ინდური ფილმი გვენახა. მე მარინაც დავპატიჟე. სეანსზე მე და ტარიელი გვერდიგვერდ ვიჯექით. ფილმი სიყვარულის თემაზე იყო, საკმაოდ საინტერესო და ცხოვრებისეული. ვითომ შემთხვევით ტარიელმა ჩემი ხელი ჩაიდო ხელებში. მთელს ტანში რაღაც უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა. აქამდე უცნობი სითბო ჩამეღვარა სხეულში და ამაფორიაქა. ერთი სიტყვით, მე და ტარიელს შეგვიყვარდა ერთმანეთი. უკვე აღარ ვმალავდით ჩვენს გრძნობებს. ტარიელი ძალიან ყურადღებიანი და თავაზიანი ბიჭი იყო. მსტუმრობდა ბინაში, ვმეგობრობდით, გვიყვარდა ერთმანეთი და შევხაროდით ცხოვრებას.

ასე გავიდა ერთი წელიწადი. ტარიელმა ინსტიტუტი დაამთავრა. მე გადავწყვიტე მშობლებისათვის მეცნობებინა ჩემი და ტარიელის სიყვარულის შესახებ. მამა დამპირდა: გაეცნობოდა სასიძოს და თავის მოსაზრებას მეტყოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მამა მესტუმრა. საკმაოდ აღელვებული ჩანდა. ჯერ შეისვენა, მერე კი გულახდილად მითხრა, რომ არ მოსწონდა ჩემი არჩევანი. მირჩია, მომესმინა მისთვის და ტარიელს გავცილებოდი. მიზეზი არ მითხრა. უბრალოდ, მშობლის რჩევა უნდოდა, რომ მიმეღო. მე საკმაოდ განებივრებული გოგო ვიყავი, ამასთან ჯიუტიც, მით უმეტეს, რომ ტარიელი ძალიან მიყვარდა. მასაც ვუყვარდი. ერთი

სიტყვით, მამას ვუთხარი, რომ აზრის შეცვლას არ ვაპირებდი. ამაზე მამა ძალიან გაბრაზდა. აღელვებულმა მითხრა, რომ არასდროს დასტურს არ მომცემდა და კარი მიიხურა.

მე ვტიროდი, ვნერვიულობდი, ვამტყუნებდი მშობლებს და მიკვირდა, თუ რატომ დაიწუნეს ტარიელი, რატომ არ ესმოდათ ჩემი, რატომ არ სცემდნენ პატივს ჩემს გრძნობებს, ჩემს არჩევანს, მხოლოდ მამიდას ესმოდა ჩემი და მას ვეცოდებოდი.

გარკვეული დროის შემდეგ შევხვდი ტარიელს. ავუხსენი ჩემი მშობლების აზრი ჩვენი სიყვარულის შესახებ და ვკითხე, როგორ მოვქცეულივიყავით. ტარიელს გული დასწყვიტა ჩემი მშობლების უარმა, მაგრამ მომეფერა და შემაგულიანა:

- მთავარია, ჩვენი გრძნობების გულწრფელობა და სიყვარულის მარადიულობა დავუმტკიცოთ და, იმედია, ადრე თუ გვიან გაგვიგებენ და პატივს მიაგებენ ჩვენს სიყვარულს.

ერთი სიტყით, გადავწყვიტეთ გაპარვა. მოვაწერეთ ხელი. ტარიელი ჩემთან გადმოვიდა. მამამ შემიწყვიტა ფინანსური და სხვა დახმარება. მეტიც, დედას და ოჯახის სხვა წევრებსაც აუკრძალა ჩემთან კონტაქტი.

ტარიელი მუყაითი და საზრიანი ბიჭი აღმოჩნდა. ჯერ მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი, მეგობრის რჩევით, ვაჭრობას მოჰკიდა ხელი. ერთი სიტყვით, საჭირო ფული გვქონდა. არ გვიჭირდა. ასე გავიდა ერთი წელიწადი. დავორსულდი. ეს რომ შეიტყო ტარიელმა, ძალიან გაუხარდა. უფრო მოსიყვარულე და ალერსიანი გახდა. მომეტებული მზრუნველობა და ყურადღება არ მაკლდა.

ამასობაში ქვეყანაში სიტუაცია აირია. დაიწყო აფხაზეთის ომი. ტარიელი ძალიან განიცდიდა ქვეყნის ბედის ბორბლის უკუღმა ტრიალს, განსაკუთრებით ომს, სეპარატისტულსა და უსამართლოს. ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებმა და მტრებმა ისარგებლეს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სისუსტით, საზოგადოების გათიშულობითა და დაქსაქსულობით, ატეხეს ომი ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ - აფხაზეთში. ქვეყანა თავზე გვექცეოდა, მისი სახელმწიფოებრიობა და ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის ქვეშ დადგა. ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი დანებებას, ქვეყნის გაჩანაგებასა და ტერიტორიების დათმობას არ აპირებდა.

პატრიოტულმა ძალებმა დაიწყეს მობილიზება. მოხალისეებად ეწერებოდნენ ეროვნული გვარდიაში, ნაწილი გასამხედროებულ

ორგანიზაცია „მხედრიონის” რიგებში ერთიანდებოდა და მიდიოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე, მშობლიური მიწის დასაცავად. ტარიელი, როგორც ჭეშმარიტი ქართველი და გულანთებული პატრიოტი, განზე ვერ გადგებოდა, ამას მეც ვგრძნობდი და ველოდი მის გადაწყვეტილებას.

ერთხელ განსაკუთრებით აღელვებული და აღგზნებული მოვიდა. თვითონ არაფერი უთქვამს და მეც ვერ გავუბედე, მეკითხა. საღამო ჩემთვის უცნობმა ორმა მამაკაცმა მოაკითხა. მომესალმენ, მოიბოდიშეს, რომ ასე გვიან შეგვაწუხეს, მაგრამ საქმე არ ითმენსო, თქვეს და ტარიელთან ერთად ჩაიკეტნენ ოთახში. დიდხანს დაობდნენ, რაღაც გეგმებს აწყობდნენ, ბჭობდნენ, ზომავდნენ. სუფრა გავშალე, მაგრამ არ ინდომეს, მომიბოდიშეს და გარეთ გავიდნენ. გაოგნებული ვიყავი. ტარიელს ვკითხე მისი ამხანაგების ღამის უცნაურ ვიზიტსა და ქცევაზე. ის ჯერ ჩაფიქრდა, თითქოს საჭირო სიტყვებს ეძებსო, ღრმად ამოისუნთქა და მითხრა:

- ჩემო მარიკა, მჯერა შენი, მჯერა და, იმედია, გამიგებ, ამიტომ მინდა გაგაცნო ჩემი და მეგობრების გადაწყვეტილება: ქუთაისელი ახალგაზრდობა ვერთიანდებით საძმოში, ვქმნით მოხალისეთა ასეულს და მივდივართ სამშობლოს დასაცავად. ერთი სიტყვით, აფხაზეთში, ომში მივდივართ, - თქვა და ჩამოჯდა საწოლზე. ერთ ხანს ასე იჯდა ჩაფიქრებული, შემდეგ ადგა, მომიახლოვდა და უსიტყვოდ გულში ჩამიკრა. მეფერებოდა, მკოცნიდა, გვეალერსებოდა მე და ჯერ არ შობილ ჩვენს შვილს.

მთელი ღამე ვტიროდი. გული მომიკვდა. მივხვდი, ოჯახი თავზე მენგრეოდა. მისი მშობლები არ შემიწუხებია, ან რა აზრი ჰქონდა. ვითომ ტარიელი დაუჯერებდა მათ? ან როგორ ეტყოდნენ, სამშობლოს დასაცავად არ წახვიდეო. ტარიელი წავიდა აფხაზეთში, ფრონტის წინა ხაზზე.

შვილი შემეძინა. ზაზა დავარქვი. ჩემი პატარა და ფუნჩულა ზაზა. ტარიელი ომში იყო. პერიოდულად მისი თანამებრძოლები ჩამოდიოდნენ. დაჭრილ-დასახიჩრებულები და ჩამოჰქონდათ ფრონტის ამბები. ჩამოჰქონდათ ტარიელის წერილები და პატარ-პატარა ამანათები ჩემთვისა და ზაზასთვის. ტარიელი დროდადრო ფულსაც გვიგზავნიდა.

თავი IV

საღამოს კარებზე უცნაური კაკუნი მომესმა. ჯერ შემეშინდა, ვაითუ მძარცველი ან ყაჩაღია, ეს ხომ ასე გახშირდა ჩვენში. ზაზას ეძინა. ვყოყმანობდი, გამეღო კარი თუ არა. კარის მიღმა მამაკაცის ხმა ისმოდა, ჩახლეჩილი. ჩურჩულით მითხრა: ტარიელის მეგობარი და თანამებრძოლი ვარო. ხელის კანკალით გავხსენი საკეტი და მოულოდნელი ღამის სტუმარი შინ შემოვიპატიჟე. ომარი მქვიაო, გვარი კი არ უთქვამს. გამეცნო, როგორც საჩხერის საძმოს წევრი და ტარიელის თანამებრძოლი. არაფერი მიკითხავს. უცნობი გამხდარი, მაღალი ტანის ახალგაზრდა იყო. სახეზე მოძალებული ნაოჭებით - ეტყობა არა ასაკის, არამედ დიდი დარდ-ვარამისა და გაჭირვების გამო. იქნებოდა ასე 25-27 წლის, მაგრამ საკმაოდ ასაკიანი კაცის გამოხედვა და იერი დაჰკრავდა. მარჯვენა ლოყის მთელ სიგრძეზე ნაჭრილობევი გასდევდა. ჩემდა უნებურად მის სხეულზე გადავიტანე მზერა - პიჯაკის მარჯვენა სახელო მიმჩვარული ეკიდა მხარზე. საწყალი, უხელო ხეიბარი. გულში რაღაცა ჩამწყდა და მთელ სხეულში ჩაიბნა. მთელი არსებით შემძრა მისმა ნატანჯ-ნაფლეთმა სხეულმა. უცნობი მიმიხვდა და შეეცადა დავემშვიდებინე:

- ნუ მომაქცევ, დაო, ყურადღებას, ეს ლაჩრობით არ მომსვლია, ბრძოლის ველზე დავტოვე მარჯვენა, მტრის ჭურვის ნამსხვრევმა მომაგლიჯა.

სამზარეულოში გავედი, ცოტა მაინც დავწყნარდე და ცუდი ფიქრები გადავიყარო-მეთქი. თან ყავას მოვადუღებ და ტკბილეულით გავუმასპინძლდები ღამის სტუმარს. გული საგულეს აღარ მიდევს, გუმანით ვგრძნობ, ეს ვიზიტი ტარიელს უნდა უკავშირდებოდეს. როგორაა ნეტა, ცოცხალია? უჭირს.

სასწრაფოდ ავანთე გაზქურა და ჯეზვე შემოვდგი. ყავა რომ ადუღდა, ხილთან და ტკბილეულთან ერთად დავდგი მაგიდაზე და სტუმარი მივიპატიჟე. ის ნელი ნაბიჯით მოვიდა, სკამზე მძიმედ ჩამოჯდა, ერთი მწარედ ამოიოხრა, სიგარეტის ნამწვი ჩაჭყლიტა საფერფლეში და ისე, რომ ჩემსკენ არ მოუხედავს, მითხრა:

- ვიცი, თქვენ მარიკა გქვიათ, გყავთ ერთი შვილი, ზაზა. ნუ გაიკვირვებთ, მე და ტარიელი ორ თვეს ერთად ვმკურნალობდით სოხუმის სამხედრო ჰოსპიტალში. თითქმის მხარდამხარ

ვიბრძოდით... - უცნობი გაჩერდა, ჯერ ჭერში აიხედა, შედეგ სადღაც წყვდიადში ჩაიკარგა მისი მზერა. მარცხენა ხელით ნიკაპი მოისრისა, შემდეგ პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტი და სანთებელა ამოიღო, ერთი ღერი ჩაიდო პირში, მეორე გაუბედავად მე შემომთავაზა.

არ ვეწევი სიგარეტს, მაგრამ არ გამკვირვებია და არც უხერხულად მიგრძვნია თავი, რადგან მესმოდა მისი. ჯერ ერთი, დღეს ბევრი ახალგაზრდა ქალი ეწევა სიგარეტს და მეორეც, მებრძოლის ცოლს რომ სიგარეტი მომეწია, გასაკვირი არც იქნებოდა. ამდენმა ფიქრმა, დარდმა და ვარამმა, შესაძლოა, სიგარეტის მოწევაც დაგაწყებინოს. თავაზიანად ვუთხარი უარი, თანაც მინდოდა. მან მორცხვად მომიბოდიშა და სიგარეტს მოუკიდა. ღრმა ნაფაზი დაარტყა, კვამლი რგოლებად გამოუშვა, ისევ დაარტყა ნაფაზი. მოსვა ყავა და მითხრა:

- დაო, მე ერთი ფრონტელი კაცი ვარ. იმერეთიდან, საჩხერედან. ერთი წლის წინათ საჩხერის საამოს წევრი გავხდი და სხვებთან ერთად სამთავრობო გვარდიის რიგებში ვიბრძოდი. ვმონაწილეობდი გაგრის ოპერაციაში, ვიცავდი სოხუმს. ერთ-ერთი საომარი მოქმედებისას მოწინააღმდეგის ჭურვის ნამსხვრევი მომხვდა და გონებადაკარგული მომათავსეს სოხუმის სამხედრო ჰოსპიტალში. პალატაში რამდენიმე დაჭრილი ვიყავით. თავიდანვე მიიქცია ჩემი ყურადღება ერთმა ახალგაზრდამ, რომელსაც არაერთი მძიმე ჭრილობის მიუხედავად, საკმაოდ მხნედ ეჭირა თავი და სხვა დაჭრილებს ამხნევებდა და აგულიანებდა კიდეც. მე გონს, როგორც გითხარით, ჰოსპიტლის პალატაში მოვედი. მძიმე ტკივილები მტანჯავდა სახისა და მარჯვენა მხრის არეში, კონტუზია მქონდა მიღებული, მაგრამ საკმაოდ მხნედ მეჭირა თავი, ეტყობა, ძლიერი გამაყუჩებელი წამლების ზემოქმედების ქვეშ ვიყავი. რამდენიმე დღის შემდეგ ექიმებმა კონსილიუმი მოიწვიეს და გადაწყდა ჩემი მარჯვენის ამპუტაცია. შოკში ჩავვარდი, ოისიც ვიცოდი, რომ შეიძლებოდა განგრენა მთელ სხეულს მოსდებოდა. არ მინდოდა მარჯვენის დაკარგვა, მიმაჩნდა, რომ ვაჟკაცი უმარჯვენოდ ცოცხალი გვამია, ამიტომ ხელის ამპუტაციაზე კატეგორიული უარი განვაცხადე. სწორედ ამ დროს მომესმა მეზობელი საწოლიდან მისუსტებული, მაგრამ საკმაოდ ძარღვიანი ღაღადისი:

სიკვდილს ვერ შევეგუები... მარტო ჩემთვის რომ ვცხოვრობდე ან ვცოცხლობდე, სიკვდილი არაფერია... მაგრამ ეს მარტო ჩემი სიკვდილი არ იქნება... ეს იქნება ჩემი მშობლების, ჩემი მეუღლის და, განსაკუთრებით, ჩემი პატარა ზაზას სიკვდილი, რომელიც ჯერ თვალითაც არ მინახავს, მაგრამ ჩემს სიცოცხლეზეც ძვირფასია. ასეა შენიანებისთვისაც. ასე, რომ, ძმაო, გულს ნუ გაიტეხ, ნუ დანებდები სიკვდილს, ნუ გაიმრუდებ ბედს და ნუ გაამწარებ ოჯახს, ნუ შემოსავ ძაძებში დედას და მეუღლეს.

მყავს მოსიყვარულე მეუღლე და ქალ-ვაჟი. ამან ჩამაფიქრა, ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება იქნება, დავუბრუნდე მშობლებს და ცოლ-შვილს თუნდაც ცალი ხელით, მაგრამ ცოცხალი... გავითვალისწინე ჩემი უცნობი მეგობრის რჩევა და დავთანხმდი...

ოპერაცია დიდხანს გაგრძელდა. როცა გონსმოსული პალატაში დამაბრუნეს, უკვე დილა იყო, საოპერაციოდ კი გამამზადეს წინა დღის მიწურულს. მოვათვალიერე პალატა, თვალი გუშინდელ ჩემს კეთილისმსურველს ეძებდა... მეზობელი საწოლი ცარიელი იყო... საშინელი წინათგრძნობა დამეუფლა, გული დამეფუფქა და შორიახლო მდგომ მედდას მივანიშნე მეზობელ საწოლზე. მედდა მიმიხვდა, მომიახლოვდა, ბინტის ნაჭერით მომწმინდა სიმწრის ოფლისაგან დაცვარული შუბლი, ლოყაზე ხელი მომითათუნა და დამამშვიდა:

- გამხნევდი, ცოცხალია, საოპერაციოშია. ექიმები იბრძვიან მისი ქვემო კიდურების გადასარჩენად... საწყალი ქვეითთა ნაღმზე აფეთქებულა. სასწაულად გადარჩენილა, მაგრამ ფეხები აქვს დაფლეთილი... სხვა ორგანოები და სხეულის ნაწილები თითქმის არ დაზიანებია. ვილოცოთ, უფეხო ინვალიდად არ დარჩეს. ეტ-ყობა, ვაჟკაცი და გულიანი ბიჭია. ტარიელი ჰქვია, ქუთაისელია.

ჩუმად, გულმხურვალედ ვილოცე. „მამაო ჩვენო" სამჯერ ჩავიკითხე, უფალს და ღვთისმშობელს მივანდე ჩემი და ტარიელის ბედი. შემდეგ უეცარმა ტკივილმა დამიარა სხეულში, აუტანელმა, დაუნდობელმა და უნჯმა. სიმწრით დავიკლაკნე, მოვასწარ შეყვი-რება, დაო მიშველე-მეთქი და ჩავიძირე წყვდიადში.

გონს მოვედი. თავს უკეთესად ვგრძნობდი. ჩემი მეზობელი უკვე გადმოეყვანათ პალატაში, მაგრამ საღათას ძილით ეძინა. საწოლზე სპორტული აღნაგობის, საკმაოდ ზორბა, მაღალი ტანის ახალგაზრდა იწვა, მძიმედ, მაგრამ ღრმად სუნთქავდა, რაც მოასწა-

ვებდა სხეულის სიმკვრივესა და სულის სიძლიერეს. პალატაში რამდენიმე დაჭრილი ჯარისკაცი იწვა. მეზობელს კარგა ხანს ეძინა, ძლიერმოქმედი ტკივილგამაყუჩებელი წამლების ქვეშ.

როგორც იქნა, გამოეღვიძა ტარიელს. სახის გამომეტყველებით მივხვდი, გაეტანჯა აუტანელ ტკივილებს, მაგრამ მხნედ ეჭირა თავი. გავეცანით ერთმანეთს. გავიხსენეთ, სად ვიბრძოდით, როგორ დავიჭერით და როგორ მოვხვდით ჰოსპიტალში. ორივე მძიმედ ვიყავით ავად. ტკივილს ძლიერმოქმედი პრეპარატები გვიყუჩებდა და უმეტესად გვეძინა. ეპიზოდურად, როცა ორივეს გვეღვიძა ან პროცედურებზე არ გავყავდით, ვსაუბრობდით, ვამხნევებდით და ვცდილობდით, შეგვემსუბუქებინა ერთმანეთისთვის მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცის ბედი. ასე გასტანა რამდენიმე დღეს.

ერთხელ, ნასადილევს, მოვიდა ჩვენი მკურნალი ქირურგი, გაბრწყინებული სახით, გახარებული... ხელში ქაღალდების და რენტგენის ფირების დასტა ეჭირა. მიუახლოვდა ტარიელს, გადაკოცნა, მერე ლოყაზე მოუთათუნა ხელი და საზეიმოდ ამცნო:

- ჩემო ტარიელ, პერანგში ხარ დაბადებული ნამდვილად, ღმერთი ჩვენთანაა, ეს ესაა ცენტრიდან მოვიდა დასკვნა, რომ შენი ფეხების გადარჩენა სავსებით შესაძლებელია, საჭიროა სპეციალური მკურნალობა.

ყველას ძალიან გაგვიხარდა... გვიხაროდა, რომ კიდევ ერთი ქართველი მეომარი არ დახეიბრდებოდა, სრულფასოვან მოქალაქედ და კაცად გავიდოდა ჰოსპიტლიდან და დარჩებოდა ქვეყნის დამცველთა და მოამაგეთა რიგებში. ტარიელისა და ჩემი მკურნალობის პროცესი შედეგიანად მიმდინარეობდა, მაგრამ საშინელი ტკივილები გვტანჯავდა. გარკვეული დროის შემდეგ ტარიელმა ყავარჯნების მეშვეობით ჰოსპიტლის ეზოში გასვლა და სეირნობა შესძლო. აქ გაიცნო და დაუმმაკაცდა ერთ სოხუმელ ბიჭს. ისიც საკმაოდ მძიმედ იყო დაჭრილი. ტარიელმა, ამ ბიჭის მეშვეობით, ერთხელ ნარკოტიკს გემო გაუსინჯა და ეტყობა უკვე ეძალებოდა.

გავიდა ორი თვე. სამხედრო-სამედიცინო კომისიამ პირველი ჯგუფის ინვალიდად მცნო და სახლში გამომიშვა. ტარიელი, მისი დაჟინებული თხოვნით, ბრძოლისუნარიანად ჩათვალა და გაგზავნეს თავის ნაწილში, რომელიც იმ დროისათვის იბრძოდა ტყვარჩელის მისადგომებთან. გამოთხოვებისას მომცა თქვენი

მისამართი, მთხოვა თავისი ოჯახის მონახულება და დამშვიდება, თანაც ეს ფული გამომატანა...

ომარმა იყუჩა, ყავა მოსვა, შემდგ თავისი მისამართი და ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა. პირობა ჩამომართვა, რომ საჭიროების შემხვევაში შევატყობინებდი ჩვენს ამბავს. შემდეგ, ჩემი ნებართვით, შევიდა ზაზას საძინებელში, მძინარეს მოეფერა და მიეალერსა, სულ ჩამოსხმული ტარიელიაო, ჩაილაპარაკა, ხელი ფრთხილად მოუთათუნა ქოჩორზე და წავიდა.

ომარს, როგორც ახლობელ ადამიანს, ისე გამოვემშვიდობე.

თავი V

დილით ადრე გამეღვიძა, დამძიმებული ფიქრებითა და გაურკვევლობით, მაგრამ მაინც იმედიანად.

ამინდი კარგია, მზეც ანათებს. სამშობლოში მგონია თავი. იგივე ცა, იგივე მთები. თითქმის გარემოც ერთნაირია. ავდექი, საწოლი მივალაგე და თავის მოწესრიგება გადავწყვიტე, დღეს ხომ პირველი სამუშაო დღე მაქვს თურქეთში.

პირველად ვარ საქართველოს საზღვრებს გარეთ, ამიტომ მფრთხალი შვლის ნუკრივით, ვაჟას ნუკრივით ვთრთი და ვკანკალებ. ყველაფრის მეშინია, ჩემთვის ყველაფერი უცხოა და ახალი. ერთი სიტყვით, გარემო სხვაა. ჩემთვის მხოლოდ ქართულია მშობლიური. მე გარე სამყაროს ქართველის თვალით ვუყურებ, აღვიქვამ ქართული რეალობით, ქართული მსოფლმხედველობითა და ფსიქოლოგიით, ქართულად მიყვარს და ქართულად მძულს, ქართველი კაცისა და ქართული ბუნების შემოქმედება ვარ.

საათს დავხედე. დილის რვის ნახევარია. მახსოვს, ზეინაბმა მითხრა: ცხრა საათზე სასტუმროს ფოიეში უნდა შევიკრიბოთ. ჯერ დრო მაქვს. თვალი ფანჯარას მივაპყარ. უკიდეგანო ზღვა, ლურჯი სივრცე, ისევე უკიდეგანო, როგორც ჩემი ფიქრები და დარდები.

ჩემო ზაზა, ნეტავ, შენზე შემავლებინა თვალი, რას არ გავიღებდი ამ ბედნიერი წუთისთვის. ვიცი, დედაჩემი და მამიდა ცივ ნიავსაც არ გაკარებენ, მაგრამ, განა, რამეს შეუძლია დედის ალერსი და სითბო შეცვალოს? შესაძლოა, ჩემი პატარა უკვე შეეგუა უჩემობას, ის ხომ სულ პატარაა, რაღაც სულ ორი წელია, რაც სამყაროს მოევლინა. პატიმარი მამისა და უბედური დედის პირმშო.

რატომ, ტარიელ, რატომ? ნუთუ ნარკოტიკები და კრიმინალური სამყაროს დითირამბები შვილზე და შენს საყვარელ მარიკაზე კარგია, ძვირფასი თუ ღირებულია?

ხასიათი წამიხდა, განწყობა მომეშალა. გოგოებს არ დავლოდებივარ. ჩავდივარ სასტუმროს ბარში. იქ მზარეულ-მიმტანი (მე ასე ვიაზრე, რახან ამ ქალის გარდა იქ სხვა არავინ იყო) შემეგება. მკითხა სახელი. ვუთხარი. ორაზროვნად გადმომხედა, მის მზერაში სინანულიც შევნიშნე, შებრალებაც და ზიზღნარევი ქედმაღლობაც. ნეტა, რატომ? გული შემეკუმშა, მეტკინა, რაღაც მკერდში ამეწვა. ასე

რატომ რეაგირებენ ჩვენს, ქართველი გოგოების, დანახვაზე აქაურები? რა ხდება, რატომ აქვთ ასეთი რეაქცია, უცხოელები არ უნახავთ? აბა, ტურისტული და სავსებით ევროპული ქალაქიაო ტრაპიზონი, განტვირთული მუსლიმანური ყოფის აკძალვებისა და პირობითობებისაგან... ვერ გამიგია, ღმერთმანი.

უფრო ზრდილობისთვის მზარეულ-მიმტანს ვკითხე:

- თქვენ როგორ მოგმართოთ?

- გულიზარი მქვია, - მითხრა, წინსაფრის ჯიბიდან ბლოკნოტი და კალამი ამოიღო, გადაფურცლა, სუფთა გვერდი შეარჩია, ზემოდან დიდი ასოებით დააწერა: მარიკა, ქვემოდან ორი ხაზი გაუსვა, უფრო ქვემოთ, მარჯვენა კუთხეში თარიღი მიაწერა და, ვაი, საოცრებავ, გამართული ქართულით მითხრა:

- რას შეუკვეთ, შვილო?!

რაღაც სითბოს ალმა დამიარა ძარღვებში. ღმერთო, ეს კილო ნაცნობია, სად მსმენია ნეტა. ააა, მომაგონდა, ერთი თუში, ახმეტელი გოგო სწავლობდა ჩემთან ერთად, სანათა ერქვა, დედით ფშაველი და მამით თუში, სოფელ ზემო ალვანიდან. აი, იმისი კისკასა კილოკავი და წკრიალა ხმა ჩამესმა. ნუთუ, ქალბატონი გულიზარიც საქართველოდანაა. კაი, მე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ის ხომ სამოცს მიტანებული იქნება. ვაიმე საქართველოვ და უბედურო ქართველობავ!.. რა გაჭირვება გვადგას და რა უშველებელი, დედაბუდიანად რომ გადმოგვხვეწა ლუკმაპურის საშოვარზე. ვიფიქრე, ვკითხავ-მეთქი, მაგრამ მომერიდა, შემდეგისთვის გადავდე. ამ დროს ჩემი გოგონებიც შემოვიდნენ.

არ გამიბრაზდეთ, ჩემი გოგოებიო, რომ ვთქვი. მგონი, ასე უფრო მართალი იქნება. ჩვენ ხომ ერთ ბედს ქვეშა ვართ. ისინი უფრო მხიარულები არიან. რას იზამ, კაცია და გუნება. ისე, აქ ჩემთვის ბევრი რამ ამოუხსნელი და უცნაურია.

თავი VI

საუზმის შემდეგ ოთახში აღარ დავბრუნებულვარ. ზეინაბიც მოვიდა და წავედით რესტორანში. პირველი სამუშაო დღეა უცხო ქვეყანასა და უცხო გარემოში, უცხო საზოგადოებაში, ხალხში. მართალია, ქართველ გოგონებს ვიცნობ, მაგრამ იმდენად მწირი ინფორმაცია მაქვს მათზე, რომ ამას ნაცნობობას ვერ დაარქმევ, მით უმეტეს ახლობლობას.

უფალო, დაგვიფარე და შეგვიწყალე!..

რესტორნის დარბაზში ქენანი დაგვხვდა. კარგ განწყობაზე იყო, იცინოდა, რაღაც ფრაზებს ისროდა; უფრო ცინიკურობა იყო მის ღიმილში, ვიდრე კეთილშობილური ან კეთილგანწყობილი. ცალკეული ფრაზებიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ზეინაბი გაბრაზებულიყო. თურქულად რაღაც მიახალა, რამაც ქენანის აგდებული პროტესტი გამოიწვია. ჩვენც არ მოგვეწონა. ენის უცოდინარობა ცუდია, შეგუება კი - ძნელი. შეიძლება, ადამიანი პირში გიღიმოდეს, მაგრამ ისეთი უწმაწური და შეურაცმყოფელი რამე თქვას, რომ... მაგრამ რაც არ იცი და ვერ ხვდები, ამაზე რა პროტესტი უნდა გამოთქვა? გადავწყვიტე, რაც არ უნდა დამიჯდეს, თურქული უნდა ვისწავლო. სალაპარაკო ენა მაინც უნდა ავითვისო, იმ დონემდე მაინც, რომ ვიცოდე, შეურაცხყოფას ხომ არ მაყენებენ. ამ საქმეში გულიზარი უნდა გამომადგეს. ნანა დეიდაც საკმაო გამოცდილი ქალი უნდა იყოს, იმედია, ისიც მომეხმარება.

რესტორნის დარბაზი საკმაოდ დიდი იყო. თხუთმეტი მაგიდა იქნებოდა. გვერდებზე ჩამწკრივებული იყო შირმებიანი კუპეები. ქართველი ოთხი ვართ. იქ სხვა გოგონებიც დაგვხვდნენ. მაგრამ ჩვენებური არც ერთი არ იყო. მერე გავეცნობი, თუ საჭიროება მოითხოვს.

ჩემი, ნანას, ლამზირას და მანანას მაგიდები, რომელთაც უნდა მოვემსახუროთ, ერთმანეთის მიყოლებით დგას. თითოს ორ- ორი მაგიდა შეგვხვდა. დანარჩენი ექვსი სხვა გოგონებს ერგოთ. მათაც ორ-ორი. კუპეებიც შესაბამისად გადაანაწილეს ქენანმა და ზეინაბმა. იქაც ორ მაგიდას ერთი მიმტანი უნდა მოემსახუროს. ოცი მაგიდაა რესტორანში, თოთხმეტი დარბაზში და ექვსი კუპეში. რესტორანს ემსახურება ათი გოგო. დანარჩენი ექვსი გოგო ქართველი არაა, რუსულად ლაპარაკობენ. ეტყობა, სლავები არიან.

ჩვენთან შედარებით უფრო ვულგარულად და გამომწვევად აცვიათ.

არ მომეწონა, ვაითუ, ზეინაბმა დაგვაძალოს, მათ მივბაძოთ. არ ვიცი, სხვა ქართველი გოგონები როგორ მიიღებენ, მაგრამ მე ცოცხალი თავით არ დავთანხმდები. მართალია, ტარიელი ციხეშია და საკმაოდ უღმერთოდაც მოგვექცა მე და ზაზას, მაგრამ ამას ჩემი ქართველქალობის და ზნეობისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მე გათხოვილი ვარ, ერთგული ცოლი და ვაჟის დედა. როგორ დავუშვებ, ვინმემ ოდესმე ჩემს ზაზას წამოსძახოს, დედა ასეთი ან ისეთი გყავსო. ეგრემც ჩამექცეს მიწა ფეხქვეშ. ან მშობლებს რა ვუყო? მამიდას, იგი ისედაც გავამწარე ჩემი თავნებობითა და უბედობით.

უფალო, შემიწყალე და დამიფარე! ამინ!

ჩემი მაგიდები ფანჯრის გასწვრივაა. გადავწმინდე, დავალაგე, შესაბამისი სერვისით გავაწყვე და სკამზე ჩამოვჯექი. ჯერ დილაა, კლიენტები არ ჩანან.

ზეინაბი და ქენანი სწუხან, თურქული ენა რომ არ ვიცით. რაღაცას დავობენ, მსჯელობენ, რა თქმა უნდა, თურქულად, ერთ ამბავში არიან. ისევ მანანამ გამონახა გამოსავალი: შესთავაზა, ზეინაბს შეედგინა ჩვენთვის პატარა ლექსიკონი-ცნობარი, ესე იგი, რესტორნის პირობებში ყველაზე გამოყენებადი სიტყვები. ჩვენ შევისწავლით ან, რიგ შემთხვევაში, ბლოკნოტში ჩავიხედავთ ხოლმე. ზეინაბს და ქენანს ისე გაუხარდათ, გეგონებოდათ, სასწაული მოხდაო. ქენანი გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ ოთხი პატარა ბლოკნოტი და საწერკალამი მოიტანა. შემოვუსხედით მაგიდას და ზეინაბის „ბრძნული” ხელმძღვანელობით დავიწყეთ ცალკეული სიტყვების და მარტივი წინადადებების ჩაწერა-შესწავლა.

ასე გაილია დღე. საღამოს შვიდი საათიდან დაიწყეს სტუმრებმა შემოსვლა. სლავი გოგოები, ეტყობა, საკმაო ხანია აქ მუშაობენ, რადგანაც შემოსულთა უმეტესობა მათ იცნობს. ისინიც მხიარულები და უდარდელები ჩანან, ესალმებიან, იწვევენ მაგიდე-ბთან და ერთ ამბავში არიან.

ჩვენც ჩვენს მაგიდებს დავსტრიალებთ. მე ხან მტვერს გადავწ-მენდ, ხან სკამებს მოვასწორებ. ცალი თვალით სლავ გოგოებს ვუჭვ-რეტ, ასე ვთქვათ, გამოცდილების გაზიარების მიზნით. მე ხომ ამ-გვარ დაწესებულებაში არასდროს მიმუშავია, შესაბამისად გამოც-

დილებაც არ მაქვს. მაგრამ სიბრძნისა არ იყოს: მგელს ფეხები ასაზ-რდოებენო. მით უმეტეს ზეინაბმა და რესტორნის მეპატრონემ ერთმნიშვნელოვნად გვითხრეს: ანაზღაურება დამოკიდებული იქნება კლიენტების ნავაჭრის ოდენობაზეო.

მანანა მიახლოვდება და მეუბნება:

- მარიკა სლავები ნამდვილად გვჯაბნიან. ასე ჩვენ მშივრები დავრჩებით, იმაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, გვექნება რაიმე სახსარი, საქართველოში რომ გავუგზავნოთ ჩვენებს. ხომ გაგიგია ქართული ანდაზა: თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო. უნდა ვიმოქმედოთ, რუსებსაც აქვთ კარგი ანდაზა: კარგ მონადირესთან ნადირი თვითონ მოირბენსო.

გადავწყვიტეთ, ვიაქტიუროთ.

ვუხმეთ ნანას და ლამზირას. მანანა სხარტი და თამამი გოგოა. ქართველებს გვაქვს ერთი კაი სიტყვა - ჯიგარი. სწორედაც რომ მანანა ჯიგარია. საიდან ამდენი სისხარტე? ეტყობა, მექნება დრო, ჩვენი გოგონები უკეთ გავიცნო.

ოთხივე დავდექით მაგიდებს შორის სივრცეში, გავსწორდით წელში, კეკლუცი სახეები მივიღეთ.

აი, შემოდის ორი ახალგაზრდა. მანანა რევერანსს აკეთებს, ლამაზ შავ თვალებს მაშუქებივით ანათებს და ეუბნება:

- მუსაფირლერ, ლუთფენ, ბუირუმს, ოთურ ბურდა (სტუმრებო, გეთაყვათ, მობრძანდით, დაბრძანდით აქ).

ამ მოულოდნელობამ ჩვენ გაგვაოგნა, სტუმრები კი გაკვირვებული გვიყურებდნენ და ერთმანეთში რაღაცას თურქუ-ლად ლაპარაკობდნენ. მათი სახეები, მიმიკა და კეთილგანწყობილი გამომეტყველება იმას ამბობდა, რომ ეს ჩვენი პირველი გამარჯვება იყო.

სტუმრები დასხდნენ მანანას მაგიდასთან. მანაც კარგი და გამოცდილი მიმტანივით მოიმარჯვა ბლოკნოტი, ავტოკალამი, მოიღერა ყელი და გაქვავდა.

მომაფაქრდა და მენიუ დავუდე მაგიდაზე.

ერთი სიტყვით, ცოტა ხანში ჩვენი მაგიდები შეივსო. სტუმრები კმაყოფილები ჩანდნენ მომსახურებითაც და კერძები-თაც. ასე გაგრძელდა გვიანობამდე. ერთს კი მივაქციე ყურადღება - სლავი გოგონები სტუმრების გაცილების შემდეგ უკან აღარ ბრუ-ნდებოდნენ. რაღაც მენიშნა, შემეშინდა. ჩემი ეჭვები და შიში ნანას და მანანას გავანდე. ისინიც ჩემს მოსაზრებას ეთანხმებოდნენ, მაგ-

რამ ჩემთვის ვითომცდა შეუმჩნევლად ერთმანეთს შეთქმულებივით უპაჭუნებენ თვალს.

ვაიმე, ჩვენც რომ შემოგვთავაზონ? რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?!. ქენანისა და ზეინაბის ქმედებებიც არ მომწონს. პერიოდულად ეძახიან სლავ გოგოებს და მათი მითითებით მიდიან სხვა მაგიდებთანაც, მაგრამ რაზე ლაპარაკობენ, ჩვენთვის გაუგებარია.

ღამის თორმეტი გადაცილებული იქნებოდა, რომ დავამთავრეთ მუშაობა და დავბრუნდით სასტუმროში. დავიღალე, მეძინება, ვეღარ ვფიქრობ...

თავი VII

დილით ჩვეულებრივ გავიღვიძე, მოვიწესრიგე თავი და დაველოდე ქართველ გოგონებს. ჩვენს შორის უცხოობის ყინული ნელნელა ლღვება. ვეჩვევით ერთმანეთს და გარკვეული გრძნობებიც გვიჩნდება ერთმანეთისადმი, თანაგრძნობისა და თანადგომის გრძნობათა ნარევი. სასტუმროს ბარში წავიხემსეთ და წავედით რესტორანში. როგორც წესი, დილით რესტორანში მომსვლელი ნაკლებია, თუ შემოივლიან მეზობელი დაწესებულებებიდან ახალგაზრდა ქალები ყავის დასალევად ან კიდევ მაღაზიის მეპატრონეები ჩაის დასალევად.

მაგიდებს მივაშურეთ. მტვერი გადავწმინდეთ, შევასწორეთ სერვისი და ჩამოვჯექით სტუმრების მოლოდინში. ცოტა ხნის შემდეგ მომიახლოვდა ერთი სლავი გოგონა. იქნებოდა 20-22 წლის, ლამაზი, ქერათმიანი, სანდომიანი იერითა და მიამიტი გამომეტყველებით, ზრდილობიანად მომესალმა, მომაჯადოებლად გამიღიმა და შემომთავაზა გაცნობა. სიამოვნებით დავთანხმდი. სვეტა რუსეთიდან, სამარიდანაა. აქ დაქალებთან ერთადაა, როგორც მან თქვა, გაკვირვებულია ჩვენი მოქმედების თავისებურებით და კლიენტებთან თავშეკავებული ქცევით. დაინტერესდა ჩვენი ეროვნებით. რომ გაიგო, ქართველები ვიყავით, რაღაც გაკვირვებითა და ორაზროვნად ჩაილაპარაკა:

- მე სხვა წარმოდგენა მქონდა ქართველ ქალებზე. - თავი გადააქნია, ჩაიცინა და სასწრაფოდ გაგვშორდა, რადგან ამ დროს მეორე სლავმა გოგომ იხმო.

ჩვენს ქართულ წარმოშობაზე სვეტას რეაქციამ ძალიან ჩამაფიქრა, მით უმეტეს რეპლიკამ... ვერ გავიგე, რა ჩავიდინეთ ისეთი, სვეტას და მის დაქალებს რომ არ მოსწონებოდათ. იმანაც შემაშფოთა, რომ ამ რეპლიკაზე "ჩემს" გოგონებს რატომღაც არავითარი რეაქცია არ ჰქონიათ.

ამასობაში ერთი საათი გავიდა. მოვიდა ზეინაბი. ეტყობოდა, კარგ ხასიათზე იყო. ალბათ, კმაყოფილი იყო ჩვენი გუშინდელი ქცევითა და სტუმრებთან მომსახურების ჩვენეული მიდგომით. რაღაც მითითებები მოგვცა და ავიდა რესტორნის მეპატრონის ოფისში.

მომსვლელთა რიცხვმა საღამოსთვის იმატა. მანქანის მკვეთრი გაჩერების გამო მუხრუჭების წრიპინა ხმამ მიიპყრო ჩვენი ყურად-

ღება. სამი ახალგაზრდა თამამად და ხმაურით შემოვიდა დარბაზში. ხალვათ ხასიათზე იყვნენ. მოათვალიერეს დარბაზი, შეიჭვრიტეს კუპეებში, ვითომ რაღაც მოინიშნესო და პირდაპირ ჩვენი მაგიდებისკენ გამოემართნენ. მე და ნანა შევეგებეთ სტუმრებს, საკმაოდ მორიდებულად და ზრდილობიანად შევთავაზეთ, დამსხდარიყვნენ მაგიდასთან.

თავაზიანად მიიღეს ჩვენი მიპატიჟება. მივაწოდე მენიუ და შეკვეთის მიღების მოლოდინში გვერდზე გავდექი.

ერთმა ახალგაზრდამ მენიუ ერთხანს ატრიალა ხელში. თანამეინახეებს თურქულად რაღაც ეთათბირა და მომცა შეკვეთა. ვკითხე, რომელ სასმელს ინებენდნენ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი იყო სპირტიან სასმელზე...

ახალგაზრდები ამან გამოაცოცხლა. ერთმა თქვა:

- თუ ჩვენც შევუდგენთ კომპანიას, დიდი სიამოვნებით დალევდნენ ვისკის.

გოგოებს გადავხედე. ნანამ და მანანამ ცოტა უხალისოდ, მაგრამ დაუბრკოლებლად მიიღეს მათი შემოთავაზება.

გოგონებს ვუთხარი:

- ჩვენ ხომ მიმტანები ვართ, განა, შეიძლება კლიენტებთან ერთად დროსტარება?!.

ნანას გაეცინა, შეთქმულივით გადახედა მანანას და რიხიანად თქვა:

- შეიძლება კი არა, აუცილებელიცაა, ჩვენი მოვალეობა ხომ კლიენტების მოზიდვა და ძვირადღირებული სასმელების შეთავაზებაა, ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ანაზღაურება.

მივუსხედით მაგიდას.

ოფიციანტის ფუნქცია ლამზირამ აიღო თავზე, ჩაიწერა შეკვეთა, მათ შორის ერთი ვისკი „ჯონი ვოლკერი“, ჩემთვის კი - საკმაოდ ძვირადღირებული უნგრული ღვინო.

წინასწარ მოვუბოდიშე ახალგაზრდებს და განვაცხადე, რომ მაგარი სასმელები არ მიყვარს. ამას პრეტენზია არ მოჰყოლია. ენობრივი ბარიერიც გადალახული იქნა. აღმოჩნდა, რომ ნანა და მანანა, გარდა ზეინაბის მიერ ნაკარნახევი შაბლონურიფრაზებისა, გარკვეულწილად ფლობდენ თურქულ სალაპარაკო ენას. მეც ვცდილობდი ზეინაბისგან ჩაწერილი სიტყვები, რომლებიც უკვე დამახსოვრებული მქონდა, შიგდაშიგ ჩამეკვეხებინა.

შეკვეთა საკმაოდ ჩქარა შესრულდა. ლამზირას თურქი მიმტანი ეხმარებოდა. ჯერ ყველანი ჩუმად შეექცეოდნენ კერძებს, შემდეგ ერთმა ახალგაზრდამ, ეტყობა, ჩათვალა, რომ გაცნობის დრო დადგა, წამოდგა, სადღესასწაულო იერით გამოაცხადა, რომ მას ხასანი ჰქვია და შემოგვთავაზა, წარგვედგინა ჩვენი თავი. ჩვენც რიგრიგობით ვთქვით ჩვენი სახელები.

კლიენტებიდან ერთს ერქვა თევრათი, მეორეს კი ავნი.

ხასანმა გახსნა ვისკის ბოთლი და ჩამოასხა ფუჟერებში. ავნიმ გადმომხედა, გამიღიმა, საკმაოდ ელეგანტურად დაიჭირა ბოთლი და ჩემს ფუჟერში ჩამოასხა ღვინო. რაღაც მომენტში სიჩუმე ჩამოვარდა. თევრათმა მუშტრის თვალით შეგვათვალიერა სამივე და დაინტერესდა, ბულგარელები ვიყავით თუ მოლდოველები. ვუთხარი, რომ ქართველები ვართ. ამის გაგონებაზე ხასანი და თევრათი აღტაცებაში მოვიდნენ, ხოლო ავნი მოიღუშა. თითქოს დაპატარავდა ეს მაღალი და მხარბეჭიანი ვაჟკაცი. ძნელად შესამჩნევი არ იყო, რომ განწყობაც წაუხდა. მაგრამ, რამდენადაც შეეძლო, შეეცადა, ეს მეგობრებს არ შეემჩნიათ.

ეტყობა, პირველ რიგში, საკუთარი თავის გამხნევების მიზ-ნით, წამოდგა, აიღო ფუჟერი, გაცნობის სადღეგრძელო წარმოთქვა ისე, რომ სხვების რეაქციას არ დალოდებია, დალია და მოშვებით დაჯდა სკამზე.

არ გამომპარვია ავნის რეაქცია, მაგრამ მიზეზს ვერ ჩავწვდი, ვერც ვკითხავდი. ჯერ ერთი, არ ვიცნობდი და არც იმდენი თურქული ვიცოდი, რომ აზრი თავიუსუფლად ჩამომეყალიბებინა. პირველად ვარ თურქეთში და შესაბამისად პირველად ვზივარ მაგიდასთან თურქების კომპანიაში. საკმაოდ ხალისიანად აიტაცეს ავნის სადღეგრძელო და ყველამ დალია. ნანა და მანანა საკმაოდ თამამად იქცეოდნენ და ჩქარაც „გაუშინაურდნენ“ ახალგაზრდებს. კიდევ რამდენიმე სადღეგრძელო ითქვა. ხასანმა იხმო რესტორნის მუსიკოსთაგან ერთ-ერთი და ცეკვა შეუკვეთა. ხასანმა ნანა გაიწვია, თევრათმა - მანანა. მე და ავნი დავრჩით მაგიდასთან. რატომღაც იგი საცეკვაოდ ჩემს გაწვევას არ ჩქარობდა.

ერთხანს ჩუმად იჯდა, თავჩაქინდრული. ეტყობა რაღაცაზე ფიქრობდა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ავნი რაღაც გა-მოცანას უკირკიტებს და პასუხი ვერ უპოვნია.

ხასანი ცეკვა-ცეკვით მოუახლოვდა ავნის და წააქეზა, მასაც ეცეკვა. ავნი, უფრო იმიტომ, რომ ამხანაგებს არ ჩამორჩენოდა, ან

ტოლი არ დაედო მათთვის, უხალისოდ ადგა და გამიწვია საცეკვაოდ. უგემურად ცეკვავდა, ერთჯერაც არ უცდია, ხელი მოეხვია ჩემთვის, ან სულაც შემხებოდა. ეგრეთ წოდებული „თეთრი“ ცეკვა იყო. დანარჩენი ორი წყვილი საკმაოდ თამამად ცეკვავდა და არც ხელების ფათურს ერიდებოდა. როგორც იქნა, მუსიკა გაჩუმდა და დავუბრუნდით ჩვენს მაგიდას.

შემდეგი სადღეგრძელო ნანამ წარმოთქვა - სიყვარულის სადღეგრძელო, თანაც ორაზროვნად უცქერდა ბიჭებს. მისი ქცევა უფრო „შებმას“ ჰგავდა.

არ მომეწონა და ხმადაბლა დავტუქსე გამომწვევად ნუ იქცევიმეთქი. საკმაოდ ხმადაბლა ვუთხარი, სხვებს არ გაუგიათ.

ავნი ჩემს გვერდით იჯდა, მას შეეძლო, გაეგონა. სახეზე წამით ბინდმა გადაურბინა, მაგრამ ეს მხოლოდ ელვასავით იყო. მე კი რაღაცამ დამკრა მეხივით და მთელ სხეულში დამიარა.

ვაიმე, ავნიმ ქართული ენა იცის? ის ხომ შეიძლება მუჰაჯირი ქართველების შთამომავალი იყოს?!. მსმენია, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში საკმაოდ ბევრი ქართველი მუსლიმანი გადაიხვეწა თურქეთში. შეიძლება, ამან გააფუჭა მისი ხასიათი. მომაგონდა, ეს მას შემდეგ მოხდა, როცა გაიგო ჩვენი ქართველობა. მეც გადმომედო ავნის უხასიათობა.

ამასობაში ტანგოს ჰანგები აჟღერდა და მთელი დარბაზი ერთ დიდ სკას დაემსგავსა. მე და ავნიც ვცეკვავდით, ცოტა გამხიარულდა ავნი. ასე გაგრძელდა მთელ საღამოს. მე მხოლოდ ღვინოს ვეტანებოდი, იმასაც მცირე ყლუპებით, ამიტომ საკმაოდ ფხიზლად და თამამად ვგრძნობდი თავს. ნანა და მანანა შეზარხოშდნენ, იგივე ითქმის ხასანსა და თევრათზე. უკვე აშკარად დაწყვილებულები, თურქულად რაღაცაზე ცოტა ხანს კამათობდნენ, შემდეგ ადგნენ, მოიბოდიშეს, ცოტა ხნით ქუჩაში გავისეირნებთ და დავბრუნდებითო. გავიდნენ, დავრჩით მე და ავნი. თვალებით ლამზირა მოვძებნე. ის მიჩენილ მაგიდასთან იჯდა და ხანში შესული მამაკაცის კომპანიაში კომფორტულად გრძნობდა თავს. აღარ შევხმიანებივარ. იყოს მისთვის-მეთქი.

ავნის შევთავაზე ურთიერთგაგების სადღეგრძელო. ამით მინდოდა ხაზი გამესვა მის პატიოსნებაზე და მინდოდა გამომეწვია გულახდილ საუბარზე, რადგანაც ვგრძნობდი, მთელი საღამო ნაძალადევად მხიარულობდა, მის თვალებში კი სევდას ჰქონდა ბინა დადებული. ჩვეული ტაქტით გაიზიარა ჩემი მოსაზრება და

ფუჟერი ბოლომდე გამოსცალა. მე მისი ძუნწსიტყვაობისაც მიკვირდა.

უკვე საკმაოდ გვიანი იყო, სტუმრებიც კანტიკუნტად ისხდნენ მაგიდებთან ან ცეკვავდენ. მოვიმიზეზე თავის ტკივილი, მოვუბოდიშე ავნის და სასტუმროში წასვლა დავაპირე. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, გამართული ქართულით, მაგრამ თურქეთში მცხოვრები ქართველის ჩვეული აქცენტით, ავნიმ შემომთავაზა ღამის ქალაქის დათვალიერება. არ დაელოდა ჩემს რეაქციას, ხელკავი გამომდო და გასასვლელისკენ გასწია. მე ანგარიშმიუცემლად, გაოგნებული მისი ლამაზი ქართულით, უსიტყვოდ და უპროტესტოდ გავყევი.

მივედით ავნის მანქანასთან. მან მოხდენილი ელეგანტურობით გამოაღო წინა კარი და შემთავაზა ჩაჯდომა. წყნარად მომიხურა კარი და ავტომობილი ადგილიდან ნელა დაძრა. ერთ დროს ჩუმად მივდიოდით, ალბათ, პირადულ საზრუნავზე ვფიქრობდით. სიჩუმე ავნიმ დაარღვია - შემთავაზა სანაპიროზე გასეირნება, პლაჟთან ახლოს გადაუხვია და ზღვასთან გააჩერა მანქანა. ამოიღო სიგარეტის კოლოფი და სანთებელა. ეტყობა, უფრო ზრდილობისთვის, შემომთავაზა სიგარეტი.

ბოდიში მოვუხადე, არ ვეწევი მეთქი.

ავნის ეს მოეწონა.

უხერხულად ვგრძნობდი თავს, იმდენი კითხვა დამიგროვდა, მე კი ვერ ვბედავდი რამის თქმას, ავნი იმდენად რაინდულად იქცეოდა. ორივე ვდუმდით.

ავნიმ ფილტრამდე დაიყვანა სიგარეტი, მანქანის ფანჯარა ჩამოსწია, ნამწვი გადააგდო, ღრმად ამოიოხრა, გეგონებოდა ყელში გაჩრილი უხერულობისა და სევდის გორგალი თან ამოაყოლაო და მკითხა:

- მარიკა, ალბათ, გაგიკვირდა, საიდან ვიცი ქართული, არ გინდა მკითხო?...

მე სულის შეძვრამდე ცნობისმოყვარეობა მტანჯავდა, მინდოდა მეკითხა და მიმეღო პასუხი.

- ავნი ბატონო, უხერხულობაში ნუ ჩამომართმევთ, ნამდვილად ძალიან მაინტერესებს.

ისეთ მოწიწება ვიგრძენი ამ კაი მექართულეს მიმართ, რომ გულისშემძვრელად ვნანობდი, რატომ მივეცი თავს უფლება და მთელი საღამო შენობით მივმართავდი-მეთქი.

ავნიმ ზრდილობიანად თავი დამიკრა და სევდანარევი ხმით დაიწყო:

- მე ჩვენებური ვარ, გურჯი - ქართველი, ოღონდ თურქეთში დაბადებული და აქ გაზრდილი. ჩემი წინაპრები საქართველოდან არიან, კერძოდ, აჭარიდან, როგორც ჩემი დიდი ნენე იტყოდა - შუახევიდან გადმოვსულვართ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. სამასწლიანი თურქული ბატონობის მერე, აჭარა დაუბრუნდა დედასაქართველოს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ხოჯა-მოლებმა და თურქმა ემისრებმა დაიწყეს ხალხში ჭორების გავრცელება, რომ ქრისტიანი ქართველები და რუსები დაიწყებენ თქვენს, როგორც მუსლიმანების, ჩაგვრას და დაწიოკებას, აგყრიან მამაპაპისეული მიწებიდან და გადაგყრიან ან შუა აზიის უდაბნოებში ან სიბირიას ყინვასა და სიცივეში, თქვენს მიწებზე კი სხვებს დაასახლებენო. რადგანაც აწიოკება და გასახლება არ აგცდებათ, უმჯობესია, აიყაროთ დედაბუდიანად და ერთმორწმუნე თურქეთში გადახვიდეთ საცხოვრებლად, სადაც ხონთქარი გპირდებათ საუკეთესო, ნაყოფიერ მიწებსა და ყოველგვარ სიკეთესო. ამას დაემატა რუსი მოხელეების სასტიკი და უგუნური დამოკიდებულება ადგილობრივი მუსლიმანი ქართველებისადმი. ამან იმედგაცრუება და ეჭვი გამოიწვია მოსახლეობაში. აჭარის ბევრი სოფლიდან აიყარნენ მუსლიმანი ქართველები და დაადგნენ მუჰაჯირობის მძიმე გზას. ასე აღმოჩნდნენ ჩემი წინაპრები თურქეთში. აქაც დიდი იმედგაცრუება ელოდათ. ბევრი ტანჯვა-ვაება გამოიარეს, ვითომ სამშობლოში არ ეყოთ თურქთა უღელი. სამშობლოდან შორს, სხვადასხვა პროვინციაში, მოუხდათ ნულიდან ცხოვრების დაწყება. გზაში და ახალ ადგილებზე დაფუძნების პირველ ეტაპზე ბევრი ჩვენებური დაიღუპა, ზოგი უკან დაბრუნდა მემლექეთში, სამშობლო-საქართველოში. მაგრამ მუჰაჯირთა უმეტესობა დასახლდა თურქეთში და თანდათან შეეგუა მათთვის უცხო გარემოს. ახლა უკვე წელგამართულად ცხოვრობენ. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენებურები შეძლებისდაგვარად ერთად, კომპაქტურად, სახლდებოდნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ, მხარში ედგნენ, ღირსეულად იცავდნენ ქართულ ადათ-წესებს, ქართულ მორალს და ქართულ გენს, ენას უფრთხილდებოდნენ, რომ არ გათქვეფილიყვნენ სხვა ხალხებში. დღემდე დიდი იშვიათობაა, ქართველი ქალიშვილი უცხოზე გათხოვდეს და ქართველმა - გურჯმა ყმაწვილმა არაქართველზე იქორწინოს. ჩვენ მუჰაჯირთა შთამო-

მავლები შეიძლება სიმდიდრით ან სხვა მატერიალური ფასეულობებით და დოვლათით ვერ დავიტრაბახებთ, მაგრამ შესაშური თავგამოდებით და დიდი რუდუნებით შემოვინახეთ ჩვენი დიდი ნენეს ნანა, როგორც ჩვენი ძველები იტყოდნენ, ქართული ადათ-წესები და, რაც მთავარია, ქართული ზნეობა და ქართველი ქალის ღირსება და ნამუსი. ამით მოგვქონდა თავი, ამით ვჯობნიდით თურქებს და აქ მცხოვრებ სხვა ეროვნების ხალხებს. თურქს მოჰქონდა თავი და საგვარეულო ღირსებად მიაჩნდა, ქართველ ქალიშვილზე თუ დაქორწინდებოდა. ახლა კი... და ავნიმ თავი ჩაჰკიდა.

ვიგრძენი, რაღაც საშინელი. მოუშუშებელი, დიდი ტკივილი ტანჯავდა მის გულს და უფორიაქებდა სულს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ავნის თვალებში დიდი სევდა, ტანჯვა და საყვედური ამოვიკითხე. ამან შემაზარა და სული ამიწეწა. გუმანით და ჩემი მწირი ინფორმაციის წყალობით მივუხვდი, თუ რა უთუთქავდა გულს და უწამლავდა სულს ავნის და ტირილი მომინდა, მაგრამ, ვაი, საოცრებავ, ვერ შევძელი ტირილი, ყელში რაღაც მწარე გორგალი გამეჩხირა, ლაპარაკის უნარი წამერთვა. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ასე. ორივე გაქვავებული ვიჯექით სავარძლებში...

როგორც იქნა, ძალა მოვიკრიბე, მთელი ჩემი ნებისყოფა დავძაბე და ავნის ვკითხე:

- ავნი ეფენდი, ძალიან სევდიანი ხარ, ვგრძნობ, რაღაც ძნელად სათქმელი გტანჯავს და რატომ საუბრობ წარსულ დროში, ახლა რა მოხდა, გევედრები, მითხარი, სიმართლე მწარეც რომ იყოს, არ მეწყინება.

ამ ფრაზამ ავნიზე უფრო მტანჯველად იმოქმედა, უფრო მოიღუშა, თითქოს დაპატარავდა. ავნის განწყობაზე ჩემმა მიუხვედრილობამ ან კიდევ სხვა რამემ აშკარად უარყოფითად იმოქმედა. კარგა ხანს დუმდა. შემდეგ ამოიოხრა ისევ ღრმად და მტანჯველად. ასე მხოლოდ დიდი ტკივილის გამო ოხრავს კაცი ან როცა ძალაინ ტკივა სული, შეძრულია მისი არსება. დაიწყო კიდეც:

- ჩემი დიდი ნენეი 90 წლისა გარდაიცვალა... ბევრს გვიყვებოდა მემლექეთზე, დედასაქართველოზე... სულ ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. სიცოცხლით სავსე თვალები და გაბრწყინებული სახე მხოლოდ მაშინ ჰქონდა, როცა მემელექეთზე საუბრობდა. იგონებდა მშობლიურ სახლს, სოფელს, ხეობას, მის საფიცარ შუახევს. ისე ტკბილად და განსაკუთრებული სინაზით ამბობდა ამ

შუახევს, რომ ჩვენ ბავშვები ენის მოჩლექამდე ვიმეორებდით, მაგრამ მაინც ისე ვერ გამოგვდიოდა, როგორც ნენეს. ეტყობა, ეს განსაკუთრებული სიყვარულით იყო ნათქვამი. ჩვენ ხომ მემლექეთი არ გვენახა, ამიტომაც ვერ ვატანდით ნენეს ნათქვამს გემოს და მადლს...

ნენეი იტყოდა: - სამოთხე მემლექეთშია. როცა ჩვენები კვდებიან, მათი სულები სასუფეველს იქ იკავებენო. ჩვენც გვჯეროდა და გვჯერა. ნენეს თვალებით ვხედავდით მემლექეთს. ნენეს ანთებული თვალები ანთებდა ჩვენ გულებს და მის ნათქვამ ყველა სიტყვას სათუთად ვიმახსოვრებდით, ვინახავდით, ვეჯიბრებოდით ჯეელები ერთმანეთს, რათა სწორად გამოგვეთქვა და ზუსტად მიგვებაძა ნენესთვის... გოგონებთან თავს ვიწონებდით გურჯულის ცოდნით. ისინიც, თავის მხვრივ, მეტი პატივისცემით მას ეპყრობოდნენ, ვინც უფრო გამართული გურჯულით მეტყველებდა. ჩვენთვის ქართულ სიტყვას მაგიური ძალა ჰქონდა, გვჯეროდა, თუ ქართულად შევთხოვდით ღმერთს, აუცილებლად აღსრულდებოდა, თუ ქართულად პატიოსან სიტყვაზე დაიფიცებდა კაცი, მისი გვჯეროდა, ხელწერილს არ ვითხოვდით და ხელშეკრულებას... თუ ქალიშვილს გურჯულად აუხსნიდი სიყვარულს, უარს არ მიიღებდი. იმიტომ, რომ ეს ხომ მადლიან ენაზეა გულიდან ამომსკდარი... მისი უცილობლად სჯეროდა გოგოს, როგორ შეიძლებოდა „ნენეს ენით" ტყუილის თქმა. ასე ვიზრდებოდი ასე დავვაჟკაცდი, ასე შევქმენი ოჯახი და ვზრდი შვილებს, მაგრამ...

ავნი ისევ გაჩუმდა. ისევ გაუქვავდა სახე, ისევ ტანჯული სული დაბორიალებდა ავნის თვალებში. მე შეკითხვა ვეღარ შევძელი. ისევ ავნის უნდა დაერღვია ეს მტანჯველი სიჩუმე.

მაგრამ ავნი დუმდა. ბოლოს მანქანის კარი გამოაღო, გადმოვიდა, მივიდა ზღვის ნაპირას, ჩაცუცქდა, ერთი ხანი იყო ასე. მეც გადმოვედი, ნელა მივუახლოვდი. შემდეგ აიღო კენჭები და ზღვას ესროდა, თითქოს ის იყო დამნაშავე ან ის უნდა მოხმარებოდა საჭირო სიტყვების გამოძებნაში, რომლებიც რაც შეიძლება დიპლომატიური და უმტკივნეულო უნდა ყოფილიყო, რომ ავნის სატკივარი და საშნელი სიმართლე ეთქვა, რამაც აიძულა ის წარსული დროით ალაპარაკებულიყო. ამას ორივე ვგრძნობდით, ამიტომ მე ჩუმად ვიდექი, ხოლო ავნი ზღვის პირას ჩაცუცქული გაჰყურებდა ზღვის უკიდეგანო სივრცეს.

ბოლოს ვეღარ გავუძელი, და-ძმურად, მისი დამშვიდების მიზნით, მხარზე მოვუთათუნე ხელი. ავნის გააჟრჟოლა, მხოლოდ მისთვის ჩვეულად ამოიოხრა და განაგრძო:

- მარიკა, მე 35 წლის ვარ. თითქმის ყველა მუჰაჯირი და ჭეშმარიტი გურჯი მემლექეთით ვცხოვრობდით და ღრმად დარწმუნებული ვიყავით- - თუ ჩვენ, მუჰაჯირობაში გადმოხვეწილმა გურჯებმა, შევინარჩუნეთ მემლექეთის სიყვარული, შევინახეთ და გულში გამოვატარეთ, თაობებს გადავეცით, ვეცადეთ, არ წაგვებილწა ქართული ჯიში და ჯილაგი, შევინარჩუნეთ ქართული ადათ-წესები, ზნეობა, ნამუსი, ქართველი ქალის ღირსება და პატივი, მემლექეთში ხომ სულ სპეტაკად და დიდი რუდუნებით იქნება დაცული-თქო. ისე კი საპირისპირო ხებრები მოდიოდა. აქაური პროპაგანდისტულ-პოლიტიკური ინფორმაციის მასობრივი საშუალებები სოციალისტურ ქვეყნებს და მათ წეს-წყობილებას გვიხატავდნენ, როგორც ბოროტების სიმბოლოს, ხალხთა საპყრობილეს. ვრცელდებოდა ტყუილ-მართალი, რომ კომუნისტები მგლები არიან, რომ მათ ქვეყნებში ოჯახები არ არსებობს, რომ ხალხი ცხოვრობს გაჭირვებაში და მისთანანი, მაგრამ სიმართლეც ჟონავდა. ვიცოდით, რომ მემლექეთი წარმატებული ქვეყანაა, რომ წერა-კითხვა ქართულადაა, რომ გურჯები ჯერაც ქართველობენ და ვითარდებიან. ამას ხელს უწყობდა აქაური გურჯების აქტივობა. კერძოდ, სულმნათი აჰმედ მელაშვილის და სხვების. აქაც დაიწყო ეროვნული თვითგამორკვევის მოძრაობა, გამოვიდა ჟურნალი „ჩვენებური“, დავიწყეთ ქართული სიმღერების შესწავლა, ჩამოვაყალიბეთ ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები. ერთი სიტყვით, თქვენს ქვეყანაში პოზიტიურმა პოლიტიკურმა ძვრებმა და ცივი ომის დასასრულმა ნაპერწკალი ააგიზგიზა და ყველანი მოუთმენლად ველოდით საზღვრების გახსნას, მიმოსვლის გაიოლებას, დაკარგული, გაწყვეტილი ნათესაური კავშირების აღდგენას. მოკლედ რომ ვთქვა, ბედნიერი მოლოდინით ვცხოვრობდით და ბავშვობის ნატვრის ახდენის იმედი გვქონდა. გვჯეროდა, ჩემი დიდი ნენეს მემლექეთის ნახვა შესაძლებელი გახდებოდა. წინაპრების საძვალეების მონახულებას შევძლებდით.

ნანატრი დროც დადგა. 1988 წლის აგვისტოში სარფის კარი გაიხსნა. გურჯები ზეიმობდნენ. წინაპრების საფლავებზე მივდიოდით და ჩავძახებდით:

- ბაბა... ნენე... აღსრულდა ოცნება, საზღვარზე ჭიშკარი გაიხსნა, დამშვიდდეს თქვენი სულები. აწი, მოვინახულებთ თქვენს და ჩვენს მემლექეთს... მოვივლით, თქვენს ბალავარსა და ნაფუძრებს ვეამბორებით, თქვენი ბავშვური ფეხების ნატერფალებს მოვეფერებით.

პირველ ხანებში მიმოსვლა ძალიან ჭირდა, მემლექეთში თითო-ოროლა თუ ახერხებდა ჩასვლას. მათ დაბრუნებას აფორიაქებული ველოდებოდით, გვეჩქარებოდა მემლექეთის ამბების გაგება, იქაური ნათესავების ყოფა, სელამ-ქელამი. მემლექეთიდან ჩამოსულებს სულგანაბული ვუსმენდით, გვშურდა მათი, რომ შეძლეს და მოიარეს წინაპართა მამულ-დედულეთი. შემდეგ თქვენი დიდი ქვეყანა დაინგრა და გურჯისტანმაც მოიპოვა დამოუკიდებლობა. ახლა თავისუფალი მემლექეთი გვაქვს, მაგრამ ნელ-ნელა თქვენთან სიტუაცია დაიძაბა, გახშირდა ცუდი და შემაშფოთებელი ხებრები. ჯერ იყო და, ცხინვალელ ოსებთან აირია ურთიერთობა, შემდეგ აფხაზებთან. შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირება... საშინელი, ძმათამკვლელი ომი. 50 ათასი დაკარგული სიცოცხლე. ბევრი განიცდიდა მემლექეთის ამბებს, ბევრი ეშურებოდა, როგორმე დახმარების ხელი გაეწვდინა მემლექეთისთვის.

საგრძნობლად იმატა თქვენებური გურჯების ნაკადმა თურქეთში. მართალია, ბევრი სიკეთე მოჰყვა ამას, მაგრამ ბევრი უმსგავსოებაც შემოიტანეს. მე ჩემი მტკივა, თორემ... ერთი სიტყვით, აქ ბევრი გურჯი ცუდად იქცევა. მეძავეობს, ქურდობს, ბოროტად იყენებს აქაურების ნდობას, იმათსას, ვინც აქ დახმარების ხელი გაუწოდა. რა თქმა უნდა, ოჯახი მახინჯის გარეშე არ არსებობს, ყველგან არის კარგი და ცუდი, პატიოსანი და ქურდი, ერთგული და გადამგდები, ბოროტი და კეთილი, ნამუსიანი და მეძავი, მაგრამ ხომ გითხარი - მე ჩემი მტკივა, მე ჩემი გონჯი მტანჯავს, მე უკეთესი მინდა...

ყველაზე ცუდი რაა, იცი, მარიკა, ადრე თურქი სიგლახეს ვერ გაგვიბედავდა, ჩვენს ქალებს თვალებში ვერ ჩახედავდა, გარკვეულად, საგრძნობლად ეშინოდათ ჩვენი, ჩვენ მათ კუდიანებს ვეძახდით. ახლა კი... ნიშნის მოგებით გვეუბნებიან, აი, როგორები არიან თქვენი გურჯებიო... ქურდობენ, თაღლითობენ, ატყუებენ, და, რაც ყველაზე შემზარავია, შეიბღალა ქართველი ქალის ღირსება, ნამუსი, პატივი... ბევრი აქაური გურჯი შეურაცხყოფილად, შერცხვენილად, გათახსირებულად გრძნობს თავს...

ბევრი ნანობს საქართველო - თურქეთს შორის საზღვრის გახსნას, სჯობდა, დიდი ნენეს ნატვრით და წარმოდგენებით გვეცხოვრაო. არც ისაა დასამალი, რომ ყველა კავკასიელი მეძავი და უღირსი ქალი თავს გურჯად ასაღებს.

აქ ავნი გაჩუმდა. შემდეგ კი მორიდებით მითხრა:

- შენც რა უსაშველო დაგადგა, რომ ამ გზაზე დამდგარხარ, რა გაგიჭირდა ასეთი, რომ ნამუსს და სხეულს ყიდი და ამ გზით აღებული ფული ხელებს არ გწვავს? ან ამ ფულით ნაყიდი პური შვილებს, მშობლებს, და-ძმებს როგორ უნდა აჭამო?!.

ეს თქვა, ქვითინი აღმოხდა, გულზე მჯიღი დაირტყა, ვაიმე, გურჯისტანოო, ვაიმე ნენევო, დაიბღავლა, გიჟივით წამოვარდა, მივარდა მანქანას, სასწრაფოდ დაქოქა, ბდღვირი აადინა გზას, ისე რომ ჩემსკენ არც მოუხედავს, მანქანა დიდი სიჩქარით გააქროლა...

თავი VIII

დავრჩი მარტო ქალაქის განაპირა უბანში, ზღვის პირას, სიბნელესა და გაუსაძლის სულიერ მდგომარეობაში.

ავნი ნამდვილი პატრიოტი ყოფილა... მისი წინაპრები 300 წელიწადს ოსმალური უღლის ქვეშ იყვნენ, მათ თავზე უამრავმა ქარტეხილმა გადაიარა... დამონება, დედასამშობლოდან მოწყვეტა, ცეცხლითა და მახვილით გამაჰმადიანება... ამის გამო ასიათასობით ამოწყვეტილი ნათესავი და მოკეთე, მეზობელი და მოყვარე. შემდეგ იყო 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი. იმედის ნაპერწკალი, თავგანწირული ბრძოლა, მსხვერპლი და სისხლი, უსახლკარობა და შიმშილი... დიდი გამართლება იმედისა, დედასაქართველოსთან გაერთიანება, დაკარგული ძმების პოვნა, პირველი სიხარული, პირველი ნატვრა, დიდი იმედები და დიდი გეგმები. შემდეგ კი ავბედითი სუსხი სარწმუნოებრივი სხვაობისა, რუსი მოხელეების გაუკუღმართებული მმართველობისა, მათი მხრიდან ახლადშემოერთებული ხალხის ყოფის უგულებელყოფა და რელიგიურ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობა, რასაც მოჰყვა იმედების გაცრუება, მსხვრევა და დიდი ტკივილი, მიყენებული იმის შეგნებით, რომ რიგ შემთხვევაში სისხლი დროს დაიღვარა. ეჭვი, რომ ამაოდ ოცნებობდნენ თაობები დედასამშობლოსთან დაბრუნებზე. ამას დაერთო ოსმალო ემისართა და სასულიერო პირთა გამუდმებული პროვოკაციული პროპაგანდა, რომ მათ არასდროს არ აღიარებენ, როგორც ნამდვილ ქართველებს და თანასწორებს, რომ მათ შორის ყოველთვის იქნება ჩატეხილი ხიდი სარწმუნოებრივი სხვაობის გამო. იმასაც ამბობდნენ, რომ მუსლიმან მოსახლეობას გაასახლებენ მამა-პაპისეული ადგილებიდან რუსეთის შორეულ ტრამალებში, ციმბირსა და შუა აზიის უდაბნოებში. ყოველივე ამან სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა აჭარის მკვიდრთაგან ბევრი და მიაღებინა გადაწყვეტილება, დადგომოდნენ მუჰაჯირობის ძნელ, გრძელ და ეკლიან გზას. მათ რიგებში აღმოჩნდნენ ავნის წინაპრებიც. მათ სრული გამართლება ექნებოდათ, თუ ზურგს აქცევდნენ ყოველივე ქართულს, დაივიწყებდნენ ენასაც და მამულსაც. მაგრამ ნურას უკაცრავად, მადლიან ხალხს სრულიად შემოუნახავთ ქართველობა, ქართული ზნე, ხასიათი, წესი და ადათი და, რაც მთავარია, აუწონავი სიამაყე ქართვე-

ლობისა და ამაყად უტარებია ყოველივე ეროვნული სრული იზოლაციისა და გათურქების რეალური საფრთხის მიუხედავად.

მიგიხვდი, ჩემო ავნი, რა ტკივილიც გტკივა, მიგიხვდი, რაც გიდაგავს გულს და გიწეწავს სულს, დისკომფორტი შეაქვს ძლივს აწყობილ შენს ცხოვრებაში. აფერუმ, შენს ქართველობას, ძმაო და შვილო, მიპატიებია, რომ მეც მეძავი გეგონე, შემინდია შენი გაცხარება და ისიც, რომ გულზვიადმა, გრძნობამორეულმა და მორალურად განადგურებულმა უდანაშაულო ქალი უცნობ ქალაქში მიმატოვე ღამის წყვდიადში, ზღვის პირას, და წახვედი. ჩემს თავზე არ ვნაღლობ, შენზე უფრო ვფიქრობ, განვიცდი, ვაი, თუ აღელვებულს და ნერვებაწეწილს რაიმე უბედურება შეგემთხვა გზაზე, რაიმე არ დაგიშავდეს ან ხიფათს არ გადაეყარო.

მართალი ხარ, ჩემო ავნი, რას მიქვია ისეთი გაჭირვება ან დუხჭირი ცხოვრება, რომ წმინდათაწმინდაზე აიღო ხელი, გაყიდო გროშებზე ქართველი ქალის ქებული ღირსება, ნამუსი და სხეულით ივაჭრო. ბევრი, ალბათ, ამას გამართლებასაც მოუძებნის, გამომწვევად ან სულაც გმირად წარმოაჩენს თავს. არ ვიცი, შეიძლება, ამასაც გამართლება აქვს, შეიძლება მართლაც სასოწარკვეთილების ბოლო გამოვლინებაა ან ახლობლების სიკვდილისგან ხსნის ერთადერთი გზა, ერთადერთი გამოსავალი... მე ხომ ჯერ ბევრი არაფერი ვიცი, მხოლოდ პირველი შეხება მაქვს ამ სამყაროსთან, მის მიერვე ნაკარნახევ გარემოებებთან. არ მქონია გამოცდილება, არ მომისმენია მათი ისტორია, რამაც ასეთ დღეში ჩაყარა ისინი და უკვე ძალიან მეჭევება, რომ მეც...

დიდი დრო გავიდა, სანამ ამ შთაბეჭდილებათა ქვეშ ვიყავი. ნელ-ნელა დავუბრუნდი რეალობას. რეალობა კი ასეთია: უცნობი ქალაქი, უცნობი სანაპირო, სრული დეზორიენტაცია და უკუნი ღამე.

ღმერთო, სად წავიდე, რა გამოსავალი ვნახო, რომელ წყალში ჩავვარდე. ხელჩანთა მოვიძიე, მოვქექე, თურქული ფულიც არ მაქვს, 20 ლარი მიდევს.

შევეცადე ორიენტირება, მსურს, გავარკვიო, სად ვარ, ძალიან შორს ვარ ქალაქიდან? შორსაა ქალაქისკენ მიმავალი გზა? მოვათვალიერე ადგილმდებარეობა. როგორც შევძელი განმესაზღვრა ღამის სიბნელის გათვალისწინებით, ვყოფილვარ ქალაქთან ახლოს, ნათლად ვხედავ გაჩახჩახებულ სახლებს. მოვინიშნე მოძრაობის

სავარაუდო მიმართულება, დავაყურადე მანქანების ხმაურის სიხშირეს და წავედი საავტომობილო გზისაკენ.

ტრასაზე კანტიკუნტად მოძრაობდნენ მანქანები, ისიც, უმეტესად, სატვირთოები. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რამდენად სწორი იქნება და თუა აქ წესად მიღებული ღამით, სიბნელეში ქალმა ხელი აუწიოს, ან რაიმე სხვა ჟესტით ანიშნოს მძღოლს მანქანის გაჩერება.

მომაგონდა ქართული ანდაზა: გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო. აქ ხომ ვერ დავრჩები მთელ ღამეს, რაიმე უნდა გავაკეთო, რომ სამშვიდობოს გავიდე. ღმერთს დიდება, რომ სასტუმროს სახელი მახსოვს, „სარი ჩიჩეგ“. საინტერესოა, ქართულად რას ნიშნავს. თუ მეღირსა მშვიდობით დაბრუნება, აუცილებლად უნდა ვიკითხო. ახლა კი... ამ სიტყვამ ჩემთვის მაგიური ძალა შეიძინა, ეს ერთადერთი სიტყვაა, რაც მაკავშირებს ამ კულტურულ, გაევროპებულ „ჯუნგლებთან“, ამ სიტყვამ სამშვიდობოზე უნდა გამიყვანოს.როგორც მსმენია, თურქები კულტურული და პატიოსანი, ზრდილობიანი ხალხია. მართლა ხომ არ დატოვებენ საცოდავ უცხოელ ქალს მარტოდ ღამით ქუჩაში... რამდენიმე სატვირთო მანქანამ ჩაიარა, ერთი-ორი მსუბუქი მანქანაც იყო. მე ჯერ გაუბედავად, მაგრამ ნელ-ნელა თამამად, ბოლოს კი სასოწარკვეთილი მთელი ძალით ვიქნევდი ხელებს, მაგრამ არავინ გააჩერა. იქნებ, ერიდებიან ზედმეტ პრობლემას ან სულაც უსიამოვნებას. როგორც იქნა, გამოჩნდა მსუბუქი ავტომანქანა, სიბნელეში ვერ გავარჩიე, რადგან შორი ხედვის მაშუქები ჰქონდა ჩართული. რომ მომიახლოვდა, შევიცანი, პოლიციისა იყო. ვაიმე, დედა! ეს შეიძლება ხსნაცაა ან პრობლემათა ჯაჭვის მხოლოდ პირველი რგოლიც. ღმერთო დიდებულო, დამიფარე განსაცდელისაგან...

მანქანაში ორი პოლიციელი იყო. საჭესთან მყოფი ადგილზე დარჩა, მეორე კი გადმოვიდა, მხედრულად მიიდო ქუდთან ხელი, მითხრა, რომ პოლიციელია, მომთხოვა საბუთები. როგორც შემეძლო, ავუხსენი, რომ ვარ უცხოელი, ახლახან ჩამოვედი თურქეთში და გაჩერებული ვარ სასტუმრო „სარი ჩიჩეგში,“ პასპორტი კი ჩაბარებული მაქვს ადმინისტრატორთან. ბევრი არაფერი უკითხავს, გავარკვევთო, ალბათ, ეს თქვა თურქულად და შემომთავაზა მანქანაში ჩაჯდომა. უარი არ მთქვამს, ან რა აზრი ჰქონდა... უსიტყვოდ ჩავეშვი მანქანის უკანა სავარძელში, რომლის კარები მანვე გახსნა და მანვე მიიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი გზა ჩუმად იყვნენ, თუ არ ჩავთლით მოკლე რეპლიკებს ერთმანეთს შორის. ჩემთვის რამე არ უკითხავთ, ისე მივედით განყოფილებაში.

პოლიციის შენობა ორსართულიანია. პირველი უფრო უსახურია, აქა იქ გისოსებიანი ფანჯრები აქვს - მბჟუტავი განათებით, ხოლო მეორე მიმზიდველად გამოიყურება, მაღალი ფანჯრებითა და გაჩახჩახებულია. ეტყობა, კაბინეტები და სხვა სამსახურებრივი სათავსოებია. ჩანს, „საწყლებს“ ღამითაც არ სძინავთ, ღამითაც მუშაობენ. თანმხლებმა პოლიციელმა უსიტყვოდ ამაცილა მეორე სართულზე და შემიყვანა ოთახში, ეტყობა მორიგესთან. მივხვდი, რომ დამხვდური უფრო მაღალი ჩინის მოხელე იყო, ვიდრე ჩემი გამცილებელი. უკანასკნელი მხედრულად მიესალმა და საკმაოდ ოფიციალური ტონით მოახსენა, მათ შორის ჩემს შესახებაც. ორივე ხშირად იხედებოდა ჩემსკენ. ნაცნობი პოლიციელი გავიდა, მიიხურა კარები.

მე კარებთან ვიდექი. მორიგე ერთ ხანს რაღაც ქაღალდებს უკირკიტებდა, სადღაც დარეკა რამდენიმეჯერ, ბოლოს მომიბრუნდა და დამიწყო გამოკითხვა. თითქმის ვერაფერი გავიგე, ვითხოვე თარჯიმნის მოყვანა. გაგონილი მქონდა, თურქულადაც თარჯიმანი თარჯიმანია. თანხმობის ნიშნად თავი დამიკრა და შემომთავაზა, კუთხეში სკამზე დავმჯდარივიყავი. უსიტყვოდ დავმორჩილდი, ჩამოვჯექი სკამზე და ფიქრებმა წამიღო: - რა იქნება ახლა, ნეტა დამიჯერებენ, გამიგებენ?

ცოტა ხნის შემდეგ პოლიციელმა პირველი სართულიდან ერთი გოგონა ამოიყვანა. ყველაფრით ეტყობოდა, რომ ქართველი იყო ან უარეს შემთხვევაში, კავკასიელი. იგი უპრეტენზიოდ მივიდა პოლიციელთან და რაღაც უთხრა. ჩემი ეჭვები გამართლდა. თარჯიმანი ქართველი აღმოჩნდა. მან მიმითითა მორიგესთან ახლოს დადებულ სკამზე და რატომღაც მისი ინიციატივით, ყოველ შემთხვევაში ასე გავიფიქრე, გამაფრთხილა, ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, თუ სიმართლეს ვიტყოდი და არ შევეცდებოდი პოლიციელების შეცდომაში შეყვანას. თარჯიმნის ზედმეტი ინიციატივიანობა და საკმაოდ ცივი და მკაცრი ტონი არ მომეწონა, თანხმობის ნიშნად უხალისოდ თავი დავუქნიე.

ჩვეულებრივ გამომკითხეს ანკეტური მონაცემები, როდის და რა მიზნით ჩამოვედი თურქეთში, რომელ სასტუმროში გავჩერდი, რას ვსაქმიანობ...

ვპასუხობდი დინჯად, როგორც შემეძლო, და ერთმნიშვნელოვნად.

მორიგე პოლიციელის პროტესტი გამოიწვია ჩემმა პასუხმა, რომ რესტორანში მიმტანად ვმუშაობ. მან საკმაოდ მკაცრად ამიხსნა, რომ უცხოელ ტურისტებს თურქეთში კატეგორიულად ეკრძალებად მუშაობა. საამისო ნებართვას იძლევიან მხოლოდ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, შესაბამისი ვიზისა და ნებართვის გაცემით, სხვა ნებისმიერი საქმიანობა უკანონოა და ისჯებაო.

ავუხსენი, რომ არ ვიცოდი.

შემდეგ მკითხა, სად მქონდა პასპორტი?

ჩემს პასუხს, რომ სასტუმროს ადმინისტრატორთან არის-მეთქი, პოლიციელის მხრიდან განსაკუთრებული რექცია არ გამოუწვევია. ჩაიცინა, გავარკვევთო და მკითხა: როდის ჩამოვედი თურქეთში, ვისთან ერთად ვარ?

ავუხსენი, ვარ პირველად, ჩამოვყევი დაქალის ახლო ნაცნობს, ვინმე ზეინაბს, რომლის გვარი და რაიმე ცნობა მისი სადაურობის შესახებ არ მომეპოვება-მეთქი.

ზეინაბის ხსენებამ ქართველი გოგონას გაოცება და ორაზროვანი ღიმილი გამოიწვია, ხოლო მორიგე ოფიცერი ჯერ გაოგნებული მიყურებდა, შემდეგ კი იფეთქა:

- ვის ატყუებ, მამა აბრაამის ბატკანივით რომ მოგაქვს თავი, შენც „ფეზევენგი," ზეინაბის „ნათლული" ყოფილხარ, რატომ მატყუებო?!

მისმა რეაქციამ გამაოგნა, ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა სიტყვა „ფეზევენგი" და ქართველ გოგოს ვთხოვე, აეხსნა. მან საკმაოდ გულგრილად და თითქმის დაცინვით მითხრა:

- ეს სიტყვა სუტენიორს ნიშნავს, ხოლო ზეინაბი აქაურ წრეებში, მათ შორის პოლიციაშიც კარგადაა ცნობილი, როგორც გაქნილი სუტენიორი და საქმოსანი.

შევეცადე ამეხსნა, რომ ნამდვილად არ ვიცოდი ზეინაბის საქმიანობის შესახებ და რომ რაიმე ამდაგვარი ჩემთვის არ შემოუთავაზებია-მეთქი.

პოლიციელს ჯერ სიმწრით გაეცინა, ეტყობოდა, მოთმინებას კარგავდა, მაგრამ მაინც თოკავდა თავს.

მკითხა: ღამით მარტოს რა მინდოდა ქალაქგარეთ უკაცრიელ ადგილზე. თანაც ზღვის პირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწვრილებით ავუხსენი ყველაფერი, რა თქმა უნდა, გამოვტოვე მიზეზი, თუ რატომ გაბრაზდა ავნი, ჩავთვალე, რომ ავნის განცდების შესახებ თურქი პოლიციელისთვის არ უნდა მომეთხრო, ეს შეიძლება სახიფათო ყოფილიყო ჩემთვისაც და ავნისთვისაც, რადგანაც ნაციონალური საკითხები ძალიან ფაქიზია და მისი სხვადასხვა ინტერპრეტირებაა შესაძლებელი. მოვატყუე:

- ავნიმ მომთხოვა მასთან ინტიმური ურთიერთობა, უარი ვუთხარი, ამაზე გაბრაზდა, გამომაგდო მანქანიდან, მიმატოვა და გაბრაზებული წავიდ.

წარმოიდგინეთ, ამ ტყუილმა გაჭრა. პოლიციელი დაწყნარდა, გულიანად გადაიხარხარა და მკითხა:

- ფული უკან წაგართვა? არ გაულახიხარ?

ვერ გავიგე, მაგრამ გუმანით მივხვდი, რასაც ნიშნავდა.

ავუხსენი:

- ფული წინასწარ არ მოუცია, უარის გამო გალახვას, ეტყობა, იმიტომ გადავურჩი, რომ ავნი წარმოშობით ქართველია. გამიგო, რომ ზეინაბს მოტყუებით წამომიკყვანა და, ალბათ, შევეცოდე.

პოლიციელმა თავი გადააქნია და ულვაშებში ჩაიცინა:

- აფერუმ, ავნიო.

ამით დაკითხვა დამთავრდა.

თარჯიმანმა მითხრა:

- ბატონი პოლიციელი ბრძანებს, ახლა გვიანია, ხვალ გაგზავნის თანამშრომელს სასტუმროში, მოატანინებს შენს პასპორტს, გამოიკვლევს საქმის გარემოებას და ხელმეორედ დაიკითხები.

თარჯიმანი გაიყვანეს. ალბათ, ისიც დაკავებული ჰყავდათ, რადგან ბადრაგით პოლიციელი აცილებდა.

მეორე პოლიციელმა მანიშნა, გავყოლოდი. უსიტყვოდ დავემორჩილე. გამიყვანა მეორე ოთახში. გამჩხრიკა. ქართული ოცლარიანის გარდა, არაფერი მქონდა. შეიტანა ოქმში, მომაწერინა ხელი და ჩამიყვანა პირველ სართულზე. ერთი საკნის კარი გააღო და შედიო, მიბრძანა. უპრეტენზიოდ დავმორჩილდი. ან სხვა რა გზა მქონდა...

* * *

შევედი საკანში. ეს უჩვეულოა ჩემთვის. მე ხომ ოდესმე თავისუფლებააღკვეთილი არ ვყოფილვარ. მართალია, სრული წარმოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენა მაქვს ამის შესახებ - მე ხომ პატიმრის ცოლი ვარ, ნარკომანის და ბანდიტის.

საკანი გათვლილია 6 ადამიანზე. ყოველ შემთხვევაში სამი ორ სართულიანი ნარი დგას, ციხის ტერმინით - შკონკა... ჰჰჰმ... შკონკა... ესეც შენ, მარიკა... შკონკა... გული დამწყდა, შემეკუმშა, წარმოვიდგინე ციხის უბადრუკობა და ჩემი სიყვარული - ტარიელი... ეჰჰჰ... ჩემო ტარიელ... გიხაროდეს, მეც საკანში ვარ. მომაგონდა ერთი რუსული ანდაზა - „მუჟ ი ჟენა ოდნა სატანა“ და გამეცინა. ჩემო ტარიელ, მეც ეშმაკეული ვარ. ნეტა, რა განსხვავებაა ჩემსა და შენს შორის? მინდა ვიფიქრო, მაგრამ არ გამომდის, რადგან საკანში მარტო არ ვარ და რამდენიმე წყვილი თვალი მიყურებს. ალბათ, აინტერესებთ ჩემს შესახებ ყველაფერი.

სინათლე ბჟუტავდა, მაგრამ იმდენად არ ბნელოდა, ადამიანის გამოცნობა შეუძლებელი ყოფილიყო. საკანში ხუთნი იყვნენ. ზოგს ეძინა, უფრო სწორად, ნარზე წამოწოლილიყო, ზოგი კი იჯდა ან დადიოდა. ეტყობოდათ, რომ ნერვიულობდნენ ან გამოსავალი ჰქონდათ საპოვნელი. ისიც გამახსენდა, რომ საკანში ყოველ სიტყვას თავისი ფასი და ადგილი აქვს.

ღმერთო, რა დავაშავე, რატომ ჩავვარდი ამ შავ დღეში? ეს ბედის დაცინვაა თუ გამოცდა? ღმერთო!

გითხარით, ხუთი წყვილი თვალი მიყურებს-მეთქი. ჯერ არავინ მეპასუხება. მეც წყნარად ვეძებ თავისუფალ შკონკას და ვთავსდები. არაფერზე ფიქრი არ მინდა. ნერვები აწეწილი და სული აფორიაქებული მაქვს. არ ვიცი, როგორ მოვიქცე - დავცინო ბედს თუ გულამოსკვნით ვიტირო. ღმერთო ჩემო, რა ხდება ჩემს თავს, ესეც შენი მარიკა, მე და საკანი?!

სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა. დაიწყო გამოკითხვა.

გამახსენდა ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები” და გული შემეკუმშა. ნეტა, ვინაა აქ „გოგოლი“? აგერ ისიც - გურანდა, ქართველი ქალი...

დაიწყო ჩემი დოსიეს განხილვა.

არ ვიცი, რა ვუთხრა, განა, ვალდებული ვარ ყველა სალახანას ჩემი ბედის უკუღმართობის შესახებ ვესაუბრო?.. არ ვიცი... მაგრამ გუმანით ვხდები, ამას ვერ ავცდები. გადავწყვიტე, ძუნწსიტყვაობა გამომეჩინა.

გურანდა, რაც შეეძლო, მედიდურად წამოჯდა, მხრები შეისწორა. ალბათ, თავისი განსაკუთრებულობის წარმოჩენა სურდა.

- ქალბატონო, კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება ამ საპატიო ადგილას. რა მოხდა, რა შეგმთხვევია, ძვირფასო? - ბოლო სიტყვა იმდენი სარკაზმითა და სიძულვილით თქვა, რომ ამ ლამაზმა სიტყვამ ჩემთ^ვის ყოველგვარი ფასი დაკარგა.

რა ბედის დაცინვაა!? ღმერთო, ვგონებ, იწყება იდეალების მსხვრევა და იმედების, საერთოდ წარმოდგენების გაცრუება. მიაქციეთ, ალბათ, ყურადღება, ხშირად ვხმარობ სიტყვას - ღმერთო. ესეც ბედის დაცინვაა? ვეცოდები ღმერთს? ან მაქვს უფლება, ღვთის შვილი ვიყო? არ ვიცი...

გურანდას ცნობისმოყვარეობა მეტნაკლებად დავაკმაყოფილე. მოკლედ ვუთხარი, ვინ ვარ, აქ რატომ ვარ და როგორ მოვხდი საკანში. რა თქმა უნდა, ვერსიას - ავნის არ დავნებდი, ბოლომდე ვუერთგულე, თანაც იმდენი ცინიზმი და გულგრილობა ვნახე ადამიანის ბედის მიმართ გურანდაში, რომ ნამუსიც რომ ამხადონ, იმ დიად და ღირსეულ მატერიებზე, რაც ავნის უთუთქავდა გულს, ამათ არ მოვუთხრობ, რადგან ასეთი ცინიზმისა და ველურობის, უფრო სწორად, ცხოველურობის პირობებში ამ თემებზე საუბარი, უბრალოდ, ანაქრონიზმია. დაგცინებენ და ეგაა... გამახსენდა ანდაზა - „ყველა განსჯის თავისი გაფუჭებულობის დონის მიხედვითო".

გურანდა არ ცხრება, მიძვრება სულში.

ბოლოს მკითხა, ვინ ჩამომიყვანა თურქეთში?

ავუხსენი, რომ ჩემი დაქალის ნაცნობი მომეხმარა სათანადო საბუთების და საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული პროცედურების მოგვარებაში და, რომ აქაც მისი დახმარებით მოვეწყვე სასტუმროში და რესტორანში მიმტანად მომაწყო-მეთქი. დაინტერესდა სახელით და როცა გაიგო, რომ მას ზეინაბი ჰქვია, ჯერ არანორმალურად გადაიხარხარა, შემდეგ კი უფრო ახლო მომიჩოჩდა და მიჩურჩულა:

- ზეინაბი გაქნილი და „სტაჟიანი" სუტენიორია და, როგორ დავიჯერო, არ იცოდი, სად მოყავდი?

შვილზე დავუფიცე, მინდოდა ჩემს სიმართლეში დამერწმუნებინა, მაგრამ, მგონი, უშედეგოდ.

საშველი რომ აღარ დამაყენა, ერთმა გოგონამ, რომელიც, ქართველი აღმოჩნდა, მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- დაანებე თავი, აქ ვერავის ვერაფერს დაუმტკიცებ. ყველა ახალგაზრდა ქალი, რომელიც თურქეთში მოდის, მსუბუქი ყოფაქცევის ჰგონიათ და ამისი რატომ გიკვირს?

ეს გოგო საკმაოდ თავაზიანი და გულღია აღმოჩნდა. ესეც შეღავათია, რადგან, როცა შენი ვინმეს სჯერა ან ცდილობს გაგიგოს და გითანაგრძნოს, გიმსუბუქებს აუტანელ მდგომარეობას.

საკანში ვართ სამი ქართველი, ორი სლავი და ერთიც აზერბაიჯანელი, ქალაქ განჯიდან. ისინი წყნარად არიან წამოწოლილები. რა თქმა უნდა, მათაც აქვთ საფიქრალი, საზრუნავი და სანერვიულო, მაგრამ მე ჩემი მტკივა, ამიტომ მათ ბედსა თუ უბედობაზე არ ვჩივი.

თავი ამტკივდა, დავიღალე, მისავათებული ვარ, არაფრის თავი არ მაქვს. გოგონებს ვთხოვე, თავი დამანებონ. მივწექი საწოლზე, ვცდილობ, არაფერზე ვიფიქრო, ცოტა დავისვენო მაინც, რადგან ვხვდები, მძიმე და ძნელი დღე მელის. ცოტა წავთვლიმე, მაგრამ ეს უფრო ძილღვიძილი იყო, სრული კოშმარი. აზრები მერევა, გული მისკდება, მტანჯავს გაურკვევლობა და, რაც ყველაზე მეტად მაგიჟებს, ჩემი არავის სჯერა, ჰგონიათ, რომ ვატყუებ, თავის დაძვრენა ან გამართლება მინდა. ერთი პირობა ვიფიქრე, ჯანდაბას, რაც უნდა ის იფიქრონ, რაც უნდა იმაზე იეჭვიანონ, მე ვიყო მართალი-მეთქი, მაგრამ ვინ არის ამ სიმართლის გამზიარებელი. ყველაზე მეტად ის მაფიქრებს, რომ საქართველოში ჩემიანებამდე რომ მიაღწიოს ამ ამბავმა - იქ რა ვთქვა, იქ რა იქნება. მშობლები რას იტყვიან, ნათესავები, მეზობლები. მე ხომ დედა ვარ, რას ვემართლები ზაზას. უნდა გავგიჟდე, აღარ ვიცი, რა ვქნა, რა მოვიმოქმედო...

* * *

ასე გაილია მტანჯველი ღამე. ახლად გათენებულზე ჩამეძინა, მაგრამ უჩვეულო ხმაურმა გამაღვიძა. თურმე საერთო ადგომა ყოფილა. ესეც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების რეჟიმის უცვლელი ატრიბუტი.

საპირფარეშო და პირსაბანი ოთახი დერეფნის ბოლოშია. საკნების მიხედვით რიგრიგობით გავყავართ. ჩვენი ჯერიც დადგა. მე და ერთი ქართველი გოგონა ერთად გავედით. ზედამხედველმა თუ მორიგემ გაგვაფრთხილა: სწრაფად და ზედმეტობის გარეშე მოგ-

ვეთავებინა ყველაფერი, რათა საუზმემდე სხვებსაც მოესწროთ. სანამ პირს ვიბანდი, მივაქციე ყურადღება - გოგო აფორიაქებული ჩანდა. ბოლოს მთხოვა, ჩამოვფარებოდი, სანამ საპირფარეშოს კაბინაში იქნებოდა. ვერ გავიგე, რა ჰქონდა დასამალი, მაგრამ მაინც დავთანხმდი და თმის ვარცხნის საბაბით მისკენ წავიწიე. სავარცხელიც მას ვთხოვე. მე ხომ ხელჩანთა სასტუმროში დამრჩა.

მოვიწესრიგეთ თავი.

საკანში დაბრუნებისას წავჩურჩულე:

- რატომ მთხოვე ამოფარება?!

მანაც ჩურჩულითვე მითხრა:

- გუშინ ვერ მოვასწარი პრეზერვატივების გადაყრა, კი გადავმალე, მაგრამ ასეთი ნივთმტკიცების თავიდან დროზე მოცილება აჯობებს.

ბოლომდე ვერ მივუხდი ნათქვამს.

- გუშინ კლიენტთან ერთად ამიყვანეს. სასტუმროს ნომერში წაგვადგნენ თავს და ვერ მოვასწარი მათი მოშორება. პრეზერვატივების გარეშე კი შემთხვევით გაცნობილ პარტნიორებთან ურთიერთობა ძალიან სახიფათოა, - განმიმარტა.

დავბრუნდით საკანში.

მოგვიტანეს საუზმე - კაცისთავზე ორი ფუნთუშა და ჩაი, ისიც შეგვახსენეს - ჩაი სურვილისამებრ შეგიძლიათ დაიმატოთო.

დილის ცხრაზე მორიგემ გამოგვიცხადა:

- უცხოელთა ზედამხედველობისპოლიციის წარმომადგენლები მოვიდნენ. მოიწესრიგეთ თავი და მოემზადეთ მათთან საუბრისათვის!

მე მოსამზადებელი არაფერი მაქვს, მეზობელ ქართველ გოგონას სავარცხელი ვთხოვე, თმები დავივარცხნე, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მოვწესრიგდი და დაველოდე გამოძახებას.

პირველი გურანდა დაიბარეს. ორი საათი გრძელდებოდა მისი დაკითხვა. ანერვიულებული და აფორიაქებული შემოვიდა, საწოლზე გაიშოტა და მწარედ ატირდა. ერთი ხელის მოსმით წაშლილიყო მისი ქედმაღლობა, თავდაჯერებულობა, სარკაზმიც და ცინიზმიც. ეტყობა, რაღაც სერიოზული შეემთხვა. გადავწყვიტეთ არაფერი ვკითხოთ, უჩვენოდაც ძალიან იტანჯება, ცოტა გადაუვლის და შეიძლება თვითონ გადაგვიშალოს გული.

შემდეგი მე გამომიძახეს. ამიყვანეს მეორე სართულზე, დერეფნის ბოლო ოთახში შემიყვანეს. ოთახი საკმაოდ მოზრდილი

იყო. მასიურ მაგიდას თმაშევერცხლილი მამაკაცი ეჯდა სამოქალაქო ტანსაცმელში, ხოლო მიდგმულ მაგიდას - ახალგაზრდა ბიჭი, პოლიციელის ფორმაში. სკამი პოლიციელის პირისპირ შემომთავაზეს.

დაიწყო დაკითხვა. ეს უფრო გუმანით მივხვდი, რადგან ჩემს უკან საბეჭდი მანქანის კლავიატურის ჩხაკუნი მომესმა. თავი შევატრიალე და პატარა მაგიდასთან ახალგაზრდა ქალი დავინახე, რომელიც საბეჭდ მანქანას მისჯდომოდა და მზად იყო ჩემი ჩვენების ჩასაწერად. პოლიციელმა გამოწყობილი ახალგაზრდა დუმდა, ეტყობოდა, შეფის ნიშანს ელოდა. მართლაც, უფროსმა თურქულად რაღაც უთხრა და ახალგაზრდამ ქართულად, საკმაოდ უხეში აქცენტით მითხრა, რომ თარჯიმანია და შეეცდება ნათლად და ჩემთვის გასაგებად გადმომცეს უფროსის შეკითხვები და თავის მხრივ თარგმნოს ჩემი პასუხი.

ჯერ დაინტერესდნენ ჩემი ანკეტური მონაცემებით. შემდეგ მთხოვეს, წარმომედგინა პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

ავუხსენი, რომ პასპორტი სასტუმროს რეგისტრატურაში დაიტოვეს. დავუსახელე სასტუმრო და მისამართი, რაზედაც უფროსმა ტელეფონის ყურმილი აიღო და ვიღაცას მითითება მისცა. ამის შემდეგ თარჯიმანმა ამიხსნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, თუ რა მოჰყვება მცდარ ჩვენებას, ან დამკითხველი პირის შეცდომაში შეყვანას.

ვუპასუხე, რომ დასამალი არაფერი მაქვს და შევეცდები, ვიყო მაქსიმალურად გულწრფელი. ამის შემდეგ გაფრთხილების ოქმზე ხელი მომაწერინა.

შემომთავაზეს, დაწვრილებით მომეყოლა, როდის და რა მიზნით ჩამოვედი თურქეთში, ვისთან ერთად და რატომ ავირჩიე მაინცდამაინც ეს ქალაქი.

მე დაწვრილებით ვუამბობდი, თარჯიმანი სინქრონულად თარგმნიდა, ხოლო მბეჭდავი მონოტონურად აკაკუნებდა მანქანის კლავიშებზე და ბეჭდავდა ჩემს მონათხრობს.

როცა ვუხსნიდი თურქეთში ჩამოსვლის მიზეზს, უფროსი გაბრაზდა და დაიყვირა:

- თქვენმა ხელისუფალმა ან თურქმა მებაჟეებმა არ გაგაფრთხილეს, რომ უცხოელებს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ეკრძალებათ თურქეთის ტერიტორიაზე მუშაობა და რომ მიზანი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს - ტურიზმი. განმიმარტა,

რომ ჩემი რესტორანში მიმტანად მუშაობა, თურქეთის კანონმდებლობის დარღვევაა და ისჯება მკაცრად, როგორც საჯარიმო სანქციებით, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით.

შემდეგ მკითხა:

- რაიმე სახის შრომითი კონტრაქტი თუ გაქვს გაფორმებული რესტორნის ხელმძღვანელობასთან?

ავუხსენი:

- არავითარი კონტრაქტი. რესტორნის ხელმძღვანელობამ გვასწავლა, რა უნდა გვეკეთებინა და მოგვიჩინა შესაბამისი მაგიდები.

მკითხეს:

- თუ შედიოდა ჩვენს მოვალეობაში კლიენტების ინტიმური მომსახურება?

მე კატეგორიული უარი განვაცხადე და დავამატე, რომ კლიენტებთან ურთიერთობის საზღვრები არავის ჩვენთვის არ დაუდგენია და რომ ყველას შეეძლო თავისი სურვილისამებრ მოქცეულიყო.

უფროსი ჯერ გაბრაზდა, შემდეგ კი ჩაიცინა - სუტენიორები დემოკრატები გამხდარანო და მკითხა:

- როგორ აღმოვჩნდი ღამით ქალაქგარეთ, ზღვის სანაპიროზე, უკაცრიელ ადგილას მარტო?

ავუხსენი დაწვრილებით, თუ როგორ ვემსახურებოდი რესტორნის კლიენტებს, როგორ გავიცანი ქართულად მოლაპარაკე ახალგაზრდა, რომ ის დადებითი პიროვნება მეგონა და ვენდე, დავთანხმდი ქალაქში გასეირნებაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას ჩემთან ინტიმური კავშირი სურდა, რაზეც კატეგორიული უარი განვაცხადე. გაბრაზებულმა დამტუქსა და ზღვის პირას მიმატოვა.

უფროსმა სარკასტულად გაიცინა, ყველაფრით ჩანდა, რომ არც ერთი ჩემი სიტყვა არ სჯეროდა.

შევეცადე ამეხსნა, რომ თურქეთში და, საერთოდ, საქართველოს საზღვრებს გარეთ პირველად ვარ. არ ვიცი უცხო ენები, მათ შორის თურქული. არასდროს მქონია უცხო მამაკაცთან რაიმე ურთიერთობა, მათ შორის ინტიმური და რომ თურქეთში ჩამოვედი ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად და მეტი არაფერი.

უფროსი ახლა უკვე სერიოზულად გაბრაზდა, მკაცრად გამაფრთხილა, აღარ ვცდილიყავი მის გაბრიყვებას და მეთქვა სიმართლე, თუ არა და შეწყვეტდადაკითხვას და პირდაპირ ციხეში

მიკრავდა თავს. ჩემს წინააღმდეგ აღძრავდა საქმეს პროსტიტუციისა და თურქეთის ტერიტორიაზე უკანონო საქმიანობის ბრალდებით.

მისი სახის გამომეტყველებამ დამარწმუნა, რომ არ ხუმრობდა. კიდევ ერთხელ შევეცადე, დამემტკიცებინა ჩემი სიმართლე, მაგრამ უშედეგოდ. მან მთელი ძალით დაჰკრა მუშტი მაგიდას და აყვირდა. თარჯიმანი ამშვიდებდა. მემანქანე გოგონა მეორე ოთახში გავარდა და რამდენიმე წამში მამაკაცებს ყავა მოართვა.

სანამ ყავას მიირთმევდნენ, გამალებული ვფიქრობდი, ვეძებდი გამოსავალს, არგუმენტებს და უცებ გონება გამინათდა. ამას საქართველოში ვერც წარმოვიდგენდი და მოვიაზრებდი, აქ კი სიმართლის დამტკიცება იყო საჭირო - ჩემი პატიოსნება უნდა დამეცვა.

დამკითხველს შევბედე:

- ჩემი მეუღლე პატიმარია, საქართველოში იხდის სასჯელს, მასთან ბოლო ხანგრძლივი პაემანი მქონდა ექვსი თვის წინათ, ამის შემდეგ მამაკაცთან ურთიერთობა არ მქონია. თქვენი ბრალდების გასაქარწყლებლად და ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად მოვითხოვ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას. ამით ჩემს პატიოსნებას დავამტკიცებ და აღარც თქვენ დაეჭვდებით ჩემს სიმართლეში.

უნდა გენახათ თარჯიმნის გაფართოებული თვალები და დამკითხველის გაკვირვებული, უფრო სწორად, გაოგნებული სახე. ის ადგა, ბოლთისცემას მოჰყვა და სულ ალლაჰ, ალლაჰს იძახოდა. ბოლოს დაწყნარდა, დაჯდა. თარჯიმანთან ლაპარაკისას ხშირად სიტყვა ,,გიჟდალარს" ამბობდა. მე გადაუთარგმნელად მივხვდი, ჩემზე ამბობდა, გაგიჟდა ეს საცოდავიო.

რამდენიმე წუთის შედეგ მომიბრუნდა და მითხრა:

- ამდენი ხანია გამომძიებლი ვარ, რამდენიმე წელია უცხოელებთან მუშაობის განყოფილებაში ვარ, ყველანაირი საქმიანობის ადამიანებთან, მათ შორის ქალებთანაც, მქონდა საქმე, დამიკითხავს ბევრი ადამიანი, მათ შორის პროსტიტუციაში ეჭვმიტანილი, მაგრამ არც ერთს თავის მართლების მიზნით ან სიმართლის დასამტკიცებლად არ უთხოვია გინეკოლოგიური თვალსაზრისით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება.

ჩემმა გულწრფელმა და არაორდინალურმა თხოვნამ ნაყოფი გამოიღო. გამომძიებელი პატიოსანი ადამიანი აღმოჩნდა. მან სრულად გაითავისა ჩემი თხოვნის არსი, შეაჯერა მის პატიოსნებას და ნამუსს. დარწმუნდა, რომ მართალი ვიყავი და, დიდება უფალს, დამიჯერა! ვფიქრობ, გამამართლებელ გადაწყვეტილებას გამოიტანს.

ოპერატორმა გოგონამ დაკითხვის ოქმის ნაბეჭდი მიაწოდა გამომძიებელს. მან გულდასმით გადაიკითხა, ულვაშებში ჩაიცინა და გადასცა თარჯიმანს ჩემთვის გასაცნობად. ის იყო, თარგმნა დააპირა, რომ უკვე დამშვიდებულმა და გათამამებულმა შევაგებე:

- თუ თქვენ მენდობით, მეც გენდობით სრულად.

თარჯიმანს ვთხოვე, მიეთითებინა, თუ სად უნდა მომეწერა ხელი. მანაც მიმანიშნა.

ცოტა ხნის შემდეგ გამომძიებელმა უხმო ბადრაგს და მანაც ჩამაცილა საკანში.

* * *

გამცილებელმა სხვა გოგონა წაიყვანა დასაკითხად.

საკანში სრული სიჩუმე სუფევდა. გურანდა აღარ ტიროდა, მაგრამ გატრუნული პირქვე ჩამხობილი იწვა.ჩასძინებოდა. გურანდა იყო 35-40 წლის, შავგვრემანი, საშუალოზე მაღალი, ჩასუქებული... ერთი სიტყვით, მისი ასაკისთვის ჩვეული ქართველი ქალი, თავისი ფიგურითა და იერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IX

„აღარც ნუგეში! აღარც იმედი!
სულის და ხორცის გამქრალა ძალა,
და რაღა არის ეხლა ქართველი?
მონა საწყალი და მაწანწალა!“

აკაკი წერეთელი

საკანში ყველას თავისი სადარდებელი აქვს, თავის თავზე ფიქრობს, თავისი საზრუნავი გასჩენია. ბუნებით არ ვარ ცნობისმოყვარე, მით უმეტეს აქ. ამბობენ, ასეთ დაწესებულებაში კედლებსაც ყურები აქვსო. მეც ვამჯობინე გაჩუმება და მივწექი ლოგინზე.

გურანდას რამდენიმე საათს ეძინა. ბოლოს გამოიღვიძა და მორიგეს სთხოვა საპირფარეშოში გასვლა. მისი თხოვნა უსიტყვოდ დააკმაყოფილეს. დაბრუნებული უფრო მხნედ გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც მოტეხილი და ნაგვემი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. ჩემს პირისპირ დაჯდა. მომეცა საშუალება, თვალებში ჩამეხედა. ვაიმე, ღმერთო, იმდენი ვარამი და ტანჯვა ამოვიკითხე გურანდას თვალებში, გული შემიღონდა. ქედმაღალობის და ცინიზმის ნატამალიც აღარ შერჩენოდა, ის ნიღაბი ყოფილა-თურმე, ყველამ რომ ვერ დაინახოს ნაგვემი და ნატანჯი ადამიანის თვალები და ვერ შეძლოს ან არ გაუჩნდეს სურვილი მისი ტანჯული სულის ჯურღმულებში ხეტიალისა და ხელების ფათურისა.

გურანდა ჩემს გვერდით გადმოჯდა, მეგობრულად ხელი მომხვია. გავოგნდი, ვერ გამეგო, რამ შეაცვლევინა ჩემზე აზრი, გუშინ ხომ მთელი მონდომებით მიმტკიცებდა, რომ მე მეძავეობით ვიყავი თურქეთში დაკავებული და ჩემი ერთი სიტყვაც არ სჯეროდა,

თითქოს ამოიკითხა ჩემი ფიქრები, მითხრა:

- ჩემო მარიკა, მე გამოცდილი ქალი ვარ, ცეცხლსა და წყალში გამოვლილი, ცხოვრების ნატანჯი, ნაბეგვი და ნაგვემი. 40 წლის ვარ, მაგრამ ყველაფერი ვიწვნიე. ჩემს თავზე მხოლოდ წისქვილის დოლაბი არ დატრიალებულა, სხვა ყველაფერი გადამხდა. მაშინვე მივხვდი, რომ გულწრფელი ხარ, თურქეთში მოტყუებით ჩამოუყვანიხარ ზეინაბს. ვერც კი წარმოგიდგენია, რას გიმზადებს ეგ

უღმერთო, უჯიშო და არამზადა ქალი. ვიცნობ, რა უგულო და სასტიკი დესპოტია. ეტყობა, ჯერ შეგუებისათვის მოუცია დრო, თორემ მისი ნამდვილი სახე და მხეცობა მერე ნახე. ვაი, რომ ვერაფერში დაგეხმარები. სერიოზული ბრალდება მიმტკიცდება, გამასამართლებენ, მომისჯიან კიდეც, მაგრამ ეს, ეტყობა, უკეთესიცაა, მოვრჩები ამ გაძაღლებულ ცხოვრებას, მოვშორდები ამ შმორიან გარემოს. შენ კი გირჩევ, სანამ გვიანი არაა, გაეცალე აქაურობას, დაბრუნდი სამშობლოში - საქართველოში. აქ საშინელება გელის. ისინი არ მოგეშვებიან, გაიძულებენ მეძავეობას, გამოგკეტავენ, იძალადებენ ან სულაც გაგყიდიან რომელიმე არაბულ ქვეყანაში. თხოვე გამომძიებელს, მოსამართლეს, გაგაძევონ თურქეთიდან. სჯობია, იყო დეპორტირებული, ვიდრე ნამუსახდილი. ნუ გაიმეორებ ჩემს შეცდომებს, ნუ ასცდები გზას, ნუ დაიღუპავ თავს... შენ მაინც ღირსეულად ატარე ქართველი ქალის სახელი და მანდილი. იყავ ღირსეული შვილი, დედა და მეუღლე. ეტყობა, გიკვირს, რასაც გეუბნები, მაგრამ ყური მიგდე, ტანჯული ქალის აღსარება მოისმინე და რეალური დასკვნები გააკეთე. - დადუმდა, წყალი მოსვა და გააგრძელა:

- დავიბადე სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში, არ მკითხო მისამართი, შენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა მაინც არ აქვს. ჩემი მშობლები საკმაოდ შეძლებული კოლმეურნეები იყვნენ. გვქონდა მამაპაპისეული მამული, სახლი და კარი, მშობლებს ჩემს გარდა კიდევ სამი შვილი ჰყავდათ, ბიჭები - ჩემი ძმები. სახლში ერთადერთი გოგონა ვიყავი, ყველა მე მეფერებოდა, მეალერსებოდა, მანებივრებდა. მამაჩემს ჩემზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. საშუალო სკოლა იქვე დავამთავრე, პირველი სიყვარულიც იქ მეწვია. სკოლის დამთავრების შემდეგ შევუღლდით, მამაჩემმა სარფიანი ქორწილი გადამიხადა. მთელი სოფელი ჩემს ბედს შენატროდა: მოსიყვარულე მეუღლე, კარგი დედამთილ-მამათილი, საზრიანი და დამფასებელი მული. ერთი სიტყვით, სრული ბედნიერება და ჰარმონია სუფევდა ჩემს ოჯახშიც და ჩემს სულშიც. მამამთილი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე იყო, დედამთილი - სოფლის საფერშლო პუნქტის ექთანი. მამამთილმა ქმარსაც გამოუნახა საქმე: ჩაის ფარდულში მწონავად მოაწყო. ამას ახალი ბედნიერება დაემატა - ჯერ ბიჭი შეგვეძინა, მერე გოგონა. თვალებცქრიალა, ნამდვილი მზეთუნახავი. ენაცვალოს დედა. ასე ვიყავით ერთხანს. მაგრამ სულ ბედნიერება სად გაგონილა?

პირველი განხეთქილება მამა-შვილს შორის მოხდა. თურმე მეზობლის ქალს შეუჩივლია მამათილისთვის: შენი შვილი ჩაის წონისას გვატყუებს, ნაკლებს გვიწერსო. ეს მამას არ მოეწონა და შვილს ერთი დღე აყარა, როგორ გაბედე და მეზობლებს წონაში მოატყუე, მათ შვილივით უყვარხარ, შენ კი გაბედე და ისინი მოატყუე, მძიმე ნაჯაფარში შეეცილე, გაქურდეო.

ჩემმა ქმარმა არა თუ აღიარა დანაშაული, პირიქით მამას უტ-იფრად მიახალა, თუ ორ ან სამ კილო ჩაის ფოთოლს მეზობელს არ მივუწონი, მათ არაფერი არ დააკლდებათ, მე კი თვის ბოლოს საკ-მაო თანხა დამიგროვდება და ოჯახს წაადგება. ეს საკითხი სალაპა-რაკოდაც არ ღირსო.

ამ უტიფრობამ და უნამუსო გამოხდომამ გააცოფა მამამთილი. ცხელ გულზე ბევრი საწყენი სიტყვა თქვა. ჩემი ქმარიც არ დარჩა ვალში. მამა-შვილი ერთმანეთს რამდენიმე თვეს ხმას არ სცემდა. დედაც, მულიც და მეც არაერთხელ შევეცადეთ შერიგებას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მოხდა ისე, რომ ბიჭი ავად გაგვიხდა, უცნაური სენი შეეყარა, საქართველოში ვერაფერს გახდნენ და მოსკოვში, პრესტიჟულ სავაადყოფოში, გაწერეს. ამან შეარიგა მამა-შვილი. წავიყვანეთ ბავშვი, ვუმკურნალეთ და ერთი თვის თავზე საღ-სალამათი დავაბრუნეთ სახლში. გავაგრძელეთ ჩვეულებრივი ცხოვრება, მაგრამ მამა-შვილს შორის ურთიერთობა მაინც გაცივე-ბული დარჩა.

დადგა ავად სახსენებელი ოთხმოცდაათიანი წლები. საბჭოთა კავშირი დაინგრა, შემდეგ ეთნიკური კონფლიქტები ჯერ ცხინვა-ლის რეგიონში, შემდეგ, აფხაზეთში, ბოლოს კი ძმათამკვლელი სა-მოქალაქო დაპირისპირება. სამეგრელო ამ ქარტეხილების ეპ-იცენტრში იყო. დაიშალა კოლმეურნეობა, ჩვეული ცხოვრების რიტმი და წესი მოიშალა. ამან გამოიწვია უმუშევრობა... ზოგი ძარცვით ირჩენდა თავს, ზოგი - ყაჩაღობით, ზოგი - ვაჭრობით, ზოგს არ უღალატია მამა-პაპური მიწისთვის და ასე ნახულობდა სარჩო-საბადებელს. ჩემი ქმარი არ ჩარეულა კონფლიქტებში, არც მოხალისედ წასულა, არც „ცხელ“ პოლიტიკურ გარჩევებში მიუღია მონაწილეობა, ამბობდა, ეს მე არ მეხებაო და უძღვებოდა მამა-პაპურ მამულს და მეურნეობას. მთელი ოჯახი ვშველოდით და ასე გაგვქონდა თავი. მართალია, ნაღდი ფული გვაკლდა, მაგრამ ნატუ-რალური მეურნეობიდან მიღებული პროდუქცია საკმარისი გვქონდა და საჭმელ-სასმლის არ გვიჭირდა.

ცხოვრება ნელნელა უბრუნდებოდა ნორმალურ კალაპოტს. ბავშვები სკოლაში მივიყვანეთ, მაგრამ ქმარს უჩვეულო მადა გაეხსნა, სულ წუწუნებდა, უჩიოდა უფულობას. მამამთილი ამხნევებდა, შვილო, ცოტაც და ყველაფერი კარგად იქნებაო. ის კი თავისას არ იშლიდა, ახლა მინდა ფული აუცილებლადო. კიდევ კარგი, მისი უგერგილობის და სიმხდალის გამო არცერთ გასამხედროებულ თუ პარტიზანულ დაჯგუფებაში არ გაერთიანებულა. ერთი სიტყვით, კრიმინალი არ ჩაუდენია, თორემ წაიხდენდა, ნამდვილად, თავს.

ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მეუღლე შეზარხოშებული მოვიდა სახლში და საზეიმოდ გამოგვიცხადა:

- ბოლოს და ბოლოს ვნახე გამოსავალი, მალე მოეღება ბოლო ჩვენს სიდუხჭირესა და უფულობას!

მერე მოგვითხრო:

- მეზობელთან ქეიფის დროს გავიცანი ჩხოროწყუელი კაცი, იმ ოჯახის მოყვარე. იგი რამდენიმე წელია რუსეთში მუშაობს, საკმაოდ წარმატებული ხე-ტყის ბიზნესი აქვს და სერიოზულ დახმარებასაც უწევს ოჯახს და ნათესავებს, გადავწყვიტე, მეც ვცადო ბედი რუსეთში.

მშობლებს ამის გაგონებაც არ სურდათ. გააპროტესტა ძმის გადაწყვეტილება ჩემმა მულმაც. ის ბათუმშია გათხოვილი, კარგი ოჯახი აქვს, მეუღლე აჭარელია. იმჟამად ბავშვებთან ერთად გვსტუმრობდა. ძმისთვის განზრახვა, რომ შეეცვლევინებინა, ბათუმში წასვლა შესთავაზა, მშენებლობაზე დაგასაქმებ, ქმარი მოგეხმარებაო.

ამაზე ხომ გადაირია:

- სიძის სამადლოდ დამრჩენია საქმე. მივდივარ რუსეთში, ავაწყობ საქმეს და ოჯახსაც მივხედავ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ისესხა ფული და გაუდგა გზას. დრო გადიოდა, მაგრამ ჩემი ქმრისა არაფერი ისმოდა. სად მეძებნა უკიდეგანო რუსეთში ან იმ ჩხოროწყუელ კაცს სად ვიპოვიდი, მისი სახელი და გვარიც კი არ ვიცოდი. ერთი სიტყვით, დაიკარგა კაცი.

შვილის გადაკარგვის ამბავი ძალიან განიცადა მამამთილმა, ინერვიულა და ინფაქტმაც არ დააყოვნა. მადლობა ღმერთს, მულის მეუღლე დაგვეხმარა. ბერიკაცი ფეხზე დავაყენეთ, მაგრამ შრომისუუნარო გახდა. დაინვალიდდა მთასავით კაცი. დედამთილს გაუჭირდა, შეგუებოდა ქმრის დაინვალიდებას და შვილის

გაუჩინარებას. ისე ყოჩაღი ქალია. ის მიზრდის შვილებს, უვლის მამამთილს და უძღვება მეურნეობას.

ოჯახის მთელი სიმძიმე მე დამაწვა. კი ვპატრონობდი ოჯახს, მიწასაც ვამუშავებდი, მოსავალიც მომყავდა, მშივრები ნამდვილად არ ვიყავით, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ბავშვებს წიგნები უნდათ, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, მამამთილს მუდმივი მკურნალობა. საჭირო იყო დამატებითი თანხები, აუცილებელი გახდა ჩემი დასაქმება, ოჯახს რჩენა და პატრონობა სჭირდებოდა. თითქმის მთელი საქართველო შემოვიარე, სად არ მივმართე, ვის არ ვთხოვე, ვინ არ შევაწუხე, მაგრამ მუშაობა ვერსად ვერ დავიწყე. მე ხომ რაიმე პროფესიაც არ მქონდა. საშუალო სკოლა დავამთავრე თუ არა, მაშინვე გავთხოვდი. კაი დედა კი ვარ, დიასახლისი, მაგრამ ეს კაი ქმრის ხელშია დაფასებული, ჩემი ბედოვლათისა კი არაფერი ისმოდა.

ბოლოს ერთმა მეზობელმა მოიტანა ამბავი:

- შენი ქმარი სარატოვშია, მუშაობს, ვიღაც ორშვილიან ქალთან ცხოვრობს, საკმაოდ შეძლებულად და საკმაოდ ბედნიერადაც გრძნობს თავს.

დავინტერესდი, ეს საიდან გახდა მისთვის ცნობილი.

მომცა მისამართი ერთი ფოთელი კაცისა, ვისგანაც ეს ამბავი გაიგო. მაშინვე გავქანდი ფოთში და ვნახე ის კაცი. მან დამიდასტურა, რომ იცნობდა ჩემს ქმარს, მაგრამ გაიკვირვა, ნუთუ, კოწიას ცოლი და შვილები ჰყავს საქართველოშიო. სარატოვში ყველამ იცის, რომ უცოლშვილოა, ობოლი და ბედის საძიებლად ჩამოვიდა რუსეთში. მისი თქმით, იქ ერთ ღვთისნიერ ქალს დაუკავშირა ბედი, იქორწინა მასზე, იშვილა მისი შვილები, თავისი გვარიც კი მისცა ბავშვებს და ცხოვრობენ სიამტკბილობით. საქართველოსკენ გამოხედვაც არ უნდა, იქ რა დამრჩენიაო. ფოთელი შეწუხდა, მაგრამ მითხრა, რომ ვერაფრით მომეხმარებოდა, რადგან რუსეთში დაბრუნებას აღარ აპირებდა.

ელდა მეცა. თურმე არ ვყვარებივარ. მე სხვისი შვილი ვარ, მაგრამ მისი ქალ-ვაჟი, მოხუცი, დასნეულებული მშობლები? ნათესავები? ღმერთო, ეს რა მესმის? თურმე ობოლია, უცოლშვილო. ბედის საძიებლად რუსეთში წასული საწყალი ობოლი „მამლუქი“.

ეეჰ, კოწია, უნამუსო და გარეწარო, როგორ უდროოდ ,,დაობლე“ მშობლები, ცოცხლად დამარხე. როგორ თქვი უარი საყვარელ ქალ-ვაჟზე, იმ მზეთუნახავებზე, მოსიყვარულე შვილებზე.

ცოცხლად დამწვარი დედა დღესაც შენზე აუგს არ ეუბნება შვილებს, ამხნევებს, მამა საშოვარზეა წასული, მალე ჩამოვა, გიყიდისო ტანსაცმელს, ახალ, ლამაზ სათამაშოებს, წიგნებს, კომპიუტერსაც კი.

კოწია, მე როგორ მიღალატე, ბიჭო? განა შენი გურანდა არ ვარ, სიყვარულს რომ ასე გულწრფელად მეფიცებოდი, ვარსკვლავების ფიანდაზად დაგებას მპირდებოდი? ნუთუ, მხოლოდ იმიტომ, რომ მაძღარი იყო და ყოფითი პრობლემები არ გაწუხებდეს, გათელე ჩვენი უმანკო სიყვარული. დაივიწყე ჩალის ზვინთან დადებული ფიცი, უფალსა და ღვთისმშობელს რომ იმოწმებდი ჩვენი სიყვარულის მარადისობაში. სხვისი შვილები იშვილე და შენი გვარიც მიეცი, ნუთუ შენი ღვიძლი შვილები ჩალადაც არ გიღირდა? იქნებ, მშიერ-მწყურვალი არიან, შიშვლები, შეიძლება გამათხოვრდნენ კიდეც. შეიძლება ცოცხლებიც აღარ არიან? შეგირცხვეს კაცობა. შენი ქართველობა... არამი იყოს შენთვის დედის რძე და ამაგი, ფულზე დახარბებულო და ყოფითი ფუ-ფუნებით განებივრებულო, უძღებო შვილო, სირცხვილი, სირცხვი-ლი, სირცხვილი! მაგრამ, განა, ეს გრძნობა გაქვს შენ?

მაგრამ გურანდა, გურანდა არ უღალატებს მშობლიურ კუთხეს, არ გააცივებს კერას, არ უღალატებს შვილებს, არ მიატოვებს ამაგდარ მოხუცებს. არა და არა, მე მათ არ ვუღალატებ. საშოვარზე წავალ, მონადაც მივეყიდები ვინმეს, მაგრამ არ ვუღალატებ...

ვაიმე, რა სთქვი გურანდა... მიეყიდები? სადაა ქართველი ქალის ნამუსი, მანდილი, ზნეობა, ათი მცნება! კი, მაგრამ ეს მცნებები კოწიასაც არ ეხებოდა? მასაც არ უნდა დაეცვა ისინი სიცოცხლის ფასადაც კი. ”პატივი ეცი მამასა შენსა, დედასა შენსა“...

ბედმა დამცინა. ზუსტად იმას ვაკეთებ, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, ყველაზე მეტად მძაგდა. ფოთში დავიდაქალე ერთი სვედამწვარი გოგო. ვიქირავეთ ქალაქის გარეუბანში ერთოთახიანი ბინა და ”ავითვისეთ” უძველეს პროფესია. დიდი ხეირი არ იყო, ამ-იტომ მეტის იმედით ბათუმში გადმოვედით. იქაც ერთი თბილისე-ლი გოგო დავიდაქალეთ და შევუდექით „საქმიანობას“. ხან მოგ-ვატყუეს, ხან მოვატყუეთ, ხან გადაგვაგდეს, ხან გადავაგდეთ. მიდიოდა ასე უღიმღამო ცხოვრება.

ყოველი თვის ბოლოს, ერთი ერთგული ნაცნობი ქალის ხელ-ით, რომელიც თურქეთში დადიოდა სავაჭროდ, ჩემებს ვუგზავნიდი იმ დროისათვის საკმარის თანხას.

ყოჩაღია ჩემი დედამთილი, ჯარასავით ტრიალებს, უვლის ბავშვებს, მზრუნველობს ბერიკაცს, ცივ ნიავს არ აკარებს. უვლის მამულს, ძროხაც ჰყავს და გოჭებიც, ქათმებიც და ბატებიც. ვენაცვალე მის გარჯას და ქალობას. მათი შვილის საქციელზე არა-ფერი მითქვამს. მეცოდება მოხუცები, შვილის ასეთ ღალატს ვერ გადაიტანდნენ. ბათუმშიც ერთი პერიოდი გაუჭირდა ჩვენს „დას.“ თურქმა კლიენტმა-ბიზნესმენმა, რომელიც ბათუმში ყოფნისას ჩემთან „რჩებოდა“, „დოსტობა“ შემომთავაზა, ესე იგი, მუდმივი მეგობრობა - საყვარლობა. ავუხსენი ჩემი სიტუაცია, წავუყენე ჩემი პირობები. შევთანხმდით. “დოსტობის“ პირობა გულისხმობდა დროდადრო თურქეთში გადასვლასაც. მისი დახმარებით ავიღე პასპორტი და, ჰაიდა, თურქეთში.

ჩემი „დოსტი“ სტამბოლში ცხოვრობდა და საქმიანობდა. საკმაოდ შემლებული და გავლენიანი ბიზნესმენი იყო. 55 წლის იქნებოდა, მაგრამ ჩემთვის ასაკს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მე ფული მჭირდებოდა ოჯახის სარჩენად, მას - ქალი. ერთი სიტყვით, შევეწყვეთ ერთმანეთს. მისი ოჯახური მდგომარეობა არ მაინტერე-სებდა, არც არასოდეს მიკითხავს. ტრაპიზონში მიქირავა ბინა. ჯერ დროებითი, შემდეგ კი მუდმივი ბინადრობის უფლება „გამი-ჩალიჩა.“ თურქეთის მოქალაქეობის მიღებამდე ერთი ნაბიჯიღა მაკლდა. ამ საკითხის მოგვარებას ვგეგმავდით ფიქტიური ქორწი-ნებით ერთ მის ნაცნობ ვიგინდარასთან გარკვეული საზღაურის საფასურად. ასე გაგრძელდა ერთ ხანს. ვიყავი თავისუფლად. აღარ მიწევდა პანელზე გასვლა. ვცხოვრობდი დიასახლისის ცხოვრებით.

ბედმა აქაც დამცინა. ჩემს „დოსტს“სამსუნიდან ტრაპიზონში მანქანით რომ მოდიოდა, გზაზე გულმა უმტყუნა. ერთი სიტყვით, ავარიით დაიღუპა ჩემი „მარჩენალი“. დავრჩი ისევ მარტო. გარ-კვეული დანაზოგი მქონდა, მაგრამ მეც და ოჯახსაც დიდხანს რას გვეყოფოდა. ჩემი „დოსტის“ ტრაპიზონულ წრეებში მიცნობდნენ. მათთვის უნდა მიმემართა. ვიცნობდი ერთ-ერთი სასტუმროს მე-პატრონეს. მან მომისმინა და შემომთავაზა ადმინისტრატორის თანამდებობა. გასამრჯელო კარგი იყო, ერთ ოთახს უფასოდ მაძ-ლევდა სასტუმროში. ამაზე მეტი რაღა მინდოდა. დავიწყე მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტუმროში ყველა ჯურის ხალხი ჩერდებოდა. ერთხელ ერთმა სამარშრუტო ავტობუსის მძღოლმა და ერთი „იდეა“ შემომთავაზა. ის ავტობუსით ასრულებდა რეისებს ტრაპიზონი-კაპიკულე. ეს ბულგარეთის საზღვარზეა. ხშირად მისი ავტობუსით მგზავრობენ მსუბუქი ყოფაქცევის უკრაინელი, მოლდოველი, ბულგარელი და რუსი გოგონები, რომლებიც „არაორგანიზებულად“ მეძავეობენ. ხშირად ხვდებიან უპატიოსნო ადამიანების ხელში, რომლებიც აუპატიურებენ, „აგდებენ“, სცემენ კიდეც... აქ ორმაგი სარგებელი გამოვა: გოგონებს პატრონი ეყოლებათ და მეტნაკლებად დაცული იქნებიან, თავის წილ „ჰონორარსაც“ გარანტირებულად მიიღებენ, ჩვენ კი ჩვენი გვექნებაო. ერთი სიტყვით, შევხვდით სასტუმროს მეპატრონეს, მოვილაპარაკეთ, გავინაწილეთ ფუნქციები: მე დიასახლისობას და გოგონების ზედამხედველობას ვკისრულობ; სასტუმროს მეპატრონე სამართალდამცავ ორგანოებთან აგვარებს „დაკრიშვის“ საქმეს; ავტობუსის მძღოლი გოგონებით გვამარაგებს... მოვილაპარაკეთ... შევთანხმდით წილებზე: გოგონებს, მე და სასტუმროს მეპატრონეს ოცდაათ-ოცდაათი, ავტობუსის მძღოლს კი ათი პროცენტი. პოლიციის „დაკრიშვის“ ხარჯებს მე და სასტუმროს მეპატრონე თანაბრად გავინაწილებთ.

გოგონების პირველი ჯგუფი უკვე ხუთ დღეში გვყავდა. ავაწყვეთ საქმე. კინაღამ დამავიწყდა, კავკასიელ, რა თქმა უნდა, ქართველ გოგონებსაც, არ ვიკარებდით სათოფეზე. მიყვარს ჩემი ერი და ჩემი სამშობლო. ქართველი ქალების და გოგონების გარყვნაში ვერ დავიდებდი ცოდვას... პირიქით, ბევრ გაჭირვებაში ჩავარდნილ და გზააბნეულს დავხმარებივარ, ფული მიმიცია... სამშობლოში დამიბრუნებია... შენი „პატრონი“ ზეინაბი კი არაფერს არ ერიდება, ის ძუკნა ფულის გულისთვის საკუთარი ქალიშვილის „გაყიდვასაც“ არ მოერიდება.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ვცხოვრობდით სიამტკბილობით. მგლებიც მაძღრები გვყავდა და ცხვრებიც მრთელები. ყველაფერი კარგად იქნებოდა, ერთ გზააბნეულ „ცხვარს“ რომ არ დაღუპა საქმე...

თუ არ მოგბეზრდა ჩემი აღსარების მოსმენა, ამ ამბავსაც მოგიყვები... ოღონდ მინდა იცოდე, არავის უამბო, რადგან ამ საქმეზეა დამოკიდებული ჩემი მომავალი.

თავი X

”...სევიორუმ, ისტიორუმ, გელიორუმ “
“(მიყვარხარ, მინდიხარ, მოვდივარ)“

სამარშრუტო ავტობუსის მძღოლმა მოიყვანა გოგონების კიდევ ერთი ჯგუფი. სულ ექვსი. მათ შორის თვალშისაცემი სილამაზით მხოლოდ ერთი გამოირჩეოდა, სახელად მარინა, რუსეთის ქალაქ სამარიდან. პასპორტით თვრამეტი წლის. ბავშვური სახე და მიამიტი გამომეტყველება ჰქონდა. ძალინ ლამაზი და სანდომიანი იყო. მეც კი, როგორც ქალს, მომეწონა. „თეთრ,“ სლავური წარმოშობის ქალებზე დახარბებული თურქი მამაკაცები რა დღეში იქნებოდნენ, მგონი, ადვილად წარმოსადგენია. მალე გახდა მარინა ჩვენი სასტუმროს სავიზიტო ბარათი. ჩვენც მას მხოლოდ ქალაქის ელიტურ საზოგადოებას ვთავაზობდით, ვზოგავდით, თუ ვითარება და ელიტური კლიენტები მოგცემდნენ საშუალებას.

მარინათი ერთხელ თვით ქალაქის მერიც დაინტერესდა. მოვუწყვეთ ინკოგნიტო შეხვედრა. იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ ჩვენს სასტუმროს სრული შეუვალობაც კი გამოუცხადა. ქალაქის პოლიციის უფროსიც კი „შევიდა“ მარინას „თაყვანისმცემელთა“ ნუსხაში. ამან უფრო გაგვათამამა, მაგრამ ყოველთვის ზედმიწევნით გვახსოვდა ერთი ანდაზა, „წყალწაღებულთა ხსნა თვით წყალწაღებულთა ხელშიაო“, ამიტომ მუდამ ფრთხილად და დელიკატურად ვმუშაობდით.

ერთხელაც მარინას ცნობილი და გავლენიანი ტრაპიზონელი ბიზმესმენის შვილმა მოაკითხა, თავადაც დამწყებმა, მაგრამ საკმაოდ წარმატებულმა ბიზნესმენმა. მათი შეხვედრები ბობოქარ სამიჯნურო რომანში გადაიზარდა. მარინამ კატეგორიული უარი განაცხადა სხვა კლიენტებთან შეხვედრებზე.

შევხვდი ახალგაზრდა ბიზნესმენს დავუთხარი:

- მარინა მასზე შეყვარებულია, თანაც ძალიან სერიოზულად. ისიც ავუხსენი, რომ რუსი ქალები სიყვარულისა და მისი შენარჩუნებისათვის ყველაფერზე წამასვლელები არიან. ძალიან მამაცია შეყვარებული რუსი გოგონა. მისვის ასეთ დროს უცხო ხილი არაა თავგანწირვა. შეყვარებული რუსი ქალი საამურია, მიუწვ-

დომელია, ერთგულია, შეუძლია, მიჯნურს თავიც კი ანაცვალოს და სიცოცხლე არ დაიშუროს მისთვის.

ბიზნესმენი ჩაფიქრდა, სახეზე ცბიერი ღიმილი ამოეღვენთა და თავმომწონედ განაცხადა:

- მეც შეყვარებული ვარ და მარინას გარდა სხვა ქალს არც ვისურვებ.

კიდევ ერთხელ გავუმეორე თხოვნა:

- ნუ ითამაშებ ყმაწვილი ქალის გრძნობებზე, ის სერიოზულად შეყვარებულია და საკუთარ თავს უბედურება არ დაატეხოს.

ბიზნესმენმა თავისი არ დაიშალა, შენ ნუ გენაღვლებაო და ,მარინას მეშვეობით „ამოსაღები საზღაური“, ერთი თვის, წინასწარ გადაიხადა.

მათი რომანი გრძელდებოდა, ვიდრე ახალგაზრდის მშობლებმა არ გაიგეს. ვაჟის მამა არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი აღმოჩნდა - მისი ბაბუა სასულთნოს ფაშა იყო, თვითონაც ძალიან მდიდარი - მილიონერი და დიდი მეცენატი კაცი. რა თქმა უნდა, ასეთი ჩამომავლობის, ქონების და შესაძლებლობის ადამიანი ვერ იგუბდა რუსი მეძავის სახლში რძლად შეყვანას, რაც არ უნდა ლამაზი ყოფილიყო იგი. მამამ შვილს კატეგორიულად მოსთხოვა, ჩამოსცილებოდა მეძავს. შვილი ერთი პირობა შეეწინააღმდეგა, მაგრამ რომ გაიგო მისი სერიოზული განზრახვა და კატეგორიული გაფრთხილება, რომ არ აღიარებდა მემკვიდრედ , თუ მეძავს არ ჩამოშორდებოდა, მარინაზე უარი განაცხადა და სასტუმროს მეპატრონის პირით ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ შემოუთვალა.

მარინა ლამის გადაირია. ეს პატარა, საკმაოდ სუსტი აღნაგობის გოგონა იქცა ნამდვილ ძუ ლომად, რომელიც მზადაა, დაიცვას სიყვარული. სასტუმროს მეპატრონეს კატეგორიულად მოსთხოვა ახალგაზრდასთან შეხვედრა:

- თუ სათქმელია, მანვე მითხრას, რას მიგზავნის მაჭანკალ-მოენეებსო.

შევეცადეთ აგვეხსნა, რომ თავისი საზომით ნუ ზომავს, ეს თურქეთია, განსხვავებული სარწმუნოებით, სხვა ტრადიციებით, შეხედულებებით და ფასეულობებით.

მარინას ამის გაგონება არ უნდოდა. იგი წრფელი სიყვრულისათვის იბრძოდა. დათმობას ან უკან დახევას არც აპირებდა.

სასტუმროს მეპატრონემ ეს მოახსენა ვაჟის მამას. მან კი მოითხოვა მარინას მორჯულება და დაშოშმინება. გამოსავლად განიხილებოდა მისი რუსეთში დეპორტაცია, მაგრამ ზოგიერთთ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა დაენანათ „გიულბეშექერის“, ვარდის მურაბის, როგორც ზოგიერთი ეძახდა მარინას, რუსეთში გასტუმრება. ვაჟის მამის რჩევითა და კატეგორიული მოთხოვნით მარინას სასტუმროს ტერიტორის დატოვება აეკრძალა. სასტუმროს მეპატრონე იძულებული გახდა მას ეთავა ეს, ხოლო უშუალო ზედამხედველობა, რა თქმა უნდა, მე დამევალა.

მარინა მტკივნეულად განიცდიდა მიჯნურთან განშორებას. ჯერ მადა წაუხდა, ბოლოს საერთოდ უარი თქვა საჭმელის მიღებაზე. განაცხადა, მიჯნურთან განშორებას სიკვდილი მირჩევნიაო.

ვაჟს „გამოუსწორებელი შეცდომა“ისევ რომ არ ჩაედინა, სასწრაფოდ დააქორწინეს. ამ ამბავმა უფრო აუწეწა ნერვები და აუფორიაქა სული საწყალ გოგონას, თვითმკვლელობაც კი სცადა, მარცხენა ხელზე ვენა გადაიჭრა, მაგრამ მალე მიეშველნენ და სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ გამომჯობინდა. მარინა ცოტათი დამშვიდდა, ჯერ წყლის მიღება დაიწყო, შემდეგ კი ცოტ-ცოტა საჭმელსაც მიირთმევდა. ერთ თვეში გამოკეთდა, დაუბრუნდა ჩვეული ეშხი და გარეგნობა, მაგრამ კლიენტების გაგონებაც არ უნდოდა, ამბობდა, რომ იმ ვაჟს არასოდეს უღალატებს, სიკვდილამდე მისი ერთგული დარჩება. ეს მაშინებდა, მაშფოთებდა, რაიმე განზრახვა ხომ არ უდევს გულში-მეთქი, თორემ „ამოსაღებ“ ფულს ვინ ჩიოდა, ვაჟის მამამ იმდენი ფული დაგვიტოვა, მის „გამომუშავებლად“ მარინას ორი წელიც არ ეყოფოდა..

მარინა გალაღდა. ხანდახან რუსულ სიმღერებსაც კი წაიღიღინებდა, თავისუფალ დროს კი წიგნებს კითხულობდა. მისმა დაქალებმა საგანგებოდ სოჭიდან ჩამოატანინეს რუსული წიგნები. ამან ყველას ძველი ხალისი დაგვიბრუნა, ძველებური რიტმით დავიწყეთ მუშაობა. მარინას თაოსნობით დისკოთეკებისა და საღამოების მოწყობაც დამკვიდრდა ჩვენს სასტუმროში. კლიენტთა და დამსვენებელთა რრაოდენობამ ერთი-ორად იმატა. შემოსავლები გაიზარდა. მეპატრონე სიხარულს ვერ მალავდა, პატარა ბიჭივით ცქმუტავდა და ოხუნჯობდა. ეს ჩვენი „გიულბეშექერი“ ნამდვილი „ჩაირ კუშუ“ გახდა, ესე იგი ნარჩიტა, იგივე სახელწოდების თურქული ფილმის მთავარი გმირის დარად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი დროებითი და მოჩვენებითი აღმოჩნდა. ერთხელ მარინამ ნაადრევად მოათავა საღამოს პროგრამის შედგენა, შემდეგ კი დაქალთან ერთად ავიდა თავის ნომერში, მეხუთე სართულზე. იქ სპეციალურად გადავიყვანეთ, რომ სასტუმროდან შემთხვევით არ გაგვქცეოდა. სხვა საფრთხე გველოდა თურმე.

მარინას დაქალმა თან ვისკი აიტანა, საჭმელიც გამოძებნეს და სასმელის წრუპვას შეუდგნენ. გოგოები მალე შეზარხოშდნენ და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, სიყვარულზე ჩამოვარდა საუბარი. მარინა წყნარად ამდგარა, სიფრიფანა, სადედოფლო კაბის დარი კაბა აურჩევია, მოსიყვარულებია საკუთარი თავს სარკეში, სინანულით უთქვამს, თუ რა ლამაზი და მიმზიდველი იქნებოდა სადედოფლო კაბაში. შემდეგ ისტერიული ტირილი ავარდნია საწ-ყალს. თურმე სულ უშვერი სიტყვებით აგინა ვაჟის მამას, დაადანაშაულა მათ განშორებაში. ის რომ არა, ახლა ბედნიერი ვიქნებოდითო. შემდეგ ისტერიულად აყვირებულა, მოუცილებია დაქალი, რომელიც თურმე დამშვიდებას ლამობდა, ფანჯრები ყურთამდე გაუხსნია, შემდგარა რაფაზე, სამჯერ განწირული ხმით უკივლია: სევიორუმ, ისტიორუმ, გელიორუმ (მიყვარხარ, მინდიხარ, მოვდივარ) და ანგელოზივით გადაფრენილა...

საცოდავს სულიც არ დაჰყოლია მიწამდე. ეს ექსპერტიზამ და-ადგინა. შემდეგ აცნობეს რუსის კონსულს და თუთიის კუბოთი „პრინცესა“ გემით გადაასვენეს ქალაქ სოჭში. რამდენიმე დაქალი გაჰყვა საცოდავს უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად. ერთი კვირა ქალაქი შოკში იყო. ყველას პირზე ეკერა „გიულბეშექერის“ მიჯნურობის ტრაგიკული დასასრული.

აფერუმ, სლავო გოგონა! სიყვარულიც შენ გცოდნია და თავგანწირვაც.

* * *

ამ ამბიდან ათი დღის შემდეგ სასტუმროში უცხოელების საქ-მეთა პოლიციის განყოფილების ოფიცრები მოვიდნენ. წამომიყენეს ბრალდება - სუტენიორობასა და უცხო ქვეყნის მოქალაქის იძულე-ბითი მეძავეობის გამო მის მკვლელობამდე მიყვანაში და დამაპატიმრეს. უკვე ორ თვეზე მეტია აქ ვიტანჯები. ვითომ თავს

ვიმხნევებ, საკნის მამასახლისობაც ვიკისრე, მაგრამ ამ ქვეყანაზე ჩემზე უფრო საცოდავი და საწყალი არავინაა.

ერთხელ შემახვედრეს სასტუმროს მეპატრონეს. მან იცის ჩემი გაჭირვება, ისიც, რომ ოჯახი მყავს მოსავლელ-შესანახი, შემპირდა, რომ ყოველთვიურად ჩემს ხელფასს გადაუგზავნიდა სანდო დაქალის ხელით საქართველოში, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

- ვაიმე, შვილებო, რა გეშველებათ, თუ მომისაჯეს და დამ-ტოვეს ციხეში, ვინ მოუვლის ჩემს ამაგდარ მოხუცებს?.. - ეს თქვა საცოდავმა, მომაყრდნო თავი მკერდზე და გულამოსკვნით ატირდა.

მეც ვტიროდი.

ორივე ერთმანეთის სადარდებელზე ვტიროდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XI

„წაღმა-უკუღმა ტრიალებს
ჩვენი ცხოვრების ჯარაო.
ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო.“

აკაკი წერეთელი

ასე გავიდა მთელი დღე. ვახშმის შემდეგ დაოსებულებს და ქანცგაწყვეტილებს ჩაგვეძინა, მაგრამ ძილშიაც ვერ ისვენებდნენ საცოდავები. ზოგი ბორგავდა, ზოგი კვნესოდა, ზოგიც ადამიანთა სახელებს წამიოძახებდა ხოლმე, ალბათ ახლობელ-მოკეთეებს საშველად უხმობდნენ, ან სულაც საყვედურს ეუბნებოდნენ. ამ საწყალთა გაუბედურებაში მათაც წილი ჰქონდათ.

დილით, როგორც ყოველთვის, მორიგის თანაშემწემ გაგვაღვიძა. ტუალეტი, საუზმე და გამოძახების ლოდინი. ერთფეროვნად და მდარედ მიდის საკნის ცხოვრება. ახალგაზრდა ქართველი გოგონა ძუნწსიტყვაობს, ან საწოლზეა წამოგორებული და თვლემს, ან აზერბაიჯანელ გოგოს ეჩურჩულება. საერთო მოწყენილობა ჩვენც გადაგვედო.

არ ვიცი, დროის გაყვანის მიზნით თუ სხვა მოსაზრებით, გურანდამ იხმო ქართველი გოგონა და შესთავაზა გაცნობა, თანაც დასძინა, უნდა ვიცნობდეთ და თუ რამე შეგვეძლება, გვერდით დავუდგეთ ერთმანეთს, რადგან, ჯერ ერთი, ქართველები ვართ, მეორეც, ერთ უბედურებაში აღვმოვჩდით და, მესამეც, შენ უკვე იცი ჩემი და მარიკას გაჭირვება და ისიც, თუ რატომ ვზივართ აქ. მოდი, ჯერ გავეცნოთ ერთმანეთს, შემდეგ კი შენიც გვითხარიო.

წარვუდექით ერთმანეთს.

ჩვენს თანასაკნელს შორენა ჰქვია. თბილისიდანაა, წარმოშობით კახელი. ასე 25 წლის იქნება. მხრებამდე შავი თმა, შავი თვალ-წამწამ-წარბი, მრგვალი შავგვრემანი სახე, ლამაზი ტუჩები და ცოტა ჩაჭუპნული ნიკაპი. საკმაოდ მიმზიდველი და სიმპათიური გოგონაა. იქცევა მორიდებით, თავს თავმდაბლურად გვიკრავს და ვგრძნობთ, რომ გულწრფელია.

შორენას არ ესიამოვნა, ალბათ, გულში კიდეც გაიფიქრა, თქვენღა მაკლდით ჩემს გაჭირვებაშიო, მაგრამ არ შეიმჩნია და

მძიმედ დაიწყო თავისი განვლილი გზის თუ თავგადასავლის მოყოლა. ვგრძნობდი, რომ გრძელი და საინტერესო ამბავი მელოდა, ამიტომ სათანადოდ მოვკალათდი საწოლზე და გავიტრუნე.

შორენას ჯერ თვალები დაენამა, ღრმად, თითქოს გულის ამოყოლებასაც ლამობსო, ამოიოხრა და დაიწყო:

- დავიბადე კახეთში, გურჯაანის რაიონის ერთერთ სოფელში. ოჯახში ოთხი შვილი ვიზრდებოდით - ორი და და ორი ძმა. მე მესამე ვარ, უფროსი და-ძმა მყავს. ბედნიერი ბავშვობა მქონდა. მოსიყვარულე მშობლები და ახლობლები. სანათესავო წრე დიდი გვაქვს, როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან. ხშირი სტუმრიანობა გვქონდა. ქართული სტუმართმოყვარეობა და ტრადიციები ჩემში ბავშვობიდანვე მყარად იყო ფესვგადგმული. ვსწავლობდი კარგად. სკოლის დამთავრების შემდეგ გავხდი თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. მამამ თანაკლასელ სოფოსთან ერთად მიქირავა ერთოთახიანი ბინა და შევუდექით სტუდენტურ ცხოვრებას. ვსწავლობდი კარგად. არდადეგებზე, სადღესასწაულო და უქმე დღეებში ჩავდიოდი სოფლად, შეძლებისდაგვარად ვშველოდი მშობლებს მინდორსა თუ ოჯახში. ერთი სიტყვით, კარგი სტუდენტობა მქონდა. მოზომილი, მეგობრული ურთიერთობები დავამყარე თითქმის ყველა თანაკურსელთან. სწავლისას ერთმანეთს გვერდში ვედექით, თავისუფალ დროსაც ერთად ვატარებდით, ხან თბილისის პარკებსა და ბარებში, ხან ექსკურსიებზე ქალაქის გარეუბნებსა და კახეთში. რამდენიმეჯერ დასავლეთ საქართველოშიც ვიყავით. ასე გაგრძელდა, ვიდრე პირველ კურსს დავამთავრებდი.

საკურსო გამოცდების შემდეგ ერთმა ქობულეთელმა თანაკურსელმა მასთან დაგვპატიჟა, ზღვაზე დასვენება შემოგვთავაზა. მე და ჩემი მეზობელი ზღვაზე არასოდეს ვყოფილვართ, ამიტომ მიპატიჟება ძალიან მოგვეწონა, მაგრამ მშობლების ნებართვის გარეშე ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდით. თინიკოს, ასე ერქვა ჩვენს ქობულეთელ თანაკურსელს, შევთავაზეთ ჯერ ჩვენთან სტუმრობა, მშობლებთან შეთანხმების შემდეგ კი ქობულეთშიგამგზავრება. თინიკო დაგვთანხმდა.

თინიკოს კახეთი ძალიან მოეწონა. ხელმარჯვე გოგონაც გამოდგა. დედას თხოვა, კახური კერძების კეთება მასწავლეო და მანაც არ დაიშურა. ერთი სიტყვით, ათი დღის შემდეგ თინიკოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლად შეეძლო ჩურჩხელას, ხაშლამის, ბოზბაშის და ჩიხირთმის მომზადება. მე და სოფომ მშობლებს თინიკოს შეთავაზების შესახებ ვუთხარით. მშობლებმა და უფროსმა ძმამ ცოტა ითათბირეს და თხუთმეტი დღით ქობულეთში დასვენებაის ნებართვა მოგვცეს.

დადგა დათქმული დღეც. თბილისი-ბათუმის მატარებლით ქობულეთში წავედით. ძმამ გაგვაცილა. სახლიდან ასე შორს პირველად მივდიოდი, თანაც ზღვაზე, ამიტომ საკმაოდ ვღელავდი. მოვკალათდით კუპეში, ცოტა ვიჭორავეთ, შევადგინეთ დასვენების გეგმა და სიამოვნებათა მოლოდინში ტკბილად ჩაგვეძინა.

ქობულეთში თინიკოს მამა მანქანით დაგვხდა, ბატონი თენგიზი. თქვენ თენგიზ ბიძია დამიძახეთო - გვთხოვა მან. ძალიან კეთილი, თავაზიანი, კაცთმოყვარე და კარგი მოსაუბრე გამოდგა. მისი სადღეგრძელოები დღესაც ჩამესმის ყურებში, ისე სადად და მადლიანად შეამკობდა სადღეგრძელებელს, ავადმყოფიც კი დალევას ისურვებდა.

თინიკოს დედა, ქალბატონი თამარი, ასევე სათნო და გულღია ქალი აღმოჩნდა. გამიჩნდა სურვილი, მისთვის დედა დამეძახებინა. პირველი დღე მოვანდომეთ კარმიდამოს და მიმდებარე უბნების დათვალიერებას.

თინიკოს სოფელს ბობოყვათი ჰქვია. სიცოცხლეში პირველად ვნახე მანდარინის, ლიმონის და სხვა ციტრუსების ხეები და, საერთოდ, ბაღები... თენგიზ ბიძია თან გვათვალიერებინებდა, თან გვიხსნიდა ციტრუსოვანთა მოვლის თავისებურებებს, ვეგეტაციისა და მწიფობის სტადიებს, რაც ძალიან მაინტერესებდა და სულ კუდში დავსდევდი. სოფოსა და თინიკოს ზღვაზე ჩემი გაყვანა ეჩქარებოდათ. მეორე დღეს თენგიზ ბიძიამ მანქანით გაგვიყვანა ქობულეთის პლაჟზე, თვითონ სამსახურში წავიდა და დაგვიბარა, საღამოს გამოგივლით სახლში წასაყვანადო. თინიკომ იუარა, სხვა ტრანსპორტითაც იოლად გავალთო.

ღმერთო, პირველად ვართ მე და სოფო ზღვაზე. თინიკო კი, როგორც ზღვის შვილი, მდგომარეობის მეპატრონედ თვლის თავს. გვიყვება ქალაქზე, სასტუმროების, პანსიონატების თუ დასვენების სხვა კერების შესახებ. შთაბეჭდილებებით დახუნძლულები ვართ. თინიკომ კიდევ ერთხელ აგვიხსნა ზღვაზე ბანაობის თავისებურები და ზღვაში შევცურეთ. თბილი, კამკამა, მლაშე წყალი ერთდროულად საამოცაა და უცხოც. ბანაობით გული ვიჯერეთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასარუჯად ხელსაყრელი ადგილი მოვძებნეთ. მთელი დღე ვნებივრობდით პლაჟსა და ზღვაში, თან მივირთმევდით ნაყინს, ჭყინტ სიმინდსა და სხვა ნუგბარს, რასაც დაატარებდნენ ასაკოვანი მამაკაცები და ქალები. სადილი არც გაგვხსენებია, თუმცა ამდენი ნუგბარის შემდეგ რა გვესადილებოდა.

თინიკომ გვითხრა:

- თუ ზღვაზე მზის ჩასვლას არ ნახავთ, ჩათვალეთ, რომ ზღვაც არ გინახავთო. - და გვირჩია, არ გვეჩქარა.

მართლაც, ამაზე უკეთესსა და რომანტიულს რას ვნახავდით.

შემდეგ გავედით ავტოსადგურში, ავიყვანეთ ტაქსი და შინ დავბრუნდით.

თინიკოს სახლში ხალხმრავლობა დაგვხდა.

ქალბატონმა თამარმა გაგვანდო:

- დღეს საოჯახო ზეიმი გვაქვს, უფროსი ვაჟის დაბადების დღეა, თანაც წარჩინებით დაამთავრა ბათუმის საზღვაო აკადემია.

თინიკოს ვუსაყვედურეთ:

- როგორ არ გრცხვენია, რატომ არ გაგვიმხილე, ასეთი სასიამოვნო და ღირსშესანიშნავი მოვლენა თუ გველოდა, სა-ჩუქრებს მაინც ვიყიდდით.

თინიკო წამოწითლდა და დარცხვენილი ბავშვივით იმართლა თავი:

- გვინდოდა სასიამოვნო სიურპრიზი გაგვეკეთებინა თქვენ-თვისო.

ქალბატონ თამარს საშინაო საქმეებში დახმარება შევთავაზეთ, მაგრამ არ დაგვანება. მაშინ თინიკომ აიღო ნარდი, მიგვიპატიჟა მეორე სართულის აივანზე და ნარდის თამაშს შევყევით.

მოსაღამოვდა. ეზოში სამი ავტომანქანა ერთად შემოგრიალდა. ერთს თენგიზ ბიძია მართავდა, სხვები კი, ეტყობა, სანათესავოსი იყო, ვაჟის თანაკურსელები თან ახლდნენ. მანქანებიდან მხიარული შეძახილებით გადმოცვივდნენ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები.

-სულხანიო! - დაიძახა და კიბეზე დაეშვა.დაიძახა და კიბეზე დაეშვა.

ერთ რამედ ღირდა და-ძმის მოკითხვა და ალერსი. შემდეგ თინიკომ ჩასჭიდა ხელი და ჩვენთან ამოიყვანა. სათითაოდ წარუდგინა ძმას ჩვენი თავი, მოკლე კომენტარებიც მიაყოლა.

სულხანი ზრდილობიანი და ჭკვიანი ბიჭია, მოზომილი და თავდაჯერებული, როგორც შეეფერება შორეული ნაოსნობის

მომავალ კაპიტანს. ზღვის შვილს მისი ბუნების შესაფერი სპეციალობაც შეურჩევია. ჩვენთან დარჩენა უნდოდა, მაგრამ თანაკურსელები და სხვა მეგობრები ელოდებოდნენ. შემოგვთავაზა, ერთად ჩავსულიყავით ეზოში.

ახალგაზრდები ფანჩატურში ისხდნენ და რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. დაგვინახეს თუ არა, მაშინვე გაჩუმდნენ და ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდნენ. სულხანმა ერთმანეთი გაგვაცნო. მეტად სანდომიანი და ზრდილობიანი ჩანდა თინიკოს დეიდაშვილი - ბათუმელი გურამი. მან თავიდანვე გამოამჟღავნა ჩემს მიმართ განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა და ყურადღება.

მეორე სართულზე, სადარბაზო ოთახში, ორრიგად სუფრა გაიშალა. სტუმრები მიიწვიეს. მე და სოფო მაგიდის შუაში მოვხვდით, გვერდით თინიკო მეჯდა, ჩვენს წინ კი სულხანი და გურამი ისხდნენ. ბატონი თენგიზი თამადობდა. წვეულებას მუსიკალური ჯგუფი ამშვენებდა. ახალგაზრდებს სულ ეროვნული საკრავები ჰქონდათ: დოლი, აკორდეონი, ჩონგური, ფანდური, გიტარა და ჭიბონი. ჩამორიგდა სადღეგრძელოები: მშვიდობის, სამშობლოსი და, რა თქმა უნდა, განსხვავებული სასმისით იუბილარის და ახალკურსდამთავრებულ სულხანისა.

ახალგაზრდობას ნელ-ნელა სახე აეფაკლა, ბახუსს თავისი გაჰქონდა. თამადამ მუსიკალური პაუზა გამოაცხადა. მუსიკოსებმა, თითქოს ამას ელოდნენო, განდაგანას ჰანგები აახმიანეს. სულხანმა თინიკო გაიწვია და დაგოგმანდა წყვილი.

ღმერთო, ასეთ ლამაზი და ორიგინალური განდაგანა ჯერ არ მინახავს. მოცეკვავეებს ტაშითაც ამხნევებდნენ. ჰანგებმა ცოტა ტონალობა იცვალა და სახელდახელო წრეში გურამმა ისკუპა. მოხდენილი ტანი და პლასტიკური მოძრაობა ჰქონდა. რამდენიმე წრე ჩამოიარა. თან თვალებით ვიღაცას ან რაღაცას ეძებდა და, აი, მისი მზერა მე მომწვდა. ცეკვით მომიახლოვდა, ჩემს მოპირდაპირედ ცალი მუხლი მოიყარა და საცეკვაოდ გამიწვია. მომერიდა, თან არც ველოდი, სახეზე სიწითლემ გამკრა, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულვიყავი. ყველა მე მიმზერდა. საყოველთაო ტაში უკვე მე მეკუთვნოდ, თითქოს მაქეზებდა კიდეც - მიდი, გოგონა, დაანთე ცეცხლიო... და მეც შევვარდი წრეში.

კაი სანახავი ვიყავით მე და გურამი. მართალია, მე კლასიკურ აჭარულს ვცეკვავდი, გურამი კი შიგდაიგ ჩემთვის უჩვეულო ილეთს თუ გასმას გააკეთებდა, მაგრამ მისი „თავნებობა“ ისე

ბუნებრივად ესადაგებოდა განდაგანის ჰანგებს, რომ უფრო მიმზიდველი და სანახაობრივიც კი იყო.

მოვრჩით ცეკვას. თამადამ მოითხოვა სუფრასთან დაბრუნება. გურამი წრიალებდა, ცქმუტავდა, ადგილს ვერ პოულობდა, მონუსხულივით მიცქერდა და ხანდახან შეთქმულივით ოდნავ შესამჩნევად ჩამიკრავდა თვალს. მე ეს ჟესტი კარგი პარტნიორობისთვის მადლიერებად აღვიქვი. სიყვარულში გამოუცდელმა, აბა რა ვიცოდი, თუ გურამის გულში სიყვარულის ნაპერწკალი უკვე ღვიოდა.

წვეულება გამთენიისას დასრულდა. დაღლილი თანამეინახეების ნაწილი მეზობლებთან გადავიდა, ნაწილი წავიდა, დანარჩენები კი მოსასვენებლად თენგიზ ბიძიას უზარმაზარ სახლში დარჩნენ.

მე, სოფო და თინიკო ერთ ოთახში ვიძინებთ, მეორე სართულზე, შესასვლელი კარი აივნის ბოლოშია. მშვენიერი ხედები იშლება ფანჯრიდან: აქეთ ზღვა, იქით აჭარა-გურიის ქედის განშტოებები. ისეთ ლამაზი ბუნება და ხედებია, თავი სამოთხეში მგონია. დიდება უფალს, ასეთი საჩუქრისთვის, ქართველებს რომ უბოძა.

გვიან გამეღვიძა. თვალები მოვიფშვიტე, თმები შევსწორე და გავხედე ზღვას. საამური სანახაობა იყო. შემდეგ მზერა ოთახზე გადავიტანე და გაკვირებისაგან ელდა მეცა: მაგიდაზე მთელი კონა მინდვრის ყვავილები ელაგა, ლარნაკში კი ყვითელი ტიტები ეწყო. ვიფიქრე, ალბათ, თინიკოს დედამ შემოიტანა-მეთქი. მომინდა მისვლა და მოფერება. სურნელი შევიყნოსე...

ოხ, ეს ტიტები, თავბრუდამხვევი არომატი, პატარა ბარათი... სულმოუთქმელად გავშალე და სული შემეკრა. ფურცელი იუწყებოდა:

”შენმა ეშხმა და მშვენებამ თვალი მომჭრა, სული ამიფორიაქა და გული აამღერა. გმადლობთ, უფალო, რომ შეგძლებია შორენას მსგავსი ანგელოზის შექმნა...” - და მხოლოდ ერთი ასო - გ. გუმანით უფრო მივხვდი, ვიდრე ჩემი არეული ტვინი ამას მოისაზრისებდა, რომ ეს გურამის ნახელავი იყო. ასე ორიგინალურად სიყვარულის ახსნა ჯერ არ გამეგონა. თან გამიხარდა, თან დავიბენი, თან უცებ ეჭვების ნაკადმა იფეთქა: ასე უცბათ შეყვარება და სიყვარულის ახსნა?! ჩვენ ხომ მხოლოდ გუშინ გავიცანით ერთმანეთი, არც ხეირიანად გვისაუბრია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საღამოს ერთმანეთის მიმართ ნათქვამ

რამდენიმე ფრაზას. არც ერთმანეთის გვარისა და სადაურობისა არა ვიცით რა. არ ვიცი, რა ვიფიქრო... არ ვიცი, როგორ მოვიქცე... წერილი გადავმალე, სხვა ყველაფერი ხელუხლებელი დავტოვე. იფიქრონ გოგონებმა, ვინ მოგვართვა ყვავილები. დაე ასე იყოს.

მალე მთელ ოჯახს გაეღვიძა და ერთ დიდ სკას დაემსგავსა. ქალბატონი თამარი სამზარეულოში ფუსფუსებს, თინიკო ბოსტანში გოგმანობს და კიტრებითა და ქორფა ბოსტნეულით ავსებს კალათს. თენგიზ ბიძია მარნიდან დაცვარული ღვინის დოქები მოაქვს. ახალგაზრდები ცივი შხეფებით წუწავენ ერთმანეთს ხელსაბანთან.

მე და სოფოც ეზოში ჩავედით, ხელპირის დასაბანად რიგი დავიჭირეთ. უცებ გურამი და სულხანი გამოჩნდნენ. გურამს ჭრელი ხელსახოცი გამოცდილ მოსამსახურესავით გადაუდია მარცხენა წინამხარზე და მოდის ჩემსკენ. არ მინდა შევიმჩნიო, ბარათი რომ წაკითხული მაქვს და ყურადღების გადატანის მიზნით სოფოს საუბარი გავუბი. ბიჭები მოგვიახლოვდნენ, მოწიწებით მოგვესალმნენ და გვერდზე გადგნენ. ელოდებიან, დანარჩენები როდის მორჩებიან პირის დაბანას და ჩვენამდე მოაღწევენ. ეს დროც დადგა, მე პირველი მივედი პირსაბანთან და ორივე პეშვით შევისხურე ცივი წყალი. ოოო, რა სასიამოვნოა შუბლის გაგრილება. მგონი, მოვიცილე ლოყების სიწითლე და ცოტა ძალა და გონება მოვიკრიბე...

ნუთუ, მეც გადამედო გურამის გულზე მოკიდებული ცეცხლი? ყოველ შემთხვევაში ის გურამი აღარ იყო, როგორიც გუშინ გამაცნეს. არც უცდია სევდიანი თვალების არიდება, პირიქით, უფრო მწველი და მიმზჯენი მზერა ჰქონდა. სულხანიც შეთქმულივით იდგა და მიყურებდა. ალბათ, გურამმა უკვე გაანდო გულის ხვაშიადი. არ ვიცი, რა ვიფიქრო, არც ის მინდა, ასეთი ყოფა დიდხანს გაგრძელდეს. რამდენიმეჯერ ვისხურებ წყალს სახეზე და ვდგები გვერდზე, ადგილს სოფოს ვუთმობ. თინიკო მოვიდა ჩვენთან, მოგვესალმა და სამზარეულოში დედამისთან მიგვიყვანა.

ქალბატონი თამარი აჩმა ხაჭაპურის ფენებს ამზადებდა. აჩმა ხაჭაპური კი მქონდა მირთმეული თბილისში, რომელიღაც კაფეში, მაგრამ მისი სადაურობისა და დამზადების შესახებ არაფერი ვიცოდი. აღმოჩნდა, ეს ნუგბარი სუფთა აჭარულია, როგორც ბაქლავა და აჭარული ხაჭაპური. გაიხარეთ, ქართველო ქალებო და დიდო ნენევ, ასე ეფერებიან აჭარლები ბებიებს, რომ შექმენით

უნიკალური სამზარეულო და უცვლელად შემოგვინახეთ, მომხვდურთა გაუცხოებას და გადაშენების საფრთხეს განარიდეთ.

სადილის შემდეგ, საერთო გადაწყვეტილებით, ზღვაზე წავედით. საჭესთან სულხანია, გვერდით გურამი ზის, უკანა სავარძელზე კი გოგონები ვსხედვართ. სულხანის სამეგობრო დილიდანვე წასულა ბათუმში, ერთ ოჯახში წვეულებაზე. ბიჭებიც შეპირებიან, საღამოს შემოგიერთდებითო.

ჯერ პეტრას ციხე დავათვალიერეთ ციხისძირში. სულხანის ახსნით, ეს ისტორიული ქაჯეთის ციხეა, სადაც ნესტან-დარეჯანი ჰყავდათ გამომწყვდეული და აქ სამთა საძმომ მის გამოსახსნელად საარაკო ბრძოლა გადაიტანა. შთაბეჭდილება აუწერელია, ემოციები უშრეტი. გავედით ზღვაზე, ვიბანავეთ. გურამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩემს მიმართ. მეც უკვე მესიმპათიურებოდა გურამი.

ბანაობით გული ვიჯერეთ, მაგრამ გარუჯვა ვინ გვაცალა - გურამი ითხოვს ბოტანიკური ბაღის დათვალიერებას. ჩვენც სიამოვნებით ვეთანხმებით. ახლა თინიკო აქტიურობს, ის ხომ რომანტიული ბუნების და ფაქიზი სულის პატრონია. უკან მოვიტოვეთ უღელტეხილი, გავიარეთ დაბა ჩაქვი. ჩაის პლანტაციის რიგებით მოხატული ფერდობის დასაწყისთან მანქანამ მარჯვნივ შეუხვია. იქ დაცვის თანამშრომლებმა რაღაცები გვკითხეს და ბოტანიკური ბაღის ჭიშკარი ბოლომდე გაიღო.

ნამდვილი საოცრებაა, ხილული სამოთხე... ეგზოტიკური მცენარეები და ყვავილები. პატარა არხები, მოწანწკარე ნაკადულებით... პატარა გუბურები ოქროს თევზებით. უზარმაზარი მაგნოლიები, კვიპაროსები და ევკალიპტები. აგერ ბაღის დამაარსებლისა და პირველი პატრონ-ქომაგის კრასნოვის ბიუსტიც. ცოტა აღმართიც და გადაიშალა თვალწარმტაცი მწვანე კონცხი. მახინჯაური. ცოტა მოშორებით კი - შეუდარებელი ბათუმი.

სამოთხეში ვარ. ბიჭებს ვთხოვ, მანქანა გააჩერონ, თორემ ემოციები დამახრჩობს და შთაბეჭდილებები წამლეკავს. ასევეა სოფოც. თინიკო კი უფრო მშვიდი და ლაღია, არც მიკვირს, ის ხომ აქაურია, აქ დაბადებული და გაზრდილი. ახლა კი მივხვდი, რატომაა ასეთი ამაყი, დინჯი და გორობი გულით დაჯილდოვებული ჩვენი ლამაზი თინიკო. ეტყობა ამიტომაცაა, რომ შეუძლია ემოციებისა და გრძნობების მოთოკვა, მაგრამ ვულკანიცაა, ისე შთამბეჭდავად შეუძლია ემოციების მოზღვავება, გრძნობამორეული ნა-

მდვილი თერგია - „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“ ... ის ამაყია, ის თავმდაბალია და იმდენად კდემამოსილი, ვენერას ვადარე. მადლი იმ ახალგაზრდას, ვისაც სიყვარულს აჩუქებ, ფუძე დაელოცოს იმ ოჯახს, სადაც შენ ფეხს შედგამ, ჭერი აუმაღლდეს, ვისაც შვილს გაუჩენ. შვილთმრავლობა დაებედოს. ახლა ვხვდები, განსაკუთრებულად რატომ ეფერებიან აჭარლები დედის მანდილსა და „დიდი ნენეს ნანას”.

ბათუმში დავათვალიერეთ სანაპირო, ზღვისპირა ბულვარი და კიდევ ბევრი სხვა ღირსშესანიშნაობა. შემდეგ სულხანის მეგობრის ოჯახს ვეწვიეთ. იქ გველოდნენ. დიდი პატივით მიგვიღეს. კარგად მოვილხინეთ, გვიანობამდე გაგრძელდა ქეიფი. შემდეგ გადავწყვიტეთ ბულვარში გასეირნება და ზღვაში ბანაობა. ყველას მეტნაკლებად გვქონდა დალეული ღვინო,მაგრამ, ეტყობოდა, ბიჭებს ემარჯვათ, კაი ოხუნჯობისა და ოინბაზობის ხასიათზე დამდგარიყვნენ.

ზღვა, ვარსკვლავები, გურამის სიყვარულის ახსნა და პირველი კოცნა.

ეეჰ, რა საამურია.

გვიან ღამით დავბრუნდით ბობოყვათში. გურამი ბათუმში დარჩა. მე კი ცრემლიანი განშორება და შეხვედრის იმედი მერგო.

გურამი თითქმის ყოველ დღეს ჩამოდიოდა ბობოყვათში. ხან ჩვენ ჩავდიოდით ბათუმში. ჩვენ შეყვარებულები ვართ, არც ვმალავთ, უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ, ვერ მოვიაზრებთ, როგორ უნდა გადავიტანოთ განშორება. დათვლილი თხუთმეტი დღე უცებ გავიდა, გაფრინდა. დადგა განშორების დღე. ეს იყო ყველაზე ძნელი, მაგრამ ყველაზე იმედიანი დღე ჩემს სიციცხლეში. ძნელი იმიტომ, რომ სატრფოს ვშორდებოდი, იმედიანი იმიტომ, რომ მომავალში აუცილებლად შევხვდებოდი.

თინიკო უკვე ღვიძლ დასავითაა. მან მაპოვნინა ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყვარული. სოფიკო ჩემი მესაიდუმლეა. ბევრჯერ დაასველებს მის კალთას ჩემი ცრემლები, სიყვარულის კაეშანი და სატრფოსთან სიშორე რომ ბადებს.

დარჩენილი არდადეგები კახეთში გავატარეთ, მშობლიურ სოფელში. მე და სოფო ხშირად დავდიოდით მდინარეზე, ტირიფის ძირას ერთმანეთს ჩახვეულებს რამდენი გვინატრია, გვიოცნებია, გვიოხრია, დაგვისველებია ერთმანეთის კალთები. თურმე სოფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სულხანიც გამიჯნურებულან - ეს მხოლოდ გურჯაანში გამიმხილა.

დაიწყო სწავლა. თინიკო ჩამოვიდა ბათუმიდან. ერთი სული გვქონდა მე და სოფოს. ვიხელთეთ დრო და ვეტაკეთ. იმდენი კითხვა დაისვა და პასუხის მოლოდინში იმდენი ვინერვიულეთ, ზვარიდან დაბრუნებული მამაჩემივით ხვითქი გვსდიოდა შუბლიდან.

თინიკო მოგვიყვა: ბიჭები კარგად არიან. გურამი აგრძელებს სწავლას ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მეორე კურსზე. სულხანი სანაოსნოში გამოცხადდა. შეპირდენ თანამდებობაზე დანიშვნას. რაც შეეხება მის გრძნობას, შეუპოვარია, მშობლებს გაუმხილა გულის ხვაშიადი. უნდა ნიშნობა შედგეს, სოფოს ოჯახს გაეცნოს და ქორწილიც დაინიშნოს...

თინიკომ ჩუმად გადასცა სოფოს სულხანის წერილი და დააყოლა - უკვე ჩემი რძალი ხარო. ამოიღო ჩანთიდან ოქროს რგოლის ბეჭედი, მარჯვენა ხელის არათითზე გაუკეთა და საზეიმოდ გამოაცხადა:

- ეს მშობლებმა გამომატანეს, ჩვენი სახელით გაუკეთე დანიშნულსო. - სოფოს მოეხვია, მოეფერა და თეგიზ ბიძიას დანაბარები გადასცა: - სოფო ბეჭედს თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს, დიდი ნენეს ნაქონი ბაჯაღლოაო.

სოფო აქვითინდა, მოეხვია თინიკოს, ჩვენც აგვიწყლიანდა თვალები... ბედნიერები ვიყავით.

ცოტა რომ დავწყნარდით და გრძნობები დავიოკეთ, თინიკომ ამოიღო აბრეშუმის ჭადრაკული ბაღდადი, მიუალერსა სოფოს, ყელზე მოახვია და ყურში ჩასჩურჩულა:

- ეს ბებომ გადმოგცა, ჩემს გელინს უნდა დაუმშვენოს ყელიო, - მისი დედამთილის ნიშნობის საჩუქარი ყოფილა-თურმე. ერთი სიტყვით, ბედნიერების მეშვიდე ცაზე ვიყავით.

ასე გავიდა მოლოდინის და მონატრების კიდევ ორი თვე. თბილისში გურამი და სულხანი ჩამოვიდნენ - საჩუქრებით, მოკითხვებით და მონატრებით დატვირთულები. სამ დღეს დარჩნენ.

სამი დაუვიწყარი და უბედნიერესი დღე...

იმ წლის შემოდგომაზე სოფომ და სულხანმა იქორწინეს. თინიკო დაინიშნა. ახალდამოყვრებულმა ოჯახებმა მოინდომეს რძლის და სარძლოს ბათუმში გადასვლა სასწავლებლად და

საცხოვრებლად. სემესტრის დამთავრების შემდეგ გადაიტანეს საბუთები და ჩემი მესაიდუმლე და საყვარელი გოგონები წავიდნენ ბათუმში. გაცილებისას ბევრი ვიტირე. ის იმედი მაცხოვრებდა და მაცოცხლებდა, რომ გურამი მალე დამნიშნავდა, ვიქორწინებდით და საცხოვრებლად მეც გადავიდოდი ბათუმში.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... ასეც მოხდა. ქვეყანაში დაიწყო გამოსვლები. საქართველომ მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა. ამას მოჰყვა სამხედრო გადატრიალება, განუკითხაობა და ქაოსი. მამაჩემი დაჟინებით ითხოვდა, ინსტიტუტი მიმეტოვებინა და სოფელში დავბრუნებულივიყავი. მენანებოდა სწავლისათვის თავის დანებება. გურამის ჩამოსვლასაც არ დაადგა საშველი. მისმა მშობლებმა, მართალია, არ დამიწუნეს, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვეს ნიშნობისა და ქორწილის ჩატარება სწავლის დასრულების შემდეგ. ჩვენც რაღა დაგვრჩენოდა, შევეგუეთ მშობლების გადაწყვეტილებას, ხშირად ვუკავშირდებოდით ერთმანეთს და ვცოცხლობდით იმედით.

ერთხელ სასწავლებლიდან ბინაში ფეხით ვბრუნდებოდი. გასტრონომსა და წიგნების მაღაზიაში უნდა შემევლო საყიდლებზე. უცებ ზურგს უკან სამხედრო მანქანამ, "ვილისი" იყო ალბათ, ავის მომასწავებლად და საბედისწეროდ დაამუხრუჭა. გადმოვიდა ორი შეიარაღებული, სამხედროფორმიანი ახალგაზრდა, განმასხვავებელი ნიშნებზე ეტყობოდათ - მხედრიონის წევრები! მთვრალები ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყვნენ. დამიწყეს ღლაბუცი, თანაც უშვერი და უწმაწური სიტყვებით მიმართავდნენ ერთმანეთს. ვთხოვე, დაენებებინათ ჩემთვის თავი და წასულიყვნენ თავიანთი გზით. ამაზე ერთ-ერთი გადაირია, რას მიქვიან შენი დარიგება, ან ჭკუის სწავლებაო. შეევეედრე, ავუხსენი - წესიერი ოჯახის შვილი ვარ, სტუდენტი და დავსძინე: თან დანიშნული-მეთქი. ეს გამოდგა საბედისწერო შეცდომა. ჩამაცივდა, სადაური ვიყავი და ვისზე ვიყავი დანიშნული. რომ გაიგეს, კახეთიდან ვიყავი, ცოტა დაშოშმინდენ, მაგრამ ცნობამ, რომ დანიშნული ვარ ბათუმელ ბიჭზე, ამაზე გადაირივნენ. მიდგენ და აგინეს აჭარლებს, ასლან აბაშიძეს, მის სეპარატისტულ პოლიტიკას. შემდეგ ერთერთმა წამოიძახა, კახელი გოგო "თათარს" არ ეკუთვნებაო. ძალით ჩამტენეს მანქანაში. გავუძალიანდი, მაგრამ უშედეგოდ, პასუხად ავტომატის კონდახი მომხვდა თავში. სისხლი თქრიალით ჩამომდიოდა ღაწვებზე, მაგრამ არავის უფიქრია

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. მანქანა მთელი სიჩქარით მიჰქროდა. ჩემი ხვეწნა, მუდარა და გოდება ყინულს გაალღობდა, ქვას გახეთქავდა, მტერსაც კი გულს მოულბობდა, მაგრამ ამათ არა. რამ გაამხეცა ეს ხალხი, რამ გააბოროტა ეს საძაგლები, რომ ადამიანის სახე და გრძნობები დაკარგეს?! ამიყვანეს თბილისის ზღვაზე. უკვე ბინდდებოდა. მანქანა მიაყენეს ბუჩქნარში. გადმომათრიეს. კიდევ ერთხელ შევეცადე მათ დაშოშმინებას. ვემუდარებოდი, ვეხვეწებოდი - განა ქართველები არ ხართ, დედის ძუძუ არ გიწოვიათ, მეც ქართულ ნანაზე ვარ გაზრდილი, თქვენი სისხლი და ხორცი, თქვენი ნათესავი-მეთქი... დედა არ გყავთ, დები არ გყავთ, ნათესავები არ გყავთ, ეთრხელ მაინც წარმოიდგინეთ, თქვენებს რომ ასე გაუკეთოონ და მოექცნენ, როგორ მოგეწონებათ-მეთქი, მაგრამ უშედეგოდ. იმან, ვინც საჭესთან იჯდა, იღრიალა, გააჩერეთ ეგ კახპა, თორემ ახლავე ჩავცხრილავ ავტომატის ჯერითო. ბოლო ძალა მოვიკრიბე და ვთხოვე:

- ძმობას გაფიცებთ, დედას და გულით საყვარელს გაფიცებთ, ქალწული ვარ და ნამუსს ნუ ამხდით, ნუ გამათახსირებთ, ნუ გამიმწარებთ და ჩამიშხამებთ ცხოვრებას, ნუ დამასხამთ თავს ლაფს, მირჩევნია, მესროლოთ და აქვე მომკლათ-მეთქი.

ვინ მოგისმინა... ორი მომვარდა გაცოფებული, შემომახიეს ტანსაცმელი. მოვასწარი და ერთერთს სახე ჩამოვუკაწრე. ის უღმერთო და გარეწარი უფრო გამხეცდა, არაადამიანურად დაიღრიალა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩამაზილა მუცლის არეში წიხლი. გონება დაკარგე - არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე ასე ნაცემ-ნაგვემი ეკლიან ბუჩქებში. როცა გონს მოვედი, მივხვდი, არაკაცებმა გამაუპატიურეს, გამაბახეს, მხეცები გაძღნენ ჩემი უმანკო ხორცითა და დათვრნენ ქალწულებრივი სისხლით. დამიბრუნდა საღად აზროვნების უნარი, გავითავისე ჩემი უბადრუკი მდგომარეობა და გადავწყვიტე თავის მოკვლა. თვალით მოვზომე - წყლამდე მანძილი 200 მეტრი იქნებოდა. წამოდგომა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. მტკიოდა ყველაფერი, მუცელში ცეცხლი მეკიდებოდა, ხელ-ფეხს ვერ ვგრძნობდი. გადავწყვიტე, ხოხვით მივსულიყავი წყლამდე. რამდენ ხანს ვიწვალე, არ ვიცი, მაგრამ როცა ვიგრძენი წყლის მაცოცხლებელი სიგრილე და სისველე, გონს მოვედი, მოვსვი წყალი. კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი არე-მარეს, გამოვიტირე ახლობლები... ჩემი დაკარგული სიყვარული და მდუღარე ცრემლი შეერთო თბილისის ზღვას.

უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და როგორც შემეძლო, წყალში შევცურე. გონება დავკარგე...

ზმანებაა ნეტავი?...

ეტყობა, უკვე მოვკვდი და ჩემი სული საიქიოშია... აღარც ტკივილს ვგრძნობ, აღარც ბოღმა მახრჩობს... სითბოს ვგრძნობ მხოლოდ... საამო სითბოს... მეტი არაფერი არ დალექილა ჩემს ცნობიერებაში... ყურში რაღაც ხმა ჩამესმის... უფრო თუხთუხს მაგონებს... გონება თანდათან მეწმინდება და უკვე ადამიანის ხმაც მესმის. მართალია, ბუნდოვნად, სადღაც შორიდან, მაგრამ მაინც ადამიანის ხმა... ბოლოს ვგრძნობ, ვიღაც მხრებით მანჯღრევს და მეძახის.

თვალი გავახილე. მოხუცი მამაკაცი მადგას თავს, ცდილობს ხელადით წყალი დამალევინოს. ტუჩები მტკივა, ცივი წყალი მეხება, ამით ვხდები… ეტყობა, უპირობო რეფლექსი უფროა, ვიდრე ჩემი ნება და რამდენიმე ყლუპი გადავატარე ყელში. კუჭში მაცოცხლებელი სისველე ვიგრძენი. მერე უფრო გაბედულად მოვსვი წყალი და ნელნელა ცნობიერება დამიბრუნდა... მოხუცს უკვე კარგად ვხედავ. გადავწყვიტე, მოვსინჯო ხელ-ფეხი. მგონი, საღია და ადგილზეა. ჩემი გამოცოცხლება მოხუცს არ გაჰკვირვებია, გაუხარდა. საცეცხლურთან მივიდა, კარდალიდან წვნიანი თეფშზე გადმოიღო, თავთან დამიჯდა და მთხოვა:

- შვილო, ვიცი გიჭირს და გტკივა, მაგრამ რამდენიმე დღეა ქოხში უგონოდ და უჭმელი წევხარ, ცოტა უნდა ჭამო, მომჯობინდე, თორემ არაფერი გამოვა.

მოხუცის მცდელობამ ნაყოფი გამოიღო. შევძელი რამდენიმე კოვზი წვნიანის გადაყლაპვა... ტანში მაცოცხლებელი სითბო ჩამეღვენთა და ვიგრძენი, რომ ცხოვრებას, სიცოცხლეს ვუბრუნდები, თუ მიბრუნდება? უცებ მომხდარმა ერთბაშად თვალწინ გამიელვა და მწარედ ჩამეცინა: მინდა კი, დამიბრუნდეს სიცოცხლე? მინდა კი ვიცხოვრო? ამის შემდეგ ისევ წამერთვა თავი.

გამეღვიძა. ტკივილებს ისევ მთელი სიმძაფრით ვგრძნობ, განსაკუთრებით თავისა და მუცლის არეში. ოთახში მარტოდ ვარ. მოვსინჯე განძრევა - შევძელი, თავიც წამოვწიე ბალიშიდან, მაგრამ, ვაი, საოცრებავ - ერთდროულად რამდენიმე მჭედელმა მთელი ძალით დამცხეს ურო‌ები. ისევ ბალიშზე მივესვენე - ნელნელა ხმები ჩაცხრა და ტკივილები დამიამდა. ალბათ, ტვინის შერყევა მაქვს. იმ დღეს თავის წამოწევა აღარ მიცდია, მეშინოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრდემლისა და ურესი. შემოვიდა ჩემი გადამრჩენი. მინდოდა კი გადარჩენა? მან მამობრივად მომიალერსა, დამიყვავა და ხორკლიანი, ნაჯაფი ხელი გადამისვა შუბლზე. შემდეგ ადგა, წყალი დამალევინა, დამაპურა, თბილად შემფუთა და მთხოვა, დამეძინა. მე ვერ ვიძინებ, ტკივილები გაუსაძლისია.

ამას ხვდება მოხუცი, კარადიდან იღებს ნახევარლიტრიან ბოთლს, ავსებს ჭიქას და დალევას მთავაზობს... მართალია, ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ მიმიკით მიმიხვდა, რომ ვეკითხები, რა არის მეთქი?

ულვაშებში ჩაიცინა და მითხრა:

- ეს სუფთა ქართული ჭაჭაა, ამით მკურნალობდნენ და ტკივილებს იამებდნენ ჩვენი წინაპრები მრავალი საუკუნეების განმავლობაში ბრძოლის ველზე, გზაში თუ ყანაში.

ტუჩებზე ჭიქა მომადო. მემწარა, მაგრამ იმ ტკივილებზე მწარე არ იყო, თანაც თედო პაპა მპირდება, ტკივილებს დაგიამებსო.

მოხუცს რომ თედო პაპა ერქვა, თავად მითხრა. მარტყოფელია. აქ მისი ოჯახის მარჩენალ ცხვარს აბალახებს, ქოხშიც აქ ითევს. გაარიდა ბერიკაცმა პირუტყვი მძარცველებსა და ყაჩაღებს.

მთელი დარჩენილი ნებისყოფა მოვიკრიბე და ჭაჭა დავლიე... ცეცხლი ჩამეღვარა მუცელში, მაგრამ ნელნელა გათბა და მართლაც ისე გაუსაძლისი ტკივილები აღარ მაქვს. დამიამდა. გავიდა ცოტა ხანი და, ჰოი, საოცრებავ, მშია. მივანიშნე თედო პაპას, მან კი ბავშვივით გაიხარა. წვნიანში პურის ნატეხები ჩააწყო, აცალა ჩალბობა და რაღაც ძველი, მაგრამ ნაცნობი მელოდიის წაღიღინებით თავისი ხელით შემაჭამა. თეფში დავცალე. რაღაც უსიამო გრძნობა დამეუფლა... გულის რევის ბადალი შეგრძნება. ცოტა ხანში უსიამო გრძნობა გაქრა და საღათას ძილით ჩამეძინა. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს, ბოლოს ლაპარაკის უნარი და სიარულის ძალა დამიბრუნდა. თედო პაპას ყველა ჩემი წარმატება პატარა ბიჭივით უხაროდა. უკვე ვეხმარებოდი ბერიკაცს საოჯახო საქმეებში. ოთახს ვალაგებდი, წყალი ამომქონდა წყაროდან, სადილს ვამზადებდი. ასე მიდიოდა დრო.

თედო პაპას შვილივით შევუყვარდი, ნიავს არ მაკარებდა, მივლიდა, უკანასკნელი ლუკმაც კი ჩემთვის ემეტებოდა. ბოლოს მთხოვა:

- შვილო, მომიყევი შენს შესახებ, იქნებ, ნათესავებს მივაწვდინო ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი თხოვნა ნაწილობრივ დავაკმაყოფილე. მოვუყევი ყველაფერი, გამოვტოვე მხოლოდ არამზადებთან შეხვედრის ეპიზოდი და დამტყდარი უბედურება.

მან ულვაშებში ჩაიცინა და მითხრა:

- მეტი არაფერი თქვა, დანარჩენი შენზე უკეთ ვიციო, - და მიამბო:

- შევნიშნე, რომ დიდი სიჩქარით სამხედრო მანქანა ამოვიდა, ერთხანს იდგა ბუჩქნარში, შემდეგ კი ისევე სწრაფად გაშორდა იქაურობას. მე ვერიდები მათ... ერთხელ სამხედროფორმიანებს გადავაწყდი შემთხვევით, არც ჭაღარა დამიფასეს, არც ის, რომ მათი პაპის ტოლა ვარ და ჩემი ჯაფითა და ოფლით ვშოულობ ლუკმაპურს, მარტოხელა ბერიკაცს სულ თოფის კონდახი მირტყეს ზურგსა და ბეჭებზე მაგ უჯიშო-გადაგვარებულებმა. ორი ცხვარი წამართვეს, ჩააგდეს მანქანის საბარგულში, მე კი დამემუქრნენ, ჭკუით იყავი, თორემ დანარჩენებსაც წაგართმევთ და შენც ჩაგაძაღლებთო. რა გაეწყობოდა...

მეორე დღეს იმ ადგილისკენ გავრეკე ცხვარი, თანაც წყალს დავალევინებ-მეთქი. თორმეტი ცხვარიღა დამრჩა, ორი ვერძი და ათი ნერბი. მაკე ცხვარი აღარ იწველება, თორემ რძით უფრო მალე მომჯობინდებოდი. იმ დღეს საკმაოდ ცხელოდა. ცხვარი ჩავიდა წყალზე, ჩემმა ცუგამ კი ყეფითა და ყმუილით აიკლო არემარე. მივედი ნაპირთან და, აი, საოცრება, შენ ეგდე წყალში...

ეულ ბერიკაცს ღმერთმა შვილი გამომიგზავნა-მეთქი, გამიხარდა.

უგონოდ იყავი, მთელი დღე ვიწვალე, სანამ ქოხში გადმოგიტანე... ხან ხოხვით, ხან ხარიხით, ბოლოს მოვიფიქრე, წნელებისგან საკაცის მსგავსი რამ დავწანი, დაგაწვინე ზედ და მოგათრიე ქოხში. საგანგებო საწოლი გაგიმზადე და დაგაწვინე. შემდეგ სხეული შეგიმოწმე. მოტეხილობები არ გქონდა, მხოლოდ თავის არეში გქონდა ნახეთქი ჭრილობა. სისხლი შემხმარიყო. ზურგსა და მუცლის არეში ჩალურჯებები გქონდა, საკმაოდ ბევრი, ეტყობა, კონდახით გცემეს მაგ ურჯულოებმა. ჯანმრთელობისათვის ყველაზე საშიში ის იყო, რომ საშოდან სისხლდენა გქონდა... უღმერთოდ ძალა უხმარიათ შენზე, თან ქალწული ყოფილხარ... ჩავვარდი საგონებელში. ბოლოს მოვიფიქრე, ცხვარი შევამწყვდიე გომურში, შესასვლელში ცუგა მივაბი და წავედი ქალაქში. მეაფთიაქე გოგონას მოვატყუე, რომ საშოდან სისხლდენის

შესაჩერებელი წამალი ჩემი დედაკაცისთვის მინდოდა. მანაც, დალოცვილმა, გამოყენების წესი ამიხსნა, წამლებიც მომცა და სახვევებიც. ღმერთს მადლობა, ნემსის გაკეთება და მკურნალობა შემიძლია. ათი წელია, რაც ჩემი დედაკაცი დავასაფლავე, დავრჩი ეული. ქვეყანაში არეულობის დაწყების შემდეგ თავი მოვუყარე ჩემს ცხვარს, სახლიდან გადმოვიტანე აუცილებელი ინვენტარი და ამ უკაცრიელ ადგილზე დავფუძნდი, განვეშორე ყველას და ყველაფერს... იშვიათად ჩავდივარ ქალაქში, ისიც ყველის და ხორცის გასაყიდად და აუცილებელი პროდუქტების ამოსატანად. ვარ ასე. უფრო სწორად, ვიყავი. ახლა შენ მყავხარ. ერთ კვირას გმკურნალობდი. სისხლდენა შეგიჩერდა, მაგრამ გონს ვერ მოდიოდი, ასე ველოდი შენს მობრუნებას. სუნთქავდი, ხანდახან ბორგავდი კიდეც, მაგრამ გონი და ცნობიერება არა და არ გიბრუნდებოდა. დანარჩენი კი იცი...

მოხუცის მამაშვილურმა მოპყრობამ ნაყოფი გამოიღო - სიცოცხლის ნირი და უნარი დამიბრუნდა, მაგრამ რისთვის ვიცხოვრო? ვის რაში ვჭირდები გაბახებული, ნამუსახდილი, ნათრევი. მე ხომ სულ ახალგაზრდა ვარ, ოციოდე წლის. მშობლები, და, ძმები არ მიმიღებენ, ვერ გამიგებენ და არც მაპატიებენ, რადგან თავის დროზე მათ არ დავუჯერე, არ მივანებე სწავლას თავი და არ დავბრუნდი უასფრთხო გარემოში - ოჯახში. რა ვქნა?

ჩემი დარდი და საფიქრალი თედო პაპას გავანდე.

მან დამიყვავა და ჩამაგონა:

- ნუგეში უფალშია, მხოლოდ უფალს ძალუძს ადამიანის განსჯა ან შენდობა.

მომიტანა ბიბლია, სხვა საღმრთო წიგნები. მეც დავეწაფე ამ მოძღვრებას, სულ სხვა კუთხით შევიცანი ჩემი თავი, სხვა იდეალები ვნახე უფალში, ჩემთვის გავითავისე, ღვთის ბოძებული სიცოცხლის ხელყოფა ყველაზე დიდი ცოდვაა... მტკიცედ გადავწყვიტე, ჩემი წილი უნდა ვიცოცხლო და ვიცხოვრო...

თედო პაპას მეცადინეობით და ზრუნვის წყალობით გამოვკეთდი. ტკივილები დამიამდა, ჩალურჯებული ადგილები მომიშუშდა, ხოლო კანმა ჩვეულებრივი ფერი მიიღო. დამრჩა საკმაოდ დიდი ნაიარევი კეფის არეში, მაგრამ არ ჩანს, თმა ფარავს. გულში კი დარჩა უკურნებელი ჭრილობა... ჭრილობა მიყენებული არაკაცების, არამზადების მიერ... ნეტავი, ვიცოდე მათი ვინაობა ან სადაურობა, რომ შური ვიძიო. ვაი, რომ ბოროტებას ადამიანის

სახე, ეროვნება და წარმომავლობა ან ჩამომავლობა, რაიმე ადამიანური საერთოდ არ აქვს.

თედო პაპას დამსახურებაა ისიც, რომ სიცოცხლის სურვილი დამიბრუნდა. მისი მამაშვილური ზრუნვა და რჩევები რომ არა, დიდი ხანის მკვდარი ვიქნებოდი. მთელი დღეები მარტო ვიყავი, თვითმკვლელობა თავისუფლად შემეძლო... თედო პაპა ხან ცხვარს აბალახებდა, ხან სოფელში მიდიოდა, ხან კი ქალაქში ჩადიოდა, რათა სურსათი და სხვა საჭირო ნივთები შეეძინა. ფულს სად შოულობდა, არ ვიცი, მომერიდა მეკითხა, თორემ მისი მცირე პენსიით რომ ფონს ვერ გავიდოდით, ისედაც გასაგები იყო.

ერთ საღამოს, როცა ჩვეულებრივ კერიასთან ვტრიალებდი, ლობიოს ვხარშავდი და საკმაზს ვამზადებდი, ცუდად გავხდი. ჯერ თავბრუ დამეხვა, შემდეგ გულისრევა მომეძალა. ბარბაცით გავედი გარეთ, კარის ზღურბლთან, პირდაპირ მიწაზე ჩავიკეცე... თედო პაპა შეშინებული მომვარდა, ვაიმე შვილოო, ამოიგმინა, მაგრამ არ დაიბნა... ამდენ ხანს მარტოდ ცხოვრებამ ასწავლა საკუთარი თავის მიხედვისა და სხვაზე დახმარების აღმოჩენის წესები... წყალი დამალევინა, შემეხიდა მხარში, შემიყვანა ოთახში და საწოლზე მიმაწვინა. ცოტა ხანს ვნერვიულობდი და ვბორგავდი, შემდეგ კი ჩამეძინა. როცა გავიღვიძე, თედო პაპა თავზე მედგა. ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა მოხუცს გაცრეცილ ტუჩებს. შემეშინდა:

- რამე ხომ არ შეგემთხვა? - ვკითხე,

დამაწყნარა და ღიმილით მახარა:

- შვილო, შენ მალე დედა გახდები.

სიმართლე გითხრათ, ისე ვიყავი გაწამებული და გატანჯული, ქალურ წესს აღარც ვაქცევდი ყურადღებას, სისხლდენაც დიდხანს მქონდა... მაგრამ რა გამოდის, ერთ-ერთი არამზადისგან შვილი მეყოლება... ჩემი პირმშო... თავში ურეები მირტყამს, აზრები მერევა, გონება მებინდება... ვაიმე... რა შევცოდე ასეთი, ყველაფერი მე დამატყდა თავს, რა დამიშავებია ან ვისი ცოდვის გამო ვისჯები? გული ცუდად გამიხდა და მივსავათდი საწოლზე.

გაუნძრევლად ვიწექი ერთხანს. თედო პაპა თავის საწოლზე თავჩაქინდრული იჯდა. ეტყობოდა, მძიმე ფიქრებს დაეპყრო მისი გრძნობა-გონება. დიდხანს იყო ასე, ბოლოს მძიმედ ასწია თავი და ნელა დაიწყო:

- მესმის, შვილო, რომ იმ არამზადის ჯიშის გამრავლება არ შეიძლება, მაგრამ ის მაფიქრებს, იმ ნაყოფმა რა დააშავა, შენში რომ

ფეთქავს. ვერ მომიაზრებია, რა გირჩიო, რა გავაკეთოთ, რა გადაწყვეტილება იქნება მართებული. ქრისტეს რჯული გვასწავლის: არა კაც კლა... როგორ მოვიქცეთ? ის თუ არამზადაა, ჩვენ მკვლელები ვიქნებით. რა გითხრა, შვილო!? - თქვა ბერიკაცმა და აქვითინდა. მის სპეტაკ, თეთრ წვერზე ცრემლები ჩამოგორდა.

მოხუცისგან სხვისი გაჭირვების გათავისებამ, მისმა აუწონავმა მადლმა და თანადგომამ მთელი არსებით შემძრა და დამანახა არარაობა წუთისოფლისა... დიდხანს ვტიროდით გადახვეულები, ერთ დროს უცხო და ახლა ახლობელი ადამიანები.

რამდენიმე დღეს ვიტანჯებოდი. ვერ მივიღე გადაწყვეტილება, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულვყავი, ბოლოს გადაწყვეტე, მოვიცილო ნაყოფი. სხვა გამოსავალი არაა, უნდა გავიკეთო აბორტი. ბერიკაცი ამ ცნობამ შეაცბუნა. სცადა გადარწმუნებას, მაგრამ ბოლოს თვითონაც მიხვდა, რომ უფრო მეტი დანაშაული იქნებოდა ცოდვისშვილობა... მოლბა და დამთანხმდა.

თედო პაპა იცნობდა ერთ ექიმ - გინეკოლოგს. რი შეთნხმების მივედით. ოპერაციამ უმტკივნეულოდ ჩაიარა, მაგრამ როცა ექიმმა მითხრა, რომ მე არასდროს აღარ მეყოლებოდა შვილი, კინაღამ გავგიჟდი. დიდი ხნის სისხლდენამ, შეჭრილმა ინფექციამ და ქალწულზე არაადამიანურმა მოქცევამ ეს შედეგი გამოიღო... ეს დაორსულებაც სასწაულს მიაწერა და ისიც დასძინა, ნაყოფი მაინც უდღიური იქნებოდაო... ამან ცოტა ჩააწყნარა ჩემი და მოხუცის სინდისის ქენჯნა, მაგრამ რა შეღავათია, იმ არამზადების გამოისობით საბოლოოდ გამოვემშვიდობე ღვთით მონიჭებულ დედობის მადლსა და სიხარულს...

* * *

თედო პაპასთან დიდხანს ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა. ცხოვრება გრძელდება, რაიმე უნდა ვიღონო, გამოსავალი მოვძებნო. უნივერსიტეტში სწავლას გავაგრძელებ, საბუთებს გადავიტან დაუსწრებელ განყოფილებაზე და მუშაობას დავიწყებ, ამ გზით ბერიკაცსაც ვუპატროვებ და ჩემს თავსაც, ის ხომ ჩემი ერთადერთი მესაიდუმლე და პატრონია.

მამასთან სოფელში არ ჩავალ. ასე შერცხვენილი და გაბახებული ვერ ვეჩვენები, თავს ვერ მოვჭრი და-ძმებსა და მშობლებს... ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიტანენ ამ შერცხვენას და ტკივილს... სჯობს, დაკარგულად მიგულონ, ვიდრე მთელი ცხოვრება იტანჯონ ჩემი შერცხვენის გამო.

პირველ რიგში, საჭირო იყო ბინის დაქირავება. თედო პაპას ძველი ნაცნობი დამეხმარა. ნაძალადევში, გორაკზე, თითქმის განაპირა მიწურ ქოხში ერთი მარტოხელა ქურთის ქალი ცხოვრობდა. თედო პაპას გამოჩენამ გაახარა, ხოლო ცნობამ, რომ მე მასთან მინდოდა ცხოვრება, კინაღამ გადარია საწყალი ქალი. თქვა, რომ ქირა რას მიქვიან, ხმის გამცემი მაინც მეყოლება, თორემ ლამის გამოვჩერჩეტდი ქალი სიმარტოვითო... თედო პაპას ქოხიდან, რა თქმა უნდა, ვერ ვივლიდი, ჯერ ერთი, რომ შორი და უკაცრიელი გზაა გასავლელი, მერეც - სახიფათო, ნებისმიერს შეიძლება გადაეყარო. თედო პაპა მივიდა ადრე ნაქირავებ ბინაზე, ნავთლუღში, გადაიხადა ქირა, ბინის მეპატრონეს აუხსნა, რომ ჩემი პაპაა, წამოიღო ჩემი ნივთები.

ქურთის ქალს სანო ჰქვია, სანო ბებო. ასე შეიკრა სამკუთხედი: მე - გაუბედურებული და სვედავსებული ახალგაზრდა ქალი მარტოხელა, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანიანი, მარტყოფში სახლის, თბილისის ზღვის ფერდობზე ქოხისა და თორმეტიოდე სული ცხვრის მეპატრონე თედო პაპა და მარტოხელა ქურთის ქალი სანო ბებო, რომელსაც ოთახნახევრიანი, ნახევრადმიწური სახლის გარდა არაფერი გააჩნია.

სანო ბებოს დახმარებით მოვწესრიგდი. ძველებური ეშხი და ხიბლი აღარ მქონდა დიდ წამება-ავადმყოფობა გამოვლილს, მაგრამ საკმაოდ კარგად გამოვიყურებოდი. თუმცა, ჩემს ასაკს რამდენიმე წლით გავუსწარი კიდეც. ბებომ ცნობისმოყვარე მეზობლებს ჩემი თავი გააცნო ბათუმელ შორეული ნათესავად, რომელიც თბილისში ჩამოვიდა სასწავლებლად და სამუშაოდ. ცოტა ხნის შემდეგ მეც მოვერგე უბანს და გავხდი ტიპიური ნაძალადეველი გოგონა.

სანო ბებოს მეცადინეობით ჩემს მშობლებს, ძველი ბინის მეპატრონის სახელით, გავუგზავნეთ წერილი, რომ მე ერთ საღამოს სახლიდან წავედი და აღარ დავბრუნებულვარ, ხოლო მეზობლის პირით შევუთვალე, რომ საყვარელ მამაკაცს გავყევი ცოლად და უკრაინაში ვცხოვრობ. ეს იყო და ეს. ამ ვერსიის წყალობით, ჩემს გადაწყვეტილებას, დაუსწრებლად მესწავლა, აღსრულება აღარ ეწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანო ბებო დამლაგებლად მუშაობდა ერთერთ დაწესებულებაში, სადაც მეც დამაწყებინა მუშაობა. მართალია, ახალგაზრდა ნასტუდენტარი გოგონასთვის არაფერი ბედენაა დამლაგებლობა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა. ჩემი სტატუსისთვისაც შესაფერი იყო, არ მინდოდა, ვინმეს ვეცანი, ან გადავყროდი უსიამოვნებებს. დილით ერთად მივდიოდით. სამუშაოს მოვრჩებოდით თუ არა, გავივლიდით სასურსათო მაღაზიაში, ავიღებდით საჭირო პროდუქტებს და წავიდოდით სახლში. სანო ბებოსთან დავიწყე სიგარეტის მოწევაც. ვემსგავსებოდი ქურთის ქალს. თედო პაპას მოსანახულებლად მიმავალს სხვისი ყურადრება რომ არ მიმეპყრო, იცვამდი გრძელ კაბას და თავზე თავშალს ვიხვევდი. ვის რაში ვჭირდებოდით შეფუთული ქურთის ქალები.

ასე გაგრძელდა ერთ ხანს. შუა ზამთარში, სამუშაოს შემდეგ, თედო პაპას სანახავად წავედით. თოვლი კოჭებამდე თუ იქნებოდა. მივუახლოვდით ქოხს. ადამიანის ნაკვალევი რომ ვერ შევნიშნეთ, ცუდად გვენიშნა. ძაღლმა იგრძნო ადამიანების მოსვლა და ყეფას მოჰყვა. ცუგა გომურის შესასვლელთან ება. გულის ფანცქალით შევაღეთ კარი... თედო პაპა საწოლზე იწვა, სახე გაფითრებოდა, თვალები ჭერში ქონდა მიპყრობილი. ერთი პირობა ვიფიქრე, ღრმად ჩაფიქრებულა ბერიკაცი-მეთქი. სანო ბებო მაშინვე მიხვდა ყველაფერს... გარდაცვლილა საწყალი. სიმწრისა და მძიმე დანაკარგის გამო, მუხლები მომეკვეთა, იქვე ჩავიკეცე და მწარედ ავტირდი. სანო ბებოც ტიროდა...

თედო პაპა გასაპატიოსნებელი, მისახედი, დასასაფლავებელი იყო. მოვაწესრიგეთ ცხედარი. სანო ბებომ დაუხუჭა თვალები და ყბა აუკრა. ახალგარდაცვლილიყო საწყალი. სამი დღის წინ ვიყავით, კარგად გრძნობდა თავს, არ დაუჩივლია ავადმყოფობაზე, ისე კი სახეზე ცოტა გაფითრებული და გაცრეცილი ფერი ედო.

გვიან მოგვაგონდა ცხვრები. გომურში შევედით. ცხვრები მითბუნებული იწვნენ. თივა ბლომად შეეტანა პაპას, რა იცოდნენ საცოდავებმა, რომ უპატრონოდ დარჩნენ.

სანო ბებო მარტყოფში წავიდა. მოიკითხა თედო პაპას ნათესავები. ბიძაშვილებმა გადაასვენეს ცხედარი. ცხვრები და ცუგაც გაირეკეს და წავიდნენ.

გასვენებაზე წავედით მე და სანო ბებო. მხოლოდ ერთხელ მოგვაქციეს ყურადღება, ცალყბად იკითხეს, ვინ არიან ეს ქურთის ქალებიო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასვენებიდან ორმოცზე ავედით თედო პაპას ქოხში. დავალაგეთ, ღირებული ჩავალაგეთ, კარები მავთულით ჩავრაზეთ და წამოვედით. სანო ბებო ეკლესიაში წავიდა, თედო პაპას სახელით ცოტა ფული შესწირა და მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. ამის შემდეგ თედო პაპას ქოხში აღარ მივსულვართ.

ნათქვამია, უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო. მეც ასე დამემართა. თედო პაპას გარდაცვალებიდან ერთი წელიც არ იქნებოდა გასული, სანო ბებო გახდა ცუდად. მთელი თვე ვმკურნალობდი, მაგრამ უშედეგოდ.

ერთხელაც დილით მიხმო და მითხრა:

- შვილო, მე შენს მეტი არავინ მყავს, ავად ვარ, ექიმი არ მიმხელს, მაგრამ ვგრძნობ, უკურნებელი სენი შემეყარა, გამოცდილი ქალი ვარ, მინდა ჩემს მემკვიდრედ გცნო, გადაგიფორმებ ჩემს ქონებას, შენ კი მიპატრონე, გამასვენე ღირსეულად და საფლავი გამიწყე.

განჯინიდან პატარა რედიკულის მოტანა მთხოვა. დანაზოგი თანხა ჰქონია შავი დღისთვის, ადგილის ნასყიდობის მოწმობა კუკიის სასაფლაოზე და სახლის საკუთრების საბუთები. ამოიკვნესა, ერთი ხანი ბორგავდა, შემდეგ დაწყნარდა და მთხოვა, ფურცელი და საწერკალამი მიმეტანა. მივუტანე. დამაწერინა ანდერძი, რომლის ძალითაც მთელი მისი ავლა-დიდება ჩემს საკუთრებაში გადმოდიოდა. ხელი მოაწერა, თარიღი დაუსვა, ფურცელს აკოცა, მერე ჩამეხვია და მწარედ ატირდა. მეც ვტიროდი. ჩემი ბებო წუთისოფელს ეთხოვებოდა.

სამი დღის შემდეგ სანო ბებომ უკანასკნელად მთხოვა, ეზოში გამეყვანა. მეზობლებს გამოელაპარაკა, მოიკითხა. შემდეგ, დავიღალეო მითხრა და სახლში შეყვანა ისურვა. საწოლზე დავასვენე. მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ მხნეობას და სიცოცხლის სურვილს მაინც არ კარგავდა. სუნთქვა დაუმშვიდდა. მიხმო, მომეხვია, აბა, შვილო, მივდივარ, არ შეგეშინდესო, მითხრა და მინაბა თვალები.

ამანაც მიმატოვა...

ღმერთო, ახლა რაღა მეშველება, სულ მარტოდ დავრჩი.

სანო ბებოს ანდერძისამებრ ყველაფერი ზედმიწევნით შევუსრულე. შემდეგ მმაჩის ბიუროში ავიღე გარდაცვალების მოწმობა და ანდერძთან ერთად საჯარო რეესტრის სააგენტოში წავედი სახლის გადმოსაფორმებლად. ყველაფერი ექსცესების გარეშე ჩათავდა.

ახალ მისამართზე გავტარდი რეგისტრაციაში. უკვე თბილისელი ვარ, მაგრამ სრულიად მარტო.

ერთ ხანს ვმუშაობდი, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო შეკვეცაში მოვხვდი. ასე ამიხსნეს დაწესებულების კადერების განყოფილებაში, როცა ანგარიშის გასასწორებლად დამიბარეს. ახლა უმუშევარიც დავრჩი ნაცნობ, მშობლიურ, მაგრამ ჩემთვის გაუცხოებულ ქალაქში...

ქურთი ქალის ტანისამოსი აღარ გამიხდია... არავინ მაწუხებდა, არავინ მავიწროებდა, არ ვაინტერესებდი არავის, როგორც დედაკაცი. მეც ასე მაწყობდა, იმ არამზადებმა საერთოდ შემაძულეს მამაკაცების სინსილა.

მომწყინდა მარტოობა. სანო ბებოს დანაზოგი ჯერ კი მყოფნიდა, მაგრამ ეს ხომ არ იყო მთავარი, ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობები მომენატრა. ხშირად უაზროდ დავეხეტებოდი ქუჩებში... ზოგს, არანორმალურიც ვეგონე. ერთხელ ჩაიჩურჩულეს კიდეც, ეს ქალი გიჟიაო.

რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტეროტორიაზე ვიჯექი ფიქრებში ჩაძირული. ვიღაც ქალი გვერდით მომიჯდა, ჯერ გამეცნო, შემდედგ ჩემი ვინაობით დაინტერესდა. არ მინდოდა პირველ შემხვედრთან საუბარი, ან რაში მჭირდებოდა, მაგრამ არ მომეშვა. რომ გაიგო, ახალზრდა ქართველი ქალი ვარ, თანაც გაუთხოვარი, მიკიბვა-მოკიბვის გარეშე გამეცნო, ლალი მქვიაო და შემომთავაზა:

- თუ გაქვს სურვილი, ვიმეგობროთ. სამუშაოდ თურქეთში წასვლას ვაპირებ, შენც წაგიყვან და მოგაწყობ.

თურქეთზე ბევრი არაფერი მსმენოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ბევრი ჩვენი მოქალაქე მიდიოდა ბედის და სამუშაოს საძიებლად. ჩემთვის ეს ხსნაც იყო. დავიღალე მარტოობით და უმუშევრობით. გავიფიქრე, გულს მაინც გავიქარვებ-მეთქი და დავთანხმდი. იმ ღამით ჩემთან დავპატიჟე. შემდეგ კი პასპორტის ასღებად რიგი დავიჭირეთ.

ერთი კვირის შემდეგ, რამდენიმე ქალთან ერთად, ავტობუსში ვიჯექი და თურქეთში მივდიოდი.

ღმერთს მადლობა, ქობულეთი და ბათუმი ღამით გავიარეთ, თორემ იმდენი ფიქრი და განცდა მომეძალა, ლამის გავგიჟდი. მბჟუტავ შუქზე ვერავინ ვერ ამჩნევდა ჩემს თვალებში დაგუბებულ სევდას, დარდს, კაეშანსა და მდუღარე ცრემლს. დავსტიროდი პირ-

ველ სიყვარულს, პირველ კოცნას, ნათელ მომავალს, არ შემდგარ ოჯახსა და ჩემს გურამს. ნეტავი სადაა, ბევრი თუ მეძება, რას ფიქრობს, რას აკეთებს? თუ დაოჯახდა?..

როგორც იქნა, გადავკვეთეთ საქართველო-თურქეთის საზღვარი. ხოფაში ორი თურქი მამაკაცი დაგვემგზავრა... ტრაპიზონში დაგვაბინავეს სასტუმროში.

მეორე დღეს ჩამოგვართვეს პასპორტები და პირდაპირ გამოგვიცხადეს:

- ჩვენ თქვენში სოლიდური თანხა გვაქვს გადახდილი, ამიტომ იმუშავებთ ჩვენი პატრონაჟის ქვეშ, ამონაგების ერთი მესამედი თქვენი იქნება, ორი წილი ჩვენი. დაგიგროვდებათ თქვენს სახელზე გახსნილ ანგარიშზე ბანკში, თანხა ხელზე არ მოგეცემათ, რათა არ იფიქროთ გაქცევა ან სხვა ქალაქში გადასვლა.

ჩემთან ერთად კიდევ ხუთი გოგონა იყო, სხვადასხვა ეროვნების. სიმართლე გითხრათ, არც დავინტერესებულვარ, მე ჩემი სადარდებელი მქონდა... აღმოჩნდა, თბილისში გაცნობილი ლალი, ქალების მოძებნით, გადაბირებით, სათანადო საბუთების დამზადებით, საზღვარზე გადაყვანით, ხოფამდე მიცილებით და თურქ ემისრებზე მიყიდვით იყო დაკავებული. თურქეთში კარგად მოფიქრებული, გამართული, ორგანიზებული და დაქსაქსული არალეგალური ბორდელების ქსელი მუშაობდა. ერთი ასეთი საროსკიპოს ბინადარი გავხდი. კლიენტებს ვემსახურებოდით ძირითადად სასტუმროში, მაგრამ სანდო კლიენტებს ზოგჯერ სხვაგანაც მივყავდით. ერთხელ, კლიენტს თავისთან რომ მივყავდი, პოლიციამ გაგვაჩერა. მოგვთხოვეს საბუთები. რაც არ მქონდა, რას წარვუდგენდი. ვუთხარი, სასტუმროს რეგისტრატურაშია პასპორტი-მეთქი. თურქმა კლიენტმა დაიძვრინა თავი:

- ვერ ვიცნობ, ქალაქის ცენტრში გამაჩერა, მთხოვა სასტუმროში მიყვანა. შემეცოდა მანქანაში ჩავისვი და თქვენც გამაჩერეთო. გარკვეული თანხა გადაახდევინეს და გაუშვეს. მე კი გადამსვეს პოლიციის მანქანაში და მომიყვანეს აქ. დაკითხვაზე ყველაფერი ვუთხარი, სიმართლე არ დამიმალავს, რაც მოსახდენია, მოხდეს. ჩემთვის სიცოცხლეს ფასი მაინც აღარ აქვს...

სათქმელი დაასრულა და თავი ჩაქინდრა.

ცოტა ხანს საკანში ჩუმი ქვითინი ისმოდა...

თ ა ვ ი XII

„ უფრო მწარე და მწვავეა,
როცა შენ გკლავს შენივ ფლიდი!..”

აკაკი წერეთელი

ასე ჩაიარა მომდევნო დღემ. საკანში ყოფნის მეოთხე დღეს, დილით სასწრაფოდ გამომიძახეს უცხოელთა საქმეების განყოფილების ოფიცერთან. ოთახში ნაცნობი პოლიციელის გარდა იყვნენ ზეინაბი და ქენანი. შესვლისთანავე ზეინაბი დიდი ამბით მომვარდა, მხურვალედ გადამეხვია, მომიკითხა, შემდეგ მიუბრუნდა ოფიცერს და ერთ ხანს რაღაცას გატაცებით უხსნიდა. ქენანი დუმდა. ოფიცერი ადგა, მოვიდა ჩემთან, პასპორტი გადამიშალა, მანიშნა, შენიაო. დავუდასტურე, ჩემია-მეთქი.

პასპორტი გადმომცა და დაყვავებით მითხრა:

- ქალბატონო, გთხოვთ შემდეგში უცნობ პირებს ნუ ენდობით და სასტუმროდან ნუ გაჰყვებით, რომ რაიმე ხათაბალას არ გადაეყაროთ, ვიზას კი ნუ გადააცილებთ, თორემ შეიძლება სავიზო რეჟიმის დარღვევისთვის ქვეყნიდან გაგაძევონ.

ასე მითარგმნა ზეინაბმა. ოფიცერმა გამოგვაცილა და სიკეთე გვისურვა.

ქუჩის მეორე მხარეს ქენანის მანქანა იდგა. სასტუმრომდე ისე ვიარეთ, ხმა არავის ამოგვიღია. ჰოტელში მისვლისთანავე ნომერში ავედით სამივე. მინდოდა, მებანავა და თავი მომეწესრიგებინა, მაგრამ ვინ დაგანება... ზეინაბი მეცა და დამაყარა კითხვები:

- როგორ მოვხვდი პოლიციის განყოფილებაში, ვინ იჯდა ჩემთან ერთად საკანში, რა ჩვენება მივეცი გამომძიებელს...

შევეცადე, მაქსიმალურად დაწვრილებით, პოლიციაში მოყოლილი ვერსია მეამბნა, რამაც ზეინაბის მოწონება დაიმსახურა, ისიც მოეწონა, რომ მის შესახებ პოლიციაში არაფერი მითქვამს იმის გარდა, რომ მასთან ერთად ჩამოვედი თურქეთში და დამეხმარა სამუშაოზე მოწყობაში. განსაკუთრებული ემოცია არ გამოუწვევია იმ ცნობასაც, თუ ვისთან ერთად ვიჯექი საკანში, მხოლოდ დაადასტურა, რომ იცნობს მირანდას, როგორც სუტენიორს და თურქზე გათხოვილ ქალს. ბოლოს მკითხა:

- შემდეგში რას აპირებ?

არ დამიმალავს და არც ვაპირებდი გადაფიქრებას, რომ მივდივარ საქართველოში.

ამ ცნობამ განარისხა ზეინაბი და ქენანი, მომახალა:

- შენ ხომ არ გაგიჟებულხარ, იცი, რა დამიჯდა შენი თურქეთში ჩამოყვანა და პოლიციიდან გამოყვანა?

- რა დაგიჯდა? - ვკითხე.

არც დაფიქრებულა, ეგრევე ჩამომიკაკლა:

- თურქეთში ჩამოყვანა დამიჯდა პასპორტიანად 700, პოლიციდან შენი გამოხსნა კი 3000 დოლარი. ამას დაუმატეთ სასტუმროში კვება, ცხოვრება და სხვა წვრილმანი ხარჯები, ესეც 300 დოლარი... ერთი სიტყვით, ჩემი და ქენანის გმართებს 4000 დოლარი. კი ბატონო, ახლავე გადამიხადე და გაგიყვანთ ავტოსადგურში.

სახტად დავრჩი:

- რას ამბობ, ზეინაბ, პასპორტისა და გზის ფული მარინამ მომცა, უფრო სწორად, მასესხა, შენ რა შუაში ხარ?

- მარინას პურის ფულიც არ ჰქონდა. როგორ გგონია, სად ნახავდა ამოდენა თანხას? მე ვასესხე, ოღონდ გავაფრთხილე, შენთვის ეს არ ეთქვა.

- კი მაგრამ, ამის შესახებ მარინას არაფერი უთქვამს, გამოდის, რომ, შეკრულები ყოფილხართ. მისგან ასეთ ღალატს არ ველოდი...

ამაზე სარკასტულად გაეღიმა და მიპასუხა:

- მან არაფერი იცის, იცის მხოლოდ, რომ იმუშავებ, დააგროვებ ფულს და ვალებსაც გადაიხდი, მეტი არაფერი.

დავინტერესდი:

- არ მჯერა, რომ 3000 დოლარი გადაიხადეთ პოლიციაში? გამომძიებელი ისედაც დარწმუნებული იყო ჩემს უდანაშაულობაში.

- მართალი ხარ. მართალი რომ არ ყოფილიყავი, კრიმინალი ან დაგაჯარიმებდნენ ან მოგისჯიდნენ თავისუფლების აღკვეთას, მაგრამ ვინაიდან ასე არ იყო, პოლიცია, ფორმალურად, საზოგადოებრივი ქცევის ნორმების დარღვევის გამო, ვალდებული იყო მიეღო გადაწყვეტილება შენი ქვეყნიდან დეპორტაციის შესახებ.

მე გავაპროტესტე:

- არაფერი დამირღვევია.

ამაზე ირონიულად ჩაიცინა:

- ეს მისთვის უნდა გეკითხა... მაინც როგორ აპირებ ვალის გასტუმრებას?

- საქართველოში რაღაცას მოვიფიქრებ, ბოლოს და ბოლოს ბინას გავყიდი.

ზეინაბმა ისტერიულად გადაიხარხარა. კისერზე ძარღვები დაებერა და დაეჭიმა, სახეზე აენთო, წამოჭარხლდა, თვალები ჩაუსისხლიანდა, გაუფართოვდა და გიჟივით აყვირდა:

- ამ კახპას დამიხედეთ!? სულელი ან მიამიტი ბავშვი ვგონოვარ. ან ფულს ახლავე გადამიხდი, ან იმას გააკეთებ, რასაც მე და ქენანი გეტყვით! ჩვენ შენ გამოგისყიდეთ, სოლიდური თანხა გადავიხადეთ. რაც გვინდა იმას გიზამთ და ისე მოგექცევით, როგორც მოვისურვებთ. ნივთივით შენი გაყიდვის უფლებაც გვქვს, მაგრამ როგორც თანამემამულეს, ერთ შეღავათს გაგიკეთებ, შენი შვილის ცოდვას არ დავიდებ კისერზე, ცოდვაა, დედის გარეშე გაიზარდოს, იმუშავებ ჩვენთვის, სრულად გამოიმუშავებ ვალის საფასურს, პროცეტიანი სარგებლით, მერე კი მოგეხმარებით საქართველოში დაბრუნებაში... თუ ძალიან გააჩმახებ, იძულებული გავხდებით, სარგებლით გაგყიდოთ რომელიმე არაბულ ქვეყანაში. მაშინ დაივიწყე შვილიც და სამშობლოც.

თითქმის მივხვდი, ეს რასაც ნიშნავდა, ან რასაც მთხოვდნენ, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო და უკანასკნელად ვცადე:

- კეთილი, ვიმუშავებ რესტორანში მიმტანად და ნელანელა გადაგიხდით.

ამაზე ხომ ზეინაბი სულ გაგიჟდა:

- დამიხედეთ ამ კახპას, მიზერული ანაზღაურებით?.. ხომ გაგაფრთხილეს პოლიციის განყოფილებაში, რომ ლეგალურად თურქეთში მუშაობა აკრძალულია. მაშ, რას გვთავაზობ, ქალბატონო?

რა უნდა მეპასუხა ...

ბოლოს გამომიტანა ვერდიქტი ზეინაბმა:

- დაკავდები პროსტიტუციით, იმუშავებ სასტუმროში ჩემი ზედამხედველობის ქვეშ, კლიენტებსაც მე მოვიყვან... სექსუალური მომსახურების საზღაურის 70 პროცენტი გაიქვითება ვალში. 10 პროცენტი წავა შენს შენახვაზე, სასტუმროში ცხოვრებასა და ჭამასმაზე. 20 პროცენტს შეგინახავთ, რათა პერიოდულად გადა-

უგზავნო მშობლებს და დაგიგროვდეს გარკვეული თანხა... ამასაც ვაკეთებ ჩვენი თანამემამულეობის, მარინას და შენი შვილის ხათრით, თორემ ასეთ სიტუაციაში სხვა ვერაფერსაც ვერ ღებულობს. როცა ყველაფერი გასწორდება, „შემთხვევით“ მოხვდები პოლიციის თვალთახედვის არეში, ისინი კი უსაბუთოსა და უვიზოს ერთ ხანს გაყურყუტებენ ციხეში, შემდეგ კი ქვეყნიდან გაგამევებენ. ახლა უკვე ყველაფერი იცი, ხვალ დილამდე გაძლევ მოფიქრების დროს, თუ არ დაგვთანხმდები, შენს თავს დააბრალე.

ეს თქვა, ჩემს პროტესტსაც არ დალოდებია, გამომგლიჯა პასპორტი, უწმაწური სიტყვებით გამომლანძღა და სასწრაფოდ გავიდა. კარის საკეტში გასაღებმა გაიჩხაკუნა.

ესე იგი ჩამკეტეს... ამიყვანეს შინაპატიმრობაში. როსთან რაიმე ნეტავი, პოლიციას გავეძევებინე საქართველოში ან სულაც საკანში დავეტოვებინე.

ახლა რა ვქნა, რა ქვა ვიხალო თავში? მარიკა და მეძავი? მართალია, ჩემი ქმარი ციხეშია და ერთი დღეც არ გავუხარებივარ, მაგრამ ღალატი გულშიც არ გამივლია, ან როგორ ვიკადრებდი ამას, როგორ ვაკადრებდი მშობლებს, შვილს, სანათესავოს. როგორ გავცვლიდი ვინმეში ან რამეში ქართველი ქალის წმინდათაწმინდა ღირსებასა და ნამუსს, როგორ დავასხამდი თავლაფს ყველას, ვინც მიცნობს, მაფასებს და ვუყვარვარ. აქ კი, არა მარტო უნდა დავთმო და შევრყვნა ყოველივე, თურმე ნებაყოფილებით უნდა დავთანხმდე მეძავეობაზე, რომ ვიღაც გადამთიელმა ქენანმა და ზნედაცემულმა და თახსირმა თანამემამულე ქალმა, რომელმაც ადამიანის სახე დაჰკარგა, ფეხქვეშ გათელა ქართველი ქალისა და ადამიანის ღირსება და პატივი, ჯიბე გაისქელონ... უნდა გამყიდონ, რათა ფული ნახონ და თავიანთი ცხოველური ვნებები დაიკმაყოფილონ.

ახლა უფრო ცხადად აღვიქვი, თუ რა თუთქავდა და ტანჯავდა მუჰაჯირი ქართველის - ავნის გულს. მისი წინაპრები 130 წელზე მეტი ხნის წინათ გადმოიხვეწნენ სამშობლოდან. თვითონ აქ დაიბადა და გაიზრდა, ჯერ თვალითაც არ უნახავს საქართველო და არც ღირსეულ ქართველებთან ჰქონია კონტაქტი. და მაინც ასე აწუხებს და სტკივა საქართველო და ქართველი ადამიანისა და ქალის ღირსება. ჩემმა თანამემამულემ კი, საქართველოში დაბადებულმა და გაზრდილმა, ღირსეულ ქართულ ტრადიციებსა და კულტურას, ლიტერატურასა და ხელოვნებას ნაზიარებმა, მაგრამ

ზნედაცემულმა და უღირსმა, უძღებმა შვილმა, უცხო ტომელთან ერთად უნდა გამყიდოს... მაიძულოს, სხეულით ვივაჭრო... განა, შეერგება მის ნათესავ-მოკეთეებს ასეთი გზით გაკეთებული ფული? ღმერთო ჩემო, რა ხდება, ეს რა ცეცხლში ჩავვარდი, რა უბედურება დამატყდა თავს, რა მეხი და უშველებელი? სხეულით ვაჭრობა, მეძავეობა? კი, მსმენია და შემხვედრია კიდეც ასეთი ადამიანები, მაგრამ მე?.. უფალო, ჩამაგონე, რა ვქნა, რა გამოსავალი ვნახო, რა გზას დავადგე, სად მოვიძიო დაწყევლილი და დასაწვავი 4000 დოლარი, რომ მივაშავო ზეინაბს და ქენანს და სამარცხვინო ბოძზე გაკვრას გადავურჩე. ვგიჟდები, თავი მისკდება, აზრები მეწეწება. გამოსავალსაც ვერ ვაგნებ, ვერ ვპოულობ, რა ვქნა? ... ასე გატანჯული და დაღლილი ლოგინზე მივესვენე. გაუხდელს ჩამძინებოდა.

გამთენიისას გამეღვიძა. გული მტკივა, სული მეხუთება. ავდექი, გამოვაღე ფანჯარა. ზღვა აღარ იყო ლივლივა და რომანტიული. მწვანეში ჩაფლული ქალაქი რუხი და უბადრუკი მეჩვენა. ჩიტების ჭიკჭიკიც მაღიზიანებს, მანქანების საყვირსა და ქუჩის ხმაურზე ლამის ამერიოს გული... ნუთუ, დამთავრდა ყველაფერი, უკვე მონა ვარ?! სამშობლოდან თანამემამულის მიერ მოტყუებით ჩამოყვანილი. უცხოტომელმა უნდა მაიძულოს მეძავეობა, თუ არა და, გამყიდის ერთერთ არაბულ ქვეყანაში. ასეთი ბედი ადრეც ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს. იტაცებდნენ და უყიდდნენ შვილებს. ახლა კი, ქართველმა ჩამომიყვანა გასაყიდად... უცხოტომელმა გამიტაცა და მიმყიდა ისევ ქართველს, რომელიც არც კი ცდილობს, მიხსნას, მომეხმაროს, დავბრუნდე სამშობლოში, დავუბრუნდე მშობლებსა და შვილს, უნდა გამაქირავოს კლიენტებზე... თანამედროვე გოჩა და ხვიჩა. თანამედროვე მამლუქები, თანამედროვრე შადიმანები და ყორღანაშვილები. ვაიმე, საქართველო...

რაც უნდა წამკიდონ, არ გავხდები მეძავი, არ შევარცხვენ ქართველი ქალის მანდილს და ღირსებას. რაც არ უნდა გამიჭირდეს, ღირსებას და ნამუსს არ დავთმობ! არამც და არამც... მირჩევნია მოვკვდე. მე სულმნათი შოთას ღირსეულ ჩამომავლად და მისი დანაბარების ერთგული დავრჩები ბოლომდე:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

თავი XIII

დერეფანიდან ფეხის ხმა მომესმა, შემდეგ კი ჩემი ოთახის კარის საკეტში გასაღების ჩხაკუნი. ისევ ქენანი და ზეინაბი შემოვიდნენ. ქენანი დუმს, ზეინაბს კი აინტერესებს, როგორ დავისვენე, როგორ მეძინა.

გამომიჩნდა გულშემატკივარი...

დაცინვით მითხრა:

- საკანში ჯობს თუ ქათქათა ლოგინში?

შევეცადე, სიმშვიდე შემენარჩუნებინა და წყნარად ვუპასუხე:

- გმადლობთ, თუ არ ჩამიმწარდა.

- რას გულისხმობ?

- არაფერს ცუდს, საქართველოში მივდივარ, ესაა ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება.

ზეინაბი წამოხტა, ხელები ჰაერში გაასავსავა, სწრაფი ნაბიჯით მომიახლოვდა, წამავლო ნიკაპზე ხელი, თავი ზევით ამაწევინა, თვალებში ჩამაშტერდა და ჩაისისინა:

- რაო, ლამაზო, რა გადაწყვიტე?!.

მის თვალებში ისეთი ზიზღი, სიძულვილი და განრისხება დავინახე, რომ გამაჟრჟოლა. ნუთუ, შესაძლებელია, ფულის გამო ასე გძულდეს და ასე გაიმეტო თვისტომი! მეგონა, მხოლოდ სიძულვილის გამო ენთება ადამიანს ასე თვალები, სიძულვილისა, რომელიც შობა დიდი სიყვარულის შეგინებამ, ფეხით გათელვამ, გათახსირებამ. აქ კი მხოლოდ ფულია მიზეზი და, არავინ იცის, ნამდვილად მმართებს კი მისი ვალი?

მივხვდი, რომ ზეინაბი ყველაფერზე წამსვლელია, ოღონდ თავისას მიაღწიოს, მისაღები მიიღოს. ამან ჩემში, ჩემდა გასაკვირად, არა შიში, არამედ შემართება და გულადობა შობა. ახლა ნამდვილად დავრწმუნდი, სწორი გადაწყვეტილება მიმიღია. ახლა უნდა დავრჩე დიდ წინაპართა ღირს ქართველად, ნამდვილ ქართველ ქალად. ახლა ჩემს წინ ქალი კი არა, სულთამხუთავი დგას, რომელიც მზადაა, მძიძგნოს და მწიწკნოს, ხარბად დაეწაფოს ჩემს სისხლს, სულმოუთქმელად, დიდი ყლუპებით სვას გაძღომამდე, დათრობამდე, გაბრუებამდე. მოვიკრიბე მთელი ძალა და შემართება, მოვუხმე უფალს, პირჯვარი გადავიწერე, ყელი მოვიღერე და დინჯად, მშვიდად და შემართებით განვუცხადე:

- მე ნივთი არა ვარ, არ ვიყიდები, არ ვიქნები მეძავი. მიმიფურთხებია შენი ქართველობისთვის, შენი ქალობისთვის, შენ იუდავ და სატანავ! მიდი, მომკალი, გაძეხი ჩემი სხეულით, დათვერი ჩემი სისხლით! - და მწარედ ავქვითინდი.

ზეინაბმა ერთი დაიღმუვლა, ჰაერში შეხტა, მწვდა თმებში და დამითრია, ისტერიულად აყვირდა:

- ეს ვინ გამიხდა, ეს კახპა, ესა... ვინ მიბედავს, არ დამე-მორჩილოს... ვინ მიბედავს წინააღმდეგობას! გააკეთებ იმას, რასაც გეტყვი, არა და აქედან ცოცხალი ვერ გახვალ! შეგჭამ, შენ უნამუსო! - მიყვიროდა და მთელი ძალით მექაჩებოდა თმებში.

სიმწრისგან თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა და რაც ძალი და ღონე მქონდა, ვკარ მუშტი მკერდში. ამან ზეინაბი სულ გააცოფა. ჯერ თავი საწოლზე მარტყმევინა, შემდეგ დამითრია იატაკზე და ახლა აქ მაბურთავა და მარახუნებინა თავი. იატაკი ქართული სისხლით შეიღება. დარეტიანებულმა ქენანს ავხედე. მამაკაცურ, რაინდულ თანაგრძნობას და სიბრალულს ველოდი. მის სახეზე კი გულგრილობის გარდა ვერაფერი შევნიშნე. თვალებში - მსუნაგი, ხარბი გამოხედვა, ტუჩებზე - იქედნური, დამცინავი ღიმილი. თანადგომა არ გინდა, ზიზღით გადმომხედა, თავი იბრუნა და გადააფურთხა. ამან შემზარა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, ზეინაბს დავუსხლტი და მივვარდი მაგიდას. ხელოვნურყვავილებიან ლარნაკს ვტაცე ხელი და რაც ძალი და ღონე მქონდა ქენანს თავში ვთხლიშე. თავი გავუტეხე. სისხლმა ჩამოაწითლა მისი შავგვრემანი, მაგრამ უკვე ფერმკრთალი ლოყები. დაბარბაცდა, დარეტიანებული იატაკზე დავარდა. იატაკზე სისხლის პატარა გუბე დადგა. ცოტა ხანს ასე ეგდო. სასოწარ-კვეთილს ამომხდა:

- წყეულიმც იყავით, არამზადებო, სისხლის მსმელებო და არაადამიანებო... მე თუ ვერა, ღმერთი მოგიზღავთ საკადრისს…

ფრაზის დამთავრება ვერ მოვასწარი, გამხეცებული ქენანი წა-მოვარდა, მომვარდა და გადარეულმა დამიშინა წიხლები ზურგისა და მუცლის არეში. მერე არაფერი მახსოვს. ჯერ თვალები დამიბ-ნელდა, შემდეგ კი წყვდიადი ჩამოწვა და გონება დავკარგე.

არ ვიცი, კიდევ რამდენი მირტყეს, რამდენ ხანს ატრიალ-ებდნენ და აბურთავებდნენ ჩემს სხეულს, რა სიტყვებით მლანძღავდნენ და სულში მაფურთხებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონს რომ მოვედი, შუა დღე გადასული იყო. თავი მისკდებოდა. მთელი სხეული მტკიოდა, მამტვრევდა... ნეტა, მოტეხილობები ხომ არ მაქვს?.. ჯერ ერთი ხელი გავანძრიე, მერე მეორე... ფეხებიც მემორჩილება... განსაკუთრებით მწვავე ტკივილებს ვგრძნობ მუცლის არეში. იმ უღმერთო ქენანის ბრალია, მთელი გამეტებით მირტყამდა წიხლებს. წამოდგომა ვცადე, მაგრამ ნურას უკაცრავად! ძლიერმა ტკივილმა დამიარა მთელს სხეულში. თვალები დამიბნელდა და მივესვენე საწოლზე... თითქმის ერთი საათი ვიყავი ასე.

კაკუნი მომესმა. ვიღაცამ ნელა შემოაღო კარი და ფეხაკრეფით მომიხლოვდა. თვალები გავახილე და ნელი დეიდა დავინახე. ჩამოჯდა საწოლის პირას, თავზე ხელი გადამისვა, ლოყაზეც მომითათუნა, ღმერთს დიდებაო, თქვა და აქვითინდა. ტირილით რომ გული იჯერა, მითხრა:

- უგონოდ იყავი, შვილო, თითქმის ერთი დღე-ღამე. ძალიან შეგვეშინდა. ღმერთს მადლობა, ახლა გონს მოხვედი და ცნობიერება დაგიბრუნდა. იმ უღმერთოებმა როგორ გაგიმეტეს!? ასე როგორ შეიძლება? ის სულძაღლი და გარეწარი ქართველი რომ არ ყოფილიყო, იმდენად საწყენი არ იქნებოდა... გული უფრო მოგიკვდება და დაგეთუთქება, როცა შენიაინი ასე გექცევა. ეს უფრო მწარეა, ვიდრე ცემით მიყენებული ტკივილები...

მართალი იყო ნელი დეიდა. მე ზეინაბისგან თანადგომას არ მოველოდი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი დაქალის ახლობელი ასე გამწირავდა.

მომდევნო ღამე თეთრად გავათენე. მწარედ მტკიოდა მთელი სხეული.

ნელი დეიდა თავისი ხელით მაჭმევდა. პირველად წყლის დალევაც მიჭირდა. შემდეგ წვნიანის მიღებაც შევძელი. ქვედა ყბა მტკიოდა... ნელი დეიდამ წამომაყენა, თეთრეული გამომიცვალა და გავიდა სასტუმროს ნომრების დასალაგებლად.

არავინ არ მოსულა სანახავად, ქართველი გოგონებიც კი. ალბათ, ზეინაბის ეშინიათ ან ჩემი ერიდებათ. ცხელმა ჩაიმ და გამაყუჩებელმა აბებმა ტკივილები დამიამა, ცოტა ვიწვალე, მაგრამ შევძელი წამოდგომა. სკამის მოშველიებით მივედი მაგიდასთან, მოვიძიე ხელჩანთა, ამოვიღე სარკე და ჩავიხედე. ჩემი თავი ვერ ვიცანი: სახე შეშუპებული, თვალები და ტუჩები ჩალურჯებული, თმები აწეწილი. მომინდა თავის მოწესროგება, მაგრამ ვერ

შევძელი. ან რა აზრი ჰქონდა? ყოველთვის მშველოდა დღიურების წერა, მქონია შეთხვევები, როცა მოწყენილს ან ნანერვიულებს ფურცლისთვის გამინდვია ჩემი ფიქრები, დარდი, სიყვარული თუ ოცნება. ახლაც ავიღე წიგნაკი, რომელშიც დღიურებს ვაწარმოებდი და მაგიდას მივუჯექი.

ერთი პირობა გადავწყვიტე თავის მოკვლა, მაგრამ იმწამსვე გადავიფიქრე. ვისი გულისთვის და რატომ? ეს ხომ სიმხდალეა და, რაც მთავარია, არაქრისტიანულია. მეორეც, ვის ვუტოვებ შვილს, მოხუც მშობლებს. არა, არა.... მაგ სულძაღლ ზეინაბს არ გავახარებ. უნდა ვიცოცხლო, ახლა უნდა დავუმტკიცო მაგ არამზადებს, რომ ქართველ ქალ ცემით და დაშინებით ვერ დააჩოქებთ, ვერ გატეხთ.

დავფიქრდი ჩემს დამწვარ ბედზე და მწარედ ავქვითინდი. არადა რამდენი ადამიანისთვის გამიწვდენია ხელი, თავად გაჭირვებულსა და სვედაქცეულს ბევრისთვის ნდობა გამომიცხადებია, ბევრიც მე მენდო. ასე იყო ახლაც - ვენდე დაქალის ახლობელს და რა გამიკეთა? - მეძავეობა შემომთავაზა გაუგებარი და დაუსაბუთებელი ვალის გამო და როცა უარი მიიღო, უცხოტომელთან ერთად სასიკვდილოდ გამიმეტა. წუნკალო ზეინაბ, აწი, უფრო წინდახედული და ფრთხილი ვიქნები, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებ. ბრძენი გვასწავლის, ჭკვიანი კაცი სხვის შეცდომებზე სწავლობს. ვაი, რომ ჩემს შეცდომებზე მიწევს სწავლა. მგონი, ეს გამოუცდელობისა და ჩემი მიმნდობი ხასიათის ბრალია უფრო.

შუადღე იქნებოდა. ჩემს ოთახში ზეინაბი და მანანა შემოვიდნენ. ზეინაბმა მედიდურად გადმომხედა, იქედნურად ჩაიცინა და კბილებში გამოსცრა:

- სულელი ხარ, სულელი და მეტიჩარა. რა გეგონა, შეგრჩებოდა ურჩობა?! ჩემთვის არც ერთ გოგონას არ უკადრებია უპატივცემლობა და ვერ გაუბედია ურჩობა. მე თქვენთვის ვწვალობ აქაურ სამართალდამცავებთან და, საერთოდ, საფრთხეში ვიგდებ თავს და, დამიხედეთ, ამ ქალბატონის უმადურობას, როგორ მიხდის ამაგს?!

მტკიცე გადაწყვეტილება უკვე მივიღე, თავი გადადებული მაქვს. ჩემი ცემით ზეინაბმა ჩემში ჩაკლა მისდამი პატივისცემის და ხათრის ნატამალიც კი. იმ ქალის, მიმართ, რომელმაც მოსაკლავად გამიმეტა, სიძულვილისა, ზიზღის და სამაგიეროს მიზღვის გარდა სხვა რა სურვილი უნდა მქონდეს? პირდაპირ მივახალე:

- რა სიკეთეზე მესაუბრები, რას მაყვედრი?! მოტყუებით ჩამოგყავს შენივე თანამემამულეები, საწყალი და გაჭირვებული ქართველი გოგონები, ბოროტად იყენებ მათ ნდობას, გამოუვალ მდგომარეობას და ულუკმაპურობას. მათ სინდისსა და ნამუსს თურქეთის ჰარამხანებში ჰყიდი, აქაურ ბინძურ კაცებთან რომანებ-ით ტკბები. ვინც ჩემს მსგავსად გიძალიანდება, ცემითა და შიმში-ლით კლავ, პატივ და ღირსებააყრილთ ამყოფებ პატიმრობაში და კიდევ გვაყვედრი? უსუსური ქალები ჯერ-ჯერობით სამაგიეროს ვერ მოგიზღავთ, მაგრამ არ დაგავიწყდეს, ღმერთი სამართლიანია, შენისთანა უკეთურების შესარისხად ღვთის მახვილი აღიმართება.

ჩემმა ტირადამ ზეინაბი მდგომარეობიდან გამოიყვანა, ერთი მგელივით დაიყმუვლა და მეცა... მაგრამ აფერუმ მანანას გამბედაობას, კაიქალობას. გამომესარჩლა, გამოგლიჯა ჩემი თავი ხელებიდან ზეინაბს და ეს უკანასკნელი იატაკზე მიაგდო. ძუ მგელივით ყმუოდა ზეინაბი. ეცა მანანას და დაუპირა სახეში ჩარტყმა, მაგრამ მანანამ ხელები გადაუგრიხა, მოკეცა და შეუბ-ღვირა:

- არ მყოფნის, გროშებზე მამუშავებ და თურქ კლიენტებზე ნივთივით მყიდი!? ახლა ცემაც მომინდომე!? გახსოვდეს, მე მარიკა ნუ გგონივარ. ომგამოვლილი ქალი ვარ, სიკვდილისთვის თვალებში არაერთხელ ჩამიხედია, ცოცხლებში აღარც ვწერივარ, ასე მგონია, ვარსებობ მხოლოდ იმიტომ, რომ ორი გროში ვნახო და შიმშილით არ მომიკვდეს დედა და ჩემი ძმისშვილი, უკანასკნელი მამაკაცი გვარში, თორემ აქამდე ლავაშივით გაგაბრტყელებდი და საკუთარ გულს ცოცხლად შეგაჭმევდი. ეს მე ვარ, მაგრამ წესიერ ქართველ ქალებს არ წაგაბილწვინებ, არ გაგაბახებინებ მხოლოდ იმისთვის, რომ შენ და შენმა თურქმა ამფსონებმა ჯიბეები გაისქელოთ და იგრიალოთ, მოიწყოთ ცხოვრება! დაიხსომე, დღეის შემდეგ მარიკაზე ირიბად შეგიხედავს, ხელი დაგიკარებია ან მის თავიდან ერთი თმაც ჩამოვარდნილა, აი, მაშინ გაჩვენებ, როგორ უნდა ცემა...

ეს თქვა, მოვიდა ჩემთან, თავზე ხელი გადამისვა და მომი-ალერსა. შემდეგ ისევ ზეინაბს მიუბრუნდა:

- დღეიდან მარიკაზე ვზრუნავ, მოვუვლი, შენ კი კეთილი ინებე და საჭირო თანხა გამომიყავი, ავადმყოფს შერჩევით და ნორმალური კვება სჭირდება. - უთხრა ფულისთვის ხელი გაუ-წოდა. ზეინაბს არ უნდოდა დამორჩილებოდა, მაგრამ მანანას

თვალებში რომ შეხედა, მიხვდა, ომი წაგებული ჰქონდა და გარკვეული თანხა ხელებში შეაჩეჩა.

გმადლობთ, უფალო, რომ მფარველი ანგელოზი მომივლინე. ვინ იფიქრებდა, რომ ამ პატარა და სუსტი აღნაგობის არსებაში ამდენი ენერგია, თავდადება და თავგანწირვა იქნებოდა. ყოჩაღ, მანანა, აფერუმ შენს ქალობას.

ოთახში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ, მანანამ, საღამოს შემოგივლიო, თქვა და წავიდა. ზეინაბს ხმა არ ამოუღია, თუმცა ბოროტებითა და ზიზღით ჩაწითლებოდა თვალები.

მომხდარის შემდეგ დიდხანს ვფიქრობდი. ბოლოს ჩამეძინა. გამომაღვიძა მხარზე ნაზად ხელის შეხებამ. თვალი გავახილე. მანანა იყო, ხელში ორი პარკი ეჭირა, კარგ ხასიათზე იყო. მომიალერსა, გამამხნევა, პარკიდან ხილი, ტკბილეული, უალკოჰოლო სასმელები და ყვავილები ამოალაგა - ჩემი საყვარელი წითელი მიხაკები. ჩამოჯდა საწოლზე, ლოყაზე მაკოცა და მითხრა:

- სხვა გამოსავალი არ მქონდა, მე შეგნებულად ვარ ჩამოსული. შენ კი მოგატყუეს... იცი, რამდენი ქართველი გოგონა ჩამოჰყავთ ზეინაბისმაგვარ არამზადებს მოტყუებით? ვითომ სამუშაოზე მოგაწყობთო და არალეგალურ ბორდელებში მათ ნამუსს ჰყიდიან. არის შემთხვევები, როცა უარესიც ხდება. გოგონა კლიენტს მოსწონს, სუტენიორს და ბორდელის მეპატრონეს დათქმულ თანხას უხდის და ყიდულობს, როგორც ნივთს. თავისთან მიჰყავს. არავინ იცის, რა ბედი ეწევათ შემდეგში მაგ უბედურებს. შენ კლასიკური მაგალითი ხარ.

მანანამ დახედა საათს, უი, მაგვიანდება რესტორანშიო და ოთახიდან გავიდა.

ჩემს ფიქრებთან მარტო დავრჩი. მანანას გამბედაობამ და ადამიანობამ გული ამიჩუყა. რატომღაც ამეკვიატა აზრი, კიდევ ვინ გამიკეთა ამ ქვეყნად ყველაზე დიდი სიკეთე. ბევრი ვიფიქრე და ასეთთა რიგებში მამაჩემი დავაყენე. ტარიელს მამის დაუკითხავად გავყევი ცოლად და მშობელს გული ვატკინე. დიდხანს განაწყენებული იყო, მაგრამ ტარიელი რომ დააპატიმრეს, სრულიად მარტოდ დავრჩი ზაზასთან ერთად. მშიერს, სიცივესა და სიბნელეში მყოფს მეგონა, რომ ჩემთვის ჩამოიქცა ცა და სიკვდილი გველოდა. სწორედ მაშინ მოულოდნელად შემოაღო ჩემი გაყინული ოთახის კარი. არ მომსალმებია. ზაზამაც ვერ იცნო ნაადრევად

გაჭაღარავებული კაცი. გაჩერდა შუა ოთახში, კედლებს მოავლო თვალი და მხოლოდ ერთი ფრაზა თქვა:

- აიღე საჭირო ნივთები, აიყვანე ბავშვი და გამომყევი, სადარბაზოსთან მანქანა გველოდება.

ყველაფერს მივხვდი. ხსნისა და მადლიერების ცრემლები გადმომცვივდა. უხმოდ ჩავალაგე ბარგი, მოვაწესრიგე ოთახი და გარეთ გავდგი ჩემოდნები და ფუთები. მამა მანქანის საბარგულში ნივთებს უსიტყვოდ ალაგებდა. საჭეს მიუჯდა და დაქოქა. მამულეთამდე უხმოდ ვიარეთ, მხოლოდ ერთხელ მომიბრუნდა:

- ზაზას პლედი მოახურე, ბავშვი არ გაცივდეს - მეტი არაფერი უთქვამს. სახის გამომეტყველებითა და გუმანით მივხვდი, რომ მამამ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა.

სახლში მომეგებენ დედა და ძმა. ასეთი მონატრება და სითბო ჯერ არ განმეცადა.

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, ვახშმისას, მამამ დანანებით თქვა:

- შვილო, თავის დროზე ჩემთვის რომ დაგეჯერებინა, უკეთესი იქნებოდა.

ეს იყო საყვედურიც, დამდურებაც და შერიგებაც. ასე მხოლოდ დიდბუნებოვან ადამიანებს შეუძლიათ, სხვები საყვედურებით აგავსებდნენ. მამის მხრიდან ეს გამორიცხული იყო, ამიტომ მიყვარს. ზაზა ცოტა უფრო მეტად მიყვარს, სულ რაღაც ერთი ციდაა, ჩემი სულია, გული, ერთადერთი იმედი.

ჩემო ბიჭუნავ, აქ გაჭირვებამ ჩამომიყვანა. დავუჯერე დაქალს, ვენდე ადამიანს და, აი, რას გადამკიდა, მაგრამ გპირდები, პატარავ, ისეთს არ გავაკეთებ, შენ რომ ჩირქი მოგცხო. მარიკაზე ცუდს ვერავინ გაგიბედავს. არ მივცემ ამის საბაბს, ოღონდ ზეინაბისა და თურქი სუტენიორების კლანჭებიდან თავი დავიხსნა, მე ვიცი და ჩემმა ქალობამ. თუმცა, ზოგიერთი გაუბედურებული ან ზნედაცე-მული ქალი მიჩიჩინებს - არ ხარ შენ პირველი და არც უკანასკნელიო. შეურიგდი ბედს, მიჰყევი დინებას, გადაიხდი ვალებს, დააგროვებ გარკვეულ თანხას და შინ ხელდამშვენებული დაბრუნდიო, მაგრამ შეერგებათ ჩემს ძმას და მშობლებს ასეთი გზით გაკეთებული ფული? იქნება კი ამ ფულით შეძენილი პური სარგო და ტკბილი? მეორეცაა, ყოველივეს ადრე თუ გვიან ფარდა აეხდება. მაშინ რა გითხრა, როგორ შემოგხედო თვალებში, გაამართლებ ჩემს საქციელს? არა მგონია. რა მოსაწონი და საამაყოა

მეძავის, როსკიპის შვილობა, როცა თანატოლები პირში ან პირსუკან წაიქირქილებენ, ბოზის შვილიო. მე მაშინ მორალურად მოგკლავ, სულიერად გაგანადგურებ. ამას შიმშილით სიკვდილი სჯობია.

ისტორიულად ამაზე მძიმე დღეები ედგა საქართველოს და ქართველ ხალხს. რამდენჯერ ფენიქსივით ფერფლიდან აღმსდგარა გადაბუგული, გადამწვარი და მოთხრილი საქართველო. ქართველობა ზნეობრივად არ დაცემულა, სულიერად არ გადაგვარებულა, ფიზიკურად არ გადაშენებულა.და ეს იმიტომ, რომ ქალი ქალობდა და კაცი კაცობდა. თოხი და გუთანი, საჩეჩელი და საფეიქრო, გრდემლი და ურო, საჭრეთელი და საწერანი, ხმალი და მახვილი არ გადაუგდიათ ხელიდან. ერთ ხელში "ბიბლია" ეპყრათ, მეორეში "ვეფხისტყაოსანი," წინ ჩვილის აკვანი ედგათ და იავნანას უმღეროდნენ.

ადრე გულდამწვარ დედებს შვილებს სტაცებდნენ და ყიდდნენ სტამბოლისა თუ აღმოსავლეთის სხვა ბაზრებზე. ქართველები კარგი მეომრები არიანო. მამლუქების არა ერთი დინასტია გამოუზრდიათ ეგვიპტეში. ოსმალეთის იმპერიაში იანიჩარების კორპუსი ქართველი ტყვეებით კომპლექტებოდა. სპარსეთის შახის ყულის ჯარი ხომ ქართველებით ივსებოდა. სავსე იყო აღმოსავლეთის მბრძანებელთა და დიდგვაროვანთა ჰარამხანები ტყვე თუ ფეშქაშად მირთმეული საუკეთესო, ულამაზესი ქართველი ქალებით. ახლა კი, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე, რა დაგვმართნია, როცა ბევრი ქართველი თავისი ნებით ან თანამენამულის უსინდისო მოტყუებით ავსებს თურქეთის თუ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მოდერნიზებულ ჰარამხანებს, ლეგალურ თუ არალეგალურ საროსკიპო სახლებს.

ახლა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, არც გადამწვარ -გადაბუგულია და არც გაპარტახებული. ქვეყანას ეკონომიკურად უჭირს, მაგრამ დალოცვილ ქართულ მიწას კიდევ შესწევს ძალა, გამოკვებოს და დააპუროს თავისი ღვიძლი შვილები. ეტყობა, ზნეობა და შრომისმოყარეობა გაუფასურდა. იოლი ცხოვრების ან სულაც სხვის ხარჯზე ცხოვრების სურვილი, უმუშევრობა, სიზარმაცე და დაუსრულებელი წუწუნი, საკუთარი ყოფითი პრობლემების სხვაზე გადაბრალება დაგვჩემდა.

ზნეობასთან ერთად ღვთიურობა, რელიგიურობა დავკარგეთ. ათი მცნება და მისი მადლი აღარ გვახსოვს. არ ვიცი, შეიძლება

კიდევ სხვა რამეც დავკარგეთ, ამაზე მკვლევარებმა და სხვა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა” იფიქრონ, მე კი ჩემი გასაკეთებელი უნდა გავაკეთო. „ჭირსა შიგან გამაგრება, ესრე უნდა ვით ქვით-კირსაო.“ - ჩაგვაგონებს რუსთაველი. უფალო, გევედრები, მომეცი ძალა და შესაძლებლობა, ამ მტარვალებს თავი დავაღწიო.

ამ ფიქრებსა და გოდებაში ჩამეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIV

„... სად წაიყვან სადაურსა"
რუსთაველი

დილით ნელი დეიდა და გულიზარი მესტუმრნენ. ნელი დეიდამ ბისკვიტი და შოკოლადის კამფეტები მომართვა, ხოლო

გულიზარმა თავისი ნახელავი ბაქლავა. თან მომახარა:

- შვილო, ეს უბრალო ნამცხვარი არ გეგონოს, ეს ჩემი დიდი ნენეს გურჯული რეცეპტითაა დამზადებული. ამიტომაც გემრიელი და ტკბილია გურჯისტანივითო.

ასაკოვანი ქალების დედაშვილურმა მოფერებამ და მოპყრობამ გული ამიჩუყა, თვალები დამინამა. კურცხალი დავმალე. ნელი დეიდა საწოლზე ჩამომიჯდა. გულიზარი იდგა.

მივმართე:

- გულიზარ ხანუმ, სკამზე ჩამოჯექი, ნუ გერიდება.

- შვილო, მე ხანუმი არ ვარ, უბრალო გლეხის შვილი ვარ, ხანუმობა კაი ხანია გადავარდა. გამიხარდება, გულიზარ ხალიმს თუ დამიძახებ. - თქვა და ნელი დეიდას მიუბრუნდა:

- ნელი, ხალიმ გურჯულად როგორაა?!

ნელიმ აუხსნა, დეიდას ნიშნავსო. გაუხარდა და შემომცინა:

- შვილო, გულიზარ დეიდა დამიძახე, ნელისაც ხომ ასე ეძახი.

ძალიან გამახარა ასეთმა დედაშვილურმა მიპყრობამ. უცებ მომინდა, ავმდგარიყავი, მივსულიყავი და გულში ჩამეკრა, მაგრამ ნელი დეიდამ არ დამანება:

- არა, შვილო, შენი წამოდგომა და სიარული არ შეიძლება, ტვინის შერყევა გქონდა. ოჯახის ექიმმა ასე გაგვაფრთხილა.

გულიზარიც ელდანაცემივით წამოვარდა:

- არა, შვილო, ჯერ არ ადგე!

სამივენი ერთმანეთს ჩავეხვიეთ. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ იმ გრძნობას, მე რომ დამეუფლა.

ღმერთო, რამდენი სითბო და სიყვარული მაჩვენეს უცხო ქალებმა. ნეტავ, ქალური თანაგრძნობაა, სიბრალული, სიკეთის ქმნის სურვილი თუ დედობრივი ინსტინქტი. მგონი, სამივე ერთად. ერთიცაა - ქართველ ქალზე უკეთ არავის შუძლია დავრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომილის და გაუბედურებულის მიმართ თანადგომა და ზრუნვა, ფეხზე წამოყენება.

მოფერებითა და ქათინაურებით გული რომ იჯერეს, მითხრეს:

- შვილო, გავიგეთ, რომ ზეინაბი და ქენანი 4000 დოლარს გედავებიან, თითქოს ეს პოლიციიდან გამოსყიდვისას გაცემული თანხაა. ამას ვერავინ ვერ დაამტკიცებს, მართლა გადაიხადეს, თუ არა, მაგრამ ფაქტი ერთია - ფულს ითხოვენ და უბრალოდ არ დაგანებებენ თავს. რაღაც უნდა მოიმოქმედო?

თითქოს ჩემს საფიქრალს ჩასწვდნენ დალოცვილები...

- არ ვიცი, რა მოვიმოქმედო. ზეინაბი კატეგორიულად მთხოვს, მეძავეობა დავიწყო და კლიენტებიდან ამოღებული ფულით დავფარო ვალი. ამას ვერ გავაკეთებ. მონა ვერ გავხვდები, ვერ ვივაჭრებ სხეულით, ამ ცოდვას ვერ დავიდებ. მე დედა ვარ, მყავს ძმა, მშობლები, მელოდება მეუღლე - საყვარელი ადამიანი. მართალია, დღეს პატიმარია, მაგრამ ხომ გამოვა. მათ თავს ლაფს ვერ დავასხამ, ნამუსს ვერ გავთელავ. მესმის, აქ, თურქეთში, არ არსებობს საშუალება, ლეგალურად ვიმუშავო და პატიოსანი შრომით შევაგროვო თანხა. არ ვიცი, როგორ მივიქცე... - ვთქვი და წამომსკდა მდუღარე ცრემლები.

ჩემს ქალბატონებსაც დაენამათ თვალები.

უცებ გულიზარ დეიდა გამოცოცხლდა, თვალებში იმედის ნაპერწკალმა გამოკვესა, შვებით ამოისუნთქა და ამოაყოლა:

- მენდე, შვილო, მე მხოლოდ შენი სიკეთე მინდა. მყავს ბიძაშვილი, აქაური ლიცეუმის დირექტორია. საკმაოდ შეძლებული, განათლებული და პატიოსანი კაცია. შვილები დაეზარდნენ, სხვა ქალაქში გადავიდნენ საცხოვრებლად. 50-52 წლის იქნება. ორი წლის წინათ მის მეუღლეს უკურნებელი სენი შეეყარა. ჯანმრთელი და საღ-სალამათი ქალი ჯერ ჩამოხმა და დაუძლურდა და გარდაიცვალა საწყალი. ქმარი მთელ წელს გლოვობდა, წვერიც არ გაიპარსა. ერთი პირობა თანამდებობიდან გადადგომასაც აპირებდა, მაგრამ ქალაქის მუნიციპალიტეტმა და შვილებმა არ დაანებეს. ახლა შევყი, ასე ჰქვია ჩემს ბიძაშვილს, მარტოდაა, განიცდის მეუღლის დაკარგვას, მაგრამ ისიც გაცნობიერებული აქვს, რომ ცხოვრება გრძელდება და ადრე თუ გვიან ახალი თანამეცხედრის გამოძებნის დროც დადგება... - ცოტა ხნით გაჩუმდა, ალბათ, ფიქრობდა, ღირდა თუ არა ამისთქმა, შემდეგ თვალებსი შემომხედა და განაგრძო, - მესმის, რომ გათხოვილი ხარ, მაგრამ შენს ქმარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთვის ერთი ბედნიერი დღეც არ უჩუქებია. ციხიდან როდის გამოვა, არავინ იცის. ხომ არ სჯობს, გაცილდე და ბედი შევყის დაუკავშირო. ის ყველა პრობლემას მოხსნის და საჭირო თანხაც ექნება, რომ შენებს საქართველოში ხელი შეაშველოს.

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა. ჩანდა, ამის შესახებ ადრეც ეფიქრათ...

ასეთი რამ გუნებაშიც არ გამვლია, მაგრამ მძიმე მდგომა-რეობიდან თავის დაღწევის შესაძლებლობად აღვქვი და,

- ვიფიქრებ-მეთქი, - დავამშვიდე ჩემი კეთილისმყოფელები.

იმათაც: - ჰო, გენაცვალეო, - და გავიდნენ.

მარტოდ დარჩენილს მომეძალა უსიამოვნო ფიქრები. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უნდა განვსაჯო გულიზარის შემოთავაზება.

დავთმო ტარიელი? იმსახურებს გაწირვას თუ შენდობასა და პატიებას? მინდა, ობიექტური გადაწყვეტილება მივიღო. არ შევ-ცდე, არც მე გავუბედურდე და არც სხვა გავაუბედურო, თანაც სამუდამოდ.

მაშ ასე, ტარიელი... ვინ იყო ის? როგორ გახდა „ცუდი ბიჭი“? ვინაა დღეს? - ამ კითხვებზე უნდა გავცე მართალი, პირუთვნელი და პირადი ამბიციებისაგან თავისუფალი პასუხები. ჩემს თავს ერ-თგვარი, ობიექტური სასამართლო უნდა გავუმართო.

მაშ, ასე, პირველი კითხვა - ვინ იყო ტარიელი?

მამაო ჩვენოსავით გიპასუხებთ: პატიოსანი, კეთილი და მოსიყვარულე ახალგაზრდა. ტარიელი ის ბიჭი იყო, რომელიც გაგიჟებამდე შემიყვარდა. ის ჩემი ოცნება იყო, ჩემი აღმაფრენა, მზეჭაბუკი, რომელსაც ყველა ქალწული ელის და, აჰა... მეც ჩემ პრინცთან შემახვედრა უფალმა. ისეთი გულწრფელი და მადლიანი სიყვარულით მიყვარდა, რომ მშობლებიც მოვიმდურე, მათი ნების წინააღმდეგ გავყევი. ტკბილი ოჯახი გვქონდა. გვყავს შვილი, ჩემი საოცნებო და დედისიმედი - ზაზა. ის ნამდვილად ჩვენი წრფელი და დიდი სიყვარულის ნაყოფია. იმსახურებს, ჰყავდეს მამა და ერთიან ოჯახში სრულფასოვან ადამიანად გაიზარდოს...

შენ მშვენიერო, ჩემი ლექსი არ წაიკითხო,
დასაძრახი ჩემი ამბავი არსად იკითხო.
ყველაფერს ამას გირჩევნია, რომ დარგო ვარდი,
თორემ დაგტანჯავს ჩემზე ფიქრი და ჩემზე დარდი.

მე კარგად ვიცნობ ახალგაზრდა კაცის ბუნებას,

შენ ვერ გაუძლებ ჩემი ლექსის ძლიერ ცდუნებას.
ვინც ფულისათვის ცოლს მოიყვანს, ან გათხოვდება -
ეს თქვენ ირწმუნეთ, რომ იმ დღიდან ის მათხოვრდება.

შენ, მშვენიერო, ტანჯვა უკვე, ალბათ, გამიგე,
შენივე ქცევით ტანჯვის ხიდი უკვე ამიგე.
შენ ჩემს მაგივრად სხვას მიენდე, მე მიმატოვე
და მომისაჯე ფიქრი, ტანჯვა და სიმარტოვე.

შენთან რომ მოვა დიდი გრძნობა სიყვარულისა,
შენთვის იქნება ის მომტანი სიხარულისა.
მუდამ ატარე სიცოცხლესთან შეხამებული
არ მიატოვო, არ მიატოვო შეყვარებული...

მეორე კითხვა: როგორ გახდა „ცუდი ბიჭი?"

ტარიელი გულანთებული პატრიოტია. აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე სამეგობროსთან ერთად წავიდაქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ღირსების დასაცავად. პატრიოტობა თანდაყოლილი ნიჭი და თვისებაა. ადამიანი ამას ვერ შეიძენს. არც არის აუცილებელი, ყველა პატრიოტი იყოს. თუმცა, არაპატრიოტობაც უნდა გაიმიჯნოს დანაშაულისაგან. ტარიელი ჭეშმარიტი პატრიოტია, თითქმის შიშველი ხელებით და ბრძოლაში გამოუცდელი (მას ჯარშიც არ უმსახურია), მოხალისედ ჩაეწერა და წავიდა ფრონტის წინა ხაზზე. ვინც ჩახედულია აფხაზეთში დატრიალებული ამბებსა და საომარი მოქმედებების ქრონიკებში, დაადასტურებს, რომ ჩვენი ბიჭები გმირულად, ვაჟკაცურად იბრძოდნენ და თავს სამშობლოსთვის სწირავდნენ. პირველად ფრონტზე უიმედობა გაჩნდა, როცა ქყვეყნის მაშინდელი ხელისუფლება, ბევრჯერ გაუაზრებელ და გაუთვლელ, ანალიზს მოკლებულ გარიგებებს დებდა მოწინააღმდეგესთან... ფრონტის ხაზიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანის ხელშეკრულებამ და მისმა ფაქტობრივმა ცალმხრივად შესრულებამ უფრო გააღვივა ჩვენს ჯარისკაცებში უიმედობა, მებრძოლი სული დაეცა, იჩინა თავი კრიმინალმა და ძალადობამ. ალბათ, ამან უბიძგა ტარიელს, მისძალებოდა ნარკოტიკებს. ომიდან დაბრუნებული დემორალიზებული ნარკომანი პოტენციური დამნაშავეა.

მესამე კითხვა: ვინაა დღეს ტარიელი?

იმედგაცრუებული, არავისთვის და არაფერში გამოსადეგი კრიმინალი, პატიმარი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, მაინც პატრიოტი.

ტარიელი გამოუსწორებელი ნარკომანი და რეციდივისტია, თუ პატრიოტული ნიჭისა და თვისებების მატარებელი გზასაცდენილი ახალგაზრდა?

ქართული სიბრძნე გვასწავლის: "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია". სიკეთე ბოროტებაზე ყოველთვის იმარჯვებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ტარიელი ციხეში ნარკოტიკებს აღარ ღებულობს და, ალბათ, აღარც გათავისუფლების შემდეგ მიეძალება. არის იმედი, რომ მოსიყვარულე ცოლ-შვილი და თბილი არაკრიმინალური გარემო თუ დახვდება, ნარკოტიკებს და კრიმინალურ სამყაროს აღარასდეს დაუბრუნდება.

ომგამოვლილი, სამშობლოსთვის სისხლ და ცრემლნათხევი პატრიოტი, მაგრამ გზააბნეული კრიმინალი და ყოფილი ნარკომანი იმსახურებს პატიებას, შენდობას და წყნარ ცხოვრებას. შენდობა და მონანიება უფლის მადლია. ამ მადლს უნდა ეზიაროს ტარიელი. ყოველ შემთხვევაში, ამისი შანსი უნდა მიეცეს... ადამიანის გაწირვა ადვილია, დაბრუნება - ძნელი.

ამ არგუმენტებმა მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ოჯახის შენარჩუნება აუცილებელია. მჭირდება კანონიერი, ჯვარ- მირონცხებული მეუღლე, ზაზას - მამა, მშობლებსა და ძმას - სიძე... მის ნათესავებსა და ახლობლებს - ღირსეული მოძმე.

ვალს რა ვუშველო, სად ვნახო ის დაწყევლილი 4.000 დოლარი, რომ მივაშავო ზეინაბს და ქენანს და გამოვისყიდო თავი? ღმერთო, გვიშველე ყველა გაჭირვებულ და სასოწარკვეთილ ადამიანს, მოგვეცი შვება და გამოსავალი...

ჯერ ისტერიული სიცილი, შემდეგ ხარხარი, ბოლოს გულამოსკვნილი ტირილი შეეძლო გაეგონა ჩემი ნომრის კართან გამვლელს.

თავი XV

“ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!“
რუსთაველი

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა. სასტუმროს ნომერში მანანა შემოვიდა და მისეული ხალისი და სითბო შემოიტანა. მიკვირს, როგორ ინარჩუნებს ამ სიბინძურესა და ჭაობში ეს პატარა, კაფანდარა გოგონა ამდენ ხალისსა და სიმხნევეს. ამით ცხოვრებას და მის არარაობას დავცინიო... - მითხრა.

კარგია, როცა უცხო ხარ და არავინ გიცნობს,
ხმას არ იღებ და უნებლიედ გიცქერენ კრძალვით.
ისვენებ შენთვის, მოკლებული მეგობარს, თვისტომს,
თავს არ იწუხებ ნამეტანი სალმით და ქალმით.

მანანა ჩამოჯდა. მომეფერა, თავზე ხელი გადამისვა და მომი-ალერსა. გამომკითხა, როგორ ვგრძნობ თავს, რა მტკივა, რა მიჭირს?

გულიზარის შემოთავაზების შესახებ მოვუყევი.

ჩაფიქრდა. საინტერესო შემოთავაზებაო, ჩაილაპარაკა. ნიმე სიგარეტი მოქაჩა. ოთახში მოჰყვა სიარულს. შემდეგ თითქოს თა-ვისთვის ამბობსო, დაიწყო:

- შენ გათხოვილი ქალი ხარ. მართალია, ის ჯერ ციხეშია და სასჯელს იხდის, მაგრამ გამოვა. ნაომარი კაცია. მეც მებრძოლი ვარ და ვიცი მებრძოლის საფიქრალი და სადარდებელი, ვიცნობ მეომრის ფსიქოლოგიას. ის ბოლომდე იბრძოდა. მძიმეა დამარ-ცხებული მეომრის სული. ძნელია დამარცხებული არმიის ჯარისკაცობა. მძიმეა დამარცხებული ქვეყნის შვილობა და ეს სიმძიმე და იმედგაცრუება ორმაგდება, როცა ბევრი რამ ხელისუფლებისა და სარდლობის უგუნურობის გამო ხდება. განსაკუთრებით მძიმე და ძნელი იყო იმის გაგება, რომ სოხუმის დაცვის დროს ჩვენი ხელისუფლება მოწინაღმდეგეს შეუთანხმდა და მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტისა და საომარი მოქმედების ზონიდან მძიმე ტექნიკის გაყვანის შესახებ, რაც რეკორდულად მცირე დროში განხორციელდა. ეს მაშინ,

როცა მოწინააღმდეგე მხარე არც ფიქრობდა ხელშეკრულების შესრულებას და არც ერთი ერთეული მძიმე ტექნიკა არათუ საომარი მოქმედების რაიონიდან, საბრძოლო პოზიციებიდანაც კი არ გადაუადგილებია. მოწინააღმდეგე შეტევაზე რომ გადმოვიდა, ჩვენი ჯარი მსუბუქი იარაღისა და ტყვიამფრქვევების ამარა იყო დარჩენილი. გატანილი ტექნიკის უკან დაბრუნება აღარ მოხერხდა, რადგან ექსპრეზიდენტის მომხრეებმა ენგურის ხიდი გადაკეტეს და სამთავრობო საჯარისო ნაწილები და ეშელონები არ გამოატარეს. ამას მოჰყვა სოხუმის დაცემა და არაორგანიზებულად უკან დახევა - უმძიმესი და უძნელესი ჭუბერის უღელტეხილის გზით. ასე, რომ გამწარებული ბიჭები არა მარტო ნარკოტიკებს და სასმელებს მიეძალებოდნენ, არამედ უარესიც რომ გაეკეთებინათ, არ უნდა გაჰკვირვებოდა ნორმალურ და შეგნებულ ადამიანს.

ისაცაა გასათვალისწინებელი, რომ მეომართა უმეტესობამ დაჰკარგა ნათესავები, მეგობრები, თანამებრძოლები. სახლში დაბრუნებულებს დახვდათ უშუქობა, გაუსაძლისი სიდუხჭირე და შიმ-შილი, არეულობა, კრიმინალის აღვირახსნილობა და თავისუფალი, დაუსჯელი თარეში... როგორ ფიქრობ, ეს, უკვე არავისთვის საჭირო, ბიჭები თუ დააშავებდნენ ან ოჯახს სათანადოდ ვერ მიხედავდნენ, გასაკვირია? მათზე პატიება არ შეიძლება? რა თქმა უნდა, სამშობლომ, მშობელმა ხალხმა და ახლობლებმა უნდა ვაპატიოთ, შევუნდოთ და მივცეთ შანსი, დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას. არამც და არამც არ უნდა გავრიყოთ, ისინი ხომ ჩვენი დები და ძმები არიან, ჩვენი ახლობელ-ნათესავები, სამშობლოს დასაცავად და მისი ერთიანობისათვის იბრძოდნენ, ქვეყნის კეთილი და ნათელი მომავლისთვის თავს სწირავდნენ.

გულზე მომეშვა, მეც ხომ ასე ვფიქრობდი. მე და მანანა თანამოაზრეებად შევიქმენით. ამან ჩვენს შორის უნდობლობის და უცხოობის ბარიერი მოშალა. მასში უკვე ახლობელსა და სულიერ მეგობარს ვხედავდი.

მაინც შევეპასუხე:

- ეს უეჭველად ასეა, მაგრამ რა ვუშველო ზეინაბის ვალს. ის არ მომეშვება, გამიმწარებს სიცოცხლეს, ცემა-ტყეპაში ამომხდის სულს. თავს არ დამანებებს... რომ გამყიდოს, მერე რაღა ვქნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გამოვეთხოვო ყველაფერს. სამშობლოში დაბრუნება ხომ აუხდენელ ოცნებად დამრჩება.

მწარედ ავტირდი. რა ძნელი ყოფილა უცხო ქვეყანაში უპატრონოდ დარჩენა და არაკეთილმოსურნეების ხელში ჩავარდნა.

მანანაც ტიროდა, თან ცოფებს ჰყრიდა:

- ვინ გამიხდა ეს კახპა, უსინდისო და გარეწარი ზეინაბი? ასეთ მდგომარეობაში აყენებს ხალხს, უსინდისოდ ატყუებს, ბოროტად იყენებს ნდობას და სხვის გამოუცდელობას. ცივილიზებულ ქვეყანაში მონურ მდგომარეობაში ამყოფებს ხალხს, აიძულებს მეძავეობას და სხვა უკეთურობას. არ ერიდება ურჩების დასჯას, ცემა-ტყეპას და გვემას. განმკითხავი არავინაა. მას ზურგს მისნაირი თურქი არამზადები უმაგრებენ, რომ-ლებმაც ხელობად გაიხადეს სხვის ხარჯზე ცხოვრება, სიმდიდრ-ის შექმნა და არაფრად დაუდევთ ადამიანების გასჭირი და ბედიც კი. ყველაზე დასანანი ისაა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს და პოლიციას უსიტყვოდ და უპირობოდ სჯერათ თავიანთი მოქალაქეების, ხოლო უცხოელი ყოველთვის მტყუანია. ხშირია შემთხვევა, როცა არაფრის გამო, ვიღაც უსინდისოს და გადამგდების სიტყვის სჯერა პოლიციას და უმეტეს შემთხვევაში სრულიად უდანაშაულო უცხოელს საკანში ამწყდევენ და ასამართლებენ. ისიც, ხშირად მომხდარა, რომ თურქ დამსაქმებელს უცხოელები დაუქირავებია, გაუსაძლის პირობებში, ნახევრად შიშვლები და მშიერ-მწყურვალი უმყოფ-ებია, მძიმე სამუშაოზე უმუშავებია და გასამრჯელოც არ გადაუხდია. სპეციალურად გაუწელავს დრო, ვიზის მოქმედების ვადა რომ გასულიყო, შემდეგ უსინდისოდ დაურეკავს პოლიციაში და დაუბეზღებია, აქაო და, უცხოელები სავიზო რეჟიმს არღვევენ და სარდაფებს აფარებენ თავსო. პოლიცია, უმეტეს შემთხვევაში, მათ ახსნა-განმარტებებს და ცრემლებს ყურადღებასაც არ აქცევს და განუკითხავად აძევებს ქვეყნიდან. საუკეთესო გამოსავალია - არაა უცხოელი, არაა პრობლემა. ეეჰ, გაჭირვების და სიდუხჭირის დედა, თორემ რა გვინდოდა აქ, არ სჯობდა სამშობლოში ოჯახთან და ახლობლებთან ცხოვრება და ღირსეული მუშაობა. მოგვესწრება, განა? როდემდე უნდა გაგრძელდეს ჩვენი ხალხის ასეთი ტანჯვა. ღმერთო, დაიფარე ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და მისი ხალხი.

... თან ვტიროდით და თან ვეძებდით გამოსავალს. ბოლოს მანანა წამოვარდა, მოვიფიქრეო, წამოიძახა და გამანდო თავისი ნააზრევი:

- ჩემო მარიკა, არ დავუშვებ, ნამუსი აგხადონ, გცემონ და ტყვეობაში გამყოფონ ამ არამზადებმა. ბევრ გოგონას ვიცნობ - როგორც საქართველოდან, ასევე ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან. მართალია, უმეტესობა მეძავეობითაა დაკავებული, მაგრამ ადამიანური ჯიგარი და თანადგომის, გაჭირვებულ მოყვასზე დახმარების უნარი და ღირსებები არ დაუკარგავთ.

დაიხსომე, მარიკა, სხეულით მოვაჭრე არაა გადაგვარებული და ბოლომდე ზნედაცემული, ის გაჭირვების მსხვერპლია და მეტი არაფერი. საშიშია სულით უზნეო ადამიანი, რომელმაც ფულის, სხვა სარგებლის ან ანგარების გამო ეშმაკს მიჰყიდა სული. ასეთები ყველაზე საშიშნი არიან. ისინი ვაჭრობენ საკუთარი თავითაც და სხვა ადამიანებითაც. მათთვის უცხოა ისეთი მცნებები, როგორიცაა სამშობლო, ერი, ნათესავ-მოკეთე, ადამიანური გრძნობები და ღირსებები. მთავარი საკუთარი თავია. თავიანთი კეთილდღეობა და გიჟური მიზნები, რომლელთა მისაღწევად არავის ინდობენ. მათთვის „სხვისი ჭირი, ღობის ჩხირია“. ასეთი არიან ზეინაბი, ქენანი, ამ სასტუმროს და რესტორნის მეპატრონეები და კიდევ ბევრი სხვა...

ასეთი ჩვენებიც არიან. ხომ გაგიგია ხის ჩივილი, „ცული რას დამაკლებდა, მას ჩემი ძმა არ ეგოს ტარადო.” აქაც ასეა, რომ არა ზეინაბი და მისთანანი, თურქები ვერაფერს გახდებოდნენ, ვერაფერს გაბედავდნენ. ეს ხალხი კანონმორჩილი და მშიშარაა. ჩვენიანები გვატყუებენ, ბოროტად იყენებენ გამოუცდელობას და მიამიტურ ნდობას, ჩამოვყავართ ვითომ სამუშაოზე და მერე გვყიდიან ამათზე და მთავარი ზედამხედველისა და ჯალათის ფუნქციებს თავადვე ითავსებენ. ამიტომ გვექცევიან თურქები ასე, ამიტომ არ სჯერათ ჩვენი და ქედმაღლურად, ზემოდან დაგვყურებენ, ამიტომაც გათამამდნენ და ჩვენს მიმართ ყოველგვარ უკუღმართობებს კადრულობენ. აბა, ერთი მათ ქალებს ან კაცებს ვინმემ გაუბედოს რამე, ეროვნულ ტრაგედიად და მთელი ერის ღირსების შელახვად აღიქვამენ. ამას ხელს ისიც უწყობს, ზოგირთი ჩვენებური ქურდობს და ათასნაირ უკეთურობას სჩადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი კინაღამ გამომრჩა: ჯერ ზეინაბს დაველაპარაკები, დავემუქრები საქართველოში დასჯით და სამაგიეროს მიზღვევით და დავადგენ, ნამდვილად რამდენი გმართებს მისი. შემდეგ ჩვენს გოგონებს ჩამოვუვლი. ასე არაერთხელ დავხმარებივართ გაჭირვებაში ჩავარდნილებს. შევაგროებთ სათანადო თანხას, გადავუხდით ქენანსა და ზეინაბს, ჩვენივე ინიციატივით მივმართავთ პოლიციას, სავიზო რეჟიმის დარღვევისათვის „გავაჩალიჩებთ“ საქართველოში გაძევებას და მორჩა, იქნები სამშვიდობოზე. ესაა ყველაზე უტყუარი და იოლი გზა სამშობლოში დაბრუნებისა.

შემდეგ ლოყაზე მაკოცა, ძილი ნებისა მისურვა და ოთახიდან გავიდა. „სამუშაოდ“ ეჩქარებოდა...

თავი XVI

„ ... ხამს მოყვარე მოყვრისათვის,
თავი ჭირსა ა დამრიდად ...”
რუსთაველი

მეორე დღეს, მანანამ ნაშუადღევს მომაკითხა. მოსაკითხი მო-მიტანა, მომეფერა და მახარა:

- ღამით დრო ვიხელთე და დაველაპარაკე ზეინაბს. ჯერ დავუყვავე, ამან რომ არ გაჭრა, დავემუქრე: ან აქ ან საქართველოში გაზღვევინებ ყელაფერს, თუ თავი არ დაგინებებია მარიკასთვის-მეთქი. მოჰყვა ფიცს, მოთქმას, რომ 4000 დოლარი ნამდვილად მაქვსო დახარჯული. ყელში ვწვდი, ერთი-ორი მუჯლუგუნი ვკარ ფერდში და შევუღრინე, მოგახრჩობ მეთქი. ბოლოს გამომიტყდა, 1.000 დოლარი გადავიხადე პოლიციაში ჯარიმის სახით, 600 საბუთების გაკეთებასა და თურქეთში ჩამოყვანაზე დამეხარჯა და აქ შენახვაც 400 დოლარამდე დამიჯდაო, ესე იგი, სულ 2.000 დოლარი და არა 4.000, რასაც ადრე ითხოვდა. ისიც მითხრა, ასეთი პრობლემური ქალი ჯერ არ შემხვედრია. ასე თუ გაგრძელდა და მარიკას ამბავი სხვებმაცგაი9გეს, ხეირი არ დამეყრებაო, რადგან არც სასტუმროსა და რესტორნის მეპატრონეებს არ სურთ მათი არალეგალური საქმიანობის გახმაურება და არც მათ მფარველებს. ბოლოს დასძინა, თუ მარიკას ნებისყოფა ვერ გავტეხე და მეძა-ვეობაზე ვერ დავიყოლიე, მაშინ სხვა რეგიონში ან სულაც რომელიმე არაბს მივყიდით და უდაბნოში წაიყვანსო. ამით ხა-თაბალა აგვცდება და თავსაც დავიზღვევთო...

ჯერ გავოგნდი, მერე გონს მოვეგე, ყელში უფრო მაგრად მოვუჭირე ხელი და ვუთხარი:

- რა არამზადა, გათახსირებული და უგულო ყოფილხარ, როგორ შეგიძლია თანამემამულის ასე გაწირვა, თხასავით გაყიდვა ან საერთოდ გადაკარგვა რაღაც 2000 დოლარის გამო, არ გრცხვენია? ადამიანის თუ არ გეშინია, ღმერთის შეგეშინდეს!

ამაზე უფრო გაანჩხლდა:

- რას მიქვიან ადამიანი, მით უმეტეს მეძავი, სუსტი ნებისყოფის ქალი, მისი ან სამაგიეროს მიზღვის რომ მეშინოდეს, მოვკიდებდი ასეთ რამეს ხელს? ადამიანების ეს კატეგორია ცხვარია, უნდა პარსო და გამოიყენო შენთვის. ისინი დედლები

არიან. ასე, რომ ვიცი, ვინ უნდა წამოვიყვანო აქ და ვის როგორ მოვექცე. ნამდვილი ქალი და პატიოსანი ქართველი თავს არ მოგატყუებინებს, ვერც უცხოეთში გამოიტყუებ, სარფიანი სამუშაო და ბევრი ფულისც რომ შეჰპირდე. ეტყობა, ასეთი კატეგორიის ქალებს ბუნებით აქვთ მოწოდება და სულით მიდრეკილნი არიან, იყვნენ მეძავები. მარიკა, ვითომ, გამონაკლისია?

ეტყობა, ეს კითხვა უფრო თავის თავს დაუსვა, ვიდრე მე. მით უმეტეს, რომ იმ კატეგორიაში მეც მოვიაზრებოდი. თავადაც მიხვდა, მომიბოდიშა, შენ არ გეხებაო. სიმწრით გამეცინა. მეხება და როგორ?! მაგრამ მე შეგნებულად წამოვედი, არავის არ მოვუტ-ყუებივარ და ვერავინ გამომიყენებს, თუ ჩემი ნება არ იქნება. ამიტომ მისი ბოდიშები და დითირამბები გულგრილად გავატარე და ვუპასუხე:

- მარიკა ნამდვილად გამონაკლისია. საწყალი, გაჭირვებული ქალი ფულის საშოვნელადაა აქ ჩამოსული, მეორეც, ის შენ ვერ გიცნობდა, როგორც დაქალის ახლობელს გენდო და ამიტომ გაბედა უცხო ქვეყანასა და გარემოში წამოსვლაზე დაგთანხმებოდა, თორემ მისი შეგნებისა და ზნეობის ადამიანი ამაზე არასოდეს წავიდოდა. მარიკა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც შერცხვენილ სიც-ოცხლეს სიკვდილი ურჩევნიათ, გაწბილებას ცოცხლად მიწაში დამარხვა... ნუ დაღუპავ, ნუ გააბახებ, დაანებე, იაროს... მაგ ფულს მე მოგიგროვებ და გადაგიხდი. - ვუთხარი და გავუშვი ხელი.

ზეინაბი სკამზე მიესვენა. ვერაფერი შემომბედა. იცის, თავზე ხელაღებული რომ ვარ, გაუტეხელი, მეომარი ქალი და თუ საჭ-იროდ ჩავთვლი, წიწილასავით წავაცლი თავს. ციხის და სასჯელის დედაც... თუ ამას არ ვიზამ, მხოლოდ ერთი მიზეზით, საქართ-ველოში დედა და ძმისშვილი მყავს, უკანასკნელი მამაკაცი გვარში. მე მათ მივუძღვენი თავი... ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ ჩემი ვაჟ-კაცი ფეხზე დავაყენო, ღირსეულად გავზარდო, დავაოჯახო და გვარი ღირსეულად გავაგრძელებინო. მას გარეთ ვჭირდები და არა ციხესა და სხვა ხათაბალაში. ამას შევასრულებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ღირსება არ მაქვს, ან მაღალი იდეალებით არ ვსაზრდოობ. გაჭირვებამ და ეკონომიურმა სიდუხჭირემ დამაყენა ამ გზაზე. გპირდები, როცა ოჯახის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას ცოტათი მაინც გამოვასწორებ და იმდენ თანხას შევაგროვებ, რომ პატარა მარკეტი გავხსნა სადმე თბილისში და მქონდეს პურის ფული, იმ წამსვე დავტოვებ ამ სიბინძურეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასდროს უცხოეთში აღარ წავალ, გარდა მოგზაურობისა. მამაკაცი არ მაინტერესებს და არასდროს გავთხოვდები. მამაკაცის დანახვაც აღარ შემიძლია, იმდენი უზნეო და გათახსირებული მყავს ნანახი. მარტო მათი ჯიბე მაინტერესებს. ამ საქმეს აღვიქვამ, როგორც სამუშაოს, რაშიც გასამრჯელოს მიხდიან. ეს ასეა, თორემ პატიოსან და ღირსეულ ქართველ ქალს შემოევლოს ჩემი თავი.

ზეინაბი უხმოდ მისმენდა. აზრით რაღაცას სწონიდა და ზომავდა, გამოსავალს ეძებდა, მისი გაგებით „ღირსეულს“.

ბოლოს მითხრა:

- მივიღებ შენს პირობას, თუ თქვენც შეასრულებთ ჩემს პირობებს. - და ჩამომითვალა:

- მარიკამ გოგონებში საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ მასზე ჩემი და ქენანის მხრიდან არავითარ ფიზიკურ და მორალურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია;

- ავადმყოფობა მოიმიზეზოს. საკანში ყოფნისას თითქოსდა რაღაც სენი შეეყარა;

- სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას არც თურქეთის და არც საქართველოს მესაზღვრეებს და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს არ უნდა გაუმხილოს ის, რაც აქ თავს გადახდა, ყველაფერზე დუმილი შეინარჩუნოს;

- ქუთაისში მარინასთან შეხვედრისას ჩემზე ცუდი არ წამოსცდეს, რადგან ის სხვა ქალად მიცნობს, არაფერი იცის ჩემი საქმიანობის შესახებ, ჩვენ მხოლოდ ვმეგობრობთ. არ მინდა სახელი გამიტყდეს.

მანანა მომიახლოვდა, ცოტა ჩაფიქრდა და მითხრა:

- როგორ ფიქრობ, მისაღებია და მისი პირობები?

დავფიქრდი და ვუპასუხე:

- ჩემო მანანა, არ ვიცი როგორ, რა სიტყვებით გადმოგცე ან რა გრძნობებით გამოვხატო ჩემი შენდამი მადლიერება, ოღონდ საღსალამათი და უვნებელი გავაღწიო აქედან, მშვიდობით დავუბრუნდე ოჯახს, ჩემს შვილს და ახლობლებს და ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ ზეინაბსაც და მის ამფსონებსაც. ჩავთვლი, რომ ეს კოშმარი იყო. - წარმოვიდგინე, რომ სახლში ვარ, ზაზა მიზის კალთაში და რაღაცას მეტიტინება. გარს მახვევიან ჩემი საყვარელი ოჯახის წევრები და მწარედ ავტირდი.

მანანა, მომეხვია და აქვითინდა. ტირილით გული რომ ვიჯერეთ, დამარიგა:

- თუგინდ უკეთ იყო, ლოგინიდან არ ადგე, ყველამ უნდა იცოდეს, რომ სერიოზულად ნაცემი ხარ და ავადმყოფობ... ასე გაგრძელდება მანამ, სანამ საჭირო თანხას არ მოვაგროებ და არ გამოგისყიდი. - მითხრა, ლოყაზე მომეფერა და განაგრძო: - ქალაქში ვაპირებ გასვლას საყიდლებზე, რამეს თუ ისურვებ, წამოგიღებ.

მისი უზომოდ მადლიერი ვარ, თვითონ ასეთ დღეშია, ამდენს წვალობს და ღვიძლ დასავით გაიზიარა ჩემი გაჭირვება. ამდენი ფული უნდა ნახოს გამოსასყიდად და რაღაც წვრილმანებზე როგორ შევაწუხებ ან დავახარჯიანებ?!.

ზრდილობისთვის მადლობა გადავუხადე და ვთხოვე:

- ნუ შეწუხდები, არაფერი მინდა.

- ფეხის ზომა მითხარი, დანარჩენი მე ვიციო. - არ მომეშვა.

ვუთხარი.

მანანამ ნომრის კარი ფრთხილად მიიხურა.

თავი XVII

„გულს გული იცნობს და ღონეს - ღონე,
მენდე, გაგიყო ჭირი და ლხენა.“

ილია ჭავჭავაძე

რამდენიმე დღეა ნომერში მარტოდ ვარ ავადმყოფი ქალი. არავინ მაკითხავს, არ მნახულობს. არც ნელი და გულიზარ დეიდა, არც „ჩემი“ გოგონები - ნანა და ლამზირა. წარმოიდგინეთ, არც ზეინაბი და არც ქენანი. გარე სამყაროსთან მხოლოდ მანანა „მაკავშირებს,“ მას მოაქვს ახალი ამბები. ეტყობა, ესეც შეთანხმებით, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა გახდეს ცნობილი ჩემი ურჩობის და დასჯის ამბავი. ეს ცუდი მაგალითი იქნება სხვა გოგონებისთვის, რაც ზეინაბის ავტორიტეტს შელახავს, მისი უძლეველობისა და ყოვლისშემძლეობის მითს ხუხულასავით ჩააქცევს, დაშინებითა და მუქარით მეძავეობაზე ვეღარ დაიყოლიებს. ალბათ, შედარებით იოლად ამიტომ დათანხმდა მანანას ზეინაბი ჩემი გამოსასყიდის შემცირებას და ჩემს გათავისუფლებას.

მანანა გვიან საღამოს მოვიდა. მომიტანა ახალი ბოტასები, ჯინსის შარვალი - თავისი პერანგით, საღამური, საცვლები, კოსმეტიკა, ორი ქვედაკაბა და თბილი პულოვერი.

გრძნობამორეულმა ვერ მოვახერხე მადლიერების გამოხატვა, წამოვვარდი საწოლიდან და მხურვალედ გადავეხვიე. მანანაც მომეხვია. ამან ჩვენს შორის ყოველგვარი უცხოობა, უხერხულობა და მორიდება წაიშალა. მანანა ძალიან ახლობელი და ძვირფასი გახდა ჩემთვის, ძალიან შემაყვარა თავი. ღვიძლი დებივით დავუახლოვდით ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ღვიძლმა დამაც ვერ გიერთგულოს.

მანანას შევთავაზე სამუდამო მეგობრობა. მან დაიმორცხვა, მეც ძალიან შემიყვარდიო, თქვა და მოიწყინა. ვერ გავიგე, ასე უცებ ხასიათი რამ წაუხდინა, ღრმა, მწარე და მძიმე ფიქრებმა წაიღო. ცოტა ვაცალე და მხრებზე შევეხე, ფრთხილად შევანჯღრიე. ცოტა შეცბა, სახესა და თვალებზე ხელი მოისვა, შემდეგ ხელები მოიფშვნიტა... თითქოს შეეცადა, გულიდან ნაღველი გადაეყარა.

უფრო ზრდილობისათვის თუ სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ვკითხე:

- მანანა, რა მოგივიდა, ასე უცებ ჩაიძირე ფიქრებში.

მან ხელი მომხვია და მითხრა:

- ჩემო მარიკა, შენ გრძნობებმა აგიყოლია, ალბათ, და სამუდამო მეგობრობასა და სიყვარულს მეფიცები. ისე, ვერც კი მიცნობ, ვინ ვარ, როგორ მიცხოვრია, რა გამომივლია, რამ მიმიყვანა ამ გულგატეხილობასა და საკუთარი თავის უარყოფამდე. ბოლოს კი - მეძავობამდე.

ვუთხარი:

- არ მაინტერესებს, მომწონხარ და მიყვარხარ ისეთი, როგორიც ხარ, შენს შესახებ რაც უკვე ვიცი, მე ეს მყოფნის და ჩემს ცნობისმოყვარეობას სრულად აკმაყოფილებს.

მანანა ჩაფიქრდა, მერე შემომხედა და მითხრა:

- თუ ჩვენ ჭეშმარიტი მეგობრობა გვინდა, ყველაფერი უნდა ვიცოდეთ ერთმანეთის შესახებ, არ უნდა იყოს დაფარული და საიდუმლო, რადგან შემდეგ გაგებული გაუმხელელი წარსული ცხოვრების დეტალები იმედგაცრუების, წყენისა და უნდობლობის საბაბი შეიძლება გახდეს, ამიტომ რაც უნდა მძიმე მოსაყოლი და მოსასმენი იყოს, უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს გარდასულ წელთა დარდი და ხვაშიადი. შემდეგ გავაანალიზოთ ყველაფერი და მივიღოთ გადაწყვეტილება - ვიმეგობროთ თუ ისე დავშორდეთ ერთმანეთს.

თავი XVIII

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება...“

ნიკოლოზ ბარათაშვილი

დავიბადე საქართველოს ულამაზეს კუთხეში - აფხაზეთში, ქალაქ გაგრაში. ჩემი წინაპრები წარმოშობით რაჭიდან არიან, დიდი ხანია იქ სახლობენ. ბაბუა და ბებია არ მახსოვს. ავტოკატასტროფაში დაღუპულან. ოჯახი მეგობრული გვქონდა - დედ-მამა, უფროსი ძმა, ჩემი პირმშვენიერი რძალი და ანგელოზი ძმისშვილი - ჩემი სიყვარული და იმედი. სამსართულიანი ქვითკირის სახლი შემაღლებულ გორაკზე, ზღვასთან ახლოს გვედგა. მწვანეში ჩაფლული, მოვლილი ბაღით და ეზოთი. მხოლოდ უკანა მხარეს იყო დამრეცი და ქვიანი ფერდობი, თითქმის ზღვის ნაპირამდე.

ზღაპრული ბავშვობა მქონდა. მოსიყვარულე მშობლები, კეთილი ნათესავები, სტუმართმოყვარე და გულითადი მეზობლები, გულისხმიერი, მეგობრული თანაკლასელები. ერთი დიდი მეგობრული, ინტერნაციონალური ოჯახი იყო ჩვენი ქალაქი. ლამაზი კურორტი. თვალწარმტაცი ზღვა, წალკოტი ბუნება. ასე სიყვარულსა და სიამტკბილობაში გავატარე სკოლის წლები.

დადგა ავადსახსენებელი ოთხმოცდაათიანი წლები. უცებ ყველაფერი შეიცვალა. სადღაც გაქრა კომუნისტური, ყბადაღებული ინტერნაციონალიზმი. ჯერ იყო და, ეროვნული ნიშნით დაიწყო ერთმანეთის განსხვავება, ამას ურთიერთობათა გაცივება მოჰყვა და საბოლოოდ მივედით მტრობამდე. ანტიქართული, მტრული პროპაგანდისტული მანქანა დღე და ღამე შეუჩერებლად მუშაობდა. ქართველების და აფხაზების ისტორიული მეგობრობა და თანაცხოვრება, ერთიანი სახელმწიფოს და თანაზიარი მიწა-წყალის განცდა მოიშალა, ერთიანი ისტორიისა და წარსულის მცნება, ჩვეები და ადათები, ერთსისხლხორცობაც დაამახინჯეს. მოჰყვათ მტრობას ომი მოჰყვა.

ჩემი ძმა პირველივე დღეებიდან მოხალისედ გამწესდა. სამშობლოს, ოჯახის და ღირსების დასაცავად წავიდა ფრონტზე.

მეზობლები, მიუხედავად ეროვნული წარმომავლობისა, იყვნენ აფხზები და სომხები, ბერძნები და ესტონელები, უკრაინელები

და ადიღეელებიც კი, კარგ, თბილ ურთიერთობას ინარჩუნებდნენ, ერთმანეთს უკანასკნელ ლუკმასაც უყოფდნენ, ძალიან სწუხდნენ, ომს საერთო უბედურებად და დიდ გაუგებრობად მიიჩნევდნენ.

ჩვენს ქალაქში შედარებითი მშვიდობა იყო, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯერ სროლის ხმა შორიდან ისმოდა, შემდეგ კი ნელ-ნელა მოგვიახლოვდა. მოსახლეობაში პანიკამ თავი იჩინა, ამას ინფორმაციის ვაკუუმიც დაერთო. რეალურად რა ხდებოდა, არ ვიცოდით, ზოგი საკუთარ სახლში გამაგრდა. სულმოკლეებმა აჭედეს კარები და გაიხიზნენ - ზოგი საქართველოს სხვა რეგიონებში წავიდა, ზოგი რუსეთში გადავიდა, ზოგი ისევ აფხაზეთში, მაგრამ მოშორებულ სოფლებში. ჩვენ არსად გვქონდა წასასვლელი. ოფიცალურად ევაკუაციის ან ადგილზე დარჩენის შესახებ არავინ არაფერს ამბობდა, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფად ქმედით ზომებს არავინ იღებდა. გახშირდა დაუდგენელი პირების მხრიდან, განსაკუთრებით ქართველთა სახლებზე, თავდასხმები ყაჩაღობისა და ძარცვის მიზნით. ქუჩაში საღამოობით გასვლა საშიში იყო. შებინდდებოდა თუ არა, ყველა სახლში იკეტებოდა. მეზობლები ერთმანეთთან გადასვლასაც ერიდებოდნენ.

ქალაქს მცირერიცხოვანი ქართული საჯარისო ნაწილი და მოხალისეთა ჯგუფი აკონტროლებდა, რომელიც სერიოზული სამხედრო ოპერაციებს ან ქალაქის დაცვას ვერ შეძლებდა. გუდაუთაში გამაგრებული აფხაზი სეპარატისტები და ადგილობრივი სომხები, რუსების და ჩრდილოკავკასიელების ხელშეწყობით და უშუალო თანამონაწილეობით, სამხედრო ქვედანაყოფებს აყალიბებდნენ, მოხალისეთა დაჯგუფებებს ქმნიდნენ, იარაღდებოდნენ და ძლიერდებოდნენ. ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა. არავინ იცოდა, როდის დაიწყებოდა შეტაკება ქალაქისათვის.

სეპარატისტები და მათი დაქაშები შეტევაზე გადმოვიდნენ. გაგრა დაიკავეს და დაიწყო მასობრივი ძარცვა - გლეჯა, ქართველების ხოცვა-ჟლეტა და იძულება, დაეტოვებინათ მამაპაპური მიწა-წყალი და საცხოვრისი. ჩვენ გასვლა ვერ მოვასწარით და ყოველგვარი დაცვისა და იმედის გარეშე ქალაქში ჩავრჩით. ორჯერ აფხაზი მეზობლის წყალობით სარდაფში გადამალვა და ჩაკეტვა მოვასწარით. პირველ დღეებში ქართველები ნაკლებად აინტერესებდათ, უფრო საძარცვავად იყვნენ მოსული. ჩვენი სახლიდანაც, რაც შეეძლოთ, ყველაფერი გაიტანეს. ღმერთს მადლობა,

ფიზიკური ძალადობისაგან გადავრჩით. ძირითადად მაღალ სართულზე ვიყავით. იქ ავიტანეთ, რაც ვერ გაიტანეს ან არ მოეწონათ, მათ შორის ცოტა სურსათის მარაგი. მამა ცდილობდა, როგორმე დაკავშირებოდა ჩემს ძმას ან ქართველ სამხედროებს და მოეხერხებინა ოჯახის სოხუმში ან რუსეთში გახიზნვა, მაგრამ საშველი არსაიდან არ ჩანდა.

შუა ღამე იქნებოდა. უეცრად საბრძოლო მანქანების გრუხუნმა გააყრუა იქაურობა. კიდევ შეესივნენ ქართველთა სახლებს. ლოგინებიდან ადგომა და მესამე სართულის ერთ ოთახში თავმოყრა მოვასწარით, როცა პირველ სართულზე შემოამტვრიეს კარები. დენი ისედაც არ იყო, მამამ ჭრაქი ჩააქრო. მოიარეს პირველი სართული. რუსულად ილანძღებოდნენ და უწმაწურად იგინებოდნენ. ერთმა, ეტყობა, უფროსი იყო, გასცა ბრძანება, შეემოწმებინათ ზედა სართულები. იქნებოდა ოთხი თუ ხუთი სამხედრო. ბრახუნითა და ავტომატების სროლით მესამე სართულზე ამოაღწიეს. მოიარეს ოთახები და ბოლოს ჩვენთან შემოალაჯეს... კუთხეში მიყუჟულნი, შეშინებულნი და აცახცახებულები რომ დაგვნახეს, ერთმა მხიარულად შესძახა:

- კურდღლებივით განაბულან ეს ოხერი ქართველი ღორები.

გვაგინეს, გვლანძღეს, როგორც მოსისხლე მტრები... მამამ წინ წაიწია და რუსულ ენაზე შესთავაზა, წაეღოთ ყველაფერი, ოღონდ ქალებისა და ბავშვისთვის ხელი არ ეხლოთ. ამას საერთო დაცინვა და ხორხოცი მოჰყვა. ჩემი რძლის მშვენიერებამ და ჩემმა სიქორფემ მოხიბლეს მხეცები... მამას ერთმა ავტომატის კონდახი ჩაარტყა კეფის არეში, მეორემ, ჩამოგვეცალე ღოროო და ავტომატის ჯერი მიუშვა. სულთმობრძავს გადაალაჯეს და ჩვენსკენ წამოვიდნენ. დედამ მოასწრო ბავშვის მიხუტება და საწოლის ძირას ჩაიკეა. მამა უსულოდ ეგდო იატაკზე.

ჩვენსკენ გზა უკვე ხსნილი იყო. სამი ბოევიკი ერთდროულად. მე და რძალმა ფანჯრების გახსნა და რაფებზე ახტომა მოვასწარით. განზრახვას მიგვიხვდნენ. შუა ოთახში შეჩერდნენ, არ გაბედოთო, მოგვაყვირეს და შესაშინებლად ავტომატები მოგვიშვირეს. მეოთხემ დედა შეამჩნია, აცახცახებული ბავშვით ხელში. მიიჭრა მათთან, ჯერ ბავშვს, შემდეგ დედას ჩაარტყა კონდახი. დედამ, ვაიმე შვილოო, იკივლა და მომაკვდავივით ამოიგმინა. ფანჯრის რაფიდან ჩამოვხტი, რათა დედას და ბავშვს დავხმარებოდი. ასე აღვმოჩნდი მოძალადის კლანჭებში. რძალი ფანჯრის რაფაზე იდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოთქმით დასტიროდა შვილს, დედამთილსა და მამამთილს, მაგრამ ჩამოხტომას არ ჩქარობდა. ორი მე მეცა. დამიჭირეს, დანარჩენი ორი კი ჩემი რძლის დაუფლებას შეეცადა. მეხუთე ბრძანებლობდა, დაწიოკებაში უშუალო მონაწილეობას კი არ იღებდა. რძალმა იგრძნო ვითარების გამოუვალობა: ან ფანჯრიდან გადახტომა და ღირსეული სიკვდილი, შეურცხვენელი და უმწიკვლო, ან გაუპატიურება და, შესაძლოა, ისევ სიკვდილი, ამასთან გაუპატურებული, ნამუსახდილი, გაბახებული. პირველი ირჩია. ვაიმე, შვილოო, შეჰკივლა და გადაეშვა წყვდიადში. სვანი ქალი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა. მის ზვიად და ამაყ ხასიათს ბავშვობიდან ვიცნობდი...

მხეცებად ქცეულიები არ ცხრებოდნენ. არაკაცები ვერც ჩემი რძლის თავგანწირვამ ჩააფიქრა და შეაჩერა, ვერც მამის სიკვდილმა დააშოშმინა, ვერც ბებიისა და შვილიშვილის განწირულმა ხროტინმა და კვნესამ. არც ჩემმა მუდარამ, ქალწულისთვის არ აეხადათ ნამუსი.

ტანისამოსი შემომახიეს. ორმა ხელებით დამიჭირა, მესამე „მოეწყო სადაც ჯერ არს“ და დამიწყო გამალებით ლოშნა. მგლეჯდა და მბრდღვნიდა ურჯულო. რაც ძალი და ღონე მქონდა, ვუძალიანდებოდი, მაგრამ ... ერთს თვალებში შევაფურთხე და თავში მუშტიც მივიღე... გონებასთან ერთად ქალწულობაც დავკარგე.

როცა გონს მოვედი, საშინელი ტკივილები მტანჯავდა, მთელი სხეული მტკიოდა და მეწვოდა. მივხვდი, გამძღარიყვნენ მკვლელე-ბი და არამზადები ჩემი ქორფა და ქალწულებრივი სხეულით. ალბათ, ყველამ იძალადა, სისხლსა და სპერმის ნარევში ვიხრჩობ-დი. შემზარდა ჩემი ყოფა, აზრი დაეკარგა ცხოვრებას. მთელი არსებით შევიგრძენი ჩემი არარაობა. მივფორთხდი ფანჯარასთან, ავბობღდი, ავიზიდე წელს ზემოთ და ის იყოწყვდიადს უნდა შევრეოდი, რომ ბავშვის მიბნედილი ტირილი და საშველად ძახილი გავიგონე.

ჩემს ძმისშვილს გოჩა ჰქვია, სამი წლისაა. ქერა, თმახუჭუჭა ბავშვია. მივიხედე ხმის მიმართულებით, ბოლომდე გავითავისე ჩემს თავს დატრიალებული ტრაგედია და მივხვდი, რომ თავს თუ მოვიკლავდი, ვინ უპატრონებდა დაჭრილ დედას და გოჩას. ვინ დამარხავდა მამას და რძალს, ვინ იქნება მათი ჭირისუფალი. ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმა - ხვიჩა მაინც აქ ყოფილიყო, მომეხმარებოდა, იქნებოდა ჩვენი ქომაგი და განმკითხველი.

მოვშორდი ფანჯრის რაფას, მოვძებნე გოჩა და დედა, დავრწმუნდი, რომ ორივე ცოცხლები იყვნენ, მივიხუტე მკერდზე და ჩავიძირე წყვდიადში.

მზის პირველმა სხივებმა შემოაჭყიტა ოთახში. დედა გონს მოსულიყო, ზეწრის ნახევით სახელდახელოდ შეეკრა გატეხილი თავი, ასევე შეეხვია ბავშვიც, მიეწვინა საწოლზე და მამის ცხედარს დამხობილი მწარედ მოსთქვამდა.

თურმე მეც მკვდარი ვეგონე...

დედა! - ვიკივლე, წამოვდექი და ბარბაცით მივედი მასთან. დამინახა თუ არა, ისიც წამოდგა. მამის სხეულთან შევხვდით ერთმანეთს - გულდამწვარი დედა და პატივაყრილი, ბანდიტების და მკვლელების გაბახებული, საწყალი შვილი. ჩავეხვიეთ და ავქვითინდით. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავით ასე. გოჩას ტირილმა გამოგვაფხიზლა.

ჩვენს თავზე დატრიალებული ტრაგედია მეზობლებს გაეგოთ. სამძიმრის სათქმელად და საშველად მოვიდნენ. ყველას ტკიოდა ჩვენი სატკივარი. ძალიან განიცდიდნენ. დაგვეხმარნენ. პირველი სართულის დარბაზში მოვაწყვეთ ორი სადგარი. ერთზე მამა დავასვენეთ, მეორეზე - რძალი. ეს უკანასკნელი საშინლად დამტვრეული იპოვეს მეზობლებმა ზღვასთან ახლოს. მოგვიარეს მე, დედას და გოჩას. მოგვბანეს ჭრილობები, შეგვიხვიეს, დაგვაპურეს და მოგვეფერნენ. ცხედრები გავაპატიოსნეთ მეზობლების რჩევით და ჩვენს ბაღში იმავე დღეს დავმარხეთ. შიშობდნენ, ბოევიკები არ დაბრუნებულიყვნენ და მიცვალებულთა დამარხვაში ხელი შეეშალათ. საჭირო იყო ჩვენი გადამალვა-დაბინავებაც. ეს საქმე ჩვენი ოჯახის ახლო ნაცნობმა და მამაჩემის ძმაკაცმა, ყოფილმა მილიციის თანამშრომელმა მურზაყანმა ითავა. ჩაგვსხა მანქანაში და რიწის ხეობაში, ახლო ნათესავთან გადაგვიყვანა. იქ რამდენიმე დღეს დავრჩით. ჭრილობები მოვიშუშეთ. შემდგ შემოვლითი გზით, მურზაყანის ნათესავმა ჩაგვიყვანა სოხუმში. იქ გამოვცხადით აფხაზეთის ქართული მთავრობის შტაბში, საიდანაც გადმოგვიყვანეს თბილისში და სასტუმრო „აფხაზეთში“ დაგვაბინავეს.

თბილისში ჩემს თავს დატრიალებული უბედურების შესახებ არავისთვის მითქვამს. არც დედისათვის გამიმხელია. როცა სამშვ-

იდობოს გავედი და შედარებით წყნარ ვითარებაში აღვმოვჩნდი, ბოლომდე გავითავისე ჩემს თავს დატრიალებული უბედურების მთელი სიმძიმე და სიმწარე. მხოლოდ 18 წლის ვარ. მართალია, გარეგნულად ლამაზი, მაგრამ შინაგანად დამწვარი და დადაგული, ნამუსახდილი და სულიერად განადგურებული. გაგრაშივე ვცადე, თავი მომეკლა, მაგრამ დედამ და გოჩამ გადამაფიქრებინეს. ხვიჩას შესახებ არაფერი ისმის. არ ვიცით, მკვდარია თუ ცოცხალი. ჩემს გარდა საწყალ დედაჩემს და გოჩას - გვარში დარჩენილ, ჯერ-ჯერობით ერთადერთ მამრობითი სქესის წარმომადგენელს, არავინ არ ჰყავს მშველელი და მარჩენალი. გამოუცდელი, სუსტი გოგონას მხრებს დამაწვა ოჯახის მთელი სიმძიმე და წინაპართა წინაშე უდიდესი ვალდებულება - მოვუარო და გავზარდო გვარის გამგრძელებლი - სამი წლის გოჩა.

ასე გავიდა ნახევარი წელიწადი. ერთხელ თბილისის სარკინიგზო სადგურის ტერიტორიაზე შევხვდი აფხაზეთის ომის მონაწილეს, სოხუმელ ბიჭს. მასთან საუბარში გავიგე, რომ იცნობს ჩემს ძმას, უკვე ოფიცერს, გვარდიის კაპიტანს. ხვიჩა იმჟამად სოხუმის სამხედრო ჰოსპიტალში იშუშებდა ჭრილობებს. ეს ამბავი მაშინვე დედას ვახარე. გადავწყვიტე სოხუმში ჩასვლა და ხვიჩას მონახულება. დედა შემეწინააღმდეგა, ეშინოდა, გზაში ან სოხუმში ხიფათს არ გადავყროდი. მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგის ძალები გააფთრებით იბრძოდნენ სოხუმის ასაღებად. ჩვენი ჯარები კი, პირიქით, მაქსიმალურად ცდილობდნენ სოხუმის თავდაცვითი სისტემის გამაგრებას.

თავი XIX

„ ... ჩვენ ამოვანგრევთ საფლავებს,
კვლავ ქართლის მთებზე დავდგებით“.

ხუტა ბერულავა

სახელდახელოდ მოვემზადე და მატარებლით ზუგდიდში ჩავედი. იქიდან კი ხან ავტობუსით, ხან კი შემხვედრი ტრანსპორტით სოხუმამდე ჩავაღწიე. ვიკითხე სამხედრო ჰოსპიტალი და, აი, ხვიჩას პალატაში ვარ. ხვიჩა შეცვლილი მეჩვენა. დავაჟკაცებულა, გამომეტყველება გამკაცრებია, სახის კანი გამკრთალებია - ავადმყოფობის და ხანგრძლივი მკურნალობის შედეგი ეტყობა. ვერ წარმომედგინა, ძმისთვის როგორ ამეხსნა გაგრაში დატრიალებული ტრაგედია. ან როგორ გამემხილა, რომ მეუღლე და მამა აღარ ჰყავს, რომ არაადამიანურად გაუბახეს და ნამუსი აჰხადეს მის ერთადერთ დას, რომ ძლივს გამოვსტაცეთ სიკვდილს კლანჭებიდან დედა და შვილი. თავს იმით ვიმხნევებდი, რომ მსგავსი ტრაგედია ბევრი ქართველისა და აფხაზის ოჯახში დატრიალდა.

ხვიჩას, პირველ რიგში, აინტერესებდა ოჯახის ბედი. იცოდა, რომ ჩვენმა ჯარებმა, მძიმე ბრძოლების მიუხედავად, დაჰკარგეს გაგრა და მთელი რეგიონი გუდაუთიდან განთიადის ჩათვლით. სამხედრო ოფიცრისთვის ამის გაგება ძალიან ძნელი არაა, ლოგიკურად ომის კანონზომიერება წაგებასაც გულისხმობს და მოგებასაც.

ცრემლები მახრჩობდა, ხმა მიკანკალებდა, მაგრამ მაინც შევძელი მიუკერძოებლად, თანმიმდევრულად, დაწვრილებით მომეყოლა ძმისთვის გაგრაში ჩვენს ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. ხვიჩა გაფითრდა, კედელზე ერთ წერტილს მიაშტერდა და მუმიასავით გაშეშდა.

ჩვენს საუბარს ხვიჩას თანაპალატელებიც უსმენდნენ. არ იყო ჯარისკაცი ან ოფიცერი, რომელის ოჯახსაც მეტნაკლებად არ შეჰხებოდა ომის მსახვრალი ხელი.

ვის სჭირდება ეს უაზრო, ძმათამკვლელი ომი, ვინ წამოგვაგო ამ უაზრო პროვოკაციაზე, ანდა რამ გაგვამხეცა ქართველები და აფხაზები, ეს სისხლისმიერი ნათესავები და მოძმეები, რომ ასე უმოწყალოდ დავერიეთ ერთმანეთს, ვხოცავთ, ვჟლეტთ და

ვბუგავთ. ზოგიერთის სიმხეცე და არაადამიანობა იქამდეც მივიდა, რომ აღარც ბავშვებს, მოხუცებსა, ქალებს, ხეიბრებსა და ავადმყოფებს ინდობენ. გამეტების მიზეზი მხოლოდ ერთია - ეროვნული განსხვავება. ვინ დაგიდევს, რომ დაპირისპირებულთა რიგებში ბევრია გაქართველებული აფხაზი ან გააფხაზებული ქართველი. რამდენია შერეული ოჯახების ჩამომავალი?

რამდენ ხანს გაგრძელდა სამარისებური სიჩუმე და ჩემი ძმის დუმილი, არ მახსოვს, მაგრამ ეს იყო ყველაზე გრძელი, მტანჯველი და მძიმე წუთები.

ხვიჩა ნელ-ნელა გონს მოეგო, უსიტყვოდ მომიახლოვდა, მომხვია ხელები, ჩამიკრა გულში და ჩუმად, ვაჟკაცს რომ სჩვევია, ისე აქვითინდა. ერთი წვეთი ცრემლი გულის პირზე დამეცა, ჩამწვა და გულის ფიცრამდე უწია. თავს ახლაც შემახსენებს. ისარივითაა გულში გარჭობილი, ისრის წვერიდან წვეთ-წვეთად სისხლი რომ ჟონავს. ნეტავი, როდის დაიშრიტება გულის ნაჟური და თვალის ჩინი დაბნელდება?

ხვიჩა ამის შემდეგ მთლად გამოიცვალა. უფრო აგრესიული, გულჩათხრობილი გახდა. სახე სულ მოქუფრული ჰქონდა, მის თვალებს დავიწყებოდა აზარტული, ანცი გამოკვესება, ბაგეებს - ღიმილი. 25 წლისას თმა თითქმის გაუჭაღარავდა. რა ვუთხრა, რით გავამხნევო, რით ვანუგეშო. ღმერთს მადლობა, იმედად ერთმანეთი გვყავს. თბილისში გველოდება სვედამდუღრული და უბედური დედა და ჩვენი იმედი და მომავალი - პატარა გოჩა. ეს ხვიჩასთვისაც დიდი იმედია, მაგრამ უადგილმამულო და აოხრებული ოჯახის პატრონს ბევრს ვერას მოსთხოვ, ვერ ანუგეშებ, ვერ გაახარებ. ერთხელ გამიმხილა კიდეც, ჩემს ცხოვრებას ვუძღვნი მხოლოდ ერთ მიზანს - შურისძიებას. ჩემი ამომგდებლების და დამაქცევრების სისხლი მწყურია, მხოლოდ ეს სურვილი მამოძრავებს და მაცოცხლებს, მხოლოდ ამისთვის ვცოცხლობ.

ხვიჩას პროტესტის მიუხედავად გადავწყვიტე სოხუმში დარჩენა. ძმა დამთანხმდა ერთი პირობით - თუ ვიქნებოდი მისი უშუალო ზედამხედველობის და მეთვალყურეობის ქვეშ. ეს იმით ახსნა, რომ ერთადერთი დედმამიშვილი ვყავარ და სასიკვდილოდ ვერ გამიმეტებს.

სოხუმშივე დავეუფლე სამხედრო მედდის პროფესიას და ხვიჩას ასეულში გამამწესეს.

ჩვენი ასეული მდინარე გუმისთაზე იდგა, სტრატეგიული მიმართულება ეკავა. მუდმივ საომარ მდგომარეობაში ვიყავით. მცირე ხნით ფრონტის ხაზი რომ დამშვიდდებოდა, პურობას ვმართავდით, უფრო ერთმანეთის გამხნევების და მებრძოლი სულის შენარჩუნებისათვის, ცეკვა-სიმღერასაც ვახერხებდით. ადამიანი ხომ ყველაფერს ეგუება.

ის ბრძოლა განსაკუთრებით დამამახსოვრდა, ან რა დამავიწყებს. მოწინააღმდეგე მორიგ შეტევაზე გადმოვიდა. სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევერკინებთ ერთმანეთს. სეპარატისტები და მათი დამქაშები გააფრთებით გვიტევდნენ. ზოგიერთ უბანზე ხელჩართული ბრძოლები მიდიოდა. ვიმარჯვეთ და მოწინააღმდეგე ვაიძულეთ, დიდი დანაკარგებით უკან დაეხია. ფრონტის ხაზი აღსდგა, პოზიციები გასწორდა და შეძლებისდაგვარად გამაგრდა. დანაკარგები ჩვენს ასეულსაც ქონდა: ხუთი მოკლული და ექვსი დაჭრილი. დაღუპული თანამებრძოლები უსაფრთხო ადგილზე დაასვენეს. დაჭრილები სახელდახელოდ მოწყობილ ლაზარეთში განვათავსეთ. თითოეულს საგულდაგულოდ დავუმუშავე ჭრილობები, მალამო ვცხე და შევუხვიე, როგორც შევძელი, მოხერხებულად მოვაწყვე და დაველოდე სანიტარულ მანქანებს, რათა დაჭრილები ჰოსპიტალში გადაეყვანათ.

ყველაფერს რომ მოვრჩი, ხელები დავიბანე, მოვწესრიგდი და გადავწყვიტე ასეულის თავდაცვითი პოზიციის ჩამოვლა. იქნებ ვინმე დაჭრილია, მაგრამ ჭრილობა უმნიშვნელოდ ჩათვალა და არ მომმართა. ჩამოვუარე პოზიციებს, მაგრამ ასეულის მეთაური არსად ჩანდა. გული შემეკუმშა, ცუდი ვიგუმანე და გამოვკითხე მებრძოლები. დამაჯერებელი პასუხი ვერ მივიღე. ადრე ნაცნობ ორ ბიჭს ვთხოვე, დამხმარებოდნენ ძმის მოძებნაში. ასეულის მეთაურის მოადგილემ ძებნის ადგილების საცეცხლე დაფარვის განკარგულება გასცა. ჩვენი სანგრები მდინარის ნაპირიდან შორს არ იყო. ჯერ გადარბენებით, შემდეგ ხოხვით მივაღწიეთ მდინარის პირას. სიფრთხილე საჭირო იყო, რადგან მთელი ნაპირი მოწინააღმდეგის თვალთახედვის არეში იყო მოქცეული და მიზანში ადვილად ამოგვიღებდნენ.

ალბათ, მოწინააღმდეგეს დიდი დანაკარგები ჰქონდა, იგრძნობოდა საბრძოლო პოზიციებზე მეომრების ნაკლებობა.დაჭ

ერთი ჩვენი მეომრის პირობითმა სიგნალმა მიხმო. გადარბენით მივედი და გავქვავდი. ჩემი ხვიჩა მოწინააღმდეგის გროვად

დაყრილ ცხედრებზე ღონემიხდილი იწვა. დავემხე და ავქვითინ-დი. ძმამ თვალები გაახილა, ოდნავ გამიღიმა და ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა:

- დაიკო, დიდება უფალს, ვალმოხდილი მივდივარ, ეს მკვლე-ლები და არამზადები ხომ ზვარაკად შევიწირე და გავიყოლე თან... მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს, გაუფრთხილდი თავს, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, ცოცხალი უნდა დარჩე, უვნებელი უნდა გახვიდე სამშვიდობოზე. მიმიხედე დედას და ჩემს გოჩას. ის ხომ ერთი წელია არ მინახავს. ალბათ, უკვე დიდი ბიჭია. გაზარდე ღირსეულ ქართველად. - ეს თქვა, ამოიგმინა, თვალები მიაპყრო მშობლიურ ლურჯ, კამკამა ზეცას და ჩემს კალთაში დალია სული. თვალები ჩემი ხელით დავუხუჭე. ყველაფერს მექანიკურად, პროფესიის შესაბამისად ვაკეთებდი. ის მანანა აღარ ვიყავი, გამოუცდელი და ჯერ კიდევ ბავშვი, სამხედრო მედდა ვიყავი, სიკვდილსა და სისხლს ნაზიარები, მოძმისა და მოყვასის სისხლით ხალათ-შეღებილი...

მეომრების დახმარებით ხვიჩა უსფრთხო ადგილას სხვა ცხე-დრებთან ერთად დავასვენეთ. ყველა წესისა და რიგის დაცვით გავაპატიოსნეთ და ძმათა სასაფლაოზე მიწას იმ იმედით მივა-ბარეთ, რომ ომი დამთავრდებოდა და გაგრაში, საგვარეულო სასაფლაოზე გადასვენებდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XX

„ ბოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია.“

რუსთაველი

ხვიჩას გმირულმა სიკვდილმა შემძრა. რამდენიმე დღეს თითქ-მის უაზროდ და უსაქმოდ ჩვენი ასეულის პოზიციებზე დავბორიალებდი. გავდიოდი ზღვის პირას და საათობით ვიჯექი. დავსტიროდი ჩემს უბედობას და ჩვენი ოჯახის ტრაგედიას. ვფიქრობდი ძმის ანდერძზე, დედასა და ძმისშვილზე, ცხოვრების არარაობაზე...

ჩემი თავი და ბედი აღარ მაღელვებდა, უბრალოდ, აღარ მაინ-ტერესებდა. სასოწარკვეთა და ნიჰილიზმი დამეუფლა.

ბოლოს აზრები დამეწმინდა, დალაგდა და ერთ ჯაჭვად გამოინასკვა:

- ვიცხოვრებ, რათა შური ვიძიო ჩემი ოჯახის წევრების, ჩემს თვალწინ დაღუპული ბიჭების გმირული სლიკვდილის გამო.

- ვიცოცხლებ, რომ აღვასრულო ძმის ანდერძი - მივხედო დე-დას და გოჩას, გავზარდო ღირსეულ მოქალაქედ და სამშობლოს მოსიყვარულე ქართველად.

გამოიკვეთა ჩემი ცხოვრების ორი ძირითადი არსი: შური-სძიება და ხვიჩას ანდერძის აღსრულება. დანარჩენმა ყველაფერმა ჩემთვის აზრი დაკარგა. თვით სიცოცხლე, და მით უმეტეს, პირადი ცხოვრება, გაფერმკრთალდა, შემდეგ კი ნისლივით გაიფანტა და შეერია წყვდიადს. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ლანდად ვიქეცი, ცოცხლებში აღარ ვეწერე.

დრო გადიოდა, მაგრამ პირვანდელ შეგრძნებას ვეღარაფერი მოვუხერხე, ვერ მოვერიე. მხოლოდ დედისა და გოჩასთვის ვცხოვრობდი. დიადი იდეა მასულდგმულებდა: აღვზარდო გოჩა ღირსეულ ქართველად. ამისთვის არაფერს დავიშურებ, ოღონდ ჯანმრთელობამ არ მიღალატოს და განგებამ შემაძლებინოს.

ხვიჩას დაღუპვიდან ერთი თვე გავიდა. დადგა დრო, შევდგომოდი ცხოვრების მიზნების აღსრულებას.

მივედი ბატალიონის შტაბში, მეთაურს წარვუდგინე დახასია-თება-რეკომენდაცია და პირადადაც ვთხოვე, სნაიპერთა ბის კურ-სებზე ჩავერიცხე. ვფიქრობდი, რომ ჩემი პირველი მიზნის აღსრუ-

ლებისათვის - შურისძიებისათვის, სნაიპერობა ზედგამოჭრილია, მტრებს სათითაოდ უნდა ვაზღვევინო ჩემი გაბახებაგაუბედურების და ახლობლების უმოწყალოდ დახოცვის გამო.

- რამდენი წლის ხარ? - მკითხა ბატალიონის მეთაურმა.

- ცხრამეტი წელი შემისრულდა.

ჯერ ჩემს ჭაღარაშერეულ თმას და თვალების ირგვლივ ღარებს დააკვირდა, ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მითხრა:

- შვილო, მეშინია, გული და ჯიგარი არ გადააყოლო შურისძიებას, არ დაჰკარგო ადამიანური სახე, არ გადაიქცე ბოროტ და რობოტ მკვლელად. ჯერ ხომ ისევ ბავშვი ხარ...

შევემუდარე: - გადაწყვეტილებას ნუ შემაცვლევინებ, თუ ჩემი ძმის - საქართველოს შეიარაღებული ძალების კაპიტნის ხსოვნას პატივს სცემთ, უარს ნუ მეტყვით.

გაუძნელდა, მაგრამ მაინც დამთანხმდა. გამგზავნა შტაბის საბრძოლო მომზადების განყოფილებაში. სნაიპერთა კურსებზე ჩამრიცხეს.

კარგი ინსტრუქტორის დახმარებით ოცდახუთ დღეში ავითვისე სნაიპერის რთული და საპასუხისმგებლო სპეციალობა. ერთ ქვედანაყოფში გამამწესეს.

ჩემო მარიკა, არ მკითხო და ვერც გეტყვი, თუ იქ რას ვაკეთებდი, რომელ ოპერაციებში ვმონაწილეობდი. გეტყვი მხოლოდ ერთს, შურისძიებით გული ვიჯერე, ჩემიანების და ჩემი ქალწულური, უმანკო სისხლის ყოველი წვეთი მტრის სისხლის ნაკადუებით ჩამოვბანე.

შემდეგ იყო ის, რაც ადრე გითხარი, ჩვენი ხელისუფლება ენდო რუს და აფხაზ პირისგამტეხლებს, აფხაზეთის ტერიტორიიდან მძიმე ტექნიკა და შეიარაღება გამოიყვანეს, რითაც მოწინააღმდეგეებმა ისარგებლეს, ბრძოლის ველზე ტაქტიკური და ტექნიკური უპირატესობა მოიპოვეს. ჩვენმა საჯარისო შენაერთებმა, მსუბუქი იარაღით შეიარაღებულებმა, ვეღარ გაუძლეს კონტრიერიშებს და სოხუმი დაეცა. ამას მოჰყვა უწესრიგო უკანდახევა და ჭუბერის გზის გოლგოთა. აღარ მინდა გავიხსენო. გული მტკივა და სული ყელში მაწვება.

დამარცხებული, მაგრამ შურნაგები დავბრუნდი თბილისში. თავგანწირვით შევეჭიდე ჩემი ცხოვრების მიზნის მეორე ნაწილის აღსრულებას, - დედაჩემთან ერთად გოჩას ღირსეულ მოქალაქედ და კაი ქართველად ვზრდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზნის განსახორციელებლად, მშვიდობიანობის ჟამს, შუა თბილისში გოლგოთის გზაზე მეორედ შედგომა მომიწია. აქაც არანაკლებ დაუნდობელ და სასტიკ მტრებთან მომიწია შერკინება - უმუშევრობასა და უფულობასთან.

სად არ მივედი, ვის არ მივმართე, მაგრამ ვერც სამუშაო ვნახე და ვერც ფული. მე და დედა ხშირად მშივრები ვიძინებდით, ჩვენ თავს არ ვჩიოდი - გოჩა მადარდებდა, ის არ მომიკვდომოდა მშიერი.

ერთხელ ალექსანდრეს პარკში ჩაფიქრებული ვიჯექი. ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდა ქალი მომიჯდა. ისიც სევდიანი ჩანდა. უცნობი გამომელაპარაკა და ნელ-ნელა ერთმანეთს გავუშინაურდით. მე ჩემი ვუთხარი, მან მისი. სად მუშაობ-მეთქი, ვკითხე. ცოტა წამოწითლდა და მორცხვად მიპასუხა, საუნაშიო. გამიკვირდა, რატომ გაჰკრა სახეზე ალმურმა, განა საუნაში მუშაობა სათაკილოა? გვანცამ, ასე ერქვა ახალ ნაცნობს, სამუშაოს არსი რომ გამანდო, მაშინ კი მივხვდი ყველაფერს. ანაზღაურება კარგია, კარგადაც გვასმევს, გვაჭმევს და გვაცმევს მეპატრონეო. თუ მოგწონს და გსურს ამ გზით საარსებო ფულის შოვნა, ახალგაზრდა, უპატრონო, ქალისთვის მისწრებააო. - გამიტყდა. ყოველი შემთხვევისათვის, გავცვალეთ ტელეფონის ნომრები, დავაზუსტე საუნას მისამართი და წავედი სახლში.

შინ მისულს დედა აფორიაქებული და დანაღვლიანებული დამხვდა - თურმე გოჩას მეზობლის ბიჭებთან ერთად ბურთი უთამაშია, ფეხები დასველებია და გაცივებულა. ბავშვს დიდი სიცხე ჰქონდა. ძვლებს ამტვრევდა. წამალი სასწრაფოდ იყო საყიდი, მაგრამ ფული არ გვქონდა. მეზობელს ერთი ვაი-ვაგლახითა და ხვეწნით დავესესხე. გავქანდი აფთიაქში. წუთში გოჩას საწოლთან ბავშვს წამალი დავალევინეთ, ფეხები დავუთბუნეთ და დავაძინეთ.

მთელი ღამე არ მეძინა. ცალკე მარტოობასა და უფულობაზე ვდარდობდი და ვეძებდი გამოსავალს, ცალკე გვანცას შემოთავაზებაზე ვფიქრობდი. ბოლოს მივიღე გადაწყვეტილება: ჩემი პირადი ცხოვრება ისედაც აღარ მაინტერესებს, მთავარია, მქონდეს სტაბილური, ნორმალური შემოსავალი, რომ ღირსეულად მოვუარო დედას და გოჩას. გადავწყვიტე, ხვალვე დავუკავშირდე გვანცას და მივიდე საუნაში.

დილით ადრე ავდექი. თავი მოვიწესრიგე, მანიკური და პედიკური გავიკეთე. საუკეთესო, რაც გამაჩნდა, ტანისამოსით შევიმოსე

და დავურეკე გვანცას. მოვილაპარაკეთ შეხვედრის ადგილსა და დროზე.

საუნის მეპატრონე შუა ხნის დარბაისელი თბილისელი ებრაელი აღმოჩნდა. გამესაუბრა. არ დამიმალავს ჩემი წარსული (რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ მოვუყევი) და მიზეზი, რამაც აქ მომიყვანა. იგი გაგებით მოეკიდა ჩემს მდგომარეობას და მიმიღო სამუშაოზე. გვანცას, როგორც ჩემს პროტეჟეს, მიაბარა ჩემი თავი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ერთი თვის შემდეგ სრულად ვფლობდი ამ „სპეციალობის“ ყველა საიდუმლოებასა და ეშმაკობას.

დედამ და მეზობლებმა იცოდნენ, რომ ერთერთი დაწესებულების ხელმძღვანელის პირად მდივნად ვმუშაობ. ეს ვერსია მოვიფიქრე, ვინაიდან ჩემი პროფესიის შესაბამისი კოსმეტიკა და მანიკურ - პედიკური მქონდა, მკერავსა და მუშას არ ვგავდი.

ერთი წელი გავიდა, რაც საუნაში ვმუშაობდი. რომ იტყვიან: „მგლებიც მაძღრები არიან და ცხვრებიც მრთელები,“ ყველა კმაყოფილია, ყველა თავისას ღებულობს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, საუნა დაიხურა. ამბობდნენ, მეპატრონე ფინანსურ მაქინაციებში გარეულა და რომ არ დაეჭირათ, ბიზნესი გაყიდა, საუნა დახურა და თავს საზღვარგარეთ გაქცევით უშველა.

დავრჩი ისევ უმუშევარი. ერთად მუშაობისა და ურთიერთობისას მე და გვანცამ მოვასწარით დამეგობრება. შევთანხმდით, თუ რომელიმე სამუშაოს ან სარფიან შემოთავაზებას მივიღებთ, ერთმანეთს აუცილებლად შევატყობინოთ და დავეხმაროთ კიდეც.

რამდენიმე დღის შემდეგ გვანცამ დამირეკა და მთხოვა შეხვედრა. თან შემპირდა, საინტერესო ადამიანს გაგაცნობო. შევხვდით ბარში. გვანცას თან ახლდა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ზეინაბი. იგი თბილისელია, ვიცი სად ცხოვრობს და რა ჯიშისაა. დედით აისორი და მამით - სომეხი. გვანცას ზეინაბი გააცნო ლამზირამ (ჩვენს სასტუმროში რომაა, მაგან). თურმე ლამზირას ზეინაბისთვის მოუყოლია საუნის დახურვის და „მომსახურე პერსონალის“ უმუშევრად დარჩენის შესახებ.

ზეინაბი რამდენიმე წელია სუტენიორია. თბილისშიც „ხელობდა“ ამ საქმეს, მაგრამ სათანადოდ ვერ გაშალა „ფრონტი“. ვიღაცის რჩევით ჩასულა თურეთში. ქალაქ ტრაპიზონში შეკვრია „ჩვენი“ სასტუმროს და რესტორნის მეპატრონეებს და აუწყვია საქმე

„განიერ თეძოზე“. მე ამ საქმეში დიდი გამოცდილება მქონდა უკვე. ასე, რომ თავს ვერ მაჭმევდა. თბილისშივე მე, ლამზირა და ნანა (ნანა ლამზირას დაქალია, ის მანვე ჩართო ამ საქმეში) შევუთანხმდით ზეინაბს, რომ „დაკრიშკვისა“ და ზოგჯერ კლიენტის შერჩევა - მოყვანისათვის მიიღებს 30 პროცენტს და სხვა ზედმეტობას ადგილი არ ექნება. სპეციალურად მოვუყევი ჩემი თავზეხელაღებულობისა და საბრძოლო გამოცდილების შესახებ. გავაფრთხილე, იაღლიში მოგივა და ვნახოთ ვისი აჯობებს-მეთქი.

შედარებით თავისუფლად ვმუშაობთ. ყოველთვიურად ჩავდივართ სახლში. ჩაგვაქვს ფული და საჩუქრები ახლობლებისათვის და ვართ ასე. ვცდილობთ, აქაურ სამართალდამცავ ორგანოებთან პრობლემები არ შევიქმნათ, არც სავიზო რეჟიმს ვარღვევთ.

შენთან მიმართებაში, პრინციპში, პირობა დავარღვიე, არ უნდა ჩავრეულიყავი მის საქმეში, მაგრამ ჩემი ბედის და ბუნების ადამიანი ვერ დავუშვებდი, რომ კიდევ ერთი ქართველი გაუბედურებულიყო. თანაც კატეგორიულად ვერ ვიტან ძალადობას, რასაც ზეინაბი და ქენანი გიკეთებდნენ, ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. მათ თითქმის ისევე გაგიმეტეს, როგორც მე თავის დროზე არამზადა სეპარატისტებმა. მაშინ უსუსური ვიყავი და ვერ აღვუდექი ბოროტებას, თვითონ გავხდი ძალადობის მსხვერპლი. ახლაც ხომ უსუსური აღარ ვარ. ყოველთვის აღვუდგები ნებისმიერ ძალადობას. შენ გამოგექომაგე, შემეცოდე და არც ვნანობ, არ შევმცდარვარ. ყოჩაღ, მარიკა, დაიმახსოვრე, მე შენი ღვიძლი დედმამიშვილი ვარ და ქომაგი, სანამ პირში სული მიდგას. ვალი კი სხვა საქმეა, ყველამ თავისი კუთვნილი უნდა მიიღოს - კარგიც და ცუდიც. ფულს ვნახავთ, თითქმის შევაგროვე კიდეც, ცოტაც და, სამშვიდობოს იქნები. - თქვა და მომეხვია,

თვალები დამენამა, მაგრამ ეს უკვე სიხარულის და მადლიერების ცრემლები იყო.

ხუთი დღის შემდეგ მანანამ შეაგროვა სათანადო თანხა. ლამზირას და ნანას თანდასწრებით, ზეინაბს და ქენანს ჩემს ოთახში მიუთვალა 2.000 დოლარი. მათ, თავის მხრივ, ჩემს მიმართ ყოველგვარი პრეტენზია მოხსნეს და გადმომცეს საქართველოს მოქალაქის პასპორტი, რომელიც ჩემი შიდასაპატიმროს საკნის გასაღების ფუნქციას ასრულებდა.

მხოლოდ სავიზო რეჟიმის პრობლემა რჩებოდა. მე ხომ ვადა გადაცილებული მქონდა, ეს კი ადმინისტრაციული სამართალდარ-

ღვევაა, ანუ დასჯადი ქმედებაა. აქაც ღმერთმა მხსნელად გულიზარ დეიდა მომივლინა. მისი ნათესავი, წარმოშობით ქართველი, წამყვანი ექიმი ყოფილა ტრაპიზონის ჰოსპიტალში. გულიზარ დეიდას თხოვნით გამიკეთა ოფიციალური საბუთი ჩემი ავადმყოფობის შესახებ. ავადმყოფობა მიუთითა ქალური, მაგრამ სპეციალური მკურნალობის გარეშე ტრანსპორტირებასთან და ხანგრძლივ მგზავრობასთან შეუთავსებადი. მანვე მიიტანა პოლიციის კომისართან და სათანადო ვიზაც ხელთ მქონდა.

რა ბედნიერებაა. უკვე აზატი ვარ - მონობიდან თავდახსნილი, გამოსყიდული... მადლობა ღმერთს, რომ კიდევ არიან გულისხმიერი და პატიოსანი ადამიანები, ვისაც სხვისი ჭირის გათავისება შეუძლიათ, ძალუძთ, დახმარების ხელი გაუწოდონ და მოსიყვარულე გული გადაუშალონ განსაცდელში მყოფთ.

მეორე დღეს, დილიდანვე, გოგოენბმა ჩამალაგებინეს ბარგი. ჩემი ოჯახის წევრებისათვის სათითაოდ საჩუქრები ეყიდათ. ზაზასთვის მანანამ საგანგებოდ შეარჩია ფეხბურთის ტყავის ბურთი და ბუცები. როცა წამოიზრდება, ჩემს გოჩასაც ასეთს ვუყიდიო და თვალები დაენამა. ეს სიხარულის ცრემლები იყო.

დათქმულ დროს გოგონებმა ერთი ამბით გამომაცილეს სასტუმროს ეზოდან. ყველას უხაროდა ჩემი გათავისუფლება და სამშობლოში მშვიდობიანი, ღირსეული დაბრუნება. მხოლოდ ზეინაბი არსად ჩანდა. ან კი ჰქონდა მორალური უფლება? შეიძლება, სინდისი ქენჯნიდა. აქვს ვითომ მას სინდისი ან ნამუსი?!.

მანანამ ტაქსით მიმიყვანა ავტოსადგურში. მიყიდა ბილეთი. შემდეგ კონვერტი გამომიწოდა და მითხრა:

- ეს ნანამ და გულიზარ დეიდამ გადმომცეს, მითხრეს, შეიძლება მოერიდოს და არ აიღოს, არ გვინდა გავწბილდეთ, ამიტომ ავტოსადგურში გადაეციო.

ჩავიდე ხელჩანთაში. მანანამ ავტობუსის მძღოლს ოცი დოლარი უფეშქაშა და სთხოვა, საზღვრის გადაკვეთისას თურქეთის საბაჟოზე უპატრონეო.

გადამეხვია, გადამკოცნა და ჯიბეში ასდოლარიანი ჩამიცურა.

ნირი მეცვალა. ამდენი სიკეთე და კიდევ ფული? მაგრამ მანანამ არ დამანება, ვიდრე ზაზა არ დამაფიცა. სხვა რა გზა მქონდა. სანამ ავტობუსი თვალს არ მიეფარა, ხელს მიქნევდა.

კონვერტი გავხსენი. აღმოჩნდა, რომ ღვთისნიერ მანდილოსნებს 500 დოლარი უჩუქებიათ. გული ამიჩუყდა. კინოფირივით

თვალწინ გამირბინა თურქეთში ყოფნის ორთვიანმა კოშმარმა. არაადამიანურობამაც და სათნოებამაც.

ავქვითინდი. ვმალავდი ცრემლს, მაგრამ არ მემორჩილებოდა გული და გრძნობები. ბოლოს დავწყნარდი და ისეთი შვება ვიგრძენი, სიტყვით ვერ გადმოგცემ.

ორი თვის დაგროვილი ემოციიდან, როგორც იქნა, დავიცალე. უკვე ოპტიმისტურად გავცქერი მომავალს. როგორც იქნა, ჩემმა თვალსაწიერმა შეიცნო ბუნების ფერები - ცხოვრება მშვენიერია.

საქართველო-თურქეთის საზღვარი პრობლემების გარეშე გადმოვკვეთე. მძღოლმა თურქეთის საბაჟოს პოლიციელს წარუდგინა სამედიცინო ცნობა. მან ორიგინალი დაიტოვა, მე კი ქსეროასლი გადმომცა. ჩვენს საბაჟოზე პრობლემები არ შემქმნია, ავტობუსიდან არც ჩამოვსულვარ.

მხოლოდ გონიოს ციხესთან ვთხოვე მძღოლს ავტობუსის გაჩერება. სხვებიც ჩამოვიდნენ. ჯერ მშობლიურ მიწას ვემთხვიე და ვეამბორე. შემდეგ ციხესიმაგრის გოროზ კედლებს მოვეფერე და უფალს ერთიანი და ძლიერი საქართველო შევთხოვე!

* * *

გონიოს ციხესიმაგრის ერთერთი კოშკის თავზე ამაყად ფრიალებდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს დროშა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XXI

გადავწყვიტე, თურქეთში გადახდენილი კოშმარის დავიწყება. იგი ჩემი ცხოვრების ერთ მტკივნეულ სიზმრად ჩავთვალე. ეს იქნება ჩემი ცხოვრების პირადი საიდუმლო...

ბედის ბორბალმა სად არ მატარა,
სად არ ვიწვნიე ბედის სიმწარე,
ოცდასამი წლის ქალი ვარ მხოლოდ,
ოცდასამ საათს ვერ გავიხარე.

ვერავის ვენდობი,
ყველა მღალატობს,
ზურგს უკან ყველა სამარეს მითხრის,
მეგობრობას კი ყველა ღაღადობს.

მხოლოდ ქაღალდი შემომრჩა მეგობრად,
მე ყველა საიდუმლოს მხოლოდ მას გავანდობ,
მაგრამ, თუ ხელში სხვას ჩაუარდა
მღალატობს, მღალატობს, ო,ისიც მღალატობს.

მხოლოდ გულს ვენდობი, გული ხომ ჩემია.
კიდეც რომ ამოჭრან, არაფერს არ იტყვის
და ჩემს საიდუმლოს
სამარეს წაიღებს.

ისე ვარ გატანჯული და გაწამებული, ადამიანების დანახვაც აღარ მინდა. რაღაც ჩემთვის ამოუცნობი გუმანით გამვლელებს მოვინიშნავ ხოლმე, ვინ ბოროტია და ვინ კეთილი და პირობითად სახელებს ვარქვმევ. მე რომ მკითხოს კაცმა, სადღაც მყუდროდ, წყნარად ცხოვრება მირჩევნია, ნაკლები პრობლემებით, ნაკლები ბოროტებით და ამაოებით. ველური ბუნება მირჩევნია, ვიდრე მაღალგანვითარებული ქალაქები.

ო, შენ ორო თვევ, რა რევოლუცია მოახდინე ჩემში, თუ იცი!? რამდენნაირი სულიერი და ფსიქოლოგიური გარდატეხა გადავიტანე... ბევრი ღირებულება დაიმსხვრა და გაცამტვერდა ჩემს შემეცნებასა და სულიერ სამყაროში. ბევრიც გახუნდა, გაიცრიცა, გაუფასურდა, გაფერმკრთალდა, ფერი და ფასი დაკარგა და დარჩა მხოლოდ ორი მცნება: ბოროტება და სიკეთე, სიკეთე და ბოროტება.

ბათუმის ავტოსადგურში გავჩერდით. ჯერაც ბოლომდე ვერ გამითავისებია, რომ უკვე სამშობლოში ვარ. ტყვეობას, შიშს და გაურკვევლობას გადავურჩი.

ყველაზე მეტად მთრთგუნავს უსუსურობა და უუფლებობა. ისევ მომაგონდა სასტუმროს გაუსაძლისი ნომერი, სატუსაღოს შმორიანი საკანი. ნებისმიერ დროს შეიძლება შემოვიდნენ ზეინაბი ან ქენანი - თუ ხოშზეა გაგლანძღავს, შეურაცყოფას მოგაყენებს, სიტყვიერსაც, ფიზიკურსაც. მოინდომებს და პანღურს ამოგარტყამს, თმებით გათრევს, მოეპრიანება და ფეხს ჩაგცხებს მუცელში და ამ დროს დარწმუნებულია, რომ მას არავინ დასჯის, პასუხს ვერავინ აგებინებს. ის ხელშეუხებელია...

მკითხავთ, ეს როგორ? როგორ და სულ მარტივად. ვიღაც ვიგინდარა და უზნეო, მისი გაგებით კი მაგარი და თავზეხელაღებული, პირადი დაინტერესების ობიექტს, ესე იგი უცხოელს წაართმევს ან ჩამოართმევს პასპორტს და გათავდა. ეს საკმარისია, რომ უცხოელი (განსაკუთრებით ყოფილი საბჭოელი) მის სრულ დამოკიდებულებაში ჩავარდეს, ფაქტობრივად მისი მძევალი ან ტუსაღი გახდეს. იცის, რომ თურქი სამართალდამცველიუცხოელს გააჩერებს უპასპორტოდ ქუჩაში, მისი საქმე წასულია.

მკითხავთ, რატომ? იმიტომ, რომ, როგორც წესი, პოლიციელს თუ ჟანდარმს ვერაფერს აუხსნი და ვერ დაუმტკიცებ. არ ენდობიან შენს სიტყვას, არ სჯერათ არც შენი პატიოსნების და არც გულწრფელობის. პოლიციის განყოფილებაში ან ჟანდარმერიის ქვედანაყოფში წაგიყვანენ, მოგათავსებენ საკანში და დაიწყება დამამცირებელი დაკითხვები და ბრალდებები, რომ თურქეთში ჩამოხვედი საკუთარი სხეულით სავაჭროდ, უნდა დაკავდე უკანონო საქმიანობით (უცხოელს თურქეთში ეკრძალება ნებისმიერი შრომითი საქმიანობა სპეციალური ნებართვის გარეშე. ამ ნებართვის აღება კი ძალიან ხანგრძლივი და რთული პროცედურაა). თანაც იქ უცხოელი მოქალაქის ბედისადმი სრული გულგრილობა და უნდობლობაა.

უცხოელს, განსაკუთრებით კი საქართველოს მოქალაქეს, მით უმეტეს ქალს, მეტწილად გარანტირებული აქვს თურქეთიდან დეპორტაცია და ხუთი წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში შესვლის უფლების აკრძალვა.

მკითხავთ, ნუთუ, არ არსებობს მართლმსაჯულება და დაკავებულის დაცვის სისტემა?

კი, ბატონო, არსებობს, როგორ არ არსებობს, მაგრამ შერჩევით. როგორც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელს, ასევე მოსამართლეს, თითქმის უპირობოდ სჯერათ თავიანთი ქვეყნის მოქალაქის, მით უმეტეს, თუ ის თანამდებობის პირი ან ბიზნესმენია.

კი, ბატონო, უჩივლებ, როგორ არ უჩივლებ, მაგრამ ნახავ სამართალს? უმეტეს შემთხვევაში ვერა. ისევ იმიტომ, რომ თურქეთის მოქალაქე თუ იტყვის, რომ მას ცილს სწამებენ ან ის ადასტურებს, რომ უცხოელი ნამდვილად უკანონობას სჩადიოდა, მისი სჯერათ, უცხოელის არა. ეს, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოქალაქეებზე ვრცელდება, თორემ ამერიკელს ან ბებერი ევროპის რომელიმე სახელმწიფოს წარმომადგენელს ასეთ რამეს როგორ შეჰკადრებენ.

ისევ მკითხავთ, რატომ?

გეტყვი მაგასაც: პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობა ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფოებია. იმპერიული მმართველობის და მახინჯი ეკონომიკური სისტემის, კერძო საკუთრების ფაქტობრივად უარსებობის წყალობით, ისინი განვითარებადი და სუსტი, ღარიბი ქვეყნებია. მათი მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა, უპოვარი და ღატაკი.

ბევრმა მათგანმა, მათ შორის საქართველომაც, საერთშორისო არენასა და მსოფლიო ეკონომიკაში თავისი ღირსეული ადგილი ჯერ ვერ დაიმკვიდრა, ამიტომ არ შესწევთ უნარი, უპირობოდ დაიცვან თავიანთი მოქალაქეების ღირსება და საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მათი მოქალაქეების უმრავლესობა საშოვარსა და პურის ფულის მოსაპოვებლად მიდიან უცხოეთში. ეს იციან თურქეთში, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ასევე მოქალაქეებმა და ხშირ შემთხვევაში ამას ბოროტად იყენებენ.

ამიტომ ეშინიათ ბედის მაძიებლებს ამ პროცედურების, ყველა ღონეს და ხერხს იყენებენ, რომ არ მოხვდნენ პოლიციელის და ჟანდარმის თვალთახედვის არეში. ამით კი ზემოთხსენებული კატეგორია სარგებლობს, ხელს ითბობს, აიძულებს მათ, იმეძავეონ ან აკეთონ სხვა მძიმე და დამამცირებელი სამუშაო, რა თქმა უნდა, არალეგალურ პირობებში, მიზერული ანაზღაურებით. ბევრი არ ერიდება, ურჩების მიმართ გამოიყენოს მორალური, ფსი-

ქოლოგიური თუ ფიზიკური ზემოქმედების ზომები და, კიდევ, ვინ იცის, მათ მიმართ რას არ სჩადიან.

რა მყიფე და პირობითია საერთაშორისო დონეზე აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები პატარა და სუსტი ქვეყნის მოქალაქეებისათვის! ასეთი ქვეყნების არავის ეშინია, არავინ ანგარიშს არ უწევს, მათ მოქალაქეებს არ აფასებენ, არაფრად აგდებენ, რადგანაც იციან, რომ მათ უკან სუსტი ქვეყანაა, რომელსაც არ ძალუძს, დაიცვას საკუთარი მოქალაქე. აბა, ვყოფილიყავი ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის ან, გნებავთ, დიდი საბჭოთა კავშირის ან სხვა ძლიერი ქვეყნის მოქალაქე, ამდენს გამიბედავდნენ? ასეთ უკუღმართობებს დამმართებდნენ?

ღმერთო, მაღირსე ერთიანი, თავისუფალი, ძლიერი ეკონომიკის ქვეყანა - ჩვენი საქართველო. მისი მოქალაქეები წელგამართულები, ნიჭ და ცოდნა დაფასებულები, ამაყნი და ლაღნი.

მინდა, ვერსად ბედავდნენ ჩვენსდამცირებას დაჩაგვრას, დაშინებას...

მინდა, ჩემმა ქვეყანამ შეძლოს პლანეტის ნებისმიერ წერტილში ღირსეულად დაიცვას თავისი მოქალაქეების სიცოცხლე, თავისუფლება, პატივი და ღირსება.

ასეთი მძიმე ფიქრებით დატვირთული და დიდი სიხარულით აღსავსე შევედი ქუთაისის ავტოსადგურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XXII

რასაც დასთეს, იმას მოიმკი.
ხალხური ანდაზა

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ქვეყანაში ეკონომიური, კულ-ტურული, სოციალური და სამართლებრივი ძვრები მოხდა. ის საქართველო აღარაა - დაბეჩავებული და გაღატაკებული.

ტარიელი ამნისტიით ციხიდან დაითხოვეს. ოჯახს დაუ-ბრუნდა სრულუფლებიანი ადამიანი, კრიმინალის და ნარკოტი-კების უარმყოფელი. მუშაობს მშენებლობაზე. მე დავამთავრე უნივერსიტეტი პედაგოგის სპეციალობით. ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში მშობლიურ ენას და ლიტერატურას ვასწავლი. ზაზა უკვე დიდი ბიჭია. გვყავს მეორე შვილი, ცქრიალა თათია. დედა და მამიდა მეხმარებიან მის აღზრდაში. მამა და ტარიელი შერიგდნენ. სამაგალთო სიძე-სიმამრი არიან. უქმე და გამოსასვლელ დღეებში სოფელში მივდივართ, ხან ჩემს, ხან კი ტარიელის მშობლებთან.

ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, სახლში რომ მივედი, სა-დარბაზოსთან ახალგაზრდა ქალი შევნიშნე. მთელი ხმით იყვირა, მარიკაო და ხელებგაშლილი ჩემკენ გამოექანა. ჯერ შევცბი და გავოცდი, მაგრამ კარგად რომ დავაკვირდი, ამ ლამაზ, მოდაზე გამოპრანჭულ ქალში მანანა შევიცანი, ჩემი მხსნელი მანანა. უსიტყვოდ გადავეხვიეთ, მხურვალედ დავუკოცნეთ ლოყები და ხელები ერთმანეთს.

ჩემი მამანა...

რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, როგორ გამოცვლილა, დაქალებულა და დამშვენებულა, ჩემი მეგობარი და მხსნელი. დიდი სიხარულით ოჯახში შევიპატიჟე.

მოფერებით გული რომ ვიჯერეთ, სუფრა გავუშალე. კარგი ქართული კონიაკი ჩამოვასი სირჩებში. მერიდებოდა, რაიმე მეკით-ხა მისი ცხოვრების შესახებ. წარსული ხომ ისედაც ზედმიწევნით ვიცოდი.

არ ვიცი, კონიაკის ბრალი იყო, თუ მიმიხვდა, ჩემს მოთმინებასაც რომ საზღვარი აქვს და ამოშაქრა დალოცვილმა, მიხსნა უხერხული შეკითხვებისგან.

მას შემდეგ, რაც ტრაპიზონიდან წამოვედი, მანანას და ზეინაბს შორის ურთიერთობა დაძაბულა. აბრალებდა და აყვედ-

რიდა, შენ თავგამოდებისა და ახირების გამო მარიკაც დაუსჯელი, (ვითომ მე დასჯა დამაკლო) დამრჩა და ავტორიტეტიც შემერყაო. უჩხუბიათ და მანანა გადასულა სხვა სასტუმროში. იქ სასტუმროს მეპატრონეს მოსწონებია და მისთვის მეგობრობა (დოსტობა) შეუთავაზებია. მანანამ უამბო თავისი გასაჭირი და გეგმები. სასტუმროს მეპატრონე გულისხმიერი და პატიოსანი ადამიანი გამომდგარა.

სამი წლის შემდეგ მანანას გარკვეული თანხა მოუგროვებია, დაბრუნებულა თბილისში და დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე შეუძენია ფართი და გაუმართავს სუპერმარკეტი. როგორც ლტოლვილ ოჯახს, სახელმწიფოს ბინაც მიუცია. ასე, რომ სასტუმრო „აფხაზეთის“ ბინადარი აღარ არის. დედასთან ერთად ზრდის გოჩას - გვარისა და ოჯახის იმედს, ძმის და მამის, უბედური რძლის პატივსაცემად და მათი ხსოვნის ლამპარად. გოჩა კარგად სწავლობს, ყოჩაღი ბიჭია.

საუბრით გული ვიჯერეთ. მოვიგონეთ განვლილი დღეები და წლები.

სანამ ზაზა თავის ოთახში გაკვეთილებს ამზადებს, ვიდრე ტარიელიც სამუშაოდან დაბრუნდებუოდეს, მინდა ჩემი თურქული ეპოპეის ყველა გმირი მოვიგონო და ის ავადსახსენებელი ხანა ჩავაბარო წარსულს, ჩემი ცხოვრებიდან და მეხსიერებიდან ამოვშალო. ალბათ, უკვე მიმიხვდით, ჩემი ჯალათი და მტარვალი ზეინაბის ბედი მაინტერესებდა ყველაზე მეტად.

მანანას მოურიდებლად და პირდაპირ ვკითხე:

- ის ჩემი მტარვალი და ჩემი ცოდვით სავსე რა იქნა?

მანანას ჯერ ზიზღნარევმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, მერე ცოტა სევდანარევმა იერმა და მიამბო შემდეგი:

- ზეინაბმა კიდევ ბევრი გოგონა ჩამოიყვანა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან და მეძავის პროფესიას აზიარა... მან ქენანთან, არა მარტო არამედ რიზეში, გირესუნში, სინოპსა და სხვა შავიზღვისპირა ქალაქებშიც ფართოდ გაშალა. ყველგან ჰყავდა მფარველი - როგორც თვითმმართველობაში, ასევე პოლიციასა და ჟანდარმერიაში. ბევრ ქალს და გოგონას გაუმრუდა ცხოვრება და გააუბედურა. ტაქტიკა იგივე იყო - თანამზრახველების საშუალებით საქართველოს, რუსეთის, უკრაინისა და მოლდოვეთის დიდ ქალაქებში მოტყუებით აგროვებდა სამუშაოს მაძიებელ, გაჭირვებულ ქალებს და სამუშაოზე მოწყობის პირობით, სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზებით და არხებით, ჩამოჰყავდა და ანაწილებდა რესტორნებსა თუ სახელდახელოდ გამართულ არალეგალურ საროსკიპოებში. მათ შინაპატიმრობაში, არაადამიანურ პირობებში ამყოფებდა და ამუშავებდა. ურჩებს სადისტური მეთოდებით სჯიდა.არაერთი ბევრი ქალი უგზოუკვლოდ გაუჩინარდა. ალბათ, კლიენტები მეძავეებს სადისტურად აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და ჰკლავდნენ ან ზეინაბი და მისი დამქაშები, როგორც თურქეთის ასევე არაბული ქვეყნების მოქალაქეებზე ჰყიდნენ და სამუდამო ტყვეობაში „ამწესებდნენ.“

მაგრამ ღმერთი სამართლიანია...

ერთხელ სინოპიდან დაურეკა იქაურმა დამქაშმა-სუტენიორმა და ამცნო, რომ ერთი ქართველი გოგონა გაურჩებულა. ჯერ უარი თქვა კლიენტების სექსუალურ მომსახურებაზე, შემდეგ კი ღამით, ზეწრების გამოყენებით გადაძვრა საროსკიპოს მესამე სართულიდან და გიაპარა. ამას მეძავი ქალების მხრიდან საროსკიპოს ადმინისტრაციისადმი უკმაყოფილება და ბუნტი გამოუწვევია, მოითხოვდნენ პირობების გაუმჯობესებას და საზღაურის გადიდებას. ერთი სიტყვით, მათი ბიზნესი ჩავარდნის პირას დამდგარა და, რაც მთავარია, არ შესაძლო იყო, გაქცეული ქართველი გოგონა ჩავარდნოდა სხვა ქალაქის სამართალდამცავ ორგანოებს. ამით არა მარტო ბიზნესი, არამედ მათი კეთილდღეობაცა და თავისუფლებაც საფრთხის ქვეშ დგებოდა.

ზეინაბი გაცოფებულა. ჯერ ყვირილით და გინებით აუკლია ყველა და ყველაფერი, შემდეგ თავქუდმოგლეჯილი გავარდნილა ავტოსადგურში. საჭირო სამარშრუტო ავტობუსი რომ ვერ უნახავს, პირველსავე ტაქსის მძღოლს გარიგებია და გაქანებულა სინოპისაკენ. გზაზე გაცნობია ტაქსის მძღოლს, რატომღაც უამბნია თავისი სადაურობისა და საქმიანობის შესახებ. შეჩერებულან ქალაქ გირესუნში (მძღოლი იქაური ყოფილა). იქ ერთერთ რესტორანში უვახშმიათ. ტაქსის მძღოლს მოუმიზეზებია ავადმყოფობა და შეუთავაზებია სასტუმროში ღამის გათევა. ზეინაბი მიმხვდარა, რომ მასთან ღამის გატარება უნდოდა, კატეგორიული უარი უთქვამს და გამოულანძღავს კიდეც. ტაქსისტი გაბოროტებულა და განუზრახავს ზეინაბის დასჯა. ქალი დაუტოვებია მანქანაში, თვითონ კი წამლის ყიდვის მომიზეზებით გასულა ქუჩაში, დაურეკავს ძმაკაცებისთვის და შეუთავაზებია იაბანჯ (უცხოელ) ქალთან გართობა. ადგილიც შეურჩევიათ, ახლობლის დროებით ცარიელი იაილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანაში დაბრუნებულს გამოუთქვამს თანხმობა, გაეგრძელებინა გზა. ზეინაბი დამშვიდებულა, უკანა სავარძელზე გადამჯდარა და ჩასძინებია. როცა გამოუღვიძია, მიმხვდარა, რომ მთაშია, მიტოვებულ სახლში, ხუთი მამაკაცის, მათ შორის ტაქსისტის, კომპანიაში.

ერთ დიდ ოთახში, ღია კერიის პირას გაეშალათ პურმარილი.

შუაცეცხლზე, დიდ კარდალში, ცხვრის ხორცი იხარშებოდა, კერიის ნაკვერჩხლებზე კი მწვადები მადისაღმძვრელად შიშხინებდა. მაგიდაზე ელაგა ხორაგი, ვისკისა და თურქული „იენი რაკის" ბოთლების მთელი წყობა. პირველად ზეინაბს, როგორც ქართველს, თავაზიანად ეპყრობოდნენ...

ზეინაბი მიმხვდარა, თუ რა ბედი ელოდა და მწარედ ჩაუცინია...

მამაკაცებს სმენოდათ, რომ ქართველებმა კაი თამადობა და მოლხენა იციანო და ზეინაბისთვის მაგიდის გაძღოლა შეუთავაზებიათ. რა ეთამადებოდა, მაგრამ იცოდნა, რომ თურქი მამაკაცები სპირტიან სასმელებს არ არიან ჩვეულნი, მალე თვრებიან და გამოთაყვანდებიან. გადაუწყვეტია ამ შანსის გამოყენება. სუფრა გაუწყია, ხაშლამა და მწვადები მოუმზადებია. ერთი სიტყვით, სუფრა ავ თვალს არ ენახებოდა.

დაიწყო პურმარილი, ქეიფი და მოლხენა. ზეინაბი, არამარტო კაი დიასახლისი და მზარეული, კაი თამადაც ყოფილა - რიხიანად წარმოთქვამდა სადღეგრძელოებს და ალავერდებს მამაკაცებთან გადადიოდა... ჭიქებს ძირამდე აცლევინებდა და კვლავ დალევას აძალებდა. მესუფრეებსაც მალე დატყობიათ ბახუსის ძალა. ალკოჰოლთან ერთად დიაცისადმი ლტოლვაც მოსძალებიათ. ხვადის ინსტიქტი სრულად გათავისუფლებულა ქცევის ეტიკეტისა თუ სხვა აკრძალვა - პირობითობის მარწუხებიდან. ზეინაბი რა ზეინაბი იქნებოდა, თუ ამას ვერ მიხვდებოდა. კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებითა და მონდომებით ცდა არ დაუკლია, როგორმე დაეთრო მამაკაცები.

ცხოველურ ინსტიქტებზე სრულად დამორჩილებული ხვადები ნელ-ნელა კარგავდნენ ადამიანურ სახეს. ჯერ ტაქსის მძღოლი გაარშიყებია ზეინაბს, მაგრამ ამ უკანასკნელს ცივი უარი უტკეცია და მიუკარებლობის სანაცვლოდ შეუთავაზებია დიდძალი თანხა, რომელიც თან ჰქონია. სოლიდურ თანხას ტრაპიზონში დაბრუნსასაცშეპირებია. მაგრამ ნაქეიფარ, კარგი პურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარილით დამსუყებულ, აღგზნებულ მამაკაცებს რა თავში სახ-ლელად უნდოდათ ზეინაბის ფული, როცა ფუმფულა ქალი, თანაც ნაქეიფარი და შეზარხოშებული, გვერდით ჰყავდათ. ისიც უკაცრი-ელ ადგილას, სადაც უახლოეს ოცდაათ კილომეტრში ადამიანის ჭაჭანებაც არ იყო და აკრძალული თუ შეგუბებული სექსუალური ფანტაზიების განხორციელებაში ვერავინ შეუშლიდა ხელს.

ზეინაბი ხვდებოდა, თუ რა მოელოდა. მშვენივრად გაეთა-ვისებინა მდგომარეობის გამოუვალობა და კატასტროფულობა. ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. გადაწყვიტა მათი სექსუალური ჟინის დაკმაყოფილება ძალადობის ან გაუკუღმართებული ქცევების თავიდან აცილების გარეშე.

იქვე მდგომ ტახტზე მოხერხებულად მოეწყო და იხმო ტაქსის მძღოლი, მაგრამ ვერ გათვალა - ხუთივე მამაკაცი ერთდროულად მიესია. ჯერ ხვევნა-ლოშნით იჯერეს გული, შემდეგ თვითონაც შე-მოიხიეს და ზეინაბსაც შემოახიეს ტანისამოსი...

ზეინაბი ერთ ხანს უძალიანდებოდა, ერთ-ერთ მამაკაცს ხელზეც უკბინა, რის საზღაურადაც მიიღო მძიმე მუშტი თავის არეში და გადაესვენა ტახტზე. დილამდე ჯიჯგნეს და თექის გამოსაყვანი მატყლივით თელეს. ხვადებმა ყველა ფორმითა და რიგით დაიკმაყოფილეს თავიანთი ვნებანი. ბოლოს ალკოჰოლით, ქალის სხეულითა და ხორცით მაძღრები არხეინად მიწვნენ ტახტზე, ქალის შიშველი სხეულის გვერდით და საღათას ძილით დაიძინეს. ისმოდა ხვრინვა, ბორგვა და ქალის გულისმომკვლელი სლუკუნი.

გათენდა. მოძალადები მოფხიზლდნენ. თავიანთი ნამოქმედ-არი დაინახეს - შელახული, შებილწული, გაუპატიურებული და ცოცხლად შეჭმული ადამიანის მსგავსი არსება, რომელიც ტახტის კუთხეში მიყუჟულიყო და გულამოსკვნით სლუკუნებდა. ეს ტირილი კი არა, უსიტყვო გოდება იყო მხეცურად დაგლეჯილ-დალილავებული ადამიანისა.

მამაკაცები გონს მოეგენ, გაისიგრძეგანეს თავიანთი მხეცობისა და სისასტიკის რაობა, ისიც გაიაზრეს, რომ თუ ეს დანაშაული გაჟღავნდებოდა, სამუდამო პატიმრობა არ ასცდებოდათ.

საჭირო იყო დანაშაულის დაფარვა. შენობა საგულდაგულოდ დაალაგეს, წაშალეს ადამიანების ყოფნის კვალი, მაგრამ ზეინაბს რა უყონ, როგორ და სად მოიშორონ ავკაცობის მსხვერპლი და ცოცხალი მოწმე?

ბევრი იმსჯელეს, იდავეს, იგინეს. ზოგიერთმა თავბედი იწყევლა კიდეც. ისინი ხომ მანამდე კანონმორჩილი, პატიოსანი და დაფასებული მოქალაქეები და მეოჯახეები იყვნენ.

სად გამოყონ თავი? ვინ გაუგებს მათ, ამ არაადამიანობას ვინ შეუნდობს ან აპატიებს?..

გადაწყვიტეს მსხვერპლის მოშორება, მაგრამ ვერავინ გაბედა ზეინაბისათვის სიცოცხლის მოსპობა.

ბოლოს შეთანხმდნენ - მიუვალ, მაგრამ გზიდან გამოსაჩენ ადგილას ხეზე მიებათ, ვინმე გამოივლის აღმოაჩენს და უშველის, ან ადრე თუ გვიან ნახავენ მხეცების მიერ დაგლეჯილი ადამიანის გვამს. ზეინაბი ხომ უცხოელია, ვინ მოიკითხავს ან ამოიცნობს უსაბუთოს და უთვისტომოს...

მისივე დახეული ტანსაცმელით შემოსეს. მოძალადეებმა ყურად არ იღეს ნაგვემი, მაგრამ საღ ჭკუა-გონებაზე მყოფი ქალის ხვეწნა-მუდარა, შეენარჩუნებინათ მისთვის სიცოცხლე, სადმე ტრასასთან ახლოს მიეტოვებინათ. ფიციც დადო, რომ არასდროს და არსად გაამხელს არც მათ და არც იმას, რაც თავს გადახდა. არ მიატოვონ უპატრონოდ ხეზე მიბმული უკაცრიელ ადგილას, ტყეში, სადაც გარდაუვალი წამებით სიკვდილი ელის...

მოძალადეებმა ყურად არ იღეს განწირული და გაუბედურებული ქალის ვედრება. არაქათი და ძალ-ღონე რომ გამოლეოდა, სასიკვდილოდ სცემეს. სულ წიხლებით აბურთავეს საწყალი. ხელის გასვრას მოერიდნენ არაკაცები და არამზადები. ჩატენეს მანქანის საბარგულში, პირი ცხვირსახოცით შეუკრეს, რათა არ ეყვირა.

ჩავიდნენ ხევში. შემაღლებულ ადგილას, პატარა ჩანჩქერის თავზე, დიდი წიფლის ხე იდგა. სწორედ ეს ხე აირჩიეს. აათრიეს ზეინაბის ცოცხალ-მკვდარი სხეული, ბაწრით საგანგებოდ და საგულდაგულოდ მიაბეს ლაგამამოდებული. ერთმა თავზე ტომარა ჩამოაცვა. საქმე რომ მოითავეს, იქაურობას სასწრაფოდ გაშორდნენ.

ქალაქის შესაქცევთან, პატარა ხევში შეუხვიეს, ერთ მყუდრო და უცხო, თვალისათვის მოფარებულ წყაროსთან შეჩერდნენ, მოიწესრიგეს თავი, ჩამოირეცხეს წუხანდელი ცოდვები, მუსლიმანური ადათი აღასრულეს, ყურანზე ფიცი დადეს, რომ საიდუმლოს შეინახავენ ალლაჰის სახელით.

განწმენდილნი ქალაქში დაბრუნდნენ...

ამ ამბებიდან ერთი კვირის თავზე ადგილობრივი მეტყევე ხევში წყლის დასალევად ჩავიდა და სახტად დარჩა... ლეშის აუტანელმა სუნმა შეაწუხა, გვამის დანახვისას კი გული შეუღონდა და თვალები აეწვა. თვალებს არ უჯერებდა, მაგრამ ეს სიმართლე იყო.

საცოდავად გადმოჰყურებდა მხეცებისაგან ნახევრად დაგლეჯილი, იავარქმნილი ქალის სხეული. თავზარდაცემულმა და დარეტიანებულმა მეტყევემ ერთ ხანს ანგარიშმიუცემლად, თავქუდმოგლეჯილმა ირბინა, მერე გონს მოეგო და უახლოესი ჟანდარმერიის ქვედანაყოფში განაცხადა საზარელი სანახაობის შესახებ.

ჟანდარმები, მაშველებთან და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადასთან ერთად, მივიდნენ შემთხვევის ადგილას. აიკრეს პირები. ადგილზე ჩაატარეს გადაუდებელი საექსპერტიზო-საგამოძიებო ქმედებები, ჩამოხსნეს ცხედარი, მოათავსეს შავ, ჰერმეტიულ ცელულოიდის ტომარაში და გადაიტანეს პროზექტურაში...

ყველა სამართალდამცავი და საგამოძიებო სამსახური დარწმუნებული იყო ცხედრის ამოცნობის და გამოძიების უპერსპექტივობაში, მაგრამ, უფალს არ ენება, ზეინაბის ცხედარი ამოუცნობი დარჩენილიყო ან მისი სახელი დამატებოდა უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიას, რასაც თვით ზეინაბი აქტიურად უწყობდა ხელს.

საქმე ის იყო, რომ საზრიან და წინდახედულ ქალს კაბის სარჩულში ჩაეკერებინა პირადობის მოწმობა. სწორედ ეს საბუთი აღმოაჩინეს ექსპერტებმა მისი ტანსაცმლის შესწავლისას. ერთ სასტუმროში ქართველ მანდილოსანს მიაკვლიეს, რომელმაც თარგმნა ზეინაბის პირადი მონაცემები.

ეს მანდილოსანი, თურმე, ჩვენთვის საინტერესო ტაქსის მძღოლსაც იცნობდა, რომელმაც ზეინაბის ამბავი რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც სანდო პირს, გაანდო, მან კი გირესუნში მანანას მოუთხრო.

* * *

ასე აღსრულდა ზეინაბის სიცოცხლე.

მისი ცხედარი ქალაქ ტრაპიზონიდან, საქართველოს საკონსულოს ხელშეწყობით, მისმა ნათესავებმა გადმოასვენეს და თბილისის გარეუბანში, ერთ-ერთ სასაფლაოზე დაკრძალეს.

* * *

ზეინაბის ტანჯული და წამებული, მაგრამ ცოდვილი და სატანაზე მიყიდული სული, ეტყობა, დღესაც დაბორიალებს თურქეთის ზღვისპირეთსა თუ აღმოსავლეთ ანატოლიის ტრამალებზე და, ვინ იცის, რას ეძებს - ვითომ სამართალს, შვებას, შენდობას?..

* * *

... მე და მანანას ხშირად გვიფიქრია, რა იყო ზეინაბის ცხოვრების ასეთი აღსასრულის მიზეზი: ბრმა შემთხვევა, ბედისწერა თუ ქართველი გოგონების გაუბედურების საზღაური, ღვთის რისხვა, სამაგიეროს მიზღვევა?..

ამის განსჯა, მკითხველო, შენთვის მომინდვია...

ბათუმი
2012